



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675  
1989

ენისა

და

ლიტერატურის  
სერია

43

1 . 1989

1. ქართველთა სსრ მეცნიერებათა აკადემიის შტაბი,  
ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 1

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1989

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. ვეჯარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიმიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია  
1989, № 1

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადაეცა წარმოებას 23.12.88; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.3.89; უე 04158;  
ანაწყობის ზომა 7×123/4; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა;  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.7; პირ. საღ.-გატ. 15,4; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.37;  
ტირაჟი 1500; შეკვეთა 3891; ფასი 1 მან. 20 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

ლ. კიკნაძე, გიორგი ავალიშვილი და ადრინდელი ქართული განმანათლებლობა	5
✓ ს. თურნავეა, „ილია ჭავჭავაძე — კავკასიის ბერანკე“	20
ნ. ოქრუაშვილი, ცხოვრება დიმიტრი ჯანაშვილისა	31
ნ. თოგოშვილი, შედარება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებში	45
ნ. ვადაჭკორია. პ. პეტრენკოს პოეტიკის თავისებურებანი და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანი	51
თ. ხვედელიანი, „კალმასობა“ და პაგიოგრაფიული მწერლობა (V—X სს.)	50
ნ. მელიქიშვილი, იოსებ ფლავიოსის თხზულების — „მოთხრობანი იუდაებრძვისა ძუელსიტყუაობისანი“ — ქართული თარგმანის ისევ ბერძნული წყაროს შესახებ	72
ე. აბაშიძე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატანიის ქართული წყაროს კვლევის საკითხისათვის	75
ლ. გელაშვილი, შეიხის „ხოსროვ-შირინის“ პროლოგის სტრუქტურის გაგებისათვის	80
ნ. პაპუაშვილი, რამდენიმე ახალი ცნობა ქსნის ოთხთავის შესახებ	89
ე. კვაპანტირაძე, ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ წყაროების საკითხისათვის	97
ქ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 8. ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში	108
მ. ესაკია, სინტაქსისი და კომუნიკაციური ინტენციის რეალიზაციის პრობლემები მეტყველებაში	114
რ. ასათიანი, კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში	119
ნ. ქუთელია, СС <sub>3</sub> სტრუქტურის კონსონანტური ჯგუფები ლაზურში	124
ლ. აბულაძე, მოგონათა რიგის გამომხატველი სიტყვების ერთი წყვილის შესახებ	133
ნ. ნიჩუა, მოქმედების ნომინაციის ლინგვისტური მექანიზმი და პრაგმატულ-სტილისტურე ორიენტაცია თხრობით ტექსტში	138 ✓
ე. მამულაძე, ფრაზეოლოგიზმის სინტაგმატურ ურთიერთობათა შესახებ თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში	151
მ. ანდრონიკაშვილი, არაბული ზმნის გარდამავლობისა და გვარის საკითხები აზ-ზაჟაჯის გრამატიკულ ტრაქტატში	156 ✓
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ა. ტოვარი, ი. მ. ვეშაბიძისა და ი. ე. ზიცარის ნაშრომები ბასკური ზმნის — „ყოფნის“ შესახებ	161
პუბლიკაცია	
ე. ქალუ, ქართველი პოეტი	165

## СОДЕРЖАНИЕ

### Статьи

Л. А. Кикнадзе, Г. Авалишвили и раннее грузинское просветительство . . . . .	5
С. Э. Турнава, «И. Чавчавадзе — кавказский Беранже» . . . . .	20
Н. Г. Окруашвили, Димитрий Джанашвили . . . . .	31
Н. Г. Тогошвили, Сравнения в русских переводах поэмы Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре» . . . . .	45
Н. В. Вадачкория, Особенности поэтики Петренко и его перевод «Витязь в тигровой шкуре» . . . . .	51
Т. Я. Хведелиани, «Калмасоба» И. Батонишвили и грузинская агнография (V—X вв.) . . . . .	59
Н. Г. Меликишвили, Еще раз о греческом источнике перевода труда Иосифа Флавия «Иудейские древности» . . . . .	72
Э. Г. Абашидзе, К вопросу об источнике «Исторической хроники» «Обращения Грузии» . . . . .	75
Л. С. Гелашвили, К пониманию структуры пролога «Хосров и Ширин» Шейхи . . . . .	80
Н. И. Папуашвили, Несколько новых сведений о Ксанском четвероглаве . . . . .	89
Э. Г. Квацантирадзе, К вопросу об источниках «Всеобщей истории» Вардана Аревелици . . . . .	97
К. Д. Дanelия, Следы иноязычного влияния в древнегрузинских письменных памятниках. 8. Синтаксические конструкции с частицей ბუჟი «не» в древнегрузинском . . . . .	108
М. В. Эсакия, Синтаксис и проблемы реализации коммуникативной интенции в речевой деятельности . . . . .	114
Р. А. Асатиани, Категории «каузации» и «контакта» в картвельских языках . . . . .	119
Н. С. Кутелия, Консонантные группы структуры CCv в лазском . . . . .	124
Л. Б. Абуладзе, О паре антонимов, обозначающих временной порядок . . . . .	133
Н. Ш. Чичуа, Лингвистический механизм и прагматико-стилистическая ориентация номинации действия в нарративном тексте . . . . .	138
Э. В. Мамулия, О синтагматических отношениях фразеологических единиц в современном турецком языке . . . . .	151
М. О. Андроникашвили, Вопросы переходности и залога в грамматическом трактате Аз-Заджаджи . . . . .	156

### Критика и библиография

А. Товар, О работах И. М. Вешапидзе и Ю. В. Зыцаря по баскскому глаголу «быть» . . . . .	161
--	-----

### Публикации

Э. Жалу, Грузинский поэт . . . . .	165
------------------------------------	-----



ლია კიკნაძე

გიორგი ავალიშვილი და აღრინდელი ქართული განმანათლებლობა

განმანათლებლობა ახალი დროის ერთ-ერთი უდიდესი მოძრაობა იყო. იგი, როგორც ანტიფეოდალური მსოფლმხედველობა, მკვიდრად ბატონობდა საზოგადოებრივ აზროვნებაში განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“<sup>1</sup>. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა იყო რუსეთი, სადაც განმანათლებლობის ეპოქა უფრო ხანგრძლივი და ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

19.2.25

ქართველი ხალხის განმანათლებლური აზროვნება ყალიბდებოდა რუსულ და, მისი მეშვეობით, დასავლეთევროპულ განმანათლებლობასთან მჭიდრო კავშირში. ამასთანავე, იგი ვითარდებოდა ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად. ცნობილია, რომ იდეოლოგიის განვითარების პროცესი ნებისმიერ ქვეყანაში შინაგან პირობებზეა დამოკიდებული და არა გარეგან მიზეზებზე. „ნიადაგი უცხო სთვისებისათვის მზადდება შინაგანი განვითარებით და საზოგადოება იწოვს გარეშე გავლენებს ან უარყოფს მათ იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა იგი მისი განვითარების შინაგან ტენდენციებს“<sup>2</sup>. სწორედ, მე-18 ს. მეორე ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, როდესაც ფეოდალიზმის წიაღში ისახებოდა კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები, განაპირობებდა ამ ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე დასავლეთ ევროპის მოწინავე იდეების კეთილისმყოფელი გავლენის მეშვეობით „XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში აშკარად გამოიკვეთა „განმანათლებლობა“, როგორც ახალი საფეხური მოწინავე იდეოლოგიის განვითარებაში“<sup>3</sup>.

განმანათლებლობა საქართველოში იყო მთელი ეპოქა კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომლის ჩასახვის პერიოდი (მე-18 ს. II ნახევარი და მე-19 ს. I ნახევარი) აღრინდელი განმანათლებლობის სახელითაა ცნობილი<sup>4</sup>. აღრინდელი განმანათლებლობა ეყრდნობოდა ქართულ რენესანსულ ჰუმანიზმს — შოთა რუსთაველითა და იოანე ბატრიწით დაწყებული, არჩილითა და სულხან-საბა ორბელიანით გათავებული. უნდა აღინიშნოს, რომ აღრინდელი ქართული განმანათლებლობის იდეებს საქართველოში ბურჟუაზიის კლასის არარსებობის გამო (იგი მე-19 ს. 90-იან წლებში ჩამოყალიბდა) უმეტესად თავადაზნაურობის წრიდან გამოსული ცალკეული პროცესულად მოაზროვნე ადამიანები ავრცელებდნენ, თუმცა საქართველოს მაშინდელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა და, პირველ რიგში, საზოგადოებრივ აზროვნებაში გაბატონებული რელიგიურ-კონსერვატორული შეხედულებები, ხელს უშლიდა ამ იდეების ფართოდ გავრცელებას. მო-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 628.  
2 С. И. Артановский, Историческое единство человечества и взаимное влияние культур, Л., 1967, გვ. 91.  
3 ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1959, გვ. 292.  
4 მ. გაფრინდაშვილი, ქართული განმანათლებლობა, თბ., 1966, გვ. 4.

ქაქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რისკობ.

წინავე ადამიანებს, სწორედ, საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა აიძულებდა „თეორიულადაც ეძებნათ ქვეყნის გამომხსნის საშუალებანი“, რომელთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ევროპული კულტურის შემოტანას და მისი მეშვეობით განათლების დონის ამაღლებას.

ჯერ კიდევ წინა თაობის კრიტიკულად მოაზროვნე მოღვაწეებმა დააყენეს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და ეროვნული ერთიანობისთვის ბრძოლის აუცილებლობის საკითხი, განსაზღვრეს განათლების უდიდესი როლი პიროვნების, ხალხის, ცხოვრების ყიდიისა და სახელმწიფოს გარდაქმნის საქმეში. ამ მხრივ ადრინდელ განმანათლებელთა საქმიანობა იყო ამ ამოცანების პრაქტიკული რეალიზაცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ადრინდელი განმანათლებლობის დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეულია: ადამიანის გონების ყოვლისშემძლეობის, ღვთაებრივისა და ადამიანურის ერთიანობის აღიარება, ერთგვარი ოპოზიციური დამოკიდებულება ბატონყმური ფეოდალიზმისა და რელიგიისადმი, რელიგიისა და მეცნიერების განახლების იდეები, ადამიანთა შორის ჰუმანისტური ურთიერთობის ქადაგება, სიმპათიები ჩაგრული ადამიანებისადმი (ნაწილობრივ გლეხებისადმი), ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მისწრაფება ერთიანი სამეფოს აღდგენისაკენ ფეოდალური დაქსაქსულობის მოსპობის გზით, ევროპეიზაციის, სწავლა-ვანაალებისა და „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეების პროპაგანდა, განათლების დასახვა საზოგადო კეთილდღეობის მთავარ პირობად<sup>5</sup>.

ქართული განმანათლებლობა მე-19 ს. დასაწყისიდან, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, შეიცავდა ეროვნული თავისუფლების იდეებსაც. ეს იდეები თანდათან ძლიერდებოდა და მე-19 ს. 60-იანი წლებიდან მთელი ძალით გაიშალა.

როგორც ვხედავთ, ადრინდელი განმანათლებლობა ჯერ კიდევ მოუმწიფებელი იდეოლოგიაა, რომელსაც ახასიათებს განმანათლებლობის მხოლოდ ცალკეული, ძირითადად, ლიბერალურ-პატრიოტული იდეები. შემდგომში ამ იდეების განვითარების შედეგად მივიღეთ საზოგადოებრივი აზრი, რომელიც აშკარად წინ აღუდგა ცარიზმსა და ლიბერალურ-კონსერვატიულ ძალებს<sup>6</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელი განმანათლებლობის ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები ყველა განმანათლებლისთვის ერთნაირად დამახასიათებელი როდია; ზოგიერთი მათგანი, შესაძლებელია, სრულებით არ აღმოაჩნდეს ამა თუ იმ წარმომადგენელს ან სუსტად იყოს მის მოღვაწეობაში გამოვლენილი. საგულისხმოა რუსული განმანათლებლობის ერთ-ერთი მკვლევრის სიტყვები: „საესებით შესაძლებელია ვილაპარაკოთ მე-18 ს. ამა თუ იმ მწერლის შეხედულებების განმანათლებლურ შინაარსზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ არ გამოდიოდა, როგორც ხალხის მასების ინტერესების დამცველი ან ბატონყმობის დაჯერებული მტერი“<sup>7</sup>.

ადრინდელი ქართული განმანათლებლობის პირველი თაობის წარმომადგენლებად მიჩნეულნი არიან: ეახუშტი ბაგრატიონი, ანტონ ბაგრატიონი, ალექსანდრე ამილახვარი და დავით გურამიშვილი. XVIII ს. ბოლოს და XIX ს.

<sup>5</sup> М. Гаприндашвили, Грузинское просветительство, Тб., 1977, გვ. 76—77.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>7</sup> И. З. Серман, Просветительство в русской литературе. Проблемы русского просвещения в литературе XVIII в., М.-Л., 1961, გვ. 31.



დასაწყისში მეორე თაობა გამოდის ასპარეზზე. მათ შორის არიან: დავით და იოანე ბატონიშვილები, ალ. ჭავჭავაძე და სხვ. მესამე თაობას განეკუთვნებიან: ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი<sup>8</sup> და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აღრინდელი ქართული განმანათლებლობის ეპოქის მწერალთა მემკვიდრეობის არასაკმარისი შესწავლის გამო ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი ამ იდეოლოგიის სხვადასხვა ეტაპის ყველა წარმომადგენელი. ეს რომ ასეა, დავგანახა მე-18 ს. მიწურულისა და მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართველი პატრიოტის, მწერლის, მთარგმნელის, დრამატურგის, მოგზაურისა და დიპლომატის ვიორგი ავალიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლამ, რომლის საფუძველზეც ჩვენს წინ გადაიშალა საინტერესო ფურცელი არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ აღრინდელი ქართული განმანათლებლობის ისტორიისა.

3. ავალიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ქრონოლოგიურად უკავშირდება აღრინდელი განმანათლებლობის შუა ეტაპს, ე. ი. იმ პერიოდს, როდესაც მოღვაწეობდნენ დავით, იოანე ბაგრატიონები და ალ. ჭავჭავაძე. გ. ავალიშვილის მსოფლმხედველობას ბევრი რამ აქვს მათთან საერთო და ეს ბუნებრივია. იგი, დავით და იოანე ბატონიშვილების მსგავსად, დიდად არის დავალებული წინა ეტაპის განმანათლებელ ანტონ კათალიკოსის პატრიოტულ-განმანათლებლური მოღვაწეობისაგან, ხოლო ალ. ჭავჭავაძე მისი დის-შვილი და გაზრდილია.

ანტონ კათალიკოსის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროს ნაწილობრივ შემზადებული იყო ნიადაგი განმანათლებლური იდეების გავრცელებისათვის დიდი ჰუმანიტეტის — არჩილის, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანის მიერ, რომლებიც თავგანწირულად იღვწოდნენ საქართველოს დაწინაურებისათვის, კერძოდ, ახალგაზრდობის სწორი აღზრდის, მშობელი ხალხის სულიერი ფასეულობების გამომხეურებისა და სამემკვიდრეოდ გადაცემის, საქართველოს ერთიანობის იდეების გავრცელებისათვის. ანტონმა კიდევ უფრო განავითარა ეს იდეები და საქართველოს კულტურული დაწინაურება ევროპულ ცივილიზაციას დაუკავშირა.

ანტონ კათალიკოსის პატრიოტულ-განმანათლებლური მოღვაწეობა ვლინდება მეფისა და მშობელი ხალხის უსაზღვრო ერთგულებაში, საქართველოს გაერთიანების, გაძლიერებისა და დაწინაურებისაკენ მისწრაფებაში. მის იდეალს წარმოადგენდა ევროპულად განათლებული საქართველო. ამიტომაც იგი თვდაუზოგავად იღვწოდა სამშობლოში ევროპული და რუსული ცივილიზაციის შემოტანისათვის, ქართველი ხალხის განათლებისა და ცოდნის დონის ამაღლებისათვის, საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრების მოწესრიგებისათვის. ანტონმა იდეოლოგიის ყველა დარგი — ეკლესია, მეცნიერება, ლიტერატურა ერთიანი, ძლიერი საქართველოს სამსახურში ჩააყენა, ქართველებში აამღლა ეროვნული თვითშეგნება, განამტკიცა მომავლის რწმენა. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას და უმეცრებისაგან ქვეყნის გამოსსნას მთავარ მიზნად მიიჩნევდა. ამ ამოცანის გადაჭრის საქმეში „ევროპული და რუსული განმანათლებლობა აღმოჩნდა ანტონისთვის ის საყრდენი, რომლის მომარჯვებით მთელი რეფორმა უნდა ჩატარებინა კულტურულ ცხოვრებაში“<sup>9</sup>. მან დასახა მშობელი ქვეყნის დაწინაურების გრანდიოზული პროგრამა, გარს შემოიკრიბა თანამოაზრეებისა და მოწაფეების ძლიერი ჯგუფი და დასახული ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებასაც თვითონვე ჩაუდგა სათავეში.

<sup>8</sup> М. Гаприндашвили. указ. труд, гл. 76—78. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 474—475.

<sup>9</sup> მ. ჭავჭავაძის, ანტონ ბაგრატიონი და მისი „მარტივია“, ძველი ქართული ავთოგრაფული ძეგლები, VI, თბ., 1980, გვ. 423.



რაც შეეხება მის მსოფლმხედველობას, ანტონი, რასაკვირველია, არც მატერიალისტი იყო და არც ათეისტი და არც შეიძლება ყოფილიყო იმდროინდელი რელიგიურ-კონსერვატორული საზოგადოებრივი აზროვნების პირობებში, მაგრამ თუ მისი თარგმანებით ვიმსჯელებთ, მოღვაწეობის მეორე პერიოდში ანტონის თეოლოგიურ პრინციპებში ერთგვარი წინააღმდეგობა შეიმჩნევა. მოწინავე რუსულ-ევროპული აზროვნებისა და ქართული ჰუმანისტური ტრადიციების გავლენით იგი შეეცადა დაეძლია სქოლასტიკური ტრადიცია. კერძოდ, ვოლგის „ფიზიკის“ თარგმნით, რომელშიც მეცნიერება რელიგიასთანაა მორიგებული, შ. ნუტუბიძისა და ა. ფრანგიშვილის აზრით, „იგი ზურგს აქცევს „სპეკალში“ გამოთქმულ სქოლასტიკური ფილოსოფიის საფუძვლებს და გზას უხსნის ფილოსოფიური და მეცნიერული ძიების ახალ შედეგებს საქართველოში“<sup>10</sup>.

ანტონის განმანათლებლურ პრინციპებზე აღზრდილ დავით და იოანე ბაგრატიონების მსოფლმხედველობაში მოწინავე მეცნიერული აზრის კიდევ უფრო დიდი გავლენა შეინიშნება. საკმარისია ითქვას, რომ დავით ბატონიშვილი პირველი ვოლტერიაელია საქართველოში, რომლის მსოფლგაგებას ათეიზმისა და მატერიალიზმის ძლიერი ნაკადი ასაზრდოებს. იოანე ბატონიშვილი სიმბატიებს ამტკიცებს უქონელთა მიმართ. იგი საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მიზეზად ფეოდალურ დაქაჩვას უთვლიდა და გლეხობის ფიზიკურ და მატერიალურ გაჩანაგებას მიიჩნევს. იოანე მკაცრად აკრიტიკებს უწიგნურობას, სამღვდელთა ანგარებას, ბატონების თავგასულობას და ქვეყნის ხსნას მის სამხედრო, ეკონომიკურ, ფინანსურ, ადმინისტრაციულ და კულტურულ რეორგანიზაციაში ხედვას.

გ. ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება იოანე და დავით ბაგრატიონების გვერდით და მათთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა. ცხადია, მისი მსოფლგაგებაც ნასაზრდოებია განმანათლებლობის მოწინავე იდეოლოგიით, რომელიც საქართველოში საკმაოდ პოპულარული იყო.

გ. ავალიშვილის განმანათლებლური სულისკვეთება, რომელსაც საფუძვლად უდევს პატრიოტიზმი, სამშობლო ქვეყნის კულტურული დაწინაურებისა და ევროპულ ცივილიზაციასთან დაახლოების დიდი სურვილი, ვლინდება მისი საქმიანობის ყველა სფეროში. ეს არის რუსული ენიდან ნაწარმოებების თარგმნა, რუსეთში ნანახი სიახლეების საქართველოში გადმოტანა, ქართული ხელნაწერების გამრავლება მათი გადაწერისა და ხელნაწერი კრებულების შედგენის სახით, ქართული კულტურის სასიკეთო საქმიანობაში მონაწილეობა, ქართული ხელნაწერებისა და ძველი ნაბეჭდი წიგნების შეგროვება-კოლექციონირება, რუსეთში სწავლის მისაღებად ჩასული ქართველი ახალგაზრდების მეურვეობა, დიპლომატიური მოღვაწეობა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების მიზნით, საზღვარგარეთ მოგზაურობა, რომლის ერთ-ერთი ამოცანა თანამემამულეთათვის მრავალგვარი ცოდნის მიწოდებაც იყო.

ბავშვობიდანვე პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა წრეში ტრიალმა (ანტონ კათალიკოსი, გარსევან ჭავჭავაძე, ბატონიშვილები) და ანტონ კათალიკოსის მოწოდება ხელმძღვანელობით (გაიოზ რექტორი, ტრიფილე მღვდელმონაზონი) მიღებულმა სწავლა-განათლებამ, რომელსაც ძველი ქართული მწერლობის სიყვარული და ანტონის პატრიოტულ-განმანათლებლური მოღვაწეობა ასაზრდოებდა, ჩამოაყალიბა გ. ავალიშვილის მსოფლგაგება, სამშობლო ქვეყნის სიყვარულის, ერთგულებისა და თავდადებული სამსახურის შეგნება. ჭერ კიდევ ჰაბუკი გ. ავალიშვილი მთლიანად თანაუგრძნობს ანტონის

<sup>10</sup> გ. დედაბრატიშვილი, ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1984, გვ. 49.

განმანათლებლურ პროგრამას და დიპლომატიური საქმიანობით თუ ლიტერატურული მოღვაწეობით ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს მშობელი ქვეყნის დაწინაურების, განათლებისა და ევროპულ ცივილიზაციასთან დაახლოების საქმეში. მჭიდრო კონტაქტებმა ქართლ-კახეთის საელჩოსთან, რომლის მდივანიც გახდა 1785 წლიდან, იგი დაარწმუნეს, რომ ევროპული კულტურის შემოტანის რეალური გზა რუსეთზე გადიოდა. მას კარგად ესმოდა ისიც, რომ დასუსტებულ საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა აღარ შეეძლო და თავისი ბედი უნდა დაეკავშირებინა უფრო ძლიერი და დაწინაურებული სახელმწიფოსათვის — რუსეთისთვის, რაც მას ნანატრი მშვიდობიანობის, ეკონომიკური გაძლიერებისა და ევროპულ კულტურასთან ზიარების საწინდარად მიაჩნდა. და მართლაც, პეტერბურგსა და მოსკოვში ნახული სიახლეები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჰაბუკ გიორგიზე. 1788 წ. პირველი ელჩობის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული, იგი ცდილობს განმანათლებლური იდეებისა და სიახლეების საქართველოში გადმოწვდევას და თეატრალური წარმოდგენების მომხიბვლელი ზემოქმედებით თბილისში ერეკლეს კარზე აარსებს სცენისმოყვარეთა დასს, რომლის რეპერტუარის შესაქმნელად წერს ორიგინალურ პიესა „თეიმურაზ მეფეს“ (რომელიც დაკარგულად ითვლება) და რუსულიდან თარგმნის ა. სუმიაროკოვის კომედიებს. ამით იგი იმკვირვებს ქართული დრამატურგიის მამამთავრის საპატიო სახელს. მარათლია, ერეკლე კარის თეატრმა მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება — ალამაჰმად-ხანის შემოსევამ საქართველოში მას ბოლო მოუღო, მაგრამ „ავალიშვილის თეატრმა“ თავისი დიდი საქმე გააყეთა — გააღვივა თეატრალური სახანობისადმი სიყვარულის თესლი.

განმანათლებლური სულისკვეთებით ანთებული ჰაბუკი საელჩოს მდივნის ოფიციალური მოვალეობისგან თავისუფალ დროს ქართული ხელნაწერების გამრავლებაზეც ზრუნავს. ეს პატრიოტული საქმიანობა, ისევე როგორც ხელნაწერი კრებულების შედგენა, მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია. რუსეთში ცხოვრებამ და რუსული ლიტერატურის გაცნობამ, რომელსაც ევროპული ენებიდან თარგმნილი ბევრი განმანათლებლური ხასიათის ნაწარმოები ამშვენებდა, კიდევ უფრო გააღრმავა გ. ავალიშვილის განმანათლებლური სულისკვეთება. მან მიაგნო თავისი იდეოლოგიის გაღრმავების უშრეტ წყაროს და მისი გაცნობა ქართველი ხალხისათვის უპირველეს ამოცანად დაისახა.

როგორც ცნობილია, ნათარგმნი ლიტერატურა უმიზეზოდ არ ჩნდება. იგი გამოხატავს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ადგილობრივი აზროვნების მიმდინარეობა აყენებს. ნათარგმნი თხზულებების ხასიათი გვიჩვენებს „რამდენიმე ინტელექტუალური და მორალური ინტერესები ამოძრავებდა იმ ხანაში ამა თუ იმ ხალხს, რა იდეები, აზრები და საკითხები იპყრობდნენ მის ყურადღებას, როგორ ითვისებდა ის ამ იდეებს და აზრებს, ერთი სიტყვით, როგორი იყო მისი გონებრივი და ზნეობრივი დონე, მისი ესთეტიკურ-მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული განვითარება“<sup>11</sup>. სწორედ ამის გამოხატულებაა გ. ავალიშვილის მრავალრიცხოვანი თარგმანები რუსული ენიდან—ევროპული და რუსი ავტორების პოპულარული თხზულებები, რომლებიც მთარგმნელს „რუსულ-ევროპული კულტურის, ევროპეიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლად“ წარმოაჩინენ.

გ. ავალიშვილის თარგმანთა პირველი ნიმუშებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფლორიანის „ნუშა პომფილია“, მ. ხერასკოვის „კა-

<sup>11</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბ., 1957, გვ. 1.

დმი და ღარმონია“ და „პოლიდორი“. ფლორიანის რომანში ასახულია „გან-  
თლებული აბსოლუტიზმის“ იდეები. ავტორი აიდეალებს რომის ბრძენ, მართლიან და მშვიდობისმოყვარე მეფე პომპილიას. მ. ხერასკოვის პოლი-  
ტიკურ რომანებში კი დასმულია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების, ადა-  
მიანთა იდეალური საზოგადოებისა და პოლიტიკურ-სოციალური ძალების ურ-  
თიერთობის პრობლემები. ავტორის რწმენით, ნამდვილი ბედნიერება სახელ-  
მწიფოსთვის არის განათლების მაღალი დონე და სამართლიანობა.

ეს რომანები თარგმნილია 1795—1800 წლებში, ე. ი. მაშინ, როდესაც  
გ. ავალიშვილი მიიღო ენერგიით იღვწის საქართველოს რუსეთთან დაკავში-  
რებისათვის და არაერთხელ ადგება შორეულსა და მომქანცელ გზას თბილი-  
სიდან პეტერბურგისაკენ. მას ღრმად სწამს, რუსეთთან კავშირის მოსურნე  
სხვა მოაზროვნეების მსგავსად, რომ ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოს  
დაიცავს გარეშე მტრებისაგან და ევროპული განვითარების პირობებს შეუ-  
ქმნის. ქართველ ხალხში ევროპული ცოდნისა და განათლების შეტანა კი გარ-  
დაქმნის ეკონომიკას, საზოგადოებას, ცხოვრების ყაიდას.

მაგრამ გ. ავალიშვილის, ისევე როგორც საქართველოს უკანასკნელი მე-  
ფის გიორგის, ილუზიებს რუსეთის იმპერატორის მეგობრული და უანგარო  
დამხარების შესახებ ახდომა არ ეწერა. საქართველოში მეფის ხელისუფლე-  
ბის გაუქმებისა და საქართველოს რუსეთის გუბერნიად გამოცხადების და  
საქართველოს საშინაო ავტონომიის აღსადგენად ქართლ-კახეთის საელჩოს  
უშედეგო ცდების შემდეგ გ. ავალიშვილი დარწმუნდა მეფის რუსეთის კო-  
ლონიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის აუცი-  
ლებლობაში.

მასასადამე, გ. ავალიშვილისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის და-  
კარგვას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მისმა განმანათლებლურმა მსოფლ-  
გაგებამ, რომელსაც ამ იდეოლოგიის ადრინდელი ეტაპისთვის დამახასიათე-  
ბელი მშვიდობიანი, განათლების გზით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდა-  
ქმნის სულისკვეთება ახასიათებდა, შეიძინა პროტესტანტულ-ოპოზიციური  
იერი. პატრიოტი მოღვაწე თანამზრახველებთან ერთად ფართულად იღვწის  
სამშობლოს ეროვნული თავისუფლებისათვის, თუმცა გარეგნულად რუ-  
სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებს და რუსეთის მთავრობას ერთგულ კაცად  
აჩვენებს თავს, ე. ი. იგი დიპლომატიისთვის დამახასიათებელი მოქნილობით  
ეწევა „ორმაგი თამაშის“ პოლიტიკას, რაც საშუალებას აძლევს აკეთოს  
ეროვნულ-პატრიოტული საქმეები. შენიღბული მოქმედების დასტურია მთა-  
ვარმართებელ ციციანოვის ხელმძღვანელობით განჯის აღების ოპერაციებ-  
ში მონაწილეობა, რომელსაც იგი შემდგომ თავისი ერთგულების საბუთად  
იყენებს. ამასვე მოწმობს 1804 წ. სექტემბერში მთიულეთის აჯანყების  
დროს ფარნაიზ ბატონიშვილის ბანაკში წასვლა კახეთის თავად-აზნაურთა  
ჯგუფთან ერთად, რომელშიც მისი ძმა იოანე და დისშვილი ალ. ჭავჭავაძეც  
ერთია. გ. ავალიშვილი ადრევე მიხვდა, რომ აჯანყება განწირული იყო, რამ-  
დენიმე თავადის თანხლებით უკანვე, თელავში ჩამოვიდა და თანხლები პირე-  
ბის დაბრუნება თავის მცდელობას მიაწერა. შემდგომ ამ შემთხვევას იგი  
საგანგებო დავალებად ნათლავს და თავის ნამსახურობის სიაში ერთგულე-  
ბის დამადასტურებელ ფაქტად შეაქვს<sup>12</sup>.

რუსეთის კოლონიური რეჟიმისადმი მისი ოპოზიციური განწყობილებებ-  
ის საჩვენებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროკლამაცია-მოწოდება  
თბილისელი მოქალაქეებისადმი, რომელიც ანტირეჟიმული აქტიური მოქმე-

<sup>12</sup> ЦГИА СССР, ф. 1284, оп. 4<sup>р</sup>, кн. 32, 1816, д. 305.



დების აუცილებლობას შეიცავს<sup>13</sup>. მოწოდებას ქვემოთ მიწერილი აქვს ანდერძი, რომლის თანახმად იგი თითქოს დუბერონის ნაწარმოებია, რომელიც 1798 წ. რუსულიდან თარგმნა გ. ავალიშვილმა. ეს, რასაკვირველია, გამოცდილი დიპლომატის ხერხია თავისი პროტესტანტულ-ოპოზიციური განწყობილების დასაფარავად<sup>14</sup>.

რუსეთის ერთგული კაცის რეპუტაციის დამსახურება არც ისე ადვილი საქმე იყო. ამ მხრივ საეკლესიო ახალმიკვლევული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენელთა ერთგვარ დონის<sup>15</sup>, ამ დოკუმენტში დახასიათებულია გ. ავალიშვილის დიპლომატიური მოღვაწეობა. იგი წარმოდგენილია ნიჭიერ, მაგრამ ამპარტავან პიროვნებად, რომელსაც თავისი სახლის წარმომადგენელთა მსგავსად ინტრიგები ახასიათებს. ეს თვისებაა გამოყოფილი გიორგის ძმის სოლომონის, დისა და სიძის — მარიამ და გარსევან ჭავჭავაძეების დახასიათების დროსაც. ძნელი არ არის მიხედვრა, თუ რა იგულისხმება ამ სიტყვაში. ეს არის ანტირეციპოლი ტენდენციები, რომლებიც გახდა საბოლოოდ გარსევან ჭავჭავაძის საქართველოდან გადასახლებისა და გ. ავალიშვილის რუსეთში დამკვიდრების მიზეზი<sup>16</sup>.

1804 წ. გ. ავალიშვილი თხოვნით მიმართავს საქართველოს მთავარმართებელ ციციანოვს, ნება დართოს იერუსალიმში მოგზაურობისა, რაც საქართველოს ბედთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ მაშინ ეს მოგზაურობა არ შედგა ეკუმენიკალ პირებთან მისი ახლო კონტაქტების გამო<sup>17</sup>. 1819—1820 წლებში იგი უკვე რუსეთის გენერლის ჩინთ მოგზაურობს თურქეთისა და მის მიერ დაპყრობილ საბერძნეთ-ეგვიპტე-პალესტინის მიწა-წყალზე და თავს ყოვლისშემძლე რუსეთის თვითდაჯერებულ ჩინოსნად წარმოგვიდგენს, გულში კი ისევ თავის სამშობლოს გამოხსნაზე ფიქრობს, მაგრამ ამისთვის რეალურ მოკავშირეს ვერ ხედავს. 1832 წ. შეთქმულების გამქლავებასაც დიდი წუხილი უნდა გამოეწვია ბატრიოტი შემოქმედის არსებაში. ხანდაზმულობის მიზეზით (63 წლისა) იგი აქტიური წევრი ვერ იქნებოდა შეთქმულებისა, მაგრამ მისი ახლო კონტაქტები მოსკოვში შეთქმულების ერთ-ერთ თავკაც ოქროპირ ბატონიშვილთან და სამეფო სახლის სხვა წევრებთან, რომ არაფერი ეთქვათ შეთქმულების მონაწილე მის ბევრ ნათესავსა და მეგობარზე ან 1831 წ. ოქტომბერში სასურველ სტუმარ გრიგოლ ორბელიანთან საუბარში გათენებულ ღამეებზე, რაც, რასაკვირველია, შეთქმულებას შეეხებოდა, აშკარად მეტყველებენ მის განწყობილებაზე. გ. ავალიშვილს დასავლეთ ევროპის პროგრესული იდეებისა და რუსეთის მოწინავე აზროვნების ათვისების შედეგად, ადვილი შესაძლებელია. აზრი შეეცვალა სახელმწიფოს მართვის ფორმების შესახებ. ვინ იცის, 30-იან წლებში ეგებ გრიგოლ ორბელიანის მსგავსად მასაც რესპუბლიკური მმართველობა მიაჩნდა საქართველოსთვის სასურველ სახელმწიფოებრივ ფორმად!<sup>18</sup>

მაშასადამე, გ. ავალიშვილის განმანათლებლური მსოფლგაგება შეიცავდა

<sup>13</sup> მოწოდება გამოქვეყნებულია. იხ. მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, 1987, № 1, გვ. 69.  
<sup>14</sup> ჩვენ მოვიძიეთ დუბერონის სახელით ცნობილი თარგმანები რუსულში. გამოირკვა, რომ ასეთი მწერალი ამ დროისათვის რუსულ მწერლობაში ცნობილი არ იყო.

<sup>15</sup> ПГВНА, ф. ВУА, 1807, д. 389, 32v.

<sup>16</sup> რუსეთის მთავრობამ მას არ მისცა საქართველოში ცხოვრების უფლება, მიუხედავად გ. ავალიშვილის რამდენჯერმე თხოვნისა.

<sup>17</sup> АКАК, II, გვ. 51.

<sup>18</sup> ეს აზრი მკრეხელთადაც არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილმა, რომელიც 1809—1810 წლებში სპარსეთში იმყოფებოდა და იქ ანტირუსულ ტენდენციებს აღვივებდა, თარგმნა ვოლტერის ტრაგედია — „ალათოკლე“, რომელიც შეიცავს აზრებს რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფოს მართვის ყველაზე გონივრული ფორმის, შესახებ.



ეროვნული თავისუფლების იდეებსაც მაგრამ მისი შენიღბული მოქმედება გამო მის შემოქმედებაში ისინი ნაკლებად აირეკლა. სამაგიეროდ განმანათლებლური მსოფლმხედველობის გაღრმავებასთან ერთად გ. ავალიშვილის მოქმედებაში სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭერს განმანათლებლური ხასიათის თხზულებანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გ. ავალიშვილი ერთ-ერთი პირველი (დავით და თეიმურაზ ბატონიშვილების შემდეგ) მთარგმნელია დიდი ფრანგი განმანათლებლის ვოლტერისა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ვოლტერის იდეები მთარგმნელის მსოფლმხედველობის ტენდენციებს ესადაგება, ხოლო ქართველი განათლებული მკითხველი, რომლისთვისაც არის განკუთვნილი ეს თარგმანი, „მისი თანამედროვე ევროპული აზროვნების დონეზე“<sup>19</sup> დგას.

დასავლეთის გავლენის ტალღის შუქრამ საქართველოში გამოიწვია „ქართველი ბატონიშვილების და არისტოკრატის სხვა წარმომადგენლების დაწაფება დასავლეთის მეცნიერებისა და ფილოსოფიისადმი, რამაც მე-18 საუკუნის განმანათლებლობას, და კერძოდ, ვოლტერიაზობას გაუღო კარი საქართველოში“<sup>20</sup>. მაგრამ 1789 წ. საფრანგეთის რევოლუციით აღმფრთხილი რუსეთის ხელისუფლება მე-18 ს. 90-იანი წლებიდან კრძალავს ვოლტერის ნაწარმოებთა თარგმნას. იწყება სასტიკი რეაქცია ვოლტერიაზობის წინააღმდეგ. მე-19 ს. დასაწყისში სიტუაცია ისევ შეიცვალა: ალექსანდრეს ტახტზე ასვლის შემდეგ რუსეთში კვლავ პოპულარული ხდება ვოლტერის იდეები. ამ „საერთო გამოფხიზლების დროს“ გააქტიურდნენ განმანათლებლური სულისკვეთების მქონე ქართველი მოღვაწეები, განსაკუთრებით, პეტერბურგის ემიგრანტული სკოლის წარმომადგენლები, რომლებსაც აუცილებლობად მიაჩნიათ ფრანგი განმანათლებლის ნააზრევის საქართველოში გავრცელება და აი, გ. ავალიშვილი 1817—1818 წლებში ერთ-ერთი პირველი თარგმნის ვოლტერის მნიშვნელოვან თხზულებებს — „ზადილი ანუ ბედი“ და „ქუეყანა, ვითარცა არს, ხილვად ბაბუჯასი“. პირველ ნაწარმოებში მოთხრობილია ბაბილონელი ჭაბუკის ზადილის ცხოვრებისა და სიბრძნე-განსწავლულობის შესახებ, რამაც განსაზღვრა კიდევ მისი მეფედ აღზევება. ზადილის მეფობის ხანა ყველაზე მშვიდობიანი და ბედნიერი იყო ხალხის ცხოვრებაში: „საკვლმწიფო ტყებოდა მშვიდობითა, დიდებითა და სიმდიდრით. დროჲ ესე იყო უშუქარბესს საუკუნედ ქუეყანასა ზედა. იგი იყო მართულ მართლმსაჯულებითა და სიყბარულითა. აღიდებდიან ზადილსა და ზადილ აღიდებდა ცათა“ (H—1196, გვ. 296). ამ სიტყვებით თავდება ნაწარმოები. აზრი ნათელია: მხოლოდ ისეთი მეფე მიანიჭებს ხალხს ბედნიერებას და სიმშვიდეს, რომელიც ბრძენი, განსწავლული, გულადი და სამართლიანია. სწორედ ასეთი ბრძენი და განათლებული მეფე უნდა ყოფილიყო გ. ავალიშვილის იდეალიც.

მეორე თარგმანი — „ქუეყანა, ვითარცა არს, ხილვად ბაბუჯასი“ — მსოფლიო ბოროტების პრობლემას ეხება, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ვოლტერის ფილოსოფიურ თხზულებებში. ვოლტერი ბევრ ნაწარმოებში სვამს საკითხს, თუ როგორაა ეს ქვეყანა შექმნილი, რა სწავლობს მასში — ბოროტება თუ სიკეთე. ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ანგელოზი იტუარილიც ამ საკითხითაა დაინტერესებული. იგი ბაბუჯას აგზავნის სპარსეთში ადამიანთა ზნეობრივი დონის გასარკვევად, რომ საბოლოოდ გადაწყვიტოს პერსეპოლის (აქემენიდების სამეფო ქალაქის) ყოფნა-არყოფნის საკითხი. სპარსეთში ბაბუჯა ბევრ ბოროტებას ნახავს — უსამართლო და სისხლისმღვრელ ომს ინდოეთთან, ადამიანთა უეცილობას და ამორალობას, გაუტანლო-

<sup>19</sup> გ. დედეაბრიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

<sup>20</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1, თბ., 1956, გვ. 33—34.

ბას, შურს და თავისთვის გადაწყვეტს, რომ პერსპოლი დაქცევას იმსახურებს. მაგრამ კარგად აგებული სასახლების, სწავლული და გონიერი ადამიანების ვაცნობის შემდეგ გადაწყვეტილებას შეიცვლის და ანგელოზსაც ურჩევს პერსპოლის შენარჩუნებას. ნაწარმოების იდეა ნათელია: მეცნიერებას დიდი ძალა აქვს. იქ, სადაც სწავლული ადამიანები არიან, არ შეიძლება არ იყოს სიკეთე და სადაც სიკეთეა (თუნდაც ბევრი ბოროტების გვერდით), მისი მოსპობა არ შეიძლება. მთარგმნელი მოიხიბლა ნაწარმოების განმანათლებლური სულისკვეთებით, რომელიც თავისთავად გამოდის თხზულების იდეიდან: თუ სიკეთე სწავლული ადამიანების თანმხლებია, მაშასადამე, აუცილებელია სწავლა-განათლება და მეცნიერული ცოდნის გავრცელება-პოპულარიზაცია.

გ. ავალიშვილის განმანათლებლური მსოფლმხედველობის დასადასტურებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე მის მიერ 1826 წ. შედგენილი კრებული S—303, რომელშიც შედის განმანათლებლური სულისკვეთების მქონე ნაწარმოებები: ადრინდელი განმანათლებლობის I ეტაპის საინტერესო წარმომადგენლის ალ. ამილახვარის „ბრძენი აღმოსავლეთისა“, ალ. ჭავჭავაძისეული თარგმანი ვოლტერის „ტაქტიკისა“, გ. ავალიშვილისეული თარგმანი „ალექსანდრე და მეუღბანოე კავკასიასა შინა“.

„ბრძენი აღმოსავლეთისა“ მონტესკიეს ზეგავლენით დაწერილი ნაწარმოებია, რომელშიც გამოთქმულია ჰუმანისტური შეხედულებანი ადამიანთა თანასწორობაზე, ურთიერთშეწყნარებაზე, მშვიდობაზე, ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას ქვეყნის აღორძინების საქმეში. იგი ყველა წოდებას ზომიერებისკენ მოუწოდებს. „მეფენიცი კი არ უნდა გადაჰყდნენ სამმლტარსა დიდებითა თვისითა“ (გვ. 74). ალ. ამილახვარის აზრით, მეფე სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი არ უნდა იყოს, მისი უფლებები საჭიროა გაიყოს რამდენიმე ორგანოს შორის. ავტორი აკრიტიკებს სამღველოებას, რომელიც თავიდან სიკეთისა და მშვიდობისათვის იყო მოწოდებული, ამჟამად კი შფოთისა და ბრძოლების მიზეზად იქცა. ნაწარმოებს მთავარ მოტივად ვასდევს განათლებისა და მეცნიერების გავრცელების აუცილებლობა, რაც საწინდარია სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმატებისა.

ვოლტერის „ტაქტიკა“ ჰუმანისტურ-განმანათლებლური პრინციპების შემცველი ნაწარმოებია, რომლის მიხედვით მაღალი ხელოვნება ის არის, რომ „ამა სოფლის სიმწარის“ დასაძლევად ადამიანმა გონება გაინათლოს, ცუდი ჩვევები უქუაგდოს, ყველა ადამიანი შეიყვაროს, არავის უმტროს და კაცთა კვლის ხელოვნებაც ადამიანის სასარგებლოდ გამოიყენოს და არა მისი სიციხლის მოსასპობად. ვოლტერის აზრით, ყველა ბრძოლა როდია დასაგმობი („დაიჯერე, ყველა ბრძოლა უსამართლო ნუ გვინია“). ხშირად საჭიროა ისეთი ბრძოლა, რომელიც „ქუეყანას შეჰმოსს პატივს და დიდებას“ და მოქალაქეებს მშვიდობას დაუმკვიდრებს, „უზრუნველჰყოფს, განამდიდრებს და აცხოვრებს მყუდროებით“. აქედან გამომდინარე, რომის ტაქტიკა არის „პირველი ხელოვნება“, მაგრამ ღმერთს მაინც უნდა შესთხოვოს ადამიანმა, რომ ეს „უცხო ხელოვნება“ უქმად დარჩეს და არავის დასჭირდეს.

„ალექსანდრე და მეუღბანოე კავკასიასა შინა“ დილოგის ფორმითაა წარმოდგენილი, რაც პერსონაჟებს საშუალებას აძლევს ნათლად გამოთქვან და ერთმანეთს დაუპირისპირონ თავიანთი აზრები და ცხოვრების წესები.

კავკასიის მთებში მეუღბანოე ფილოსოფოსის ღარიბულ ქოხში წვიმის გამო თავშეფარებული ალექსანდრე მაკედონელი მასპინძელს თავს გააცნობს ძლევა-მოსილ მხედართმთავრად, რომელმაც ნახევარი მსოფლიო დაიპყრო. ალექსანდრეს პიროვნება და მისი საგმირო საქმეები მეუღბანოე ფილოსოფოსზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. იგი აღტაცებისა და თაყვანისცემის ნაცვლად, რასაც მოელოდა სტუმარი, მას უმტკიცებს დამპყრობლური



ომების უსამართლობას და ბუნების წიაღში განმარტოებული, უბრალოდ ცხოვრების წიგნების კითხვაში ჩაღრმავებული ცხოვრების უპირატესობას მეფეთა ცხოვრებასთან შედარებით. ფილოსოფოსი სთხოვს მეფეს იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც ხელს უშლის მის მშობელ ხალხს ბედნიერებაში. ფილოსოფოსის სიბრძნით, სამართლიანობითა და ჰუმანიზმით მოხიბლული ალექსანდრე წინადადებას აძლევს მას თან გაჰყვეს მრჩეველად, რაზეც უარს ღებულობს.

მამასადამე, ამ ნაწარმოებთა განმანათლებლური ხასიათი ეპკს არ იწვევს. ცნადა, მათი მოთავსება გ. ავალიშვილის კრებულში მიუთითებს იმაზე, რომ მათი იდეები ესადაგება შემდგენლის მსოფლმხედველობას.

გ. ავალიშვილის განმანათლებლურ მისწრაფებებს ადასტურებს მისი ინტერესი სამეცნიერო ხასიათის ნაწარმოებებისადმი და მათი თარგმნა ქართულად. სამწუხაროდ, ასეთი ხასიათის მხოლოდ ერთადერთი თარგმანია ჩვენამდე მოღწეული — მოსკოვის აკადემიის პრეფექტის ამბროსის „რიტორიკა“<sup>21</sup>, ისიც დეფაქტური სახით (თავში აკლია 4 რვეული); შეიცავს VII—XI თავებს და ეხება ეპისტოლარული ჟანრის ნაწარმოებთა კლასიფიკაციას, მათი თხზვის დაუფლების წესებს, რთული წინადადებების აგების საშუალებებს, ფრაზათა სახეობებს, ორატორული ხელოვნების სრულყოფის გზებსა<sup>22</sup> და პრაქტიკული ხასიათის რჩევა-დარიგებებს.

გ. ავალიშვილის განმანათლებლური სულისკვეთება კარგად ჩანს აგრეთვე მის თარგმანებზე წამძღვარებულ წინასიტყვაობებში (H 456, S—1140, S 1520, S 408...), რომლებშიც გადმოცემულია თარგმნის მიზანი — ქართველი მკითხველისათვის საინტერესო და სასარგებლო აზრების მიწოდების სურვილი. ამასვე გვიდასტურებს სიტყვათა განმარტებანი, რომლებიც მიმოხეულია გ. ავალიშვილის თარგმნისა და ორიგინალურ თხზულებებში. განმარტებულ სიტყვათა ერთი ნაწილი ევროპული ენების კუთვნილებაა, მეორე ნაწილი — რუსულისა, მესამე ნაწილი კი იშვიათი ხმარების ქართული სიტყვებია. პირველი და მეორე ჯგუფის სიტყვები გ. ავალიშვილს უთარგმნელად გადმოაქვს ტექსტში, სქოლიოში ან ხელნაწერის კიდეზე კი განმარტავს. ამ ხერხს მთარგმნელი საგანგებოდ მიმართავს, რადგან იგი საშუალებას აძლევს ქართველ მკითხველს მიაწოდოს რუსულ მწერლობაში უკვე ფეხმოკიდებული საერთაშორისო ხმარების სიტყვები, აძლულოს იგი ისწავლოს, გაითავისოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ისინი.

დგება საკითხი: გ. ავალიშვილი თავისი განმანათლებლური მსოფლმხედველობის ესთეტიკური გამოხატვის საშუალებად რომელიმე განსაზღვრულ მხატვრულ მეთოდს იყენებს თუ არა?

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს ალ. კალანდაძეს გ. ავალიშვილი კლასიციზმის „ბურჯად“ და „ქურთმად“ მიაჩნია, რომელიც მე-19 ს. 30-იან წლებში ისევ კლასიციტს მწერლად რჩება და აქტიურად მოღვაწეობს ამ მიმართულებით<sup>23</sup>. ამის დასადასტურებლად მოხმობილია ზემოთ დასახელებული კრებული S 303, რომელიც, თითქოს, კლასიციტური ნაწარმოებებით არის შედგენილი<sup>24</sup>, და გ. ავალიშვილის მიერ ა. სუმაროკოვის კომედიების

21 ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საქარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 106.

22 ორატორულ ხელოვნებას მე-18 ს. ბოლოს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, როგორც საერთო-სახალხო განათლების, ახალგაზრდობის აღზრდისა და მეცნიერული ცოდნის საქარო ლექციებით გაავრცელების საშუალებას.

23 ალ. კალანდაძე, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1972, გვ. 114, 115, 143.

24 იქვე, გვ. 107.



თარგმნა. ჩვენ უკვე განვიხილეთ კრებულში შესული ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც თავიანთი მიზანდასახულობით განმანათლებლურია და არა კლასიციკლური. აქვე მოთავსებული მ. ბარათაშვილის ლექსთა თხზვის სახელმძღვანელო „ჰაშინიკი“ ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული და არ განიცდის ბულოს კლასიციკლური თეორიის გავლენას<sup>25</sup>.

რაც შეეხება გ. ავალიშვილის მიერ რუსული კლასიციზმის მამამთავრის სუმაროკოვის კომედიების თარგმნას, ესეც არ არის საკმარისი არგუმენტი გ. ავალიშვილის კლასიციკლ მწერლად გამოცხადებისა<sup>26</sup>. ეს კომედიები, რომლებიც გ. ავალიშვილმა თარგმნა მის მიერ ჩამოყალიბებული ერეკლეს კარის თეატრის საჭიროებისათვის, მინიმალურად აკმაყოფილებენ კლასიციკლური ნაწარმოებების მოთხოვნილებებს; მათი პერსონაჟებიც ნაკლებად ჰგვანან კლასიციკლური კომედიების გმირებს. ისინი უშუალოდ რუსულ სინამდვილესთან არიან დაკავშირებულნი<sup>27</sup>. ეს ფაქტი აიხსნება კლასიციზმის თავისებური განვითარებით რუსეთში: რუსმა მწერლებმა „სახელმძღვანელოდ მიიღეს უფრო მისი (კლასიციზმის — ლ. კ.) გარეგნული თვისებები, საკუთარი სამშობლოს ისტორიას, თანამედროვე მწვავე საკითხებს, სატირულ-მანხილებელ ხერხებს მიმართეს და ამით ლიტერატურა რამდენადმე დაუკავშირეს ცხოვრების უშუალო მოთხოვნილებებს“<sup>28</sup>.

გ. ავალიშვილის კლასიციკლობის არგუმენტად მისი ადრინდელი თარგმნებიც — ფლორიანის „ნუმა პომილია“, ხერასკოვის „კადმი და ლარმონია“ და „პოლიდორი“ არ გამოდგება, რადგან მათში მოცემული „განათლებული აბსოლუტიზმის“ და განათლებისა და მეცნიერების მეშვეობით საზოგადოების სრულყოფის იდეები ერთნაირადაა დამახასიათებელი კლასიციზმისათვის და განმანათლებლობის ადრინდელი საფეხურისათვის. ამის მიზეზია ის, რომ საქართველოში, ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში, განმანათლებლური იდეოლოგია მის ადრინდელ ეტაპზე კლასიციზმს შეერწყა, რომელიც „ესთეტიკურად მთლიანად შეესაბამებოდა ამ პერიოდის ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე მდგომ მიზნებსა და ამოცანებს“<sup>29</sup>, მაგრამ განმანათლებლობის იდეოლოგიის განვითარებასთან ერთად იგრძნობოდა კლასიციზმის, როგორც მისი ესთეტიკური თეორიის, უკმარისობა. განმანათლებლობამ აღადგინა ის, რაც უარყოფილი იყო კლასიციზმის მიერ: უბრალო ადამიანი თავისი გრძნობებითა და ვნებებით, ინტერესი წინააღმდეგობებით სავე ცხოვრებისადმი, რამაც განსაზღვრა ხელოვნების დემოკრატიზაცია. ეს კი კლასიციზმის ფარგლებში ვერ მოთავსდებოდა. ამიტომ განმანათლებლობამ მიმართა ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობას — სანტიმენტალიზმს, რომელმაც კლასიციზმის რაციონალიზმს დაუპირისპირა გრძნობისა და ვნების თავისუფლება, მეფეებსა და დიდებულებს — უბრალო ადამიანები, მდიდრული სასახლეების ფუფუნებას — ბუნების წიაღში უბრალო ცხოვრება. მართალია, ეს მეთოდიც ვერ გამოხა-

<sup>25</sup> მამუკა ბარათაშვილი, სწავლა ლექსის თქმისა, რედაქცია და გამოკვლევა ა. ხინთიბისა, თბ., გვ. 41; გ. მიქაძე, მამუკა ბარათაშვილი, თბ., 1958, გვ. 30.

<sup>26</sup> საინტერესოა, რომ რუს მეცნიერებს (პ. ბერკოვი, ი. სერმანი) კლასიციზმის ფუძემდებელი მწერლები, მათ შორის სუმაროკოვიც, რუსული განმანათლებლობის ფუძემდებლებადაც ჰყავთ მიჩნეული.

<sup>27</sup> Д. Д. Благой, История русской литературы XVIII века, М., 1955, გვ. 195.

<sup>28</sup> თ. ბუაჩიძე, ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 196—197.

<sup>29</sup> З. И. Гершкович, О принципах изучения просветительства, Проблемы русского просвещения в литературе XVIII века, М.-Л., 1961, გვ. 155.



ტავდა სრულად განმანათლებლობის იდეებსა და მიზნებს<sup>30</sup>, მაგრამ კლასიციზმთან შედარებით უფრო ტევადი და მისაღები იყო. ამიტომ სრულად ბუნებრივია მე-19 ს. 10-იან წლებში გ. ავალიშვილის დანტერესება სანტიმენტალისტური ნაწარმოებებით, რაც უკვე სერიოზული არგუმენტია მისი კლასიციზტობის წინააღმდეგ. კლასიციზტი მწერლისათვის სრულად მიუღებელი უნდა ყოფილიყო კლასიციზტური ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი — უბრალო ადამიანი თავისი მგრძობელობით. გ. ავალიშვილმა კი არა მარტო თარგმნა სანტიმენტალისტური ნაწარმოებები, არამედ შეთხზა კიდევ, მართალია, მცირე მოცულობის, მაგრამ „მგრძობელობის კულტი“ აღბეჭდილი „ამმოუებად თ. გ. ავალოვისმიერი“<sup>31</sup>.

სანტიმენტალისტური ქანრის პირველი ნაწარმოები გ. ავალიშვილმა თარგმნა 1808 წ., რასაც მოჰყვა ფრანგი სანტიმენტალისტის კლოდ ფრანსუა ლამბერის რომანი „ცხოვრება სიცილიელი ქალისა“. „მგრძობელობის კულტი“ არის აღბეჭდილი მისი სხვა თარგმანებშიც: „ევედუქსია“, „პერუანელი წერილი“, „ელეგია კლეონასი ცინეის მიმართ“. ეს ნაწარმოებები თარგმნილია 1808—1812 წლებში, ე. ი. გაცილებით ადრე, ვიდრე სანტიმენტალიზმის ტენდენციების გაჩენა ივარაუდება ქართულ მწერლობაში.

როგორც ვხედავთ, გ. ავალიშვილი არც კლასიციზტია და არც სანტიმენტალისტი. მისი თარგმანები ასახავს ლიტერატურული მიმართულებების ტენდენციებს რუსულ ლიტერატურაში: კლასიციზმის ბატონობის დროს იგი თარგმნის კლასიციზტ მწერალთა თხზულებებს (ა. სუმაროკოვი, მ. ხერასკოვი), სანტიმენტალისტური ტენდენციების დამკვიდრების დროს — სანტიმენტალისტური ხასიათის თხზულებებს. იცვლება ლიტერატურული მიმდინარეობები, იცვლება გ. ავალიშვილის დამოკიდებულებაც მათ მიმართ. მაგრამ უცვლელი რჩება განმანათლებლური სულისკვეთება, რაც ახასიათებს გ. ავალიშვილის მიერ თარგმნილ როგორც კლასიციზტურ, ისე სანტიმენტალისტურ ნაწარმოებებს.

გ. ავალიშვილი არა მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობაში ავლენს თავის განმანათლებლურ სულისკვეთებას, იგი მისი საქმიანობის წარმმართველი ძალაა, მისი მსოფლმხედველობაა. მას კარგად აქვს გათვითცნობიერებული განმანათლებლობის მიზანდასახულობა, მისი როლი დრომოქმული ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მან ისიც იცის, რომ ასაპურეზე გამოდიან ახალი საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც თანდათან ძლიერდებიან და მალე საზოგადოების მამოძრავებელ ლერქებად იქცევიან. ამიტომაც, რომ საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს დიდ ინტერესს იჩენს ქალაქებში მრეწველობისა და ვაჭრობის მდგომარეობის მიმართ, აკვირდება სიახლეებს მანუფაქტურების, პრიმიტიული ქარხნებისა და ფაბრიკების სახით. უფრო მეტიც, იგი ცდილობს საქართველოში გადმოიტანოს ზოგიერთი სიახლე. მაგალითად, კაიროში ჭირაობს იქ ადრევე დამკვიდრებულ რუს შებენაკოვს და თან მოჰყავს, რომ ლილის წარმოების წესი დანერგოს საქართველოში. მოგზაური დიდ ყურადღებას იჩენს კუნძულ კვიპროსზე ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმის მიმართ და დაწვრილებით აღწერს „მოგზაურობაში“,

<sup>30</sup> განმანათლებლობის ესთეტიკურ მეთოდად რუსული განმანათლებლობის მკვლევარს გ. მაკოლონენკოს რეალიზმის მეთოდი მიაჩნია (იხ. Г. П. Макогоненко, К истории русского просвещения, Проблемы русского просвещения в лит-е XVIII века, М.-Л. 1961, გვ. 175). ეს, რა თქმა უნდა, განმანათლებლური რეალიზმაა.

<sup>31</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 1520.

თუ როგორ ხორციელდება იგი, ინტერესით აკვირდება აგრეთვე ფოსტის მუშაობასაც, რომელსაც პრიმიტიული სახე ჰქონია<sup>32</sup>.

გ. ავალიშვილი თავისი დროის ცნობილი ბიბლიოფილი და კოლექციონერიცაა. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებსა და წიგნებს. XIX ს. 40-იანი წლებიდან „გ. ავალიშვილის კოლექციის“ სახელით საყოველთაოდ გახდა ცნობილი უნიკალური ხელნაწერები, რომლებიც 1820 წ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან წამოღებული უძველესი ხელნაწერების ნაწილსა და ვახტანგ VI-ის სახელთან დაკავშირებულ ხელნაწერებს შეიცავდა. მის ხელთ იყო აგრეთვე მისი სიმამრის დ. ბაგრატიონის არქივი, ქართველ ემიგრანტთა: დ. სააკაძის, ი. მურადაშვილის, მ. ბარათაშვილის, მ. გურამიშვილის ლიტერატურული პროდუქცია, დისშვილისა და გაზრდილის ალ. ჭავჭავაძის თარგმნილი და ორიგინალური ნაწარმოებების ნუსხები და სხვ.

გ. ავალიშვილი ეკუთვნოდა ბიბლიოფილთა იმ კატეგორიას, რომელიც წიგნს აფასებდა მისი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისით. მას წიგნი მიაჩნდა ცოდნისა და განათლების საშუალებად და ამ წყაროთი უშურველად ასარგებლებდა ყველას, ვისაც კი იგი სჭირდებოდა. ამაზე მიუთითებს ის მიძღვნებიც, რომლებიც დაუცავს მის ავტოგრაფებს. თავისი უშურველობითა და სხვათა განათლების სურვილით ანთებულმა გ. ავალიშვილმა ფართოდ გაითქვა სახელი თანამედროვეთა შორის: მას პატივისცემით ეპყრობოდნენ, ანგარიშს უწყევდნენ, რჩევას ეეთხებოდნენ, მოსკოვსა და პეტერბურგში სასწავლად გაგზავნილი ახალგაზრდების ერთგულ დამრიგებლად და მზრუნველად მიიჩნევდნენ. მისი მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ მოსკოვში ჩასული ქართველი მწიგნობრები, იქ დამკვიდრებული ემიგრანტები და უცხოელი მეცნიერები. ამავე დროს იგი ხელს უწყობდა ყველა წამოწყებას, რასაც ქართული კულტურისთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, დავასახელებთ „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წ. გამოცემის საქმეში მონაწილეობას. თვითონ ბიბლიოფილმა, ქართული ხელნაწერებისა და წიგნების კოლექციონერმა როგორ უწყობანოდ გაუგზავნა თავის ნათლულსა და გამოცემის ერთ-ერთ ორგანიზატორს ზაქარია ფალავანდიშვილს (მარი ბროსესა და ნ. ჩუბინაშვილთან ერთად) იშვიათბად ქცეული „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წ. ვახტანგისეული გამოცემის ეგზემპლარი, შესთავაზა დაეშალათ იგი რვეულზე და აწეობის დაადგილების მიზნით და არ დააყენა საჭირო თანხის გაგზავნაც გამოცემის განხორციელებისათვის ხელშესაწყობად. ამასთანავე მან, მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით, მთელს პოემაში ჩასაწორა ბეჭდვისმიერი შეცდომები და ბევრი წინადადება თუ გრამატიკული ფორმა თავის შეხედულებებისამებრ გამართა, რაც ნაწილობრივ გაიზიარა კიდევ გამოცემის კომისიამ. ძველ ქართულ მწერლობასა და ეროვნულ ტრადიციებზე გაზრდილ გ. ავალიშვილს კარგად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში და მისი გამოცემის აუცილებლობაც.

საგულსხმოდ ფაქტია ისიც, რომ ქართველი ახალგაზრდობის განათლების მოსურნე გ. ავალიშვილი თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით სასწავლებელს საჩუქრად უძღვნის ქართულ და რუსულ ენებზე მის მიერ შედგენილ „სალაპარაკოს“ (500 ცალამდე) და ტიპოგრაფიულ

19.28.5

32 საგულსხმობა, რომ გ. ავალიშვილის ყმა გრიგორ რუჟაე, რომელიც მას საზღვარგარეთ მოგზაურობაში ჰყავდა წაყვანილი, დაბრუნების შემდეგ ვაჭრობას ჰკიდებს ხელს და გიორგი, ხელის შეწყობის მიზნით, მას ყმობიდან ათავისუფლებს. (АВПР, ф. Главный архив, III—6, оп. 103, 1826, л. 3).

2. მაკაენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 1.

ქართულ ლიტერებს, რომლებიც თავისი ხარჯით საგანგებოდ დაემზადებინა პეტერბურგში<sup>33</sup>.

სანტერესოა ისიც, რომ მის მიერ შექმნილი ხელნაწერი კრებული S 333, პროფ. გ. თავიშვილის აზრით, სახელმძღვანელოს ტიპის კრებულია<sup>34</sup>, რომელიც მკითხველს აწვდის კალიგრაფიული ასომთავრულის ხელნართული წესის ნიმუშებს, მ. ბარათაშვილის ლექსთა თხზვის სახელმძღვანელოს „ჰაშნიკა“, მივიწყებულ პოეტთა პროზისა და პოეზიის საყურადღებო ნიმუშებს, განმანათლებლური სულისკვეთებით გამსჭვალულ ნაწარმოებებს და სხვ.

მეშასადამე, გ. ავალიშვილი არა მარტო მთარგმნელობითი საქმიანობითა და ორიგინალური თხზულებებით იღვწის ქართველი ხალხის განათლების დონის ამაღლებისათვის, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ქმნის ერთგვარ სახელმძღვანელოებსაც, რომლებსაც მათთვის სამსახურის გაწევა შეეძლოთ.

გ. ავალიშვილის განმანათლებლურ მსოფლმხედველობას ადასტურებს აგრეთვე მისი მკიდრო კონტაქტები პეტერბურგის ქართული კოლონიის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან, რომელსაც იოანე ბატონიშვილი წარმართავდა.

პოლიტიკურ სარბიელს ჩამოცილებული და 1801 წ. პეტერბურგში გადასახლებული იოანე ბატონიშვილი გარშემო იკრებს ქართულ და რუსულ ენებში კარგად გათვითცნობიერებულ ქართველ პატრიოტებს, რომლებიც მზად იყვნენ სამშობლოს სამსახურის ვალი შორეულ რუსეთში ეტვირთათ, და ათარგმნიან ქართული ხალხის კულტურული დონის ამაღლებისათვის საჭირო წიგნებს: სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, სანტერესო თხზულებებს მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან. ასეთ პირთა შორის იყვნენ ვასილ ჭილაძე, იოანე ბაზლიძე, სიმონ ტაბიძე, გოდერძი ფირალიშვილი და სხვები.

იოანე ბატონიშვილს უსათუოდ უნდა გასჩენოდა სურვილი გ. ავალიშვილის, იმ დროის ერთ-ერთი განათლებული და უკვე ცნობილი მთარგმნელის, პეტერბურგის ქართული კოლონიის კულტურულ საქმიანობაში ჩაბმისა და, მართლაც, გ. ავალიშვილი სიამოვნებით თანამშრომლობდა ქართული კულტურის ამ მოამაგესთან.

იოანე დავალებით უნდა ეთარგმნა გ. ავალიშვილს სანტიმენტალისტური ხასიათის ნაწარმოები „მეთექვშევთაჲ მგჳაჯიობელისა ენწონაჲსაჲ“, რომლის ერთ-ერთ ნუსხას (H 2207) აქვს მიძღვნა იოანე ბატონიშვილისადმი. თარგმანი იოანემ თავის მხრივ გამოიყენა, როგორც საილუსტრაციო მასალა, სასაყვედურო ხასიათის წერილის ნიმუშების შესაქმნელად<sup>35</sup>. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იოანე ბატონიშვილის ხელით ნაწერი ეს წერილები, რომლებშიც ავალიშვილისეული თარგმანის მთელი აბზაცებია უცვლელად გადატანილი, აკინძულია ხელნაწერ კრებულში, რომელიც შეიცავს აგრეთვე გ. ავალიშვილის ხელით ნაწერ „რიტორიკის“ თარგმანს. აქვეა მისივე ხელით ნაწერი მცირე მოცულობის სანტიმენტალისტური ხასიათის თხზულებებიც.

მიუხედავად ამ მეცნიერული ხასიათის თარგმანის ფრაგმენტულობისა, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გ. ავალიშვილის ინტერესებისა და იოანე ბატონიშვილთან მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით. საფიქრებელია, ეს ნაშრომი გ. ავალიშვილმა იოანეს დავალებით თარგმნა და მასვე გაუგზავნა (ხელნაწერის კიდევუ იოანეს ხელით აწერია: „სწავლა წიგნთა თხზუათა სწავლისათვის. № 76“).

<sup>33</sup> ЦГИА СССР, ф. 1284, оп. 4<sup>б</sup>, кн. 32, л. № 305.  
<sup>34</sup> გ. თავიშვილი, სახალხო განათლება და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801—1870), თბ., 1948, გვ. 268.  
<sup>35</sup> ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 106.

1810 წელს გ. ავალიშვილს იოანე ბატონიშვილის თხოვნით უთარგმნია (ახლავს იოანეს ანდერძი) „იკონოლოგია“<sup>36</sup>, რომელიც სახელმძღვანელოს ტიპის თხზულებაა. იოანეს თქმით, იგი არის „სარგებელნი მსაზველობათათვის, მხატვრობათა, ღრავერთა, სკულპტოვრთა, მოლექსეთა, სასწავლოდ ერთა და უმეტეს აღსაზრდელად ყრმათა“ (81v); ეს წიგნი მოსწავლე ახალგაზრდობას „ასწავებს ზნეობითსა ყოფა-ქცევასა და ხარაქტირთა კაცთასა“ (82r).

მოგვიანებით გ. ავალიშვილმა იოანეს დავალებით თარგმნა „უბნობანი გამომცდელისა და მორწმუნისა შორის მართლმადიდებლობისათვის აღმოსავლეთისა ბერძენ-როსისისა ეკლესიისა“ (ხელნაწ. ინსტ. H 2354). ნაწარმოებს ახლავს იოანე ბატონიშვილის ანდერძი.

საინტერესოა, რომ იოანე ბატონიშვილის ნათარგმნ თხზულებათა შორის დასახელებულია (H—2196) „დოდოს ანგლიელის პასტორის განზრახუა“, რაც უნდა იყოს მ. ბროსეს არქივში დაცულ<sup>37</sup> გ. ავალიშვილის თარგმანთა სიაში (№ 9) მოხსენიებული „Доддо“ (ჩვენამდე არ მოაღწია). საფიქრებელია, რომ გ. ავალიშვილმა ეს ნაწარმოები თარგმნა იოანეს დავალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში იოანე მას თავის თარგმანთა სიაში არ შეიტანდა.

თუ იოანე ბატონიშვილი სარგებლობდა გ. ავალიშვილის რუსული და ქართული ენების საფუძვლიანი ცოდნითა და თარგმნის ნიჭით, გ. ავალიშვილიც, თავის მხრივ, იყენებდა იოანეს მდიდარ ბიბლიოთეკას. ამის დასტურია გ. ავალიშვილის მიერ თავისი ხელნაწერი კრებულისათვის (S 303) იოანეს კუთვნილი მ. ბარათაშვილის „ჰამნიკის“ ნუსხიდან<sup>38</sup> ტექსტის გადაწერა.

როგორც ვხედავთ, გ. ავალიშვილსა და იოანე ბატონიშვილს მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებთ ერთმანეთთან. გიორგი ავალიშვილს, იმ დროის ერთ-ერთ განათლებულსა და განსწავლულ პიროვნებას, ქართული და რუსული ენების ჩინებულ მცოდნეს, თავისი განმანათლებლური პოზიციის გამო სიამოვნებით უნდა შეესრულებინა იოანე ბატონიშვილის ყოველგვარი დავალება, რომელიც ქართველი ხალხის განათლებას, კულტურულ დაწინაურებასა და ზნეობრივ დახვეწას ისახავდა მიზნად.

გფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული საკმაო საფუძველს გვაძლევს, რომ გიორგი ავალიშვილი ჩავთვალოთ ადრინდელი ქართული განმანათლებლობის შუა ეტაპის წარმომადგენლად და ადგილი მიუჩინოთ დავით და იოანე ბატონიშვილების გვერდით.

Л. А. КИКНАДЗЕ

## Г. АВАЛИШВИЛИ И РАННЕЕ ГРУЗИНСКОЕ ПРОСВЕТИТЕЛЬСТВО

На основе анализа переводов Г. Авалишвили, составленных им рукописных сборников, а также с учетом отдельных аспектов его многогранной деятельности (умножение и коллекционирование грузинских рукописей, постоянная забота об образовании молодежи, активное участие в мероприятиях на благо грузинской культуры, применение к грузинской действительности новаций, с которыми он ознакомился в России и за границей и т. д.) делается вывод о наличии в его творчестве черт раннего просветительства, имевшего место в Грузии во второй половине XVIII — первой половине XIX века.

წარმომადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

<sup>36</sup> იქვე, № 214 (1r—28r) და ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების E 39 (81r—134r).

<sup>37</sup> ლენინგრადის აღმოსავლეთმც. ინსტ. ხელნაწერთა განყ. მ. ბროსეს არქ. № 264.

<sup>38</sup> ლენინგრადის საჯარო ბიბლ. ხელნაწერთა განყ. ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 36.

## სერგო თურნავა

## „ილია ჭავჭავაძე — კავკასიის ბერანუი“

„ილია ჭავჭავაძე — კავკასიის ბერანუი“ — ასე დაახასიათა თავის წიგნში დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე ფრანგმა მეცნიერმა-მოგზაურმა ექვან ორსოლმა.

1882 წლის ზაფხულში საქართველოს ეწვია ექვან ორსოლი. მეცნიერმა ინახულა ფოთი, ქუთაისი, გელათი, დარიალის ხეობა, მცხეთა, თბილისი, კოჯორი, გაეცნო ქართული კულტურის ისტორიას, შეაგროვა დიდძალი მასალა და საფრანგეთში 1885 წელს გამოსცა წიგნი „ლე კოკაზ ე ლა პერს“ (კავკასია და სპარსეთი). მასში ავტორი მსჯელობს ქართული კულტურის საკითხებზე, ცალკე გამოყოფს ქართულ მწერლობას, მოკლედ განიხილავს მისი განვითარების გზებს. აი, რას წერს იგი: „XII საუკუნიდან დაწყებული, რომელიც შესანიშნავია რუსთაველის ეპოპეა „ვეფხისტყაოსნით“ და ქართული ლიტერატურის ოქროს ხანაა, პოეზია ყოველთვის პატივში ყოფილა. ვერ ნახათ ისეთ ქართველს, თუნდაც წიგნის უმეცარს, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ერისთავების და მეტადრე თავადი ილია ჭავჭავაძის, კავკასიის ამ ბერანუის, რომელიმე ლექსი. ყურნალ-გაზეთები უფრო და უფრო ვრცელდება: „დროება“ — ყოველდღიური გაზეთი, „იმედი“ — პერიოდული გაზეთი, „ივერია“ — ყოველთვიური მიმოხილვა — ყველაზე მეტად ცნობილია. ჩვენ ქუთაისში გვიტხრეს, რომ გიმნაზიის ერთ-ერთი მასწავლებელი ქართულად თარგმნის მოლიერის კომედიებს, მეორე კი სამეცნიერო თხზულებებში სახმარ ტექნიკურ სიტყვებს ეძებს... ქართველები დანტერესებულნი არიან ფრანგული კულტურით. ეს ხალხი ნიჭიერი და სიმბათიურია. მისგან ბევრს უნდა მოველოდეთ, როდესაც იგი ევროპის კულტურას ეზიარება“.

ილიასთან პირადი კონტაქტები ჰქონდა დამყარებული ფრანგ მწერალსა და მეცნიერს ბარონ დე ბაის, რომელიც სამჯერ იყო საქართველოში; პირადად გაეცნო ილიას, აკაკის, გიგო გაბაშვილს და დავით სარაჯიშვილს. იგი თავისი წიგნის — „თბილისი 1900“ — წინასიტყვაობაში წერს: „მზატვარი ან პოეტი უნდა იყო, რომ დახატო თბილისის სურათები, ან უმღერო იმ სანახაობას, რასაც თბილისი წარმოადგენს“.

ამავე წიგნში იგი ასე ახასიათებს დიდი ილიას მოღვაწეობას: „ილია ჭავჭავაძე არის საქართველოს ეროვნული, პოპულარული პოეტი, რომლის ლექსებს მღერიან ქუჩებში, ქოხმანებსა და სასახლეებში. თავადი ილია ჭავჭავაძე არის საქართველოს ინტელიგენციის დიდი წარმომადგენელი და ეკუთვნის უმაღლეს არისტოკრატას. იგი უპირველეს ყოვლისა არის თანამედროვე ადამიანი და აქვს დიდი დამსახურება: ილია ჭავჭავაძე სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებელი და მისი თავმჯდომარეა. მისი ხელმძღვანელობით გამოდის გაზეთი „ივერია“, რომელიც ქართულ გაზეთებს შორის ყველაზე გავლენიანია. ილია ამავე დროს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეა, იბრძვის ხელოვნების განვითარებისათვის ადამიანთა სასარგებლოდ“.

ილიას იუმორისტულ მოთხრობებს საქართველოსათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ნ. გოგოლის მოთხრობებს რუსეთისათვის. მისი პოეტური ნაწარმოებები ღრმად ქრისტიანული, პატრიოტული და ფილოსოფიურია.

უფრო ადრე ლევ ტოლსტოიმ გამოხატა ანალოგიური იდეები. ილიას ლექსების სტილი ახლოა სპარსელი პოეტების პოეზიასთან. ეს შეიძლება აიხსნას ატავიზმით, რადგან ილიას ოჯახთან დაკავშირებულნი იყვნენ სპარსელი მოღვაწეების ოჯახები“.

„დე ბაის გამჭირაბმა გონებამ, — სამართლიანად წერს პროფ. დ. ფანჩულიძე, — იმათივე შეამჩნია, იგრძნო და დაინახა, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა, რომლის მოღვაწეობა და შემოქმედება ქართველი ხალხის საარსებო ინტერესებს გამოხატავდა და მომავლის გზას უნათებდა“ (დ. ფანჩულიძე, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, 1969, თბ., გვ. 279).

ილიასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჟურნალ „ლე კოკაზ ილუსტრეს“ მთავარ რედაქტორს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ყიულ მურიეს. მისი ჟურნალი (1889—1902) სისტემატურად აშუქებდა ქართული კულტურის მნიშვნელოვან საკითხებს, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ მწერლობას. ფრანგი მწერალი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების გაშუქებას. ჟურნალი იბეჭდებოდა თბილისში და შემდეგ ვრცელდებოდა დასავლეთ ევროპაში.

ჟურნალის მეათე ნომერში დაიბეჭდა ყიულ მურიეს სტატია „საქართველო და ქართველები“, რომელშიც განიხილავს ქართული მწერლობის განვითარების გზებს, კერძოდ, ვრცლად ჩერდება ილიას შემოქმედებაზე; მიუთითებს, რომ ილია არის დიდი ეროვნული პოეტი, რომელმაც თავის პატრიოტულ ლექსებში ასახა ქართველი ერის სულისკვეთება, ამხილა საზოგადოებრივი მანკიერებანი და ქართველ ხალხს უჩვენა გზა ბედნიერებისაკენ; აღნიშნავს, რომ ილია არის ფილოსოფოსი, კარგი ორატორი, გულისხმიერი ადამიანი და საფრანგეთის მეგობარი. ავტორი იმოწმებს ილიას სიტყვებს, რომელიც წარმოთქვა 1884 წლის 30 ნოემბერს ერთ-ერთი თეატრალური წარმოდგენის შემდეგ. ვაჟთ „დროების“ რედაქციაში გამართულა ვახშამი, რომელსაც დასწრებია საფრანგეთის კონსული ბატონი გ. მაიერი, რომელიც გულთბილად მისალმებია სპექტაკლის ორგანიზატორებსა და მსახიობებს. ილიას უთქვამს: „ჩვენმა პატარა ლიტერატურამ და თეატრმა ამ პატარა ვაჟთის რედაქციაში მიიღო დიდი ერის წარმომადგენლები... ბატონი კონსულის სიტყვიდან ჩანს, რომ დიდსა და პატარა ერებს შორის შეიძლება თანამშრომლობა... მართალია, ჩვენ ღარიბები ვართ, არ გავაჩნია ოქრო და ვერცხლი, მაგრამ გულით კი მდიდარნი ვართ. ერთ-ერთ სიკეთედ ჩვენ გული გავაჩნია, რომელსაც გაძლევთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მეგობრობა და თავიდან ავიცილოთ უბედურება“.

ამავე ჟურნალის სამ ნომერში დაიბეჭდა ყიულ მურიეს მიერ პროზად თარგმნილი ილიას „განდეგილი“. „განდეგილი“ ფრანგულ ენაზევე თარგმნა აგრეთვე ვანდიანი-კოლონამ. დაიბეჭდა იგი პარიზის ერთ-ერთ ჟურნალში 1885 წლის ოქტომბერში („დროების“ ცნობა).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ილიასთან მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ვერმანელ მწერალს არტურ ლაისტს, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ილიას მოწვევით 1884 წლის ივნისში და ცხოვრობდა თბილისში 1927 წლამდე.

ერთ-ერთი სადილის დროს, რომელსაც მრავალი ქართველი მწერალი ესწრებოდა, ილიამ ასე მიმართა ლაისტს: „ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იღო შუაკაცობა გავიწიოს ჩვენსა და ევროპას შორის, რომელმაც იტვირთა ჩვენს გულში ამონაწები სიტყვა, ჩვენი ჰკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც წარმატებების გზაზე მეთაურნი და მესვეურნი არიან... თუ

აქნობამდე შორიდან ვუყვარდით ბატონს ლაისტს, დღეს აქ მობრძანებულა რომ ახლოს ვავიციოთ:... დმერთმა აცოცხლოს ბატონი ლაისტი“.

არტურ ლაისტი საქართველოში ძალიან ნაყოფიერად მუშაობდა; აქვეყნა მრავალი წიგნი ქართულ მწერლობაზე, გერმანულ ენაზე თარგმნა ქართველი პოეტების ლექსები და გააცნო გერმანულენოვან სამყაროს. თარგმნა ილიას „განდევილი“, „ბინდი ალაზნის ველზე“, „ეღვიგა“, „ქართველის დედა“, „პოეტი“, „კითხვა-პასუხი“, „პასუხი“, „არაგვის პირას“, „მტკვრის პირას“ და სხვა მრავალი.

არტურ ლაისტმა გერმანულ ყურნალში — „მაგაზინ ფიურ დი ლიტერატურ ინ უნდ დეს აუსლანდეს“ — 1883 წელს გამოაქვეყნა ვრცელი სტატია ილიაზე. ავტორი ერთ ადგილას წერს: „...ილია ჭავჭავაძემ ამ ოცი წლის წინათ ხელი მიჰყო თავისი პირველი მოთხრობების წერას. მისი მოთხრობები ჰგვანან კაცობრიული გრძნობების ფსალმუნებს. ილიამ თქვა: გლეხი თავისუფალი უნდა იყოს, ისიც ჩვენსავეთ ადამიანიაო. თავის ორ მოთხრობაში — „კაცია-ადამიანი?“ და „გლახის ნამბობი“ — ასახულია ბატონყმობის სასტიკი რეჟიმი, ბატონების სიმკაცრე და ყმების სიღატაკე“.

იგი მაღალ შეფასებას აძლევს ილიას „განდევილს“, მას ლერმონტოვის „დემონს“ ადარებს.

არტურ ლაისტს ასევე გამოქვეყნებული აქვს სხვა ნაშრომებიც ქართული ლიტერატურის საკითხებზე, სადაც ყველგან მოხსენებულია ილია, როგორც დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენისა და მწერლობის განვითარებაში.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ შვეიცარიელი ქართველოლოგები: ლეა ფლური, რუთ ნოიკომი და იოლანდა მარშევი, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქართული ლიტერატურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ლეა ფლური არის გამომცემლობა „ამირანის“ დირექტორი, რუთ ნოიკომი მთარგმნელი და მკვლევარი, მან თარგმნა რუსთაველი, ბართაშვილი, აკაკი, ილია და სხვა ბევრი ქართველი მწერალი. იოლანდა მარშევი კითხულობს ლექციებს ციურხის უნივერსიტეტში ქართულ ენაში და აქვს გარკვეული წარმატებანი.

„ნოიე ციურხერ ცაიტუნგის“ 1981 წლის № 295-ში (19—20 დეკემბერი) დაიბეჭდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, რუთ ნოიკომის ვრცელი სტატია „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც გერმანულენოვანი სამყაროს მკითხველს მოუთხრობს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებზე მკნუთე საუკუნიდან დღემდე. ამავე გაზეთის მეორე გვერდზე წარმოდგენილია რუთ ნოიკომის მიერ თარგმნილი ილია ჭავჭავაძის „გუთონის დედა“, ვაჟა-ფშაველას „მთის წყარო“, გალაკტიონის „ატმის ყვავილები“, გიორგი ლეონიძის „დილა ნარგიზნარევი“ და ანა კალანაძის „ლოცულობს გველი“.

ავტორი მოიხმობს ბევრ საინტერესო მასალას იმაზე, რომ ამ დროისათვის ქართველი მწერლები კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპის კულტურას, დაინტერესებულნი იყვნენ ფრანგული რევოლუციის, ხოლო უფრო გვიან, მარქსისტული იდეებით. ჩვენი მკვლევრის მართებული აზრით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში უფრო განვითარდა განმანათლებლური იდეები, მეფის თვითმპყრობელობას დაუპირისპირდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგნენ ილია და აკაკი. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ ორივე მწერალი იღვწოდა ეროვნული სულიერი კულტურის განვითარებისათვის, აკრიტიკებდა მეფის თვითმპყრობელობის დამპყრობლურ, რეაქციულ პოლიტიკას, აღვივებდა ეროვნული კულტურის მარცვალს და იბრძოდა ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის.





ილიას მოღვაწეობით დაინტერესდნენ ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე კარტელოლოჯის“ რედაქტორ-გამომცემლები ნინო და კალისტრატე სალივერევი. ბი. პროფ. კ. სალიამ ჟურნალის 1966 წლის XXI ტომში გამოაქვეყნა ვრცელ სტატია „ქართული ლიტერატურა“, რომელშიც ეხება სამი დიდი ქართველი მწერლის — ილიას, აკაკისა და ვაჟას — შემოქმედებას. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს ილიას ცხოვრება-შემოქმედებას ახალიზებს მის მთავარ ნაწარმოებებს; აღნიშნავს, რომ ილიას მთელი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობა გაყვლილია ქართველი ხალხისადმი სიყვარულითა და ზრუნვით, გამთბარია ჰუმანიზმით; მისი შემოქმედება, როგორც ანდერძი, გადაეცემა მომდევნო ქართულ ლიტერატურას.

ილიასთან მეგობრული და შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონდათ ინგლისური ქართველოლოგიის ფუძემდებლებს — მარჯორი და ოლივერ უორდროპებს. ისინი პირადად იცნობდნენ ილიას, მის ოჯახს, მრავალჯერ იყვნენ მასთან სტუმრად და ჰქონდათ მიმოწერა ქართული ლიტერატურის საკითხებზე. მათ ინგლისურ პრესაში მრავალჯერ გამოაქვეყნეს სტატიები ილიაზე. ერთ-ერთ წერილში მარჯორი უორდროპი წერს: „უამრავ ქართველ მწერალთა შორის თავად ილია ქაეჭავაძის უპირველესი ადგილი უჭირავს. იგი არა მარტო პოეტია, არამედ ნოველისტიც, სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი, ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთის, „ივერიას“ რედაქტორი. მისი ლექსები დირსმესანისმნავია აზრის დიდებულებითა და ენის სიდარბასლით, მისი ნაწარმოებები ღრმა პატრიოტიზმით სუნთქავენ“ (გ. შარაძე — „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“).

მარჯორიმ ინგლისურ ენაზე თარგმნა ილიას „განდევილი“ და დაბეჭდა ლონდონში. მანვე თარგმნა სხვა ლექსები, რომლებიც ხელნაწერების სახით დაცულია ოქსფორდში.

ილიას შემოქმედებით დაინტერესდა ლექსმებურგის დიდ საპერცოგოში მოღვაწე, საერთაშორისო ჟურნალის „ნუველ ეროპის“ გენერალური მდივანი, მწერალი და მეცნიერი როზმარი კიფერი.

მწერალმა ამავე ჟურნალის 1982 წლის 37-ე ნომერში გამოაქვეყნა სტატია „ქართული წიგნები“, რომელშიც გამოთქვა საგულისხმომ მოსაზრებანი ქართული ლიტერატურის შესახებ.

ავტორი მსჯელობს ახალი ქართული ლიტერატურის საკითხებზე, კერძოდ ჩერდება ილიას ცხოვრება-შემოქმედებაზე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ილიას XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. იგი იყო თანამიმდევრული ეროვნულ აზროვნებაში და დიდი როლი შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმანათავისუფლებელ მოძრაობაში. ილიამ აკაკი წერეთელთან ერთად შექმნა ახალი სამწერლო ქართული ენა, გაამდიდრა ქართული ლიტერატურა შედევრებით: მის გავლენას განიცდიდნენ მომდევნო პერიოდის ქართველი მწერლები. „ილია ქაეჭავაძის შემოქმედება, — წერს როზმარი კიფერი, — მეტად ძვირფასია ჩვენთვის, მასში ასახულია საქართველოს სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები, რომლებიც წარმოადგენს კომპლექსურ ფენომენს. მისი მოღვაწეობა ემთხვევა ორ ეპოქას: ბატონყმობის კაუქმებასა და კაპიტალიზმის განვითარების მიჯნას. მწერალმა თავის ნაწარმოებებში ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები წამოაყენა და თავისი შემოქმედებითი იდეოლოგიური იარაღით გატაცებით იბრძოდა მათ გადასაჭრელად“.

ლექსმებურგელი მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს მის პუბლიცისტურ წერილებს, მის მიერ დაარსებულ „ივერიას“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში. „ილია, — წერს პროფესორი როზმარი კიფერი, — იყო

მთელი საქართველოს დამცველი, ოპოზიციაში ედგა მეფის თვითმპყრობელობას და საქართველოს განთავისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლად იტყუებოდა. მეფის მთავრობა მწერალს სერიოზულ მოწინააღმდეგედ თვლიდა, მისი ნაწარმოებების უმრავლესობა ცენსურის მიერ აკრძალული იყო, თვალყურს ადევნებდნენ მეფის ფარული აგენტები“.

ბოლოს მეცნიერი ეხება ილიას შეხედულებას ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე. საილუსტრაციოდ მოჰყავს მრავალი საინტერესო მასალა.

რ. კიფერი სამართლიანად წერს: „ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ მხატვრული ლიტერატურა არის სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთი ფორმა. ამიტომ იყო, რომ მწერალი იცავდა დებულებას ხელოვნების ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის შესახებ. მისი აზრით, ხელოვნება და პოეზია უნდა ემსახურებოდეს პრაქტიკულ ცხოვრებას. პოეზია არის სინამდვილის, ცხოვრების განსახიერება. ხელოვნება არის ცხოვრების ნაწილი. ილია თვლის, რომ საჭიროა ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი, მისი შესწავლა“.

უცხოელი მეცნიერი შემდეგ გადმოცემს „განდევლისა“ და „აზრდის“ მოკლე შინაარსს. მიუთითებს, რომ მყინვარზე მდგომი მოხუცის სახით მწერალი წარმოგვიდგენს მთელ საქართველოს. პოემაში გადმოცემულია შესანიშნავი აზრი — საქართველოს განდიდებისა და აღორძინების საკითხი. კიფერის აზრით, ილიას სწამს თავისი სამშობლოს მომავალი.

„განდევილზე“ მსჯელობისას დაასკვნის: „განდევილი“ დრამატიკოსოფიური ნაწარმოებია, რომელშიც მწერალი გვიხატავს თავის შეხედულებას ადამიანის ცხოვრებასა და ბედზე. მწერალმა სიუჟეტად აიღო ხალხური ლეგენდა არა მარტო იმისათვის, რომ მასში გამოეხატა დიდი ფილოსოფიური აზრები, არამედ აქ ერთმანეთს ეჯახება ორი იდეა: სინამდვილის მიღებისა და მისგან გაქცევისა... საუბარში თანდათან ვლინდება ასკეტური ცხოვრების უძლურება და არარობა. ადამიანი ცხოვრებასთან ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული, რომ შეუძლებელია მისი დაშორება“.

ავტორის გამოუყენებია აკადემიკოს გიორგი ჭიბლაძის ორტომიანი მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე.

როზმარი კიფერმა იმოგზაურა საქართველოში, იყო ყვარელში — ილიას სახლში. თავის სტატიას — „ფრანგული ლიტერატურა საქართველოში“ — ასე იწყებს: „... 1973 წლის სექტემბერში თითქმის ალექსანდრე დუმას გზით ემოგზაურე მეც, ოღონდ პირიქით, თბილისიდან წამსვლელებმა გადავიარეთ მთა და ალაზნის დიდებული ველით კახეთში ჩავედით. შაბათი დღე იყო, მთის კალთაზე ქართველები შინდს კრეფდნენ... შუადღისას ყვარელში დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში ჩავედით. დავათვალიერეთ სახლ-მუზეუმი, „სასახლე“, სადაც 1837 წელს დაიბადა პოეტი. ახალგაზრდობაში ილია ჭავჭავაძე თურმე გარიბალდის არმიას უნდა შეერთებოდა იტალიაში. 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. იგი 1907 წელს გარდაიცვალა, პოლიტიკურ მმართველთა მოხელეების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების მსხვერპლი გამხდარა. პოეტი იზიარებდა მისი თანამედროვე ფრანგი მწერლების იდეებსა და მუდამ ჰუმანური იდეალებისათვის იბრძოდა. ილია ჭავჭავაძის სახლის ერთ ოთახში ხელთ მომხვდა ერთ-ერთი მისი ლექსის რუსული ტექსტი, რომელიც მწერალმა 1871 წელს პარიზის კომუნის დამარცხებასთან დაკავშირებით დაწერა. ... მთელი გულით უთანაგრძნობდა, პატვის სცემდა სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ ხალხს. ეს სწორედ მას 1863 წელს შეუგულიანებია თანამშრომლები — ეთარგმნათ ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხულნი“. შემოკლებული თარგმანი კიდევ გამოუქვეყნებია თავის ყურნალში „საქართველოს მოამბე““.

ილია ჭავჭავაძის ბაღში, სადაც ძველი ხეების ჩრდილქვეშ ვსაუბრობდით, ალანის ველზე მდებარე ამ პატარა ქალაქმა ყვარულმა, ლუქსემბურგის პატარა ქალაქი ვიანდენი მომაგონა, სადაც 1871 წელს პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ ბრიუსელიდან განდევნილი ვიქტორ ჰიუგო სამი თვით ჩამოვიდა საცხოვრებლად და სადაც მთელი რიგი პოემები დაწერა. ეს პოემები შედის მის კრებულში „სამინელი წელი“. ორი პატარა ქალაქი დავუკავშირე ერთმანეთს: ვიანდენი თავისი ბორცვებით, ტყეებითა და ციხე-კოშკებით რალაიტი ჰავეს ქართულ პეიზაჟს“.

ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, ბელგიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე უორჟ ბუიონი ოჯერ იყო საქართველოში და 1978 წელს სამშობლოში გამოაქვეყნა წიგნი — „ოქროს საწმისის ქვეყანაში“, რომელშიც განხილულია ქართული ლიტერატურის განვითარების გზები ძველი დროიდან დღემდე.

ავტორი ჩერდება ილიას იმ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. ბელგიელი მწერალი აღნიშნავს, რომ ილია სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მკითხველის ყურადღება მიიქცია ნიჭიერად დაწერილი პატრიოტული ლექსებით, პოემებით, მოთხრობებითა და პუბლიცისტური წერილებით. „მგოსანი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეეხო თითქმის ყველა პრობლემას, რაც ქართველ ერს აწუხებდა, — წერს უორჟ ბუიონი, — ღრმა კვალი დატოვა ქართული კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ილია დიდი ხნის განმავლობაში იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით თბილისში დაარსდა ქართული დრამატული საზოგადოება და ჩამოყალიბდა მუდმივი დასი. მწერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თეატრს, როგორც ეროვნული კულტურის კერას“.

ბელგიელი მწერალი მიუთითებს, რომ ილია თავის „ივერიას“ სისტემატურად ათავსებდა დასავლეთ ევროპის მოწინავე მწერლების ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს, აგრეთვე ცალკეულ სტატიებს ამა თუ იმ უცხოელი მწერლის შემოქმედებაზე. „ილია თავის შემოქმედებაში განიცდიდა პროგრესული ფრანგი მწერლების გავლენას, ვიტყვი, ილიას შემოქმედება ენათესავება ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედებას“.

უორჟ ბუიონი შემდეგ ვრცლად ჩერდება ილიას ლიტერატურულ კონტაქტებზე ფრანგ მწერლებთან. იგი წერს: „ილია ჭავჭავაძემ საფუძველი ჩაუყარა ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედების შესწავლას საქართველოში. ფრანგი რომანტიკოსი მწერლები ქართველ მკითხველებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. საქართველოში მათ ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს დიდი წარმატება ხვდა წილად. ილიას მითითებით ქართულად ითარგმნა ვიქტორ ჰიუგოს „საბარაონი“, რომელიც დაიბეჭდა „ცისკარსა“ და „საქართველოში მოამბეში“. 1877 წელს პირველად დაიდგა ვიქტორ ჰიუგოს პიესა „ენანანი“, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა“.

მკვლევარს მოჰყავს მეტად საინტერესო მასალები ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან; მიუთითებს, რომ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ძველი დროიდან დიდ ინტერესს იჩენდა ფრანგული კულტურისადმი, გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ფრანგი ხალხის რევოლუციური მოძრაობის განვითარებას საფრანგეთში; დიდი გამოძახილი პოვა საქართველოში პარიზის კომუნის ამბებმა, რომელთაც გამოეხმაურნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვანი. უორჟ ბუიონი მოიხსენიებს ილიას ლექსს, რომელიც პოეტმა მიუძღვნა პარიზის კომუნარებს და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ვერსალის ჯაღათები.

ილიას მოღვაწეობით დაინტერესდა ჩვენი საუკუნის გამოჩენილი იტალიელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე — მიმო მორინა, რომელიც მოღვაწეობდა ლუქსემბურგის დიდ საპრეტორიოში. იგი არის საერთაშორისო ჟურნალის „ხუველ ეროპის“ დირექტორი; თავისი ჟურნალის ფურცლებზე აშუქებს მსოფლიო ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხებს.

მიმო მორინა ამ ჟურნალში აშუქებს ქართული ლიტერატურის საკითხებს, ქართველ მწერლებსა და პოეტებზე აქვეყნებს სტატიებს. აქ დაიბეჭდა ბევრი ქართველი პოეტის ლექსების ფრანგული თარგმანები (ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, თამაზ ჭილაძე, ლია სტურუა, ვასტონ ბუაჩიძე და სხვანი).

მიმო მორინა მაღალ შეფასებას აძლევს ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ილია თავისი შემოქმედებითი მხატვრული მეთოდით ენათესავება ვიქტორ ჰიუგოს, ილიას თაოსნობით ჰიუგოს მრავალი ნაწარმოები დაიბეჭდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ერთ-ერთ წერილში მიმო მორინა მწერს: „თქვენი სტატია ილია ჭავჭავაძეზე წავიკითხე და გადავეცი როზმარი კიფერს, რომელიც მუშაობს ფრანგულ ტექსტებზე. დაიბეჭდება იგი ერთ-ერთ მომავალ ნომერში. ხომ არ შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ ილიას ლექსები და ფოტოსურათი?“.

მიმო მორინას თხოვნა შევასრულე: გაუგზავნე ი. ჭავჭავაძის ფოტოსურათი და სურვილს მიერ ფრანგულად თარგმნილი ოთხი ლექსი: „აღუგია“, „პარიზის კომუნა“, „მუშა“ და „როცა მოკვდები“. ჩემი წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „ნუველ ეროპის“ 1987 წლის № 54/55-ში.

ილია ჭავჭავაძე დიდ პატივს სცემდა ქართველოლოგიის ფუძემდებელს ევროპაში — აკადემიკოს მარი ბროსეს, თვალყურს ადევნებდა მის მოღვაწეობას ქართველოლოგიის დარგში. ილიას ინიციატივით ქართველმა ხალხმა მარი ბროსეს 1902 წელს დაბადების 100 წლისთავის იუბილე გადაუხადა; ილიას თხოვნითვე ქალაქის საბჭომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მარი ბროსეს სახელი მიანიჭა.

მარი ბროსე თავის მხრივ დიდ პატივს სცემდა დიდ ქართველ მწერალს, კითხულობდა ილიას ლექსებს, მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებს. მეცნიერს განსაკუთრებით მოეწონა ილიას მოთხრობა — „კაცია-აღამიანი!“ და გადაწყვიტა მისი თარგმნა ფრანგულ ენაზე, რაც დაინიშნა კიდევაც 1876 წელს და დაამთავრა 1877 წლის 11 მარტს. ამის შესახებ გაზეთი „დროება“ აუწყებდა მკითხველებს: „ჩვენ გვითხრეს, რომ ს.-პეტერბურღოს სამეცნიერო აკადემიის წევრი უფ. ბროსეს, რომელიც ასეთი მცოდნეა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა, ამჟამად თ. ილია ჭავჭავაძის შესანიშნავ მოთხრობას „კაცია-აღამიანს“ სთარგმნის ფრანკულულს ენაზედ და აბეჭდინებს“ („დროება“, 1876, № 128).

1887 წელს ამასვე აღნიშნავდა თავის ბიბლიოგრაფიაში მარი ბროსეს შვილი — ლორან ბროსე.

ამ თარგმანის შესწავლა-განალიზება მიზნად დაისახა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა, აწ განსვენებულმა რუსუდან დოდაშვილმა. იგი გაემგზავრა ლენინგრადში, მარი ბროსეს არქივში მოიძია თარგმანი და „ლიტერატურული გაზეთის“ 1958 წლის მეორე ნომერში გამოაქვეყნა სტატია — „მარი ბროსე — მთარგმნელი «კაცია-აღამიანისა»“. იგი წერს: „... თარგმანი შესრულებულია ბროსესათვის დამახასიათებელი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით. არ არის დაკარგული არც ერთი სიტყვა, არც ერთი გამოთქმა. რვეულის ფურცლების თავისუფალ ადგილებზე მიწერილია ესა თუ ის გაუგებარი სიტყვა, რომლის მნიშვნელობა, ეტყობა, გამოუკითხავს და შემდეგ მიუწერია. ბევრ ადგილას გასმულია ხაზი სიტყვის ქვეშ. ეს სიტყვები, ალბათ, საეჭვო იყო მისთვის და მოსაძებნი... შესანიშნავად არის თარგმნილი თათქარბის სახლ-კარის



აღწერა, დარეჯანისა და ლუარსაბის კამათი საქმელებზე, ბუზების თვლა“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 2). როგორც მკითხველი შეამჩნევს, თარგმანზე განყენებულად არის საუბარი, არც ერთი კონკრეტული მაგალითი არ არის მოყვანილი ფრანგული ტექსტიდან. 1962 წელს რ. დოდაშვილმა გამოაქვეყნა წიგნი — „მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი“, რომელშიც იმეორებს გაზეთში გამონათქვამს (იხ. გვ. 104).

1972 წელს, ლენინგრადში, მარი ბროსეს არქივში მოვიკვლეე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი უცნობი ხელნაწერი, ამავე პოემის მარი ბროსესეული თარგმანის ხელნაწერი, ადოლფ ბერტეს 14 უცნობი წერილი მარი ბროსესადმი და ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ ბროსესეული ფრანგული თარგმანის ორი ხელნაწერი. ერთი ხელნაწერი შავია, მეორე კი გადათეთრებული და გასწორებული მთარგმნელის მიერ. „კაცია-ადამიანის“ ფრანგული თარგმანის ამოკითხვა ძალიან გამიჭირდა, წერილი ასოებით იყო დაწერილი, არადა ამის გარეშე ვერ დავწერდი თარგმანის კრიტიკულ მიმოხილვას. რამდენიმე დღე მოვანდომე თითოეული ასოს შესწავლას მთარგმნელის ხელნაწერში და ფრანგული ტექსტიდან რამდენიმე ადგილის ამოკითხვას. ამოკითხული ტექსტები მოიწონა აწ განსვენებულმა გამოჩენილმა მთარგმნელმა და მწერალმა სერჯი წულაძემ. აღნიშნული ტექსტები გადავეცი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

1973 წლის 3 ივლისს გაზეთ „კომუნისტიში“ რუბრიკით — „ფურცლები მარი ბროსეს არქივიდან“ — გამოვაქვეყნე სტატია — „თარგმნიდა შოთას, ილიას...“ აღნიშნულ წერილში მიუთითებდი, რომ შევქმელი ფრანგული ტექსტის ამოკითხვა და ვამზადებ ნაშრომს გამოსაცემად. მართლაც, სამი წლის შემდეგ, 1976 წელს გამოვაქვეყნე ნარკვევი ამ საკითხზე ლიტერატურულ ურთიერთობათა მეექვსე კრებულში (1976, VI, გვ. 210—226). ამ ნაშრომში მსჯელობა ეხება იმას, თუ როგორ თარგმნა მ. ბროსემ უპირველეს ყოვლისა მოთხრობის სათაური, ცალკეული ანდაზები, მხატვრული სიტყვა-თქმანი. აქვე მოხსენებულნი არიან რ. დოდაშვილი და შ. ხანთაძე. შ. ხანთაძემ 1966 წელს გამოაქვეყნა ისტორიოგრაფიული ნარკვევი მარი ბროსეზე. იგი ამ ნაშრომში ეყრდნობა რ. დოდაშვილის მონაცემებს ფრანგული თარგმანის საკითხებზე.

1978 წელს გამოიცა ჩემი ორი წიგნი: „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“ და „ლიტერატურული წერილები“. პირველ წიგნში მოხსენებულნი არიან რ. დოდაშვილი, ხოლო მეორეში—შ. ხანთაძე, რომელმაც კარგი ისტორიული ნაშრომი გამოაქვეყნა მარი ბროსეზე. ჩამოტანილი ხელნაწერებით ისარგებლა მწერალმა და მთარგმნელმა გასტონ ბუაჩიძემ, მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მარი ბროსეს მხატვრული ბიოგრაფია. ჩემი რეცენზია ამ წიგნზე დაიბეჭდა გერმანულ ენაზე — ჟურნალ „გეოგრაფიკის“ 1987 წლის მეათე ნომერში.

მ. ბეთანიშვილმა 1869 წელს პეტერბურგში გამოსცა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!, რომელიც შედგება 14 თავისაგან. ამ გამოცემის მიხედვითაა შესრულებული მარი ბროსეს მიერ ფრანგული თარგმანი, რომელშიც ზუსტადაა გადმოცემული მწერლის აზრები, მხატვრული სახეები, დაცულია ენა და სტილი. მთარგმნელი არც ერთ სტრიქონში არ სცილდება ორიგინალს, კარგად იცნობს ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებას, მის ხატოვან თქმებს.

„კაცია-ადამიანი?!“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ანდაზა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს კი პირს უკანაო“. მარი ბროსეს ეს ანდაზა შესანიშნავად უთარგმნია: „Gronde l'ami en face, l'ennemi en arriere“ (Diction sensé).

ფრანგულიდან ქართულად თუ ვთარგმნით, ასეთ სახეს მიიღებს: „ავინე მეგობარი პირში, მტერი კი პირს უკან“ (გონიერი ანდაზა).

მოთხრობის სათაური თარგმნილია ორი რედაქციით: პირველი — „Histoire d'un homme, d'un fils d'Adam“, მეორე — „Un homme, un fils d'Adam“.

რაც ქართულად ასე იქნება: „კაცის, ადამის ძის თავგადასავლი“, „კაცი, ადამის ძის შვილი“. როგორც ფრანგული თარგმანიდან ჩანს, მთარგმნელს შეეძინა ნიშნავად გაუთვალისწინებია ცნება „კაცისა“ და „ადამიანისა“. მოთხრობის ავტორს „კაცი“ და „ადამიანი“ წარმოდგენილი აქვს როგორც სინონიმები.

ამ საკითხს შეეხო აკადემიკოსი ალ. ბარამიძე თავის სტატიაში — „ისევ „კაცია-ადამიანის“ სათაურის ვაგებების თაობაზე“, რომელიც დაიბეჭდა კურნალში — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1967, № 2, გვ. 23—24). ავტორი აღნიშნავს: „ბოლო დროის კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ კაცი და ადამიანი სინონიმური სიტყვა-ცნებებია. ავტორს თავისი თხზულების სათაურშივე დაუსვამს კითხვა: ამ თხზულების მთავარი პერსონაჟი ადამიანიაო? მოხმობილი სიტყვა-ცნებები (კაცი, ადამიანი) ილია ჭავჭავაძეს გამოყენებული უნდა ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიით („კაცი ვარ, ადამიანი“).

ილია მკითხველს უხსნის ანდაზის დედააზრს და წერს: „ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს... სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით ვავაზნებებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მოქმელო? ვიცი სადაც ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაც გქვიათ: შენ ხალხის ვენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ“ (ილია ჭავჭავაძე, — „კაცია-ადამიანი?“, პეტერბურგი, 1869, მ. ბეთანოვილის გამოცემა, გვ. 5).

ბროსე ადევკატურად გადმოსცემს დედნის ინტონაციას და მხატვრულ ფიგურებს: „Sachez bien que nous n'avons point affaire aux personnes... Qu'on dise, je me reconforte de ce sage dicton: „Gronde l'ami en face, l'ennemi en arrière“. Où es-tu, toi, l'auteur de ce mot sensé? Où te trouves-tu, invisible, au sein du peuple. tu es du peuple. Je sais aussi ton nom: l'on t'appelle le génie du peuple. Je connais également tes qualités“.

ილია წერს: „დიად, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა. აქ სცხოვრობდა ტკბილად და აუმღვრევლად ორმოცის წლის კაცი თავადი ლუარსაბ თათქარიძე, თავის განუშორებელ მეუღლითურთ, რომელსაც ერქვა კნენა დარეჯანი“.

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი, უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ—კარგი ნასუქი კურატი“.

მარი ბროსე: „Oui, dans cette belle maison demeurerait un géorgien. Il vivait délicieusement sans soucis un homme de quarante ans, le prince Louarsab Tathkaridzé, avec son inséparable épouse, qu'on appelait la princesse Daredjan. Le prince Louarsab Tahtkaridzé était un vieux géorgien, bien gras, comme un bon boeuf à l'engrais“.

ფრანგულ თარგმანში ილიას ტექსტი ზუსტადაა გადმოცემული, რაც შეეხება სიტყვებს: „უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ“, თარგმანში გადმოცემულია, მაგრამ, სამწუხაროდ ვერ ამოვიკითხეთ.

ილია ლაპარაკობს განათლებაზე, რომელსაც ქართველი ხალხის ჩვეულება „დაუჩაგრავს“: „სალამო ხანი, — როგორც მოგვხსენებათ, — ჩვენს სოფლებში და ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია. რაც ეს რაღაც წყევული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია,—მეტად თუ ნაკლებ, — ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა“ (გვ. 28).

თარგმანი ასახავს ირონიას საზოგადოებისადმი, რომელიც განზე გადგო-მია განათლებას და განაგრძობს ძველებურ დროსტარებას:



„La soirée comme vous le savez, est spécialement dans nos villages et dans la Cakehtie, l'heure des belles réunions. Depuis que la maudite civilisation a pénétré dans notre pays, cette louable coutume du vieux temps a plus ou moins disparu“.

„ესლა დამრჩება სათქმელად: მე მიყვივლია და გათენდება თუ არა, — ეგ ღმერთმა იცის“.

„Il me restera à dire: J'ai poussé mon cri, l'aurore paraisse ou non, c'est l'affaire de Dieu“.

„მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე შენში გაიღვიძებს“.

„Si je t'aime lecteur, je t'aime par ce que j'ai l'espoir que la pensée d'amendement s'éveillera en toi aujourd'hui ou demain“.

თარგმანის ორიგინალთან შეჯერებამ ნათელყო, რომ თარგმანი შესრულებულია ოსტატურად, მთარგმნელს კარგად გაუგია ავტორისეული აზრი, სწორადაა გადმოცემული ორიგინალის თავისებურებები და, რაც მთავარია, განწყობილება.

„ყველა ნაწარმოების თარგმნის დროს, — წერს ცნობილი მწერალი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე, — მთავარი მაინც განწყობილების დაჭერაა. ნაწარმოების მუსიკალური ქსოვილის აღქმა. მერე უკვე გადავიღებულია საქმე. მერე უკვე მოთმინებაა მთავარი. ამ გასაღდის მიგნება შეიძლება მაშინვე მოახერხო, შეიძლება აღიხანს გაწვალდე და ხეირიანად მაინც არ გამოვივადეს“ (ლიტერატურული საქართველო“, 1987, 21 აგვისტო).

ამრიგად, მარი ბროსე ოსტატურად თარგმნიდა არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურას, არამედ მხატვრულსაც.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ 1987 წლის 23 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი სტატია „კაცია-ადამიანის“ უცნობი ფრანგული თარგმანი“, რომელშიც მიზნად ვისახავდი საზოგადოებისათვის გამეცნო ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ მარი ბროსეისეული ფრანგული თარგმანის ისტორია“.

1 „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1987 წლის 8 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა შ. ხანთაძის სტატია — „კაცია-ადამიანის“ ბროსეისეული თარგმანის შესახებ“. იგი წერს: სერგო თურნავა თავს წარმოგვიდგენს „კაცია-ადამიანის“ ბროსეისეული თარგმანის პირველ აღმოჩენელად და ამით იგი ითვისებს სხვის დამსახურებას... „კაცია-ადამიანის“ ბროსეისეული თარგმანის არსებობა დიდი ხანია ცნობილია ქართველოლოგიურ ლიტერატურაში, მიიზიარება თარგმანის ღირსებათა დახასიათებას. შეუძლებელია, სერგო თურნავამ არ იცოდეს, რომ ქართველ მეკლავ-ფარავან ამ თარგმანს პირველმა მიაკვლია აწ განსვენებულმა მეკლავებმა რუსუდან დოდაშვილმა, რომელმაც 1958 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“, № 2 გამოქვეყნებულ წერილში „მარი ბროსე — მთარგმნელი „კაცია-ადამიანისა“, მოგვცა თარგმანის ღირსებათა დახასიათება. შემდეგ, 1962 წელს, რუსულად დოდაშვილმა ეს მასალა შეიტანა თავის მონოგრაფიაში „მარი ბროსე ქართული მწერლობის მეკლავები“... სერგო თურნავას იფიქრებდა ამ ფაქტის აღნიშვნა. რა შეიძლება ეწოდოს ამას? 1966 წელს ჩვენს მონოგრაფიაში „მარი ბროსე“ შევიტანეთ ცნობები ამ თარგმანის შესახებ, რა თქმა უნდა, რ. დოდაშვილის შრომებზე დაყრდნობით“.

კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ თითქოს ვითვისებ რ. დოდაშვილის დამსახურებას, რადგან ეს თარგმანი მან პირველად აღმოაჩინა. მცდარი განცხადებაა. სინამდვილეში ეს თარგმანი არც რ. დოდაშვილს აღმოუჩენია და არც მე. იგი დიდი ხანია ცნობილია. პირველად ამის შესახებ აღწერა საზოგადოებას 1876 წელს გაზეთმა „დროებაში“, შემდეგ 1887 წელს მარი ბროსის შვილმა — ლორან ბროსემ. მართალია, რ. დოდაშვილმა ჩემზე აღრე ნახა თარგმანი, როგორც ამის შესახებ რამდენჯერმე მაქვს მითითებული ჩემს ნაშრომში (რ. დოდაშვილმა ნახა 1958 წელს, მე კი 1972 წელს). კითხვა ისმის, რა გააკეთა პირველმა მეკლავებმა? მოგვცა ამ თარგმანის ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი. თარგმანის ორიგინალთან შეჯერების საფუძველზე? უნდა მოვასწნოთ, რომ არა, როგორ მოგვცემდა ანალიზს, თარგმანის დახასიათებას, როცა თარგმანი გერ ამოიკითხა? ამრიგად, თარგმანი უცნობი დარჩა. ორი-

«И. ЧАВЧАВАДЗЕ — КAVKAZСКИЙ БЕРАНЖЕ»

Резюме

В работе последовательно прослежен разносторонний характер грузино-французских взаимосвязей XIX века, приведены примеры из работ западноевропейских ученых и писателей о жизни и творчестве И. Чавчавадзе.

Рассмотрена переводческая деятельность великого французского ученого, акад. М. Броссе. Представлен анализ выполненного им французского перевода повести И. Чавчавадзе «Человек ли он?!». До сих пор французский перевод не был расшифрован, так как рукопись трудно читается. Автору удалось расшифровать французский текст и сделать его литературно-критический анализ, подтвердивший высокий уровень сделанного перевода. М. Броссе перевел не только научные труды, но и художественные произведения.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა

გინალისა და თარგმანის შეჯერების საფუძველზე მე მომეცა საშუალება — გაგვეთვინა ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი.

კრიტიკოსი შემდეგ წერს, რომ თითქოს დამავიწყდა მისი მონოგრაფიის მოხსენიება. არა, არ დამვიწყებია, როგორც აღვნიშნე, ორჯერ მაქვს მითითებული ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში, მხოლოდ საჭირო იყო ამ ნაშრომების წაკითხვა და შემდეგ მსჯელობა. კიდევ მეტი, რ. დოდაშვილი და შ. ხანთაძე მოვიხსენიე გერმანული ჟურნალ „გეორგიას“ ფურცლებზეც (იხ. 1987, № 10).



ნებს: „ქნაზ ვორონცოვი, მისი ცოლი, რამდენიმე გენერალი, მიტროპოლიტი, ისიდორე და მრავალი მღვდლები იდგნენ სიონის ტაძარში და დეკლარაციას ბასხაროვი წაიკითხა. მთავარ-მართებელი ალტაცებაში იყო, როდესაც ინგილოები ინათლებოდნენ და ყმაწვილებს ვალერსებოდა. ქალაქიდან წამოსვლის დროს, მისივე ბრძანებით დავირიგეს ხაზინიდან თვითო საჩოხე ლურჯი მოუდი და ცხრა-ცხრა მანეთი თეთრი ფული“<sup>2</sup>. ქრისტიანული სარწმუნოების მიღება ინგილოების მიერ თავისთავად მწარე ლახვარი იყო რეაქციული მუსლიმანური სასულიერო წოდების მიმართ, რომელიც ცდილობდა თვალეში აეხვიათ ინგილოებისათვის და ჩამოეცილებინათ ისინი ერთმორწმუნე ქართველებისაგან. მაშინ ქართული ეროვნული კულტურული ინტერესებისათვის მეტრძოლ ჰოლვაწევებს შორის იდგა გიორგი ჯანაშვილი, დიმიტრი ჯანაშვილის ბიძა, რომელმაც სიონში თავის ქმისშვილთან ერთად მიიღო ქრისტიანობა.

მალე დიმიტრი სხვა ინგილო ყმაწვილებთან ერთად დედოფლის წყაროს (წითელწყაროს) სამხედრო სასწავლებელში მიაბარეს. მან ვერ გაუძლო იქაურ წესებსა და ყოფას და შინ დაბრუნდა. შემდეგ (1855 წ.) იგი შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. დიმიტრი მონღოლებით მეცადინეობდა დიდი ნიჭიც გამოიჩინა სწავლაში. „ყმაწვილობაში დიმიტრი ჯანაშვილმა, როგორც დიმიტრი კაცის შვილმა, მრავალი გაქირვება და ვაი-ვაგლახი გამოსცადა. საინგილოდან ტფილისამდე 227 ვერსია და ამ მანძილს ხშირად ფეხით გაივილიდა ზოლმე, ოღონდ სწავლას არ დაჰკლებოდა აქაურ სემინარიაში“<sup>3</sup>—წერდა ვაზეთი „ცნობის ფურცელი“ დიმიტრი ჯანაშვილის შესახებ. დიმიტრი ჯანაშვილს სემინარიის კედლებში გამეფებული წესები არ მოსწონდა, რადგან იქ „ბევრი უწესობა და უსამართლობა სუფევდა“<sup>4</sup>. ალბათ ამის შედეგია, რომ მან სემინარიის მაშინდელი რექტორი ვიქტორინი სცემა. ამ ამბავმა ქართველ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

დიმიტრის სემინარიიდან გადგებას უპირებდნენ, მაგრამ თურმე „წარჩინებული ქართველები მიშველებოდნენ, როგორც საინგილოს ერთადერთ წარმომადგენელს“<sup>5</sup>, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვით სასწავლებლის ხელმძღვანელობაც იძულებული გახდა ელიარებინა მისი სიმართლე. აკი, აღნიშნავს „ცნობის ფურცელი“: „იმდენად მართალი იყო ჯანაშვილი, რომ მთავრობამ მოსწავლე ვერ დაითხოვა სასწავლებლიდან თვით რექტორის ვალახვისთვისაც“<sup>6</sup>.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ, დ. ჯანაშვილმა, სემინარიაში სწავლისას დაიწყო ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა. მისი ინტერესების სფეროს შეადგენდა საქართველოს ისტორიის საკითხები; წერდა განათლების შესახებ, აქვეყნებდა პუბლიკაციებს საინგილოზე. „ამ ჭეშმარიტმა მამულიშვილმა პირველმა გააცნო ფართო საზოგადოებას საინგილოს ცხოვრება. მისი თავისებური, მშვენიერი ქართული არაერთს უღვიძებდა საკუთარი წარსულის შესწავლის სურვილს“<sup>7</sup>. სემინარიაში სწავლისას, 1860 წ. „ცისკრის“ აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „წიგნი მიწერილი რუსეთუმესთან“ გიორგი ქართველის ფსევდონიმით. როგორც პროფესორი ალ. კალანდაძე ვარაუდობს,

2 ინგილო, წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება, „დროება“, 1867, № 46.

3 ვაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, 14 ოქტომბერი.

4 იქვე.

5 შ. ჯანაშვილი. მღ. დიმიტრი ჯანაშვილი, წიგნ.: დიმიტრი ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი, გორი, 1914.

6 ვაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, 14 ოქტომბერი.

7 ა. ბ. მ. ა. შ. ვ. ი. ლი, საინგილოს ახსოვს, „თბილისი“, 1986, 4 აგვისტო.

„გიორგი ქართველი შესაძლებელია იყოს იგივე დიმიტრი ჯანაშვილი, შემდეგში „მნათობის“ წამყვანი პუბლიცისტი, ხალხოსნობის ერთ-ერთი ბიარხტარი ჩვენში“<sup>8</sup>.

„ციცკარში“ (1865 წლის № 4, 6) დ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი წერილი — „საჭიროა ამ უამად თხზულებანი იწერებოდენ ჩვენს სამშობლო ენაზედ თუ არა? (№ 6-ში ამ წერილის გაგრძელებას ოდნავ შეცვლილი აქვს სათაური და ეწოდება — „საჭიროა ამ უამად თხზულებანი იწერებოდენ ქართულს ენაზედ თუ არა?“). იმავე წელს „ციცკარში“ (№ 11) დიმიტრად დ. ჯანაშვილის წერილი „მახე“. ის იყო გამოხმაურება ღვიმელის სტატიისა — „ჩვენი დროების მწერლები“.

1865 წ. დიმიტრად ჯანაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარია წარჩინებით დაამთავრა. ხელმოკლეობის გამო მას სწავლის გაგრძელების საშუალება არ ჰქონდა. ცოლად შეირთო ბეგიაშვილის ქალი ელენე და ყორაღნის მღვდლად ეკურთხა. მისი დაბრუნება საინგილოში შემთხვევითი როლი იყო. XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან საინგილოში ცარიზმის მახინჯმა იდეოლოგიურმა პოლიტიკამ გამოიწვია კლასობრივ ურთიერთობათა გამწვავება, რაც რელიგიურ ურთიერთობათა გამწვავებამდე მივიდა. ამის გამო შემდგომში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქრისტიანები და მაჰმადიანები. ვინაიდან მუსლიმანები კოსასლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ, დაისვა საკითხი ახლად გაქრისტიანებული ინგილოების ყოფნა-არყოფნის შესახებ. ასეთ პირობებში ქრისტიანობის მქადაგებელი მღვდლის ნაყოფიერ მოღვაწეობას უდავოდ დადებით შედეგი უნდა გამოეთლი. მხნედ მუშაობდა დიმიტრი ჯანაშვილი; ინგილოებს უქადაგებდა, რომ ისინი ქართველები იყვნენ და, რა თქმა უნდა, ქრისტიანებიც. იქაური ქართველობა ორად იყო გაყოფილი: სოფლის ნახევარი ქრისტიანობდა, ნახევარი კი მაჰმადიანობდა. იგი მაჰმადიან ინგილოებს ასწავლიდა. არიგებდა, უნდოდა ისინიც ქრისტიანობისაკენ მოექცია. დიდი ტაქტი სჭირდებოდა მათთან ურთიერთობას. ისინი ადგილობრივი მოღვაწეების ჩაგონებით მის ნათქვამს მთლიანად არ ირწმუნებდნენ. ყორაღანში დიმიტრის მოღვაწეობისას თბილისელმა მოწინავე საზოგადოებამ სთხოვა დიმიტრის ინგილო ქართველები დაეახლოებინა ქართველებისათვის. სწორედ დიმიტრის ერთ-ერთი მთავარი საფიქრალიც ეს იყო. იგი ზრუნავდა, რომ „ინგილო ხალხი არ გადაგვარებულიყო და დარჩენილიყო ქართველებად“<sup>9</sup>.

სარწმუნოების შეცვლის მიუხედავად ინგილოთა დიდმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, ენისა და კულტურის ელემენტები. ძალად გამუსლიმანებულები ფარულად ინახავდნენ ძველ სარწმუნოებას, დამით წიდიდოდნენ ძველი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევებთან და ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ. ქრისტიანობის მტერთ კრიჭაში ედგა ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც უშიშრად გაიძახოდა, რომ მაჰმადიანი ინგილონი ქართველები არიანო. მოლებს ისლა დარჩენოდათ, თავიდან მოეცილებინათ „მოუსვენარი“ მღვდელი. ამ მიზნით, ერთმა მაჰმადიანმა ინგილომ დღესასწაულზე დიმიტრის ძღვნად ტკბილეული მიართვა, რომელშიც წვრილად დანაყილი ტყვია აღმოჩნდა<sup>10</sup>. მღვდელი მოწამვლას ძლივს გადაურჩა.

დ. ჯანაშვილი, თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დიდ სიღინჯესა და გონიერებას იჩენდა მუსლიმანი ინგილოების მიმართ, ესმოდა მასზედ დაკისრებული მისიის სერიოზულობა და აუცილებლობა. ამიტომ იგი ყოველ-

<sup>8</sup> ილ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, თბ., 1984.

<sup>9</sup> მ. ჯანაშვილი, დიმიტრად ჯანაშვილი, „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ., 1913.

<sup>10</sup> ახალთაძორელი, „ორი ხუცესის“ შესახებ, „ივერია“, 1899, 6 მარტი, № 49.

თვის იქ იყო, სადაც მის სიტყვას შეეძლო ხალხზე რაიმე ზემოქმედება ჰქონოდა. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ მან მართანში შეკრებილ მუსტაფასთან ინგილოებს, რომლებიც გეგმებს აწყობდნენ, როგორ შეეშალათ ხელი საინგილოში ქრისტიანობის გავრცელებისათვის, მოუწოდა ხელი აეღოთ ცუდი განზრახვისათვის: „მე კვლავ გეუბნებით, რომ თქვენ ქართველები ხართ, ჩემი ძმები. ძველადვე ჩვენი რჯული ქრისტიანული იყო; თქვენს საქციელს დაუკვირდით: ვერას გახდებით და ღმერთსაცა და მთავრობასაც გააჯავრებთ“<sup>11</sup>. ერთმა ფანატკოსმა მაჰმადიანმა ინგილომ, გვარად საენელაშვილმა, დიმიტრის უკანდინად თავში ჯოხი ჩაარტყა, სიკვდილს ამჯერადაც გადაურჩა დიმიტრის — ქრისტიანი ინგილოები მიეშველნენ. მთავრობამ იმ ყრილობის რამდენიმე მოთავე ციხიბრში გაგზავნა.

ასეთ მიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა დ. ჯანაშვილს, თუმცა საჭირო საქმისათვის ენერჯიასა და ძალას მაინც არ იშურებდა.

დიმიტრი ჯანაშვილის მოღვაწეობა ყორალანში მაჰმადიანი ინგილოების ქრისტიანობისაკენ მოქცევის ქადაგებით და ამ საქმეში უშუალო ხელისშეწყობით როდი ამოიწურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი უშუალო მოვალეობით იყო დაკავებული, მან ხალხით დაუჭირა მხარი მღვდელ მ. ყულაშვილის ინიციატივას, შეეკრიბათ ბავშვები, ეყიდათ წიგნები და თავის სახლში ემეცადინებინათ მოსწავლეები. ზაქათალის ოლქში ქრისტიანობის მქადაგებელმა ი. ბულულაშვილმა შემოიარა დაბა კახი, მოსახლეობას დაავალა თითო ბავშვი მაინც მიეზარებინათ სკოლაში. ამ საქმეში მან დიმიტრი ჯანაშვილიც ჩააბა. იმ დროისათვის შენობების უქონლობის გამო სკოლები, როგორც წესი, მღვდლების სახლებში იყო მოთავსებული; სამრევლოში არ იყო აგრეთვე სკოლისათვის საჭირო ინვენტარი.

მოსწავლეთა განათლების საქმეს ყორალანში დიმიტრი ჯანაშვილი ჩაუდგა სათავეში. სკოლა თავის სახლში მოაწყო, ინვენტარი და წიგნები შეიძინა. ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო ბავშვები სრულად უზრუნველყოფილი ჰყოლოდა, აკლდათ წიგნები, სასკოლო ნივთები.

პირველი სამრევლო სკოლების გახსნა საინგილოში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინგილოთა მიერ ქრისტიანობის მიღებასთან. მთავრობა ძლიერ იყო დაინტერესებული ამ საქმით. სკოლების გახსნით მეფის მთავრობა ცდილობდა გავლენა ჰქონოდა მონათლულ ქართველებზე.

როგორც მ. გიულმაშვილი აღნიშნავს, „ეკლესია სამღვდლოების სახით, და სკოლა, მასწავლებლებითა სახით, ყველა საშუალებებით — საეკლესიო წიგნებითა თუ სკოლის მთლიანი შინაგანაწესით განსაზღვრავდა სწავლებისა და აღზრდის რელიგიურ ხასიათს, რაც ძალიან სჭირდებოდა თვითმპყრობელობას, რომელიც თავის მხრივ ყველა ღონეს ხმარობდა კავკასიის ხალხთა გასარუსებლად, რისთვისაც ახორციელებდა კიდევ შესაბამის სასკოლო პოლიტიკას. არც ერთ ზემოთდასახელებულ სკოლაში გოგონები არ სწავლობდნენ“<sup>12</sup>. ყორალნელი ბავშვები წერდნენ ქართულად, რუსულად; იცოდნენ არითმეტიკა, ლოცვები და ნაწყვეტები ძველი და ახალი აღთქმიდან.

1866 წლისათვის მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. დ. ჯანაშვილის ბინის სიმცირის გამო ყორალნელი მოსწავლეები დროებით კახში გადაიყვანეს. 1867 წ. დიმიტრი ორ მოსწავლეს მაინც ამეცადინებდა ყორალანში<sup>13</sup>.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> მ. გიულმაშვილი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და აზერბაიჯანის ქართველობა, თბ., 1985.

<sup>13</sup> იქვე.

დემიტრი ჯანაშვილი მთელის სიკვდილთა გრძობდა იმის აუცილებლობას, რომ ინგილო ახალგაზრდობას განათლება უნდა მიეღო. განათლებაში იგი ხედავდა ლეკების მიერ დამონებული ინგილო ხალხის გამოფხიზლებას.

1867 წლის 19 თებერვალს დ. ჯანაშვილს მეუღლე ვარდაეცვალა. მას ობლად დარჩა პატარა გოგონა მარიამი. დაქვრივებულ დემიტრის ყოვლადანაში აღარ უნდოდა დარჩენა, მით უმეტეს მოღვაწე ყოველნაირად ავიწროებდნენ. 1863 წ. ლეკების აჯანყების შემდეგ რეაქციული მუსლიმანური სასულიერო წოდება კვლავ უქადაგებდა მოსახლეობას ქრისტიანობისაგან განდგომას. რელიგიური რწმენით თვალუბნებელი ხალხის დიდი ნაწილი ამ პროპაგანდას აპყვავდა. საინგილოში უმეტესობამ ახლად მიღებული ქრისტიანობა უარყო და კვლავ მაჰმადიანობა მიიღო. ეს პერიოდი მძიმე იყო დემიტრისათვის. როგორც პროფესორი მ. ჯანაშვილი აღნიშნავს, 1871 წ. დეკანოზმა გრიგოლიევმა, რომელიც ზაქათალის სამაზრო სკოლაში საღმრთო სჯულს ასწავლიდა, სთხოვა მოსე ჯანაშვილს (იმ დროისათვის იმავე სკოლის მოსწავლეს), მიეწერა დემიტრისათვის, რომ „თავს ანებებს საღმრთო რჯულის მასწავლებლობას და თუ ინებებს გაამწესებენ“<sup>14</sup>. დემიტრი სიხარულით დათანხმდა და 1871 წლიდან ეგ უკვე ზაქათალის სამაზრო სკოლაში მოღვაწეობდა. დემიტრი მონდობებით მუშაობდა, ცოდნას და გამოცდილებას არ იშურებდა. ამიტომ მოსახლეობაში ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა. დემიტრი ჯანაშვილს ზაქათალის სამაზრო სკოლაში ჯამაგირი ძალიან მცირე ჰქონდა. მოხუცი დეკანოზი გრიგოლიევი ხელს უწყობდა ახალგაზრდა მასწავლებელს, ხშირად სამხედროების ეკლესიაში აწირვინებდა, იქიდანაც ცოტაოდენი შემოსავალი რომ ჰქონოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე ჯანაშვილს არ შეუწყვეტია თავისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა. იგი თავის წერილებს სისტემატურად აქვეყნებდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

1869 წელს „მნათობის“ მარტისა და აპრილის ნომრებში დ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა წერილი — „კაცს განათლებამ უნდა მისცეს სახსარი ცხოვრების გაფაქიზიანებისა და სიმდიდრის მოპოვებისა“, შემდეგ — „ზაფხულის ტინითელაძეების და ვეთუხუძეების შესაქცევი“ („მნათობი“, 1870, № 2, 3) და სხვ.

დემიტრის კარგად იცნობდა ქართველი საზოგადოება. იმდროინდელ მის წაწერებში იგრძნობოდა „თავისუფლების პათოსი და ხალხოსნური მოტივები“<sup>15</sup>.

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას, რომელმაც თავი იჩინა, ერთი მხრივ, „საქართველოს მოამბესა“ და „დროებას“, და, მეორე მხრივ, „ცისკარს“ შორის და რომელიც გამოვლინდა როგორც ბრძოლა, არა მარტო ქართული ენის სიწმინდისათვის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გვერდი არ აუვლია დემიტრი ჯანაშვილისთვისაც. მან, სრულიად ახალგაზრდამ, გაილაშქრა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, სწორად ვერ შეაფასა მათი დამსახურება.

1865 წ. „ცისკარში“ დაბეჭდილ წერილში — „მახე“ დემიტრი ჯანაშვილმა აშკარად დაიკავა „მამათა“ პოზიცია და გაილაშქრა „ახალი თაობის“ წინააღმდეგ. მან „მამების“ სამწერლო მოღვაწეობა მათზე უფრო მაღლა დააყენა.

მიუხედავად დემიტრის შეხედულებებისა, ილია ჭავჭავაძე მის პიროვნებას გარკვეულად დადებითად აფასებდა. ისინი ერთმანეთს პირადად იცნობდნენ. ამიტომ იყო, რომ როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსმა და ქუთაისის სასულიერო

14 მ. ჯანაშვილი, დემიტრი ჯანაშვილი, თბ., „განათლება“, 1917, № 3.  
15 ა. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 352.

სასწავლებლის ზედამხედველმა კალანდარიშვილმა ქუთაისის ხსენებულ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად მიიწვიეს, ილია ჭავჭავაძის სერგეი მესხმა ურჩიეს დიმიტრის, თანხმობა მიეცა.

ამრიგად, 1873 წლიდან დიმიტრი ჯანაშვილი ქუთაისში მოღვაწეობს. ქუთაისის საზოგადოებამ იგი კარგად მიიღო. აი, რას წერდა იგი: „ჩემი საქმე აქ ძალიან კარგად მიდის. ყველას ვიცნობ და მიცნობენ. ყველგან მიღებული ვარ და პატივცემული“<sup>16</sup>. სასულიერო სასწავლებელში დ. ჯანაშვილი ვაკვეთილებით დატვირთული იყო, ჯამაგირიც კარგი ჰქონდა. ამას თვითონაც აღნიშნავს: „უკვირავი 21 ვაკვეთილი მაქვს და 600 მანეთი ჯამაგირი. სხვა წყაროებიდანაც მაქვს შემოსავალი, მაგრამ ამჟამად ჩემი მოწყობილობა ჯერჯერობით ვერ გამომართავს“<sup>17</sup>...<sup>4</sup> დიმიტრის დაუღალავმა ენერგიამ კვლავ გამოიღო ნაყოფი — ქუთაისში იგი გამოჩენილ მასწავლებლად ითვლებოდა<sup>18</sup>.

Главное определяющее в переводе Петренко — стиль, и это не просто механическое сочетание приемов, а выражение внутреннего единства, неразрывной слиянности переводчика с автором. В своем творчестве Петренко не раз обращается к руставелевским темам. Тема дружбы, навеянная «Витязем», становится основной в поэзии Петренко, в ней преломляются и ею измеряются многие концепции поэта.

Что за дружба? Жадность или нежность  
Или жажда боли и обид?

<sup>6</sup> Карлайл Ольга, Три визита к Пастернаку, «Вопросы литературы», 1988, № 3, с. 169.

Чувство вырастает как подснежник  
На снегу, что жалобно блестит.  
...Что за дружба?, что она такое?  
...бесконечное волнение полей  
На ветру цветущее, пустое  
Как трава... и так же вянуть ей? (с. 251)

Здесь проходит вся градация чувства, состоящая из нескончаемых вопросов, на которые дан один единственный ответ:

Дружбы я хочу...  
хочу такой высокой,  
Что как молния сверкает и разит..

Мотивы, сюжеты, образы воспринимаются Петренко не как внешняя данность, а как момент поэтического содержания. Творческое «я» поэта составляет ту материю, которая заключена в этом чувстве, в этой теме. И с этой позиции Петренко вступает в руставелевское течение мысли.

Гачечиладзе пишет: «Соответственно своему мировоззрению переводчик отражает художественную деятельность избранного им произведения в единстве формы и содержания»<sup>7</sup>.

Общий тон перевода в слиянии с разными, отличающимися одна от другой тональностями оригинальных произведений, обуславливает интонацию, которая помогает образно раскрыть текст подлинника. Все в той же теме дружбы с достаточной ясностью раскрывается содержательное начало интонации, характерной для поэтики Петренко, и здесь не только пафос, возвышенная патетика, но большое лирическое чувство, хорошо осмысленное поэтом и перенесенное в перевод. Такой принцип выступает уже как творческий метод переводчика и выполняет особую функцию. Неразделимость поэтического стиля и метода представляет собой разные стороны внутренне единого явления, помогающего добиться множественности эмоциональных проекций. Умение поэта пользоваться художественным обобщением жизни составляет важную сторону его творческого метода, который в развернутом виде включает в себя концепцию человека, его места и назначения в мире. Дружба как таковая — явление общечеловеческое, и потому эта тема не однозначна. У каждого писателя есть свое представление о человеке, о внутренней его значимости. Петренко со свойственным ему юношеским максимализмом сосредотачивает свое внимание на стремительном развитии человеческих страстей: полный противоречий и сомнений в собственной лирике, он не доверяет душевным порывам и потому он скажет в одном из произведений:

«Жар дружбы так похож на первое апреля» —  
Сказал кому-то мудрый Пипуар.  
И предвечерние лучи порозовели,  
Неся освобожденье сердцу в дар...  
Блаженны одинокие душою,  
Не доверяющие сну.  
Никем неизвестное и для всех чужое  
Поет их горе в хоре звезд.  
Живи лишь взору отвечая взором,  
Ищи врагов для блеска бытия.  
Путь к сердцу находя и метя лучше вора —  
Друзья опаснее ружья (с. 355—356).

<sup>7</sup> Гачечиладзе Г., Художественный перевод и литературные взаимосвязи, М., 1980, с. 95.



Этим раздумьям противостоит спокойная величественная мудрость руставелевских строк:

...Есть три рода доказательств, чтобы дружбу доказать:  
 Горькой мучаясь разлукой, вечной близости желать,  
 Щедро все без сожаленья дорогому отдавать,  
 Угодать ему и счастья для него везде искать... (с. 768).

Но если вникнуть глубже, интонация в петренковском стихотворении и в переводе этого катрена одина и отвечает по своей тональности все тому же восклицанию.

Дружбы я хочу...  
 хочу такой высокой!

Внутренний драматизм лирики Петренко придает своеобразный оттенок переводу. Мотив одиночества, вызывающего острое неудовлетворение действительностью у поэта, неотделим от идеи дружбы. Казалось бы, теоретически это неожиданно, но в трактовке образов Тариэла и Автандила существует явная параллель с этим мотивом, проявляется неизменное движение мысли Петренко о великой ценности человеческого в человеке, о ценности товарищеской солидарности и дружбы. Человек не должен оставаться одиноким. Повествование о дружбе главных героев не составляет единой, неразрывной цепи, оно вплетается в лирико-философскую ткань произведения, которая находится в центре внимания переводчика. Тайна и выяснение ее представляет собой главную цель переводчика.

Зачитаем строки перевода:

Лишь увидел побратима, засиял он ярким днем,  
 Сразу радость разгорелась и погасло горе в нем.  
 Солнце розу озаряет, и хрусталь горит огнем,  
 Словно вихрь, в долину мчится всадник, сросшийся с конем.

Витязь видом Тариэла был безмерно поражен:  
 Там сидел, как перед казнью, с искаженным ликом он,  
 Бледный, с грудью оголенной, весь изранен, обагрен;  
 Жизни грань перешагнул он, погруженный в грозный сон.

Слева меч в крови валялся, и лишенный жизни лев  
 Распластался бездыханный, справа тигр, окоченев;  
 Витязь был меж них безмолвен, совершая слезный сев;  
 Не угас губящий пламень, скорбным сердцем овладев.

Тариэл в оцепененьи тяжких век не мог поднять,  
 Приближалась гибель к сердцу, что устало тосковать.  
 Автандил напрасно кличет: спит гиштерных копий рать.  
 Соскочив с коня, спешит он другу дружбу доказать (с. 857—860).

И сравним с петренковскими оригинальными строками:

Мой грустный друг пришел сегодня,  
 Он спотыкался и кричал,  
 Походкой пьяной, несвободной  
 Войдя — меня поцеловал!...

Пришел он поздно, очень поздно,  
 Наполовину обнажен.  
 И смех несчастья, смех беззвездный  
 И грусти страх принес мне он.

Ничто святое не спасало  
 Его от боли и стыда  
 Как огненное опало  
 За дверь его звала беда.



И вновь помчался он за нею  
И долго я бежал за ним... (с. 294).



Если сопоставить настрой, с которым писались строки перевода и оригинального произведения Петренко, то несомненно чувствуешь внутреннее родство, живое взаимодействие между произведениями и, конечно, между авторами. Оно формируется в органической связи с постепенным прояснением системы образов, приобретаая вместе с тем свою определенность и законченность. Очевидно, что характер охвата жизненных явлений у Петренко способствует воссозданию облика давно ушедшей эпохи, ее психологии и нравов с таким раскрытием дум, сомнений, исканий, как нечто близкое нам, что помогает глубже осмыслить некоторые коллизии современной эпохи. Каждый образ в оригинале несет свою функцию, у Руставели четко строится система образного ряда, психологическая глубина которого проверяется сопоставлением с современными процессами жизни. Петренко привлекают сходные мотивы, близость художественных образов, подход к действительности и ее эстетическое восприятие.

Академик Храпченко очень точно формулирует мысль, от которой, наверное, следует отталкиваться. Он пишет: «В произведениях отдельных крупных писателей раскрываются ведущие тенденции направления, которые не обособлены от индивидуальных свойств, присущих их творчеству. Да и эти ведущие тенденции предстают не в обезличенном виде, а в своем индивидуальном выражении. Творческие открытия крупного художника слова являются одновременно и сферой эстетических притяжений, и возбудителем новой художественной энергии»<sup>8</sup>.

Здесь следует подчеркнуть, что творческая личность выкристаллизовывается именно при столкновении с «крупными художниками слова», яснее определяются ее индивидуальные особенности и «заряд новой художественной энергии» рождает новые идейные и эстетические запросы.

Открывая для себя новое в действительности оригинала, в духовной жизни героев, в развитии национальных особенностей, поэт-переводчик обращает пристальное внимание на связь поэмы с жизнью, и мысли об автономности литературы (что было характерно для декадентства) несомненно, терпят поражение.

Поэтому можно сказать, что идейная позиция Руставели во многом способствовала разрешению спорных моментов в собственном творчестве Петренко. Обратимся к тексту стихотворного произведения Петренко и на этот раз приведем его целиком, т. к. в нем наблюдается параллель не только с мыслями и образами Руставели, но и ритмическим строем текста:

От Абэля Пипуара далеко сокрыта цель  
Прежде вел он счет минутам, после вел он счет недель  
В одиночестве распутать трудно жизни канитель  
Десять лет искал свиданья тщетно страждущий Абэль.

Десять лет ходил по мукам, забывая про свирель  
По нетающему снегу-ль, по блистающей росе-ль  
Шел он видя пред собою только неба карусель  
Где кружилась грез безбрежных мотыльковая мятель.

Ветерок однообразный до земли склоняет ель  
Корабли бросает грубо на зеленую постель  
Вечный сон снисходит с неба для людей и для земель  
Лишь один уснуть не может в одиночестве Абэль.

<sup>8</sup> Храпченко М., Творческая индивидуальность писателя и развитие литературы, М., 1977, с. 287.



пронией и скептицизмом скрывается истинное переживание). Создается впечатление, что поэт плачет и признается, что «ронять слезы ровно друвный Таризель» он может, но не может испепеленный «любовью, солнцу радоваться...» и «так один, с разбитым сердцем, проклинал судьбу Абэль», последние строки соответствуют мрачному настроению героя, а значит поэта, т. к. под Абэлем подразумевается сам Петренко.

Что же касается речевой структуры самого перевода, подробно описанного Р. Чилачава, высказывается множество мнений по поводу применения Петренко мужских рифм, что считалось целесообразным для воссоздания ритмического разнообразия между высоким и низким шапхи и достижения правильной передачи языкового фоида на русском языке. Но сам переводчик в письме к Н. Тихонову высказывает свою принципиальную точку зрения, подтверждающую абсолютную его самостоятельность в выборе художественных средств.

«Тов. Тихонов! Предлагаю Вашему вниманию одну из глав перевода поэмы Руставели, над которой я работаю уже давно.

...По моему мнению, женская рифма совершенно не подходит для перевода на русский язык стихов Руставели. Так же как было бы несколько странно настаивать на переводе стихов Верлена исключительно мужскими рифмами лишь на том только основании, что женских рифм на французском языке не бывает.

Мужественный, энергичный стих Руставели хотя и обладает сообразно законам грузинского языка рифмами исключительно женскими, но при переводе на русский язык женскими рифмами эффект оригинала невозможен и недостижим, в чем со мной согласны некоторые из исследователей Руставели».

Специфика индивидуального образного видения, так же как и своеобразие стилиевой доминанты лирики Петренко, обусловили отбор тех художественных средств, которые дали возможность ярко выразить его творческие замыслы в переводе «Витязя». Несомненно, нужно учесть и тот факт, что в процессе работы Петренко жил в Грузии и находился в специфической атмосфере, которая способствовала быстрому и точному восприятию текста через многие обуславливающие друг друга компоненты: это и чувство языка, и проникновение в национальную культуру, и нестандартность поэтического мышления, позволившие воплотить неизвестное, новое, и, самое главное, сотрудничество с известным руствелологом, поэтом и переводчиком Чичинадзе, который с большой ответственностью руководил молодым, талантливым переводчиком.

«Перевод — стечение множества обстоятельств. Настроение, круг мыслей, людей, возраст, складка судьбы»<sup>9</sup>, — скажет Владимир Леонович в своей статье «Переводчик, сломай карандаш!». И это будет правильно, когда переводчик — личность, и его личностное начало всегда будет сказываться при всей точности соответствия оригиналу, но невозможно абсолютное перевоплощение, ведь происходит проникновение в жизнь, историю и культуру другого народа, что требует от переводчика особого дарования, особого таланта.

Отдел межнациональных литературных взаимосвязей  
Музея дружбы народов АН Грузинской ССР  
Представил Музей дружбы народов АН Грузинской ССР

<sup>9</sup> Леонович В., Переводчик, сломай карандаш, в сборнике «Художественный перевод, проблемы и суждения», М., 1986, с. 154.

иронией и скептицизмом скрывается истинное переживание). Создается впечатление, что поэт плачется Руставели и признается, что «ронять слезы ровно друвный Таризель» он может, но не может испепеленный «любовью, солнцу радоваться...» и «так один, с разбитым сердцем, проклинал судьбу Абэль», последние строки соответствуют мрачному настроению героя, а значит поэта, т. к. под Абэлем подразумевается сам Петренко.

Что же касается речевой структуры самого перевода, подробно описанного Р. Чилачава, высказывается множество мнений по поводу применения Петренко мужских рифм, что считалось целесообразным для воссоздания ритмического разнообразия между высоким и низким шаири и достижения правильной передачи языкового фонда на русском языке. Но сам переводчик в письме к Н. Тихонову высказывает свою принципиальную точку зрения, подтверждающую абсолютную его самостоятельность в выборе художественных средств.

«Тов. Тихонов! Предлагаю Вашему вниманию одну из глав перевода поэмы Руставели, над которой я работаю уже давно.

...По моему мнению, женская рифма совершенно не подходит для перевода на русский язык стихов Руставели. Так же как было бы несколько странно настаивать на переводе стихов Верлена исключительно мужскими рифмами лишь на том только основании, что женских рифм на французском языке не бывает.

Мужественный, энергичный стих Руставели хотя и обладает образно законам грузинского языка рифмами исключительно женскими, но при переводе на русский язык женскими рифмами эффект оригинала невозможен и недостижим, в чем со мной согласны некоторые из исследователей Руставели».

Специфика индивидуального образного видения, так же как и своеобразие стилевой доминанты лирики Петренко, обусловили отбор тех художественных средств, которые дали возможность ярко выразить его творческие замыслы в переводе «Витязя». Несомненно, нужно учесть и тот факт, что в процессе работы Петренко жил в Грузии и находился в специфической атмосфере, которая способствовала быстрому и точному восприятию текста через многие обуславливающие друг друга компоненты: это и чувство языка, и проникновение в национальную культуру, и нестандартность поэтического мышления, позволившие воплотить неизвестное, новое, и, самое главное, сотрудничество с известным руствелологом, поэтом и переводчиком Чичинадзе, который с большой ответственностью руководил молодым, талантливым переводчиком.

«Перевод — стечение множества обстоятельств. Настроение, круг мыслей, людей, возраст, складка судьбы»<sup>9</sup>, — скажет Владимир Леонович в своей статье «Переводчик, сломай карандаш!». И это будет правильно, когда переводчик — личность, и его личностное начало всегда будет сказываться при всей точности соответствия оригиналу, но невозможно абсолютное перевоплощение, ведь происходит проникновение в жизнь, историю и культуру другого народа, что требует от переводчика особого дарования, особого таланта.

Отдел межнациональных литературных взаимосвязей  
Музея дружбы народов АН Грузинской ССР

Представил Музей дружбы народов АН Грузинской ССР

<sup>9</sup> Леонович В., Переводчик, сломай карандаш, в сборнике «Художественный перевод, проблемы и суждения», М., 1986, с. 154.

## თამარ ხვიციანი

## „კალმასობა“ და ჰაბიტობრაფიული მწერლობა (V—X სს.)

„კალმასობის“ ლიტერატურული წყაროების კვლევის დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად სასულიერო მწერლობის, კერძოდ ჰაგიოგრაფიის, ადგილი და მხატვრული ფუნქცია გვევლინება. ცნობილია, რომ ქრისტიანული იდეალები და ბიბლიური სენტენციები ამ ძეგლში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ქრისტიანული იდეების საშუალებით იოანე ბატონიშვილი ზნეკეთილობას, მორალის სიწმინდეს და კეთილგონიერებას ქადაგებს, რადგან ქრისტიანული მსოფლმხედველობა და სასულიერო ხასიათის მწერლობა ნაყოფიერი საფუძველი იყო ქვეყანაში გამეფებული უზუნობისა და უმეცრების წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ეს მოტივები განაპირობებს „კალმასობაში“ ჰაგიოგრაფიული მწერლობის საკმაოდ მნიშვნელოვან ხვედრითს წონას.

როგორც არაერთხელ აღინიშნა (ქვემოთ ჩვენც დავასაბუთებთ ამას კონკრეტული მაგალითებით), იოანე ბატონიშვილი თავის ვრცელ თხზულებაში ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შეტანის დროს, ძირითადად ანტონ კათალიკოსის „მარტირიკით“ საარგებლობდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს არ იყო უცვლელი განმეორება ანტონისეული თხზულების ტექსტისა, იოანე საკითხს შემოქმედებითად უდგებოდა, თავისი შეხედულებისამებრ ცვლიდა და ამუშავებდა ცალკეულ ეპიზოდებს.

„მარტირიკაში“ ანტონ I ნათლად ავლენს თავის ანტიმამაქიანურ პოზიციას, წარმოაჩენს მთავარ მიზანს: იბრძოლოს სპარსოფილობის წინააღმდეგ. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

„აბო ტფილელის მარტივილობის“ ანტონისეულ რედაქციაში ნათლად ჩანს ანტიმამაქიანურა პოზიცია, რაც ასევე მკვეთრად იგრძნობა კიმენურ ტექსტში. მაგალითად, ანტონ I განსაკუთრებული სიმკაცრით „ამკობს“ (თავის რედაქციაში) ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთ: აბო „გამოცდილ იყოცა და ზედმიწევნილ მახმედიანთა ბარბაროსებრთა წერითა“<sup>1</sup> (234, 2—3). ნერსესე „ვერ უძლო ხანგარძლივ წინააღმდეგობაჲ მათი ბარბაროსთა“ (235,7); „ჰბორგდეს ჩუენ ზედა მოწაფენი მახმედ ზილწისანი“ (235,9). როცა აბოს ვაქრისტიანების ამბავი გაიგეს, მისი რჯულის აღმსარებლებმა გაკიცხეს თანამემამულე „ვითარცა უარისმყოფელსა უღმრთობისა მათისასა და განდგომილისა მოძღურებათაჲან ბილწუბარბაროსისა მოციქულისა მათისათა“ (239,8—9). იმ პერიოდში ქართლის გამგებლად ყოფილა „ვინმე ისმაილიტთავანი, ჰსჯული-სდებათა ბილწმოციქულისა და ცრუწინასწარმეტყუელისა მახმედისა შედგომილი“ (239,26) და ა. შ.

როგორც ჩანს, გვიანფეოდალური ეპოქის საქართველოში სპარსული ორიენტაციის ინტენსიური შემოჭრა ეროვნული და სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს ქმნიდა, ამიტომ საჭიროებამ მოითხოვა ანტისპარსული ტენდენციის გაძლიერება, ქართველებში ეროვნული თვითმყოფლობის გამოცოცხლება, რაც თავისთავად დაუპირისპირდებოდა სპარსოფლობას.

იოანე ბატონიშვილი ახლოს დგას ანტონ I-ის ნაზრევთან. მას კარგად ესმის თავისი წინამორბედის. ამიტომ „კალმასობაში“ კიდევ ერთხელ ჩერდება აბო ტფილელის ლეწლის მოხსენიებაზე, ხალხს მოუწოდებს, რომ გამოფხიზლდნენ, დაიხზონ და გაარჩიონ ბოროტი და კეთილი, სპარსული ტენდენ-



ციებისგან ხელშეუხებელი გახადონ ქრისტიანული სარწმუნოება, რომელიც შორეულ წარსულში სიცოცხლის ფასად დაიცვა არაბმა ჭაბუკმა: „... მე მანქანა დის სიკუდილი იგი უფლისა იესოსი ჯორცთა შინა ჩემთა მიტვირთავნ, რათა ცხოვრებაცა იგი იესოსი ზორცთა ამათ შინა ჩემთა გამოცხადნეს“, — განუცხადებს აბო აფხაზთა მოთავარს (ჯალმასობა, H—2170, 312; მარტირია, 240). აბო არ შეუშინდა ბაბილონის მეფის მუქარასაც და ბირიქით ამხნევებს ხალხს: „მე უკუე, ძმანო, მზა ვარ ქრისტესთვის შეპყრობად, განდევნად და სიკუდილად“ (ჯალმასობა, 313; მარტირია, 240).

აბოს მიაჩნია, რომ მისი რწმენა და სიყვარული ღვთისადმი ხელშეუხებელია. ამიტომ მებრძოლ გმირად რჩება და ამაყად უცხადებს ბარბაროსთა მოთავარს: „... მე ყოველივე მსოფლიური დიდება ვითარცა ნაგავი ესრეთ შემირაქციეს და რომლითაცა სატანჯუელითა მექადვი სიკუდილად არა მეშინის მისგან. მით რამეთუ უსაშინელეს არა არს საუკუნოსა გენიისა და ტანჯვისა და მსესერ ჩემდა ამაოდ მომზრახეობისაგან, რამეთუ ჩემდა ცხოვრებად ქრისტე არს...“ (ჯალმასობა, 313; მარტირია, 242).

ქრისტეს სარწმუნოებისათვის დათმო აბომ ოჯახი, მშობლები, სამშობლო, სიცოცხლეც კი და ყურად არ იღო მათი რჩევა, ვინც მეტისმეტად ვულვოდგინებით ურჩევდა დაბრუნებოდა მამაბაბუელ რჯულს: „განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (ჯალმასობა, 314; მარტირია, 243). ანტონ I და იოანე მოიხსენიებენ აბოს ლეაულს, ათასნაირი შესხმითი პასაყებით ამკობენ მას და ამდიდრებენ თხრობას. აბოს უწოდებენ „მოწამეს ჭეშმარიტებისა“ (239,17); „სუეტს ყოვლად შეუპრუელს“ და „მდგომარეს ჭეშმარიტისა სარწმუნოებისასა“ (მარტირია, 243, 23—25); „უმეშობრტ ქრისტიანს“ და „შეუდრეკელ ღვთისმსახურს“ (ჯალმასობა, 312 v).

XVIII საუკუნეში აბოს თავგანწირვამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. იმისათვის, რომ ქართველებში ღვთის სიყვარული გაემსაფრებინა, ანტონ I-მა ასპარეზზე გამოიყვანა არაქართველი, არაქრისტიანი, მამადის რჯულის აღმსარებელი და საქართველოსადმი შტრულად განწყობილი ერის შვილი, რომელმაც თავი შესწირა ახალგაქცობილ სარწმუნოებას. ამ ფაქტს ქართველები ღრმად უნდა ჩაეფიქრებინა, როცა დაინახავდნენ, რომ არაბმა ჭაბუკმა შეიყვარა ქრისტე და მისი მოძღვრების ერთ-ერთ მქადაგებლად იქცა. როგორც ჩანს, ეს ფაქტი მეტაფრასტის ისეთ სიამოვნებას ანიჭებს, რომ თხზულებაში რამდენჯერმე ამახვილებს ყურადღებას.

გვიანფეოდალურ ეპოქაში ცნება „სპარსელი“ ასოცირდებოდა ნგრევასთან, აოხრებასთან. „XVIII საუკუნის საქართველო ჯვარცმული იყო სპარსელებისაგან. ამ საუკუნის მოქალაქისთვის სწორედ სპარსული ასოცირდებოდა აოხრებასთან, ეროვნულ ჩავრასთან, განადგურებასთან“<sup>2</sup>. ამიტომ ქართველი მკითხველისთვის ევსტათი მცხეთელის მარტვილობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ევსტათი შვილია ისეთი ერისა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე ჯვარს აცვა ქართველი ხალხი და მთელი საქართველო, ამიტომაც მეტაფრასტმა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების მიზნით დიდი მხატვრული სიმართლით წარმოაჩინა წმინდა წამებულის სახე.

სპარსმა გვირობანდაკმა ჯერ კიდევ სამშობლოში გაიცნო ქრისტეს რჯული და ამ სიყვარულმა მიიყვანა მცხეთაში, სადაც უაღრესად განსწავლულმა სამოელ ეპისკოპოსმა უკეთ აუხსნა ქრისტიანული სარწმუნოების ზნეობრივი პრინციპები. „განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მიერ ბიბლიის, ძველი აღთქმის წიგნებისა და სახარების გამოყენება. სამოელ არქიდიაკონი ებრაელთა რჯულისა და ქრისტიანობის გაცნობის მიზნით ევსტათის უყვება ძველი და ახალი აღთქმის ისტორიას, შინაარსი ამ ისტორიისა ზუსტად არ უდგება.

როგორც ჩანს, ეს შეუსაბამობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ანტონ კათალიკოსს და შეძლებისდაგვარად შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ანტონის, როგორც საეკლესიო მოღვაწის, პოზიცია განსხვავდება იოანე ბატონიშვილის შეხედულებებისაგან. ეს უკანასკნელი არ ამყვანებს განსაკუთრებულ ინტერესს სამოელ ეპისკოპოსის ქადაგების მიმართ. მისთვის მთავარია ევსტათის ბუნების და მისი ღვაწლის წარმოჩენა, ამიტომაც „კალმასობაში“ საერთოდ ვერ ვხვდებით ქადაგების ეპიზოდს. იოანე მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ევსტათიმ შეისწავლა ორივე სარწმუნოება, მოიწონა ქრისტიანობა და მოინათლა. „მე უკუე ვლდესასწაულობ დღესასწაულსა არა ბნელსა შინასა, არამედ ღღესასწაულსა მას ნათლითა სავსესა, რომელი იგი აღუთქუა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა; და არცა ვსსჰამო თქუენთანა ნაგები ღმერთთა საძაგელთა და ხელთქმნულთა, არამედ ვსსჰამო ხორცსა კრავისა ღვთისასა, რომელი პასეჰად დაიკლა ჩუენთვის, რომელი არს მიმტევებელი ცოდვითა და მომნიჭებელი მერმისა ცხოვრებისა და სუფევისა“ (კალმასობა, 307 ა; მარტირიკა, 219).

აქ მკაფიოდ ჩანს ერთი საინტერესო დეტალი. ჩვენს დრომდე მოღწეულია ერთი პატარა თხზულება, რომელიც რეალურად ასახავს დამოკიდებულებას ქრისტიანებსა და წარმართებს შორის ჯერ კიდევ ქრისტიანობის სახელმწიფოდ სარწმუნოებად გამოცხადებამდე. ეს არის „კოლაელ ყრმათა წამება“<sup>4</sup>.

რჯულის სხვადასხვაობა ქრისტიანებსა და წარმართებს კეთილმეზობლურ ურთიერთობაში ხელს არ უშლის. ეს გრძელდება იქამდე, სანამ უშუალოდ არ ხელყოფენ წარმართულ სალოცავებს, ამის მერე კი გაბოროტებული წარმართები საკუთარ შვილებსაც კი არ ინდობენ.

„ევსტათი მცხეთელის მარტილობაში“ თითქმის მსგავსი სიტუაცია ჩანს. ევსტათი, როცა თავის სამშობლოზე ლაპარაკობს, ასეთ ფრაზას წარმოთქვამს: „...ქალაქი, სადა ვიშვე მე, არს განძაქი... სადაცა მკვიდრობენ ქრისტიანნი უმრავლესი, ვიდრეა სპარსნი და ქრისტიანნი იგი იმწყემსებნიან მღვდელთაგანე კეთილმსახურთა...“ (კალმასობა, 308; მარტირიკა, 221).

როგორც ჩანს, განძაქში ქრისტიანები საკმაოდ მშვიდად ცხოვრობდნენ, ასრულებდნენ საღვთისმსახურო წესებს, ჰქონდათ ეკლესია და, ბუნებრივია, ჰყავდათ ეკლესიის მსახურნი. ერთ ქალაქში თავისუფლად ცხოვრობდნენ ორი რჯულის აღმსარებლები და ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს.

ასეთივე მდგომარეობა იყო მცხეთაშიც. წარმართები ასრულებდნენ თავიანთი კერპების სადიდებელ რიტუალებს, ცხოვრობდნენ ისე, როგორც სურდათ. „მოვედ და გუეზიარე დღესასწაულსა ამას ჩუენსა და ჩუენთანა იშუებდ, ვითარცა თანამენათესავე ჩუენიო“ (კალმასობა, 307 v, მარტირიკა, 219). ასე იწვევდნენ ევსტათის. ეს ნათელყოფს ქრისტიანთა და ცეცხლთაყვანისმცემელთა კეთილგანწყობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა კონფლიქტი გაღვივებულიყო ორი რჯულის მორჩილთა შორის, მაგრამ თხზულებაში ამ კონფლიქტის კვალიც არ ჩანს და, შესაძლოა, ეს წინააღმდეგობა არც ჩასახულიყო, ევსტათის თავისი მკვახე პასუხით შეურაცხყოფა რომ არ მიეყენებინა მათი სალოცავებისათვის. კერპების ხელყოფას კი ისინი ვერავის აპატიებდნენ, საკუთარ შვილებსაც კი. თავისი რწმენა ევსტათიმ შესაშური სიმტკიცით დაიცვა და ბოლომდე დარჩა, როგორც „სვეტი შეურყეველი“.

„ვერვინ განმავოროს მე სიყუარულსა მას ქრისტესსა, ჰირმან ანუ იწროებამან, დვენამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურუამან, ანუ მახვლმან“ (მარტირიკა, 225, 5—7). — ამაყად ეუბნება ევსტათი ბუზმირს!



ასე შეეწირა ქრისტიანობას სპარსი ჰაბუჯი, რომელიც თავისი წყნარებასა და მოწამებრივი აღსასრულით სერიოზულ საკითხს წყვეტდა: ქართველებს უძლიერებდა ქრისტესადმი თაყვანისცემას და, რაც მთავარია, ხალხში აღვივებდა ეროვნული თვითმყოფადობის რწმენას.

არაბი ჰაბუჯების მოწამებრივ აღსასრულზე მოგვითხრობს თხზულება „ისაკისა და იოსების წამება“. სამწუხაროდ, რომ ამ წმინდანთა შესახებ „ძველ ქართულ მწერლობაში არაერთი პავიოგრაფიული თარგმნილი თხზულების კვალი არ ჩანს... არ დასტურდება მათი სენაქსარული ცხოვრებაც ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში“<sup>5</sup>.

ვარაუდობენ, რომ ანტონმა სომხური ძეგლებით ისარგებლა. სომხურ ენაზე კი მართლაც მოიპოვება თხზულება „წმინდა საპაკისა და იოსების წამება“. თხზულებაში მკაფიოდაა გამოკვეთილი სათქმელი. მართალია, ძმების დედა ბერძენი ქრისტიანი ქალი იყო, მაგრამ მამით არაბნი მაჰმადიანურ გარემოცვაში იზრდებოდნენ.

თხზულებიდან ვიგებთ, რომ ურთიერთობა ქრისტიანებსა და მაჰმადიანთა შორის უკიდურესად დაძაბულია. არაბები თრგუნავენ არამაჰმადიანს. ქრისტიანი დედა აცნობს და აყვარებს შვილებს ქრისტეს რჯულს, მაგრამ ისე იღუმლად, რომ ამის შესახებ მამამაც კი არაფერი იცის. ამაზე მეტყველებს ძმების წერილი ნიციფორე კეისრისადმი, რომელიც მათ დიდი სიფრთხილით გაგზავნეს. ისაკი და იოსები ძალიან ფრთხილობდნენ, მაგრამ როცა ყველაფერი გაირკვა, მათ შეურყვევლად დაიცვეს თავიანთი სარწმუნოება, რასაც შეეწირნენ კიდევ. „... ჩუენ ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანნი და ვესურბის... დატყევა ბილწისა მოციქულისა თქუენისა მოსაეთა სამსახურისა“ (ჯალმასობა, 335). არავითარმა ხეწნა-მუდარამ არ გაჰრა: „ნუ იყოფინ ჩუენდა სათნო-ყოფაჲ კაცთა უფროს ღვთისა... ამიერითვან შრომასა ნუვიწ შემამთხუევთ ჩუენ. რამეთუ ჩუენ საწერტელნი იგი უფლისა იესოსნი ხორცთა შინა გვიტვირთავ“ (მარტირიკა, 365) და „ცუდითა მავით ლიქნითა დაჯერებულ ჰყუენით თაენი თქუენნი ვერა რომელისამე ღონითა შეუძლოთ განყენება ჩუენი სიყუარულისა ქრისტესსა“ (ჯალმასობა, 336). სიკვდილის წინ წმინდანებმა უამრავი ხალხის თანდასწრებით კიდევ ერთხელ ხმამაღლა აღიარეს იესო ქრისტე.

საინტერესოა, რომ ანტონ კათალიკოსი ნაკლებ ყურადღებას აქცევს წმინდა წამებულების ღვთისგან განდიდების ფაქტს. იოანე კი პირიქით იქცევა. საგანგებოდ ჩერდება წმინდანების ღვაწლის დაფასებასა და ღვთისგან მისთვის წამებულთა განდიდებაზე. ამ თხზულებაშიც იოანე ბატონიშვილი საგანგებოდ ამბობს: დაუფლვევლად დატოვებული ცხედრები ნათლის სვეტით შეიმკო და არა მარტო მათი სხეულები, არამედ მიდამოც ნათელმა მოიცვაო. ამით კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება, რომ ქრისტესთვის თავდადება უკვალოდ არ ჩაივლის და ღმერთი ყოველთვის ადიდებს მათ სულს, ვინც სხეულს შესწირავს ღვთის სახელის დაცვას.

„სუქიოსის წამება“ იმ ძეგლებს მიეკუთვნება („ისაკისა და იოსების მარტივლობის“ მსგავსად), რომლებიც სომხურ ენაზე შეიქმნა, მაგრამ ქართულმა ეკლესიამ იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია ისინი, რომ საჭიროდ ჩათვალა ამ მოწამეთა სხენების დღის დაწესება.

თხზულება იწყება აპოკრიფული ეპიზოდით, რომელიც მოგვითხრობს იუდას შეხვედრაზე საბერძნეთიდან მომავალ ჯგუფთან, რომლის მეთაურიც იყო ხრისოს. მათ შეიბყრეს იუდა და აიძულეს მათ თვალწინ სასწაული მოეხდინა. იუდამ მათი თანდასწრებით დაკლა ირემი და, როცა დანაყრდნენ, მათივე თხოვნით გააცოცხლა. ხრისოსი ამით უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგ-

რამ კიდევ ერთხელ შეამოწმა იუდა და ირმის პატარა ძვალი დამალა. იუ-  
დამ თხოვნით მიმართა მათ: „ნუ სადა ძვალი რომელიმე ირმისა ამის დამა-  
ლეთ ანუ განავდეთ და ამისთვის ვერ შემძლებელ არს ჰსრბოლად“ (კალმა-  
სობა, 331 v; მარტირიკა, 346).

ასეთი სასწაულის შემდეგ ირწმუნეს იუდას სიტყვების და დემონწაფ-  
ნენ. არტაქსერის სამეფოში მათ მიბაძეს მეფის 19 დიდებულმა, მათ შორის  
სუქიოსმაც (ანტონი ასახელებს 17 დიდებულის სახელს, „კალმასობაც“ 17  
დიდებულის სახელს ადასტურებს. ორი წმინდანის სახელი ნახსენები არ არი-  
სო, — წერს იოანე ბატონიშვილი, — და ალბათ წყაროდ „მარტირიკას“  
უნდა გულისხმობდეს).

ქრისტეს რჯულის დაგმობა სუქიოსს არტაქსერის მემკვიდრემ — და-  
ტიანოსმა უბრძანა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო: „ჩუენ სახელისათვის უფ-  
ლისა ჩუენისა იესო ქრისტისისა... დაუტევეთ მსოფლიური დიდება და შეუ-  
დევით მას... ჩუენ არა ძალ-გვიცს დატევებად უხრწნელისა დიდებისა და  
შემდგომ ხრწნადისა პატივისათვის...“ (კალმასობა, 333). „ყოველთა მეძიე-  
ბელთა თვისთა იბოებისთ ღმერთი, რომელიცა ვპოეთ და შევიყუარეთ იგი  
ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გონებითა ჩუენითა“  
(კალმასობა 333 v; მარტირიკა, 350).

დატიანოსმა იცოდა, რომ ქრისტესთვის დათმო სუქიოსმა ამქვეყნიური  
დიდება, ხორციელი პატივი, მთავრის ტიტული, ოჯახი, სიმდიდრე. ამიტომ  
შეეცადა მეფის მოციქული, რომ მისთვის სწორედ უწინდელი უღარდელი  
ცხოვრება შეეხსენებინა. ასე იმედოვნებდა მის მოციქევას: „...უმჯობეს არს  
შენდა დამორჩილებად ბრძანებისა მეფისასა და დატევებად ცული ეგე სასო-  
ებაჲ... თუ სადამე არა მორჩილი ექმნე ბრძანებასა მეფისასა მწარითა სიკუ-  
დილითა მოისპნეთ მხეცებრნი ეგე კაცნი“ (მარტირიკა, 350; კალმასობა  
333 v). მაგრამ სუქიოსი არც ისე მხდალი აღმოჩნდა, როგორც ეგონათ:  
„ჩუენ არა გუეშინის ზახებისაგან შენისა... ყოველი ხორცი თივა არს და ყო-  
ველი დიდება კაცისა ვითარცა ყუავილი თივისა, განხმა თივა და ყოველი  
დიდება მისი დამოსცვივა, ხოლო სიტყვა ღვთისა ჩუენისა ჰვიეს უკუნისამდე“  
(კალმასობა, 333 v, მარტირიკა, 351).

მართალია, განრისხებულმა მთავარმა ბარლაამ აკუწა მათი სხეულები,  
მაგრამ ღმერთმა აღიდა მოწამენი. ჯერ, ღვთის ნებით, მიდამო ნათელმა მოი-  
ცვა, მათი სხეულები კი გაუხრწნელად დარჩნენ 230 წლის მანძილზე, სანამ  
მორწმუნეებმა პატივით არ დაკრძალეს.

ასე აღიდა ღმერთმა მისი სახელის მადიდებელი გრიგორი ეპისკოპოსი,  
სომეხთა განმანათლებელიც. ეს თხზულება პანეგირიკულ ჟანრს განეკუთვნე-  
ბა, მაგრამ მოხერხებულადაა ჩართული ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობე-  
ბიც, რომლებიც ერთმანეთთან პარმონიულ მთლიანობას ქმნიან, და ამით  
ძეგლი ნამდვილად იგებს.

გრიგორი ეპისკოპოსის პიროვნება აღაფრთოვანებს იოანე ბატონიშვილ-  
საც. ის არ შეუშინდა სომეხთა მეფის — ტრდატას რისხვას და გაბედუ-  
ლად აღიარა ქრისტე: „მე ვესავ ღმერთსა მხოლოსა, რომელმან შექმნა ცა  
და ქვეყანა და შეამკო დიდებითა თვისითა და არს იგი ყოველისა შემოქმე-  
დი და დამბადებელი და იგი არავისგან ქმნილი ვითარცა კერპნი ეგე შენნი  
კაცთაგან გამოქანდაკებულნი“ (კალმასობა, 336 ა). არანაირმა ტანჯვამ არ  
გასჭრა: „უწყებულ იყავნ, მეფეო, რამეთუ ღმერთთა შენთა მკუდართა არა  
თაყუანის ვცე“, — პასუხობდა გრიგორი.

იოანე ბატონიშვილი აღტაცებით ლაპარაკობს გრიგორი განმანათლებ-  
ლის მედგარ ბუნებაზე. ქრისტესთვის თავდადებულ ადამიანს შეეძლო მხო-





ლოდ ასე ეთქვა: „მე ვილოცავ წინაშე ღმრთისა, რათა დაემხნეს შენნი და გიჩუენოს შენ გზად ქეშმარიტებისა...“ როცა მოძალადე საყვანით სერიოზულად „პირიდებოდა“, თუ არ ირწმუნებ და თაყვანს არ სცემ ჩემს სალოცავენს, გამდნარ ტყვიას გადაგასხამო (კალმასობა, 337). იოანე აღფრთოვანებით ლაპარაკობს მეორე წმინდა წამებულის — რიფსიმეს შესახებ, რომელიც იმავე ტრდატის ბოროტ სურვილს შეეწირა. რიფსიმეს, ღვთისთვის თავშეწირულ ქალს, რომელმაც თავდაც კარგად იცის, რომ „ყოველი დიდება სოფლისა ამოი არს და დაუდგრომელ“ (კალმასობა, 338 v), კიდევ ერთხელ შეახსენებს ქრისტიანისათვის ამ ელემენტარულ ქეშმარიტებას მისი გამზრდელი გაიანე, რითაც ერთგვარად ამზადებს გაზრდილს მოწამებრივი აღსასრულისათვის: „ნუცა სიკუდილისათვის გეშინის, რამეთუ სიკუდილითა ხორცთათა მოიგებ უკუდავებასა და ანგელოსთა თანა მკვიდრობასა“ (იქვე).

ანტონ კათალიკოსი, როგორც არა ერთხელ აღინიშნა, არ არის დიდი მოყვარული წმინდანთა სასწაულებრივი მოქმედებების დეტალურად აღწერისა და მით უმეტეს გახვიადებისა. პირიქით, ის შეძლებისდაგვარად ამოკლებს ასეთ ეპიზოდებს. ასეა ამ თხზულებაშიც. თუ ანტონი წერს, რომ რიფსიმე ტრდატმა საშინლად აწამა და ამით იფარგლება, იოანე ბატონიშვილი ვრცლად ლაპარაკობს, როგორ მოისურვა ტრდატმა რიფსიმეს დამორჩილება, მაგრამ ღვთის ნებით ძალამომატებულმა ქალმა ქვისგან გათლილი სვეტი აზიდა და მის ძირში მოაქცია მეფის თმა, მერე კი თავს უშველა.

როგორც დაეინახეთ, ანტონიც და იოანეც სერიოზულად არიან შემფოთებულნი ქვეყნის მდგომარეობით და თავის დასახსნელ გზას ისევ ქართული სულის გამოცოცხლებაში ხედავენ. ამისათვის წარმოგვიდგენენ ქრისტესთვის წამებულ არაქრისტიან (აბო, ეესტათი, სუქიოსი, ისაკ და იოსებ), არაქართველ (გრიგორი, რიფსიმე და გაიანე) წმინდანებს და ამით აღვივებენ ქართველებში სამშობლოსა და ღვთის სიყვარულის მინავლებულ გრძნობას. ორივე მამულიშვილი საჭიროდ მიიჩნევა ანტიმაჰმადიანური ბრძოლის გაძლიერებას და ამიტომ შეახსენებდნენ ქართველებს მათს მოვალეობას ქვეყნის წინაშე. მაგალითად, „კონსტანტინე კახის მარტილობის“ კიმენტრ ტექსტში ყურადღება გადატანილია იმაზე, რომ უკეთ გამოჩნდეს თავდადებული გმირის ზნეობრივი სიფაქიზე და ქედმოუხრელი ბუნება. ეს ხდება ბარბაროსთა ათასგვარი მკაცრი გამოთქმებით შემეკობის და მათი უღირსი საქციელის ჩვენების ფონზე.

კიმენტრი ტექსტის ავტორი ათასნაირად ამკობს კონსტანტინეს. ახსენებს მის ღვთისმშობლობას, ეკლესიისადმი თაყვანისცემას, ქვრივ-ობოლთა გამკითხაობას, სიკეთესა და სისპეტაკეს. კონსტანტინე ისეთ სიყვარულს და მოწიწებას განიცდის ღვთის მიმართ, რომ იმ საშინელი განსაცდელის მიუხედავად, რაც ბულა მთავარმა მოუვლინა საქართველოს, ერთი სამდურავი სიტყვაც არ დასცდება ქრისტეს ან ღვთისმშობლის მიმართ, პირიქით, აღიდეგს და მადლობს უფალს. ამ უბედურების მიზეზად ისევ თავისი თავი მიაჩნია, ხალხსაც ბრალს სდებს, რამეთუ მათ დაივიწყეს ღვთის სამსახური და პატივისცემა: „უწყებულ ვართ ვითარმედ ცოდუთათვის ჩუენთა და არათუ სიმართლისათვის თქუენისა მიცემულ ვართ ხელთა შინა თქუენთა“ (კალმასობა, 319; მარტირიკა, 274).

სხვათა შორის მსგავსი პასაჟები გვხვდება ერთ-ერთ თხზულებაშიც, რომლის სათაურია: „წმიდათა მოწამეთა ქუბთახეცესა შინა წამებულთათვის“. თხზულება მოგვითხრობს სამარყანდელი თურქი დამპყრობლის თემურლენ-

ვის გამანადგურებელ შემოსევაზე, რომლის აგრესიას ქართველმა ხალხმა ქრისტეს სიყვარული და მამულის ერთგულება დაუპირისპირა.

როდესაც თემურმა შეუტია ქვაბთახევის მონასტერს და ბერებისგან ღვთის დაგმობა ითხოვა, ისეთი მტკიცე უარი მიიღო, რომ თავადაც გაოცდა: „ჩუენ უკუე ხელთა შინა თქუენთა მიცემულ ვართ ცოდუათათვის ჩუენთა (კალმასობა, 329 ა), რომელნი ვჰქმნენით და განვარისხეთ შემოჰქმედი ჩუენი და ღწერთი“ (მარტირია, 332, 22—24). იოანე ბატონიშვილი სულ უფრო ნშირად მოიხსენიებს მწვალებლებს, როგორც: „ბარბაროსთ“, „ურჯულოთ“, „მტარვლოთ“, „არაწმინდათ“. მაგალითად, ბუღას ბრძანებით საპყრობილოში მოთავსებული კონსტანტინე გარჯვის მონასტრის ბერებს სწერს ეპისტოლეს და სთხოვს ლოცვებში მოხსენიებას: „მიცემულ ხელთა შინა ბარბაროსთა...“ (კალმასობა, 319; მარტირია, 275), რითაც ანტონი და იოანე კიდევ უფრო ამძაფრებენ სათქმელს. კიმენური ტექსტი გაცილებით მშრალად აღწერს კონსტანტინეს ტანჯვას, მეტაფრასტი კი ისე რეალურად ასახავს იმდროინდელ სინამდვილეს, ისე მაღალმხატვრულად აღწერს მთავრის ქედუხრელ ბუნებას, რომ მკითხველს არ უჭირს დაიჯეროს — კონსტანტინე მართლაც ყველაფერს აიტანს ქრისტეს სიყვარულისთვის.

ასეთი სულმაღალი გმირი უპირისპირდება ბუღა მთავარს და მის ჯარს. ესაა ზნეობრივი სისპეტაკით აღსავსე ადამიანი, რომელიც ბოლომდე არ დრკება და უშიშრად აცხადებს: „ვიქმნე მე ღირსი დანთხეად სისხლისა უფლისა ჩემისა იესო ქრისტესთვის“ (კალმასობა, 319). ან კიდევ: „ქრისტე არს უფალი და მიუფე ყოველთა და ღმერთი ძლიერი და ხელმწიფე მთავარი მშვიდობისა მამა მერმეთა საუკუნეთა... და შენ არა რომელსამე ღონითა შემძლებელ იქმნე ჩემი განყენება ქრისტესა“ (მარტირია, 276; კალმასობა, 319 v).

კონსტანტინე ვერ მოდრიკა ორი გამაჰმადიანებული მხედრის რჩევამაც, რომელთაც შიშის გამო უარყვეს თავიანთი სარწმუნოება და ახლა კონსტანტინეზე „ზრუნავდნენ“. კიმენური ტექსტის მიხედვით, წმინდანი მათ პასუხის ღირსადაც არ მიიჩნევს, იმდენად ბილწ ადამიანებად თვლის სარწმუნოების მოღალატეთ, „კალმასობაში“ კი კონსტანტინე წარმოთქვამს მთელ ფრანსას, სადაც ნათლად გამოხატავს თავის შეხედულებას და დამოკიდებულებას რჯულის, ერის, სინდისის გამყიდველების მიმართ: „...თქუენ არა იყვენით დაფუძნებულნი გოდოლნი კლდესა ზედა არამედ ქვიშასა, რომელიცა ადვილად შერყევითა დაცემულ ხართ და უხრწნელისა ცხოვრებისა წილ მიგილიეს ხრწანდისა სოფლისა დიდება. წარბავალ არს ჰირი ამის საწუთრომსა, ხოლო საუკუნო არს ღიდება იგი... მეცა მზა ვარ მისთვის ვნებად და სიკუდილად“ (კალმასობა, 320).

როგორც ჩანს, იოანე თავად გაიტაცა კონსტანტინე კახის პიროვნებამ. იგი ანტონის შემდგომი ეპოქის მოღვაწის თვალთ სწავლობს და აფასებს საქართველოს წარსულს. იოანე ახერხებს არარეალური ფაქტი იმდენად რეალურად მოიაზროს და გადმოგვეცეს, რომ ხელი შეუწყოს თხზულების პერსონაჟის იდეალიზებული სახის გამოკვეთას.

„კონსტანტინე კახის მარტვილობაში“ ნათქვამია, რომ მთავარი იმ დროს, როცა ამირ-მამულის ღირსეული სარდალი ბუღა შემოიჭრა საქართველოში, 85 წლის იყო. იოანე ბატონიშვილი კი შეგნებულად ერიდება მისი ასაკი დაუხუსტებას. ის დაინტერესებულია კონსტანტინეს, როგორც მებრძოლი გმირის პიროვნებით და იმის თქმამ, რომ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული მთავარი, რომელიც ელვასავით მუსრავს მტერს, 85 წლისაა, ცოტა არ იყოს დაუჯერებელი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ისეთ ეფექტს მაინც არ მოახდენდა. ამიტომ იოანე ბატონიშვილი თვალწინ გვიცოცხლებს არა წლების ტვირთით დამძიმებულ მოხუცს, არამედ მედგარ, შემართებულ, მხნე მთავარს.

ვარს, რომლის დატყვევებაც თავშეკავებელ მწუხარებას იწვევს ქართველთა შორის.

ასე რომ, კიმენური ტექსტისგან განსხვავებით, სადაც დახატულია მკვდარი მოხუცის სახე, „კალმასობასა“ და „მარტირიაში“ კოსტანტინე წარმოგვიდგება, როგორც ქედუხრელი, შეუდრეკელი მეომარი, რითაც უფრო მკვეთრად წარმოჩნდება მისი ეროვნული სწრაფვა.

იოანე ბატონიშვილი აღფრთოვანებით ლაპარაკობს აბიბოს ნეკრესელის პიროვნებაზეც, რომელიც მოვიდა საქართველოში კეთილშობილური მისიით, კერძოდ იმისათვის, რომ განემტკიცებინა ქრისტიანობა, „რამეთუ ახალ ნერგ იყუნეს მაშინ ქართველნი“ (კალმასობა, 288).

კიმენური ტექსტისგან განსხვავებით, იოანე ყურადღებას ამახვილებს აბიბოსის ახალგაზრდობის წლებზე, როცა ის ჯერ კიდევ ჭაბუკი გაეცნო და დემოწაფა იოანე ზედაზნელს, ეახლა საქართველოში, რაც ერთმა შემთხვევამ განაპირობა: თავისი სიყვარლისა და მორალური სისპეტაკისათვის მისი წასვლა თავად ღვთისმშობელმა ისურვა.

აბიბოსის პიროვნების ჩვენებას ერთი ძირითადი დანიშნულება ჰქონდა: საჭირო იყო ხალხში ეკლესიის პრესტიჟის ამაღლება. ანტონი თავად იყო სასულიერო პირი და კარგად იცნობდა ეკლესიის ცხოვრებას. ანტონი ხედავდა ქართველებში ფეხმოკიდებულ სარწმუნოებრივ ინდიფერენტობას, რასაც, მისი აზრით, ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიჰყავდა. ამიტომაც მიზნად დაისახა **განემტკიცებინა ეკლესიის ავტორიტეტი იმით, რომ წარმოეჩინა ეკლესიის**

სამაგალითო მსახურნი. ერთ-ერთ მათგანს აბიბოს ნეკრესელი წარმოადგენდა, რომელიც კეთილად იღვწოდა, ბევრი აზიარა ჭეშმარიტ რჯულს, მერე კი საჯაროდ დაგმო ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავი. ის არ შეუშინდა არაადამიანურ ტანჯვას და ბოლომდე ერთგული დარჩა ქრისტიანული სარწმუნოებისა. მრევლის საყვარელმა მოძღვარმა იცოდა, რომ ყველას თვალი მისკენ იყო მიპყრობილი და მას არ ჰქონდა უფლება ქედი მოეხარა. „... ცეცხლი იგი, რომელი დავშრიტე და კერპნი იგი, რომელი შეგემუსრენ, არა არიან ღმერთ, არამედ ნივთნი დაბადებულნი ღვთის მიერ...“ (კალმასობა, 289 v).

XVIII საუკუნის თხზულებებში თავი იჩინა ერთმა ნიშანდობლივმა თვისებამ. ეს იყო ეროვნული თემატიკით გატაცება. ეროვნულ მოტივზე შექმნილი ნაწარმოებები ნელ-ნელა წამყვან ადვილს იკავებს ქართულ მწერლობაში. ერთ-ერთი მათგანია „დავითისა და კონსტანტინეს მარტილობა“. იოანე ბატონიშვილი შესამჩნევი სიამაყით წარმოგვიდგენს ორ გმირს, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ეს სიამაყე უფრო ნათლად წარმოჩნდება, როცა იოანე თავდადებულ გმირთა ქართველობას მოიხსენიებს. მურვან ყრუ „იყო ფრიად მტერი ქრისტიანეთა და მღვწეული მათი. შეკრიბა მხედრობა თათართა... და წარმოემართა ქუეყანასა კერძოდ ჩუენისა, რომელსა უწოდდნენ გეორგიად. ბრძოლა მოხდა არგვეთთან“ (კალმასობა, 260 v). თითქოს გასაგებია, რომ ორი გმირი ძმა საქართველოს მკვიდრნი არიან, მაგრამ იოანე არ კმაყოფილდება ამით და კიდევ ერთხელ გვახსენებს მათ ქართველობას: „მას ეამსა შინა მთავარნი ესე გვართი ხეიძენი დავით და ძმა ამისივე კოსტანტინე მხენ იყვნენ აღჭურვილ ქრისტეს ზედა და მრავალგზის შემოსეს ძლევათ თათართა მათ ზედა“ (კალმასობა, 260 v).

იოანე აღფრთოვანებულია ძმების თავდადებით, გმირობით, რომლებიც სარწმუნოების დაცვით საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობასაც იცავდნენ. „მე მასმია, რომელ შენ ხარ გონება მკვეთრი და მხენ და შემმართველ ბრძოლათა შინა“ (გამოცდილ ატაკთა შინა, მარტირია, 162). და მთავარი ამა ქუეყანისა... დაუტევე უგუნურებითი სიტყვაა შენი. ერჩდე ღედის ძმისა ჩემისა ჰსჯულსა და მე გყო შენ მთავრად სპარსთა და არაბიელთა და გყო შენ სპასპეტ ყოველთა ამა მხედრობათა ზედა ჩემთა“ (კალმასობა, 261), — ურჩევდა

მურვანი დატყვევებულ დავითს, მაგრამ ის ურყევი იყო“, ვითარცა ანდამატ“. „არა ძალ-გვიცს ჩუენ დატეგებად მისა და წმიდათა მოციქულთა და მამათა მიერ მოცემულისა ჰსჯულისა და შედგომა ზღაპრებთა ჰსჯულსა თქვენთა“ (იქვე), ასეთივე პასუხი მიიღო მურვანმა კოსტანტინესაგანაც. „... მე ქრისტიანე ვარ და მხედარი ქრისტესი და ესრეთ აღვიარებ ვითარცა ძმა ესე ჩემი დავით...“ (იქვე).

აქ თავს იჩენს ერთი საინტერესო დეტალი. ანტონიც და იოანეც თხზულებებში რამდენჯერმე იხსენიებენ თათრებს და სპარსელებს არაბთა ნაცვლად. არადა ისტორიულად ცნობილია, რომ მურვან ყრუ არაბთა სარდალი იყო. ასეთი უზუსტობა ისე ხშირად მეორდება, რომ ძალაუვნებურად ყურადღებას იპყრობს. მაგალითად: მურვანმა „შეკრიბა მხედრობა თათართა“; ძმებმა „მრავალგზის შეიმოსეს ძლევა თათართა მათ ზედა“; „უკანასკნელ მივიდნენ წინაშე მურვანისა თათარნი იგი“; განრისხებული მურვანი ეუბნება ძმებს: როგორ გაბედეთ შერკინება ჩემს უძლიერეს ლაშქართან და პირადად ჩემთან, მაჰმადის დისწულთან, რომელსაც მორჩილებს მთელი სპარსეთი (კალმასობა, 269 v); მურვანს მოეწონა დავითი და შესთავაზა, თუ ჩვენს რჯულს მიიღებ“ „მე გყო შენ მთავრად სპარსთა ზედაო“.

მიუხედავად მურვან ყრუს არაბული წარმოშობისა, ანტონმა არჩია ქართველი ხალხისთვის ის სპარსელად წარმოედგინა, რადგან „არაბის ცნებას, არაბთა აგრესიულობას XVIII საუკუნის საქართველოში უკვე ისეთი მწვავე ხასიათი აღარ ჰქონდა. XVIII საუკუნის ქართველის ცნობიერებაში არაბი აღარ წარმოდგება ისეთი სიმძაფრით და საშიშროებით, როგორც VIII ს. მოქალაქისათვის“<sup>6</sup>. ამიტომ ანტონი შეეცადა ქართველი ხალხისთვის შეეხსენებინა არა შორეული წარსული, არამედ თანამედროვე ეპოქა, თავისი მტკივნეული პრობლემებით. ანტონი შეეცადა ქართველებში აღედგრა სპარსეთის აგრესიასთან ასოცირებული მტკივნეული განცდა.

იოანე ბატონიშვილი, ანტონთან შედარებით, გვიანდელი ეპოქის შვილია. როცა მხნე, ენერგიული, კათალიკოსი ანტონი, მართლაცადა ბურჯად ედგა ეკლესიას, შესაძლოა, მდგომარეობა არც ისე სერიოზული ყოფილიყო, მაგრამ როცა მოკალმასე ბერი იოანე ხელაშვილი შეხვდა „ღვთის ქურდ“ დიაკვან ფლორეს, უცოდინარ რაჰველ მღვდელს, ქრთამის მოყვარე სამღვდლო პირებს, მარხვის გამტეხ ბერებსა და პატივყარილ მონაზვნებს, ერთგვარად ნათელი გახდა, რომ ქრისტიანობის ზნეობრივი პრინციპების დარღვევამ ქართველები დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ამიტომ მიჰყო ხელი წმინდანთა ცხოვრების აღწერას, ამიტომ გააცნო (კიდევ ერთხელ) ქართველებს 18 წლის ჰაბუკის ცხოვრებისა და მოწამებრივი აღსასრულის ამბავი, ამიტომ წარმოაჩინა აბიბოს ნეკრესელის სპეტაკი ბუნება, დახატა მხნე მთავრის სახე, რომ ყველას დაენახა ის უფსკრული, რომელსაც შეუძინევლად მიდგომოდნენ და, თუ ამას დაინახავდნენ, ისევ რწმენით უშველიდნენ თავს, ხოლო რწმენის გაძლიერება ეკლესიის პრესტიჟის ამაღლებას შეუწყობდა ხელს. ამიტომაც, როცა შუშანიკ დედოფლის ღვაწლზე ლაპარაკობენ, ორივე მოღვაწე ცდილობს საეკლესიო მსახურნი ქრისტესთვის წამებული ადამიანის შემწედ და მომხრედ წარმოგვიდგინოს. მართალია, ამ თხზულებაში უკლებლივ ყველა შუშანიკის თანამგვრძობია, მაგრამ ეკლესიის მსახურთა ღვაწლი მაინც გამოჩეულია. შუშანიკის ბუნების ნათლად წარმოსაჩენად ანტონი სავანეებოდ გამოკვეთს მისი ბავშვობის წლებს, რაც განასხვავებს ამ რედაქციას კიმენური ტექსტისგან.

„კალმასობაც“ აღნიშნავს, რომ შუშანიკი იყო განათლებული, ლეთისმოშიში, რომელსაც სიყრმიდანვე ჩაუწერგეს ქრისტეს სიყვარული. ამავე დროს, შუშანიკი იყო კეთილი, მოწყალე, მიმტევებელი. ერთი სიტყვით, მის სახეში ერთიანდება ჰაგიოგრაფიული მწერლობის იდეალური გმირის ყველა დადებითი

თი ნიშან-თვისება. ანტონ I-მა კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება ურჯულო ვარსკენსა და მის სპეტაკ მეუღლეს შორის: „უკეთუ წარმითრიეს ქრული ხელბორკილითა რკინისათა, არა რამე მგამის ქრისტესათუს და უფროს სიხარულ ჩემდა იქმნების, ვიდრე დიდებით მიყუანებაჲ ბოროტპაწვრელისა“ (კალმასობა, 282). იოანე ბატონიშვილს უფრო მძაფრად აქვს ნათქვამი, როცა შუშანიკი დედოფლურ პატივსა და საპატიმროში ცხოვრებას ერთმანეთს ადარებს და ამ უკანასკნელის უპირატესობას აღიარებს. ანტონი კმაყოფილდება ამის აღნიშვნით: „თუ სადამე კრული წარმითრიოს მე, არარა მგამის, არამედ უფროსდა მიხარის, რამეთუ ვინო მავით ქრისტე ჩემისათუს“ (მარტირიკა, 93). და მაშინ, როცა ვარსკენის შიშით ვერავინ ზედავდა სენაყის კართან მიახლოებასაც კი, იაკობ ხუცესი ყოველთვის ახერხებდა შესვლას, ამხნევებდა დედოფალს, ხან რჩევას აძლევდა. ასევე ეხმარებოდნენ მას ეპისკოპოსი აფთცი, სამოელი და იოანე.

როცა ვარსკენმა მეორედ გამოათრია შუშანიკი, შეურაცხყოფდა და თან დასცინოდა: „არარა გარგო შენ ეკლესიამან და არცაღა იმედთა შენთა ქრისტიანეთა“ (მარტირიკა, 96; კალმასობა, 283 v). ამის მერე იოანე მხოლოდ გაკვრით მოიხსენიებს, რომ ვარსკენმა შეურაცხყო ერთი მღვდელი, რომელმაც შუშანიკის მიმართ ხმაშაღლა გამოხატა თანაგრძნობა.

ამ ეპიზოდს საეპოქოლ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კიმენურ ტექსტში, მაგრამ არც ანტონი და არც იოანე ამ ფაქტზე სათანადოდ არ ჩივდებიან. უფრო მეტიც, ეს ეპიზოდი ორივე თხზულებაში თითქმის გამოტოვებულია. გვიანფოდალური ეპოქის მოღვაწეების ანალიტიკური მზერა მიმართული იყო უფრო გლობალური ამოცანების გადაწყვეტისაკენ და წვრილმანი გრძნობების დასახატად არც დრო რჩებოდა და, შესაძლოა, არც სურვილი, რადგან ეკლესიის პრესტიჟის ამაღლებისათვის მებრძოლმა ანტონმა იქნებ შეგნებულადაც აუარა გვერდი სასულიერო პირის შეურაცხყოფის ეპიზოდს.

ეროვნული პათოსი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა სტეფანე მტბევარის თხზულების — „გობრონის მარტვილობის“ — ანტონისეულ რედაქციაში.

კიმენური ტექსტი ყურადღებას ამახვილებს საღმრთო წერილის იმ საკითხებზე, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანი უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს თავის ხედვრს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა გარდაუვალია. ადამიანმა არ უნდა შესცოდოს ღვთის წინაშე, დაუმორჩილებლობა კი ცოდვაა.

ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ვხვდებით რამდენიმე ადგილს წმინდანთა მიერ წარმოთქმული ფრაზებიდან, სადაც ღვთის რისხვის მიზეზად სწორედ საღმრთო შეგონებებიდან გადახვევა დასახელებული. მაგალითად, „კოსტანტინე კახის მარტვილობაში“ მთავარი გმირი ამ უბედურების სათავედ ქართველი ხალხის ცოდვებს მიიჩნევს: „უწყებულ ვართ, ვითარმედ ცოდუთათუს ჩუენდა და არათუ სიმათლისათვის თქუენისა მიცემულ ვართ ხელთა შინა თქუენთა“ (კალმასობა, 197; მარტირიკა, 274).

ასეთსავე შეხედულებებს გამოთქვამენ ქვაბთახველი წმინდანები: „ჩუენ უკუე ხელთა შინა თქუენთა მიცემულ ვართ ცოდუთათვის ჩუენთა“ (კალმასობა, 329 v), „რომელნი ვქმნენით და განვარისხეთ შემოქმედი ჩუენი და ღმერთი“ (მარტირიკა, 332, 22—24).

სტეფანე მტბევარი რამდენჯერმე სრულიად გარკვევით მიუთითებს, რომ აბულ-კასიმის გამანადგურებელი შემოსევები სწორედ იმისი ბრალი იყო, რომ სომეხმა ხალხმა დაივიწყა ქრისტეს მოძღვრება და შეუდგა ცოდვის მოლაპულ გზას. ადამიანი უნდა მიჰყვებოდეს უფლის მცნებებს, როგორც სოლომონი იტყვის: „...უკეთუ მოხვალ მონებად უფლისა, შენი თავი განუმზადე განსაცდელთა“<sup>7</sup>. მაგრამ ყველას როდი სურს განსაცდელისათვის მზადება,

ამიტომაც ივიწყებენ ღვთის რჩევას და „ამისათვის მოიწიოს რისხვა ღვთისა ნაშობთა ზედა ურჩებისათა“.

სტეფანე მტბევარის საუბარი საეკლესიო პროვიდენციალური თვალსაზრისის განვითარებას გულისხმობს. მისი აზრით, „უცხო და გარეშე მტრის შემოსევა, ომიანობა და ქვეყნის აწიოკება ღვთის რისხვაა და შურისძიება ადამიანთა უკეთურობის გამო“<sup>8</sup>.

ანტონ კათალიკოსი არ იზიარებს სტეფანე მტბევარის მოსაზრებას, რადგან ის და სტეფანე იდეოლოგიურად სხვადასხვა პოზიციაზე დგანან. XVII.I საუკუნის ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის აღარ არსებობს განხეთქილება, ყოველ შემთხვევაში, ისევე სიმძაფრით აღარ აღიქმება, როგორც X საუკუნეში. ერთმანეთის მიმართ ორივე ეკლესია ლოიალურნი არიან. ბუნებრივია, ეს იცის ანტონმა და ამიტომ არაბოთაგან სომეხთა დარბევის მიზეზებს სულ არ ასახელებს. რაც შეეხება იოანე ბაგრატიონს, მას ერთი მიზანი ამოძრავებს: ქართველებში მინავლებული რწმენის გაღვივება, მას არ აინტერესებს როგორი ურთიერთობა იყო ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის. ეს მისი ინტერესების სფეროში არ შემოდის. იოანე უშუალოდ იწყებს გობრონის ცხოვრების ისტორიის თხრობას, მაგრამ, ჩანს ქართველებსაც აწვით ცოდვა, რადგან აბულ-კასიმმა სომეხეთის აოხრების შემდეგ საქართველოსკენ გადმონაცვლა.

როგორც ჩანს, იოანესაც მიაჩნია, რომ ქართველები თავიანთი შეცოდებების გამო ეწამნენ, რადგან ხაზს უსვამს იმას, რომ კარგად გამაგრებული ყველის ციხის ერთი კლდე, რომელიც კედლის მაგივრობას სწევდა, მოულოდნელად ჩაირღვა, ზღუდე თავისით ჩამოიქცა, რითაც მტერს ქართველი მეომრების შეპყრობა გაუადვილდა. ანტონ I კი ამას აბულ-კასიმის ჯარს მიაწერს, რომლებმაც მოხერხებულად გახვრიტეს ციხე და ზღუდე ჩამოანგრეს. ნათელია, რომ ანტონი ყოველნაირად ცდილობს ამ ტრაგიკულ შემთხვევას ღვთიური საბურველი მოაშოროს და ადამიანთა ბოროტგანზრახვა დაგვანახვოს.

გობრონმა არაადამიანური ტანჯვა გადაიტანა, მაგრამ არ შედრკა, რადგან იცოდა — „შვილნი, რომელნი უყვარან უფალსა, სწავლნის და ტანჯნის“<sup>9</sup>. ამიტომ უყოყმანოდ შეეწირა ქრისტეს.

იოანე ბატონიშვილი სიამაყით ლაპარაკობს ქართველ გმირზე, მაგრამ მისი ეროვნული პათოსი უფრო ნათლად ჩანს „კოსტანტინე კახის მარტილობაში“. ანტონ კათალიკოსმაც კოსტანტინეს სახეს მტრი ემოციური დატვირთვა მისცა, რითიც ესწრაფოდა ქართველებში ეროვნული სულისკვეთების გაღრმავებას და ამ ფაქტს ანტონის და იოანეს თანადროულ ეპოქაში უდიდესი რეზონანსი უნდა ჰქონოდა.

ანტონის ყურადღება მიიპყრო ქართველი ერისგან წმინდანად შერაცხულმა კიდევ ერთმა ქართველმა მოწამემ, შალვა ახალციხელმა, რომელიც ეწამა „თბილისის აოხრებისა და მის დატყვევებულ მოქალაქეთა მასობრივად დახოცვის ამბებზე ორი წლით ადრე“<sup>10</sup>.

ეს იყო ისტორიაში ცნობილი გარნისის ბრძოლა, რომელშიც ქართველებმა სასტიკი დამარცხება იკემეს და სადაც დაატყვევეს შალვა ახალციხელი.

შალვა თამარ მეფის კარზე ერთ-ერთი საპატიო პირთაგანი იყო, რომლის შესახებ ცნობებს გვაძლევს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაგანი“. ბასიანის ბრძოლაში „ლაშქარი წარემართნეს. წინამებრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე; დაღათუ შალვა მანდატურთუხუცი იყო“<sup>11</sup>. ამასვე იმეორებს ბასილი ეზოსმოძღვარი თავის თხზულებაში — „ცხოვრება მეფეთ მეფეთ თამარისი“<sup>12</sup> და ჟამთააღმწერელი „მონღოლთდროინდელი მატანიეში“<sup>13</sup>.

„კალმასობის“ ეს ეპიზოდი იწყება ქართველთა ჯარისა და ნოქარდის

სულტანის ბრძოლის მოკლე აღწერით, სადაც შალვა ახალციხელი ჯარის წინამძღოლად მოჩანს. შალვა ისტორიულ წყაროებში დახასიათებულია, როგორც საუკეთესო მეომარი, მხნე, ბრძოლაში შეუპოვარი. სწორედ ამ თვისებებმა განაპირობეს მისი საპატიო ადგილი მეფის კარზე.

ამავე დროს შალვა ეროვნული გმირია ქართველი ერისა. გარნისის ომში ივანე ათაბაგი, მოწინავე სარდალი „უამსა მიმცხოვნებულ იყო, არა განცხადებულად, არამედ ფარულად მონაზონქმნილი იყო“<sup>14</sup>.

ანტონ I „მარტირიკაში“ ეყრდნობა ამ ფრაზას, მაგრამ თავს ვერ იკავებს და ერთგვარი სინანულით უმატებს — „უმჯობეს იყო და ჩუენდაცა საყოფლოდ სავანედ მემხოლოთა, რომლითა უფრორე თვისუფლოდ განიბერტყდა ჯორტა და სულსა, ნუთუჟე უბიწოდ წარადგენდა წინაშე თუალხუავად შურისიგებელისა მჰსაჯულისა. ხოლო ჩუენ ნუთუ განვერენითმცა მაშინდელისაგან ყოვლად იძნუარისა აღსპობისა“<sup>15</sup>.

ანტონს მხედველობაში აქვს ის განადგურება, რაც გამოიწვია იოანე ათაბაგის პირადმა დამოკიდებულებამ შალვა ახალციხელისადმი. ათაბაგი შურით იყო აღვსილი, რასაც მემატინე არ ფარავს: „შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა“, რომელსაც განიცდიდა ივანე ათაბაგი და ამ შურმა „ათაბაგსა ივანეს არწმუნა, რომელ უამსა წყობისა და უამსა ომისასა უკუნ დგა და არღარა ვიდოდა მბრძოლთა კერძ“<sup>16</sup>.

იოანე საკმაოდ მკაცრად ლაპარაკობს მოლაღატე ათაბაგის შესახებ, თუნდაც იმბტომ, რომ იოანეს, თავად მეომარს, აღა-მაჰმად-ხანისა და ომარ-ხანის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების გმირს, შესაძლოა, ყველაზე უკეთ ესმოდა მაშველი ჯარის მოლოდინში სასოწარკვეთილი შალვა ახალციხელის განცდები.

ჯალალედინი პატივისცემით შეხვდა დატყვევებულ შალვა ახალციხელს, ათასნაირი სიკეთით აავსო, მაგრამ რჯულის დათმობაზე ვერ დაითანხმა: „... ნუ მაწუვე მე დატყვევებდ ჰსჯულისა... რომელ ვერარამან განმაყენოს მე სიყუარულსა ქრისტესა“ (ჯალმასობა, 326).

ანტონის „მარტირიკაში“ შალვას პასუხი უფრო მკვეთრი და ცივია „... ნუ მაწუვე მისულად ესე გუარისა მიმართ უგუნურებისა, რომელი ჰსმენადცა საძაველ არს. ჰეშმარტისა ღმრთისა ჩემისა უარისყოფა შეუძლებელ არს ჩემგან...“ (მარტირიკა, 314).

ანტონ კათალიკოსის და იოანე ბატონიშვილის ტექსტებზე დაკვირვება და მათი შეჯერება ნათლად მიუთითებს მათი ეპოქის პრობლემებსა და სატკივარზე. კიმენურ რედაქციაში შეტანილი ცვლილებები სწორედ ეპოქის სულს გამოხატავენ. ანტონის პოზიცია და მისი პერიოდის საჭირობოროტო საკითხებიც სწორედ გადამეტაფრასების პრინციპებში ჩანს. იოანეს დროს მას კიდევ ახალ-ახალი ნიუანსები ემატება და კიმენურის უკვე ანტონისეული გადამეტაფრასებული რედაქციაც კიდევ ერთხელ იცვლება. ამ ცვლილებების თვალის გადავანება კი იოანე ბატონიშვილის პოზიციასა და მისი ეპოქის ლიტერატურულ პრინციპებზეც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. „ჯალმასობა“ ამ მხრივაც დიდ ყურადღებას იმსახურებს და მისი „მარტირიკასთან“ შეჯერება მრავალმხრივ საინტერესო დასკვნებს იძლევა.

#### გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. იოანე ბატონიშვილი, „ჯალმასობა“, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I—II ტ., თბ., 1936, 1948. ანტონ კათალიკოსი, მარტირიკა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. VI, თბ., 1980.

2. რ. ბარამიძე, სამოქალაქო მოტივები ანტონ პირველის ჰიმნოგრაფიაში, „მაცნე“, ელს, 1959, № 11.



- 4. ქართული პროზა, ტ. I, თბ., 1981.
- 5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. VI.
- 6. რ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 155.
- 7. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 145.
- 8. იქვე, გვ. 145.
- 9. ქართული პროზა, I, გვ. 158.
- 10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. VI, გვ. 506.
- 11. ქართული პროზა, III, თბ., 1982, გვ. 231.
- 12. იქვე, 265.
- 13. იქვე, გვ. 280.
- 14. იქვე, გვ. 295.
- 15. ა. კათალიკოსი, მარტირიკა, 331, 20—25.
- 16. ქართული პროზა, ტ. III, გვ. 295—296.

Т. Я. ХВЕДЕЛИАНИ

«КАЛМАСОБА» И БАТОНИШВИЛИ И ГРУЗИНСКАЯ АГИОГРАФИЯ (V—X вв.)

Резюме

В процессе изучения литературных источников энциклопедического труда «Калмасоба» Иоанна Батонишвили (1768—1830) одним из важнейших вопросов представляется определение места и художественной функции духовной литературы, в частности, агиографических материалов.

Поскольку христианское мировоззрение, отраженное в духовной литературе, являлось благоприятной почвой для борьбы с царившей в стране безнравственностью и невежеством, Иоанн Батонишвили, проповедуя высокую мораль, благонравие и благомыслие, опирался именно на идеи христианства. Этим и объясняется широкое использование им в произведении агиографической литературы.

Множество эпизодов и пассажей, которые без изменений переносят в свое пространное повествование Иоанн Батонишвили из произведения выдающегося деятеля позднефеодальной Грузии Антона I «Мартирика», свидетельствует о том, что он отдает последнему предпочтение (по сравнению с кименическими редакциями). Позиция Антона I проявляется именно в процессе переметафрасирования кименических редакций, а Иоанн Батонишвили добавляет новые нюансы в переметафрасированный текст Антона I, тем самым в определенной системе даже видоизменяя его.

Изучение этих изменений дает определенное представление о писательской позиции Иоанна Батонишвили и литературных принципах его времени.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა



ენო მელიქიშვილი

იოსებ ფლავიოსის თხზულების — „მოთხრობანი იუდაებრივისა ქუელსიტყუაოგისანი“ — ქართული თარგმანის ისევ ბერძნული წყაროს უმისახეზ

მრავალთავის მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ჩვენ ვმსჯელობდით იოსებ ფლავიოსის თხზულების — „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ<sup>1</sup>. შევეუდარეთ რა ქართული თარგმანი ბერძნულ დედანს<sup>2</sup>, დავასკვნით: „L კოდექსში შედის „იუდეველთა სიძველეთა“ მხოლოდ XI—XV წიგნები. ეს გარემოება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. საქმე ისაა, რომ უძველესი ქართული ნუსხები — A 675 და ქუთ. 10 შეიცავენ თხზულების მხოლოდ 15 წიგნს. აქამდე გაურკვეველი იყო ბოლო ხუთი წიგნის საკითხი: არ ყოფილან ისინი ქართულ ენაზე თარგმნილნი, თუ ხელნაწერის დაზიანების გამო დაიკარგნენ. ამჟამად, ვფიქრობთ, ნათელი მოეფინა ამ გაურკვეველ სფეროს: თუ წყარო თარგმანის XI—XV წიგნებისა არის L კოდექსში შემავალი ტექსტი, რომელიც მხოლოდ XI—XV წიგნებს მოიცავს, სავარაუდოა, რომ დანარჩენი XVI—XX წიგნები ქართულ ენაზე არც ყოფილა თარგმნილი“<sup>3</sup>.

წერილის ეს ძირითადი დასკვნა ძალაში რჩება. ამჯერად გვსურს მეტი სინათლე შევიტანოთ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს საკითხში. ვეყრდნობოდით რა ბერძნული დედნის ერთ-ერთ გამოცემეულს, თეკერეის, რომელიც წერს, რომ პირველი 10 წიგნის მანძილზე თხზულების წყაროები განსხვავდება ბოლო 10 წიგნისათვის გამოყენებული წყაროებისაგან<sup>4</sup>, ვვარაუდობდით, რომ ქართველ მთარგმნელსაც ორი წყარო ჰქონდა ხელთ: ერთი — პირველი ათი წიგნისათვის, მეორე — XI—XV წიგნებისათვის. მაგრამ ქართული თარგმანის უფრო გულდასმით შესწავლამ ჩვენ სხვა ვარაუდის დაშვების შესაძლებლობაც მოგვცა, კერძოდ: დედანი ქართული თარგმანისათვის, შესაძლოა, იყო არა ორი სხვადასხვა ნუსხა, არამედ ერთი ისეთი ნუსხა, რომელშიც წარმოდგენილი იყო თხზულების I—XV წიგნები.

1 ნ. მელიქიშვილი, იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანის არსებული ნუსხები და მათი ბერძნული წყარო, მრავალთავი, 1985, № 11, გვ. 24—31.

2 ვსარგებლობთ ამ თხზულების უკანასკნელი და ყველაზე სრული გამოცემით: Josephus, with an English translation by H. St. J. Thackeray, M. A. Ralph Marcus, Ph.D., Lois Feldman. In nine volumes. Jewish Antiquities IV—IX, London, MCMLXI—MCMLXVI.

3 ნ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

4 Josephus, ტ. IV, გვ. XVII.

ამ ვარაუდის უფლებას ჩვენ ვვაძლევს სწორედ ასეთი სისრულის (I—XV წიგნები) XIV ს-ის F ნუსხა (Codex Laurentianus, plut. 69, cod. 20), რომელიც ბერძნული ტექსტის გამომცემლებს I—X წიგნების მანძილზე L ლიტერით აქვთ აღნიშნული<sup>5</sup> (არ უნდა ავუთრიოთ ეს L იმ L-ში, რომელშიც მხოლოდ XI—XV წიგნებია წარმოდგენილი და რომელსაც მისდევს ქართული თარგმანი ამ წიგნების მანძილზე).

ზემოთ ნახსენებ წერილში ბერძნულ გამოცემაზე დაყრდნობით ჩვენ აღნიშნეთ, რომ „I—X წიგნების სხვადასხვა კოდექსში დაცული ბერძნული ტექსტი ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. მართალია, იქმნება კოდექსების გარკვეული დაჯგუფებები, მაგრამ ისინი არამყარია და ხშირად იწლება: სხვადასხვა ჯგუფის კოდექსთა ჩვენებები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. ამ პირობებში გარკვევა იმისა, თუ რომელ მათგანს უფრო მეტად უჭერს მხარს ქართული თარგმანი, არ ხერხდება“<sup>6</sup>.

გვსურს მცირე შესწორება შევიტანოთ მოყვანილ აბზაცში: ქართული თარგმანი I—X წიგნების მანძილზე გარკვეულ მსგავსებას ავლენს L (იგივე F) ნუსხასთან. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

ოჯონოზა 1:6,17. Ὁ Ἰακώβου 1<sub>124</sub>.<sup>8</sup> L: Ὁ Ἰανῆου. მიმყვანებელ იყო 1:12,1. ἀγόμενον 1<sub>209</sub>. L: ἀγόμενον ἦν.

სიიროდ 1:18,1. τὸ ψαυραυ 1<sub>258</sub>. L: Σήξειρις.

III:9,3-ში ქართულ თარგმანში, ისევე როგორც L ნუსხაში, საუბარია სამადლობელი მსხვერპლის შეწირვის შესახებ (Χαριστηρίων), ძირითად ბერძნულ ტექსტში კი საუბარია ცოდვილთათვის შეწირულ მსხვერპლზე (Θύσαι: δὲ ψαυ: ἰπ: ἀπαρξίνων 3<sub>230</sub>).

V:6,2-ში L-სა და ქართულ თარგმანში არის „მოვონებისა“, რომელიც არ არის ძირითად ბერძნულ ტექსტში: „საქმეთა მოვონებისა უტუქლურეს V:6,2. παραμύθια ἀπονεύσασθεον 5<sub>214</sub> L: +ἐπινοία.

V:9,2: სახელით მოქალაქენი; ἰσπαζინ 5<sub>223</sub>. L: +τὸν πῶλετον.

V:10,4: ოლი, განღებულმან; Ὁ Ἡλεις: ἰαυαζამინ: 5<sub>349</sub>. (ნი-აუჯჯა = გათენებისა). L: ἰσπυ: ἰამინ: (ნი-აპინჯა = გაღვიძება).

მსგავსი მაგალითები კიდევ შეგვიძლია მოვიყვანოთ. მათში L-ს ხან რომელი ბერძნული ნუსხის ჩვენება უჭერს მხარს, ხან რომელი. მართლაც, კოდექსთა ეს ჯგუფები, როგორც აღნიშნავს ბერძენი გამომცემელი, საკმაოდ ცვალებადია. მაგრამ იმის გამო, რომ XI—XV წიგნებშიც F ნუსხა (იგივე L I—X წიგნებში) თითქმის ყოველთვის მხარს უჭერს L-ის ჩვენებას<sup>9</sup>, რომელიც XI—XV წიგნებს შეიცავს მხოლოდ და რომელსაც ამ წიგნების მანძილზე ასე კარგად მისდევს ქართული თარგმანი, ვვარაუდობთ, რომ არსებობდა I—XV წიგნების შემცველი რომელიღაც ნუსხა, რომელიც საფუძვლად დაედო როგორც F-ს, ასევე L-ს და აგრეთვე თხზულების ქართულ თარგმანს.

<sup>5</sup> Josephus, ტ. VI, გვ. VII.  
<sup>6</sup> ნ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.  
<sup>7</sup> მაგალითები მოგვეყვას თხზულების ჩვენ მიერ გამოცემული ქართული თარგმანიდან: მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, I—II, თბ., 1987—1988. რომელიც ციფრით აღნიშნული გვაქვს თხზულების წიგნი, არაბულით — თავი და მუხლი.  
<sup>8</sup> ბერძნული მაგალითები მოგვეყვას დასახელებული ბერძნული გამოცემის მიხედვით.  
<sup>9</sup> მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, I, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევდა დაურთო ნინო მელიქიშვილმა, თბ., 1987, გვ. 20.

ЕЩЕ РАЗ О ГРЕЧЕСКОМ ИСТОЧНИКЕ ПЕРЕВОДА  
ТРУДА ИОСИФА ФЛАВИЯ «ИУДЕЙСКИЕ ДРЕВНОСТИ»

Резюме

В статье дан анализ дополнительного материала, который уточняет вопрос о греческом источнике грузинского перевода труда Иосифа Флавия «Иудейские древности». Грузинский перевод в пределах первых десяти книг стоит близко к греческому списку XIV века F, который содержит I—XV книги труда. Кодекс L, содержащий XI—XV книги труда Флавия и являющийся источником этой части грузинского перевода, принадлежит к той же редакции, что и кодекс F. Сказанное дает возможность предположить существование ныне утерянного источника грузинского перевода и F и L кодексов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის  
ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა  
ე. მეტრეველმა

## ბრძოლა აბაშიძე

 „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის ქართული წყაროს კვლევის  
საკითხისათვის

აღნიშნული საკითხის კვლევისას ყურადღებას იქცევს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ დასაწყისში, ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობისა და ქართლის სამეფოს შექმნის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაწილში არსებული ერთი ცნობა, რომელიც ჰონებს შეეხება. ქართლში მცხოვრებ ბუნ-თურქთა ყოფის აღწერის შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲსში“ აღნიშნულია: „მაშინ მოვიდეს ნათესაენი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰქვან მას ხერკი“<sup>1</sup>.

საყურადღებო პარალელი მოებოება ამ ადგილს „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც მას, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებები გააჩნია — „ჰურიებს“ შეეხება და ალექსანდრე მაკედონელის ებოქაზე უფრო ადრინდელი ქართლის ისტორიასთან დაკავშირებით გვხვდება, მაგრამ აშკარა ტექსტობრივი მსგავსება ამ ცნობასთან მაინც აქვს, რაც შენიშნულია კიდევ. იმ ეპიზოდის შემდეგ, რომელიც ირანის ლეგენდარული მეფის — ქაიხოსროსაგან დევნილ თურქთა (იგივე ბუნ-თურქთა) ქართლში მოსვლისა და მცხეთის მამასახლისთან მოლაპარაკების შემდეგ აქ დასახლებაზე მოგვითხრობს, „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია: „გამოვდეს ამას შინა ქამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი (ვარიანტი ჰურიანი. — ე. ა.) მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი, და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აჴ ჰქვან ხერკ ხარკისა მისთვის“<sup>2</sup>.

მოყვანილი ტექსტების აშკარა მსგავსებაც და განსხვავებაც ცხადია, ისევე როგორც ცხადია მსგავსებაც და განსხვავებაც მთლიანად ამ ორ თხზულებას შორის. ცნობილია, რომ ეს არ არის შემთხვევითი, რომ „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის ტექსტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. აქ ორი შესაძლებლობა დავუშვით: ან „მოქცევაჲს“ მატიანე წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ძირითად წყაროს, მის „ხერხემალს“, რომელსაც „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ავრცობს, სხვა წყაროებით ამდიდრებს და ზოგ შემთხვევაში რედაქციულად ცვლის მის ცნობებს, ან ორივე ეს თხზულება საერთო წყაროდან მომდინარეობს (სხვა შესაძლებლობა გამოვრიცხეთ, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი უფრო გვიანდელია „მოქცევაზე“)<sup>3</sup>. ამიტომ „მოქცევაჲს“ მატიანის წყაროების კვლევა „ქართლის ცხოვრების“ („მოქცევაჲს“ მატიანის ფარგლებში) წყაროების კვლევისავე უკავშირდება და პირუტყუ.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილ ცნობას, ცხადია, რომ ის ცნობილ ბიბლიურ გადმოცემას — „ბაბილონის ტყვეობას“ უკავშირდება (რასაც, როგორც ცნობილია, ბაბილონის — ახალი ბაბილონის სამეფოს ქალდეური დინასტიის მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 604—562) დროს ჰქონდა ადგილი), და ამ მხრივ ლოგიკურია და ყოვლად გამართული. დაცულია ისტორიული პერსპექტივა — ცნობა გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ „ლე-

გენდარული ნაწილის " შემდეგ და ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის წიგნ და თუმც მცირე უზუსტობით ქრონოლოგიატ<sup>4</sup>.

არსებობს აზრი, რომ „მოქცევას“ მატეანის ცნობა (ჰონებთან დაკავშირებით) შეუსაბამობას შეიცავს ჰონების ქალდეველებთან, ე. ი. ბაბილონელებთან, დაკავშირების გამო, რომელთაც, როგორც აღნიშნავენ, ისტორიულად არავითარი შეხვედრის მომენტი არ გააჩნიათ<sup>5</sup>. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ვარაუდობა აღმოჩნდა თვალშისაცემი „წმ. ნინოს ცხოვრების“ XII ს-ის მეტაფრასისთვისაც (რომლის წყაროს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წარმოადგენს)<sup>6</sup>, რადგანაც მან შეცვალა ეს ადგილი — „ჰონების“ ამოგდებით „გამართა“ იგი: „ქუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველთაგანნი“<sup>7</sup>.

ე. თაყაიშვილმა ჰუნების ამ ადგილას გაჩენის მიზეზად „მოქცევას“ გადაშერის შეცდომა ჩათვალა. მისი აზრით, „მოქცევას“ „ჰონნი“ დაქარაგმებულ „ჰურიათა“ მცდარი წყაითხვის შედეგად უნდა იყოს მიღებული<sup>8</sup>. ნ. ჯანაშიაც, რომელიც თვლიდა, რომ „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ, ალექსანდრეს ლაშქრობის ეპიზოდში, დამოკიდებულია „მოქცევას“ შესაბამის ტექსტზე, ე. ი. ბაბილონელებთან, კავშირში სწორედ ებრაელები უნდა ყოფილიყვნენ მოხსენიებული და არა ჰუნები<sup>9</sup>. მაგრამ, მისი აზრით, „არც ისა გამოირიხებული, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა „ჰონების“ თვითონ გაასწორა „ურიებად“ მათი ქალდეველებთან ერთად მოხსენიების გამო...“ „მას შემდეგ, რაც „ჰონები“ „ურიებად“ გასწორდნენ, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა „ქალდეველთაგან გამოხსმულნი ჰურიანი“ სავსებით სამართლიანად დაუკავშირა ნაბუქოდონოსორის სახელს“, რითაც მან გაასწორა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მატეანის ანაქრონიზმი (რადგანაც „ჰონების“ თუ „ჰურიათა“ ქალდეველთაგან „გამოსხმა“ აქ ალექსანდრე მაკედონელის დროს ხდება) „და ეს ამბავი წინა თავში, ე. ი. ალექსანდრეზე აღრინდელ ეპოქაში გადაიტანა“<sup>10</sup>. მაგრამ ამით აუხსნელი დარჩა ამ ცნობის „მოქცევაჲში“ გაჩენის მიზეზი, რაც თუმცა არც წარმოდგენდა მეცნიერის სპეციალური კვლევის საგანს.

მამასადამე, ნ. ჯანაშიამ ე. თაყაიშვილის ვარაუდი „მოქცევას“ „ჰონებთან“ დაკავშირებით დასაშვებად ცნო, ხოლო ქართლის ცხოვრების „ჰურიებთან“ დაკავშირებული გადმოცემის წყაროდ, ყველა შემთხვევაში, „მოქცევას“ შესაბამისი ადგილი ჩათვალა.

ქალდეველებთან კავშირში ჰუნების მოხსენიება არ უნდა იყოს წინაღმდეგობრივი, რადგანაც ძველ ქართულ მწერლობაში ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანაში ხშირად ირანი იგულისხმება ხოლმე<sup>11</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ჰონების“ „ჰურიებად“ „ჩასწორებაც“ „მოქცევაჲში“ მხოლოდ გარკვეულწილად თუ არის გამართლებული. ცხადია, „ქალდეველთაგან გამოხსმულ“ „ჰურიათა“ ქართლში მოსვლა ლოგიკურია — ისე როგორც ეს „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი. მაგრამ ამით მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები წარმოიქმნება, რაც საჭიროებს ახსნას. ჯერ ერთი, ქალდეველთაგან „გამოსხმულ“ ჰურიათა („ჰონთა“ „ჰურიებად“ „ჩასწორების“ შემთხვევაში) ქართლში მოსვლა ნაბუქოდონოსორის დროს არის ლოგიკური, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებაშია“, და, ცხადია, არა ალექსანდრე მაკედონელის დროს, რაც აღინიშნება კიდევ, მაგრამ კომენტარის გარეშე რჩება. და, რაც მთავარია, ის კონტექსტი, რომელშიც იხსენიებიან „ჰონები“ „მოქცევაჲში“, არანაირად არ შეესაბამება აქ ნაგარაუდევ „ჰურიებს“.

ალექსანდრე მაკედონელიც და „ჰურიებიც“ „მოქცევაჲში“ მხოლოდ და მხოლოდ დადებით ასპექტში არიან წარმოდგენილნი. ალექსანდრე მაკედონელი

დონელი აქ ქართლის სამეფოს მამამთავრად არის გამოყვანილი, რომელიც სპობს და აძეგებს ქართლიდან ველურ ბუნ-თურქებსა და ჰონებს („ჰონთა დასცა მახვილი“), რაც აძლედა სწორედ საშუალებას მას შექმნას ქართლის სამეფო. ალექსანდრე, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით, ქართლის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, რაც „მოქცევაში“ საგანგებოდ არის ხაზგასმული<sup>11</sup>.

ჰურიების ქართლში სრულიად მშვიდობიანი მოსვლა „მოქცევაში“ მატჩანეში სპეციალურად არის აღნიშნული. ქართლში ორმეფობის ყამს, ქარძამისა და ბრატმანის მეფობის დროს — „ამათთა ყამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“<sup>12</sup>. ამ ფაქტის საგანგებოდ აღნიშვნა „მოქცევაში“, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ (ციტირებულ ადგილას), ამ თხზულებათა ქართლის ებრაელთა მიმართ დამოკიდებულების ვათვალისწინებით, ცხადია, რომ არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც აქ არის ხაზგასმული, სწორედ ქართლის ებრაელებს ჩამოაქეთ მცხეთაში ქრისტეს კუართი ჯვარცმის შემდეგ, რაც უკვე მირიანის მეფობის დროს წმ. ნინოს მცხეთაში ჩამოსვლისა და შემდეგ ქართლის მოქცევის საბაბი ხდება. „მოქცევაში“ ქართლის მოქცევის ისტორია (ან პრეისტორია) სწორედ ამით იწყება — ჯვარცმის დროს მცხეთელ „ჰურიათა“ იერუსალიმში გამგზავრების ამბით. „მოქცევაში“ მიხედვით, „ჰუმარიტი ღმერთი“ ქართლში ქართლის მოქცევამდე „ჰურიათა ბაგინში“ იყო და სხვ., რის გამოც ქართლის ებრაელებს — მათ გაქრისტიანებულ ნაწილს და მათ ისტორიას — „მოქცევა ქართლისაში“ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეთმობა<sup>13</sup>. ასე რომ, ქართლის სამეფოს დამაარსებლის — ალექსანდრე მაკედონელის მიერ ველურ ბუნ-თურქებთან ერთად „ჰურიების“ მოსპობა „მოქცევაში“ არანაირად არ არის მოსალოდნელი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ „ჰუნების“ „ჰურიებად“ „ჩასწორება“ „მოქცევაში“ მატჩანეში გაუმართლებელი უნდა იყოს.

„მოქცევაში“ „ალექსანდრიანი“ (სადაც გვხვდება განსახილველი ცნობა) მწიგნობრული წარმომობისაა და სრულიად სხვადასხვაგვარი გადმოცემების შერწყმის შედეგად არის ჩამოყალიბებული. მის ერთ-ერთ ასეთ წყაროს წარმოადგენს V ს-ის II ნახევრისა და VI ს-ის 20-იანი წლების სირიელი ავტორის იაკობ სერულელისა და მის ნაშრომზე დამოკიდებულ სხვა თხზულებებში გადმოცემული ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში ლაშქრობის შესახებ, სადაც „უწმინდურ ტომთა“ ავი ზნე ჰუნებს მიეწერება<sup>14</sup>. წინა აზიაში ფართოდ გავრცელებული ეს და სხვა ამგვარი ლეგენდები ალექსანდრეს ლაშქრობის შესახებ კავკასიაში „უწმინდურ ტომთა“ და მათ შორის ჰუნთა წინააღმდეგ, როგორც ფიქრობენ, განსაკუთრებით ანტენსიურად, ზეპირი თუ ლიტერატურული ვხვით, ქართლში სწორედ ჰუნებისა და თურქების ძლიერების ხანაში — ახ. წ. IV—VI სს-ში იჭრებოდა და „მოქცევაში“ ავტორისთვის კარგად ცნობილი იყო<sup>15</sup>.

მავასადამე, „მოქცევა ქართლისაში“ მატჩანეში ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობასთან დაკავშირებით ჰუნების მოხსენიება (ისევე როგორც ბუნ-თურქების), და სწორედ აქ აღნიშნულ კონტექსტში (სწორედ „ჰონების“ და, ცხადია, არა „ჰურიების“), შემთხვევითი არ არის — საესებთ ლოგიკურია და მოსალოდნელიც კი. ასე რომ, დაქარაგმებულ „ჰურიათა“ მცდარად „ჰონებად“ გააზრება „მოქცევაში“ „ალექსანდრიანის“ ავტორის, და არა მის გადააწერის, შეიძლება რომ ეკუთვნოდეს; ის რომ ამ ცნობაში („ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი“) „ჰონთა“ „ჰურიებად“ „ჩასწორება“ დასაშვებია, ექვს არ იწვევს, მაგრამ, ამავე დროს, არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ „მოქცევაში“, ამ კონტექსტში „ჰურიათა“ მოხსენიება გამორიცხულია. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ცნობა ქალდეველთაგან „გამო-



სხმულ“ ჰურიათა შესახებ (იგულისხმება, რომ ნაბუქოდონოსორის და არა ალექსანდრე მაკედონელის დროს) „მოქცევაჲს“ წყაროში უნდა ვიპოვოთ, რომელიც დაქარაგმებულ „ჰურიათა“ მცდარად „ჰონებად“ გააზრების გამო „მოქცევაჲს“ ავტორმა თავისი თხზულებისათვის გამოიყენა. ამ ვარაუდს, რომ „მოქცევაჲს“ ავტორს ებრაელთა ქართლში მოსვლის შესახებ არსებული ქართული წერილობითი წყარო უნდა ჰქონოდა ხელთ, მხარს უჭერს ისიც, რომ ბუნ-თურქები „მოქცევაჲსში“ იგბოსელთა — ებრაელი ტომის — „ნათესავად“ არიან დასახელებული<sup>16</sup>, რაც, ცხადია, აშკარა გაუგებრობას წარმოადგენს<sup>17</sup>. შეიძლება ისიც გვეფიქრა, რომ „იებოსელთა ნათესავნი“ „მოქცევაჲს“ ნაგარაუდევ წყაროში ნაბუქოდონოსორის დროს „გამოსხმულ“ ჰურიათა შორის ყოფილიყვნენ დასახელებულნი.

ებრაელთა კავკასიაში, ამ შემთხვევაში ქართლში, ნაბუქოდონოსორის დროს მოსვლის გადმოცემას, რომელიც ფართოდ გავრცელებული ჩანს კავკასიის მკვიდრ ებრაელთა შორის<sup>18</sup>, საფიქრებელია, რომ თავდაპირველად სწორედ მათი წრიდან გაეკვლია გზა ზეპირი თუ ლიტერატურული გზით ქართულ წყაროებში<sup>19</sup>. წერილობით გაფორმებული ამ ტრადიციის არსებობა ქართულ საისტორიო მწერლობაში უკვე VII ს-ის შუა ხანებისთვის არის საგარაუდებელი, როცა უნდა ასახულიყო ის, თუმც ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“<sup>20</sup>.

**შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი**

1. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, იხ. წიგნში: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1964, გვ. 81.
2. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 15—16.
3. ე. აბაშიძე, ქართლის ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1988, № 3, გვ. 133—134.
4. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 62—72.
5. ნ. ჯანაშია, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის, წიგნში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 137—138.
6. ამასთან დაკავშირებით იხ. მ. ჩხატარაიშვილი, „ნინოს ცხოვრების“ პროტო-ტიპოლოგიური რედაქცია — მეტაფრასული რედაქციის წყარო, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1978, № 1.
7. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 3, თბ., 1971, გვ. 46. სწორედ აქედან მოხდა ეს ადგილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ რედაქციის ნუსხებში და შემდეგ, მათი გავლენით, „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელ გამოცემაში (იხ. ქ. ცხადაძე. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ერთი ჩანართის წყარო, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 1).
8. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ზრონიკა, ტფ., 1890, გვ. CI.
9. ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 137—138.
10. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1956, ითრუჯანი, გვ. 269.
11. ე. აბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—132.
12. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 82.
13. ე. აბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.
14. გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 149—155.
15. იქვე, გვ. 154.
16. მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 81.
17. ნ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.
18. И. Черны й, Горские Евреи, Спб., 1902, გვ. 8.
19. ებრაელი დიასპორის ქართლში არსებობა ახ. წ. IV—V სს-თვის, როგორც ცნობილია, არქეოლოგიური მასალით დასტურდება. იხ. გ. წერეთელი, ენიმკის მოამბე, 1940,

ტ. V—VI. გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 46.

20. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უფრო ადრეული ხანით — V ს-ის II ნახევრით — დათარიღებაჲც არსებობს (მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოასი“, თბ., 1987, გვ. 81—89). მაგრამ, რადგანაც „ქართული ალექსანდრიანის“ შექმნის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს VI ს. წარმოადგენს, „მოქცევაჲში“ კი მისი ერთ-ერთი რედაქცია გვხვდება, განხილული ცნობაც ამაზე უფრო ადრეული ხანისა არ უნდა იყოს (გ. მამულია, დასახ. ნაშრომი, გვ. 155). „მოქცევაჲს“ მართიანის კომპოზიცია კი აქ დაცული „ალექსანდრიანის“ რედაქციის შექმნის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად პერაკლე კეისრის ქართლში ლაშქრობის ხანას გვევარაუდებინებს (იხ. ე. აბაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131—133).

Э. Г. АБАШИДЗЕ

## К ВОПРОСУ ОБ ИСТОЧНИКЕ «ИСТОРИЧЕСКОЙ ХРОНИКИ» «ОБРАЩЕНИЯ ГРУЗИИ»

Резюме

В статье сопоставляется один эпизод из начальной части хроники с близким к нему в текстуальном, но далеко не в смысловом отношении местом из «Картлис цховреба» («Житие Грузии»), в котором засвидетельствована легенда о приходе евреев в Грузию вследствие их гонения Навуходоносором II (VI в. до н. э.). Автор приходит к заключению, что ко времени создания «Обращения Грузии» (VII в.) в грузинской письменной исторической традиции эта легенда была уже фиксирована, что и нашло свое отражение, хотя и в весьма искаженном виде, в начальной части «Исторической хроники» этого памятника.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის განყოფილება

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა



### ლალი ბალაშვილი

## შეიხის „ხოსროვ-შირინის“ პროლოგის სტრუქტურის გაგებისათვის

ოდიოვანვე „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სტრუქტურის შესწავლა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში იდგა. დღემდე, ვინც კი შეხებია ამ პრობლემას, უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროლოგს, როგორც ნაწარმოების მსოფლმხედველობის გასაღებს. „ვეფხისტყაოსნისთვის პროლოგი იგივეა, რაც მუსიკალური ნაწარმოებისათვის უვერტიჟურა... ძირითადი თემები და მოტივები ერთად შეკრულნი არიან და ერთ მთლიანობად ჩამოყალიბებულნი. პროლოგის აზრში გარკვევა — პოემის აზრში გარკვევაა“ [4,34]. ეს თვალსაზრისი საყოველთაოდ იყო აღიარებული სამეცნიერო წრეებში, თუმცა ამის საპირისპიროდ, მწერალი თ. ჭილაძე ბრძანებს: „ვინც პროლოგს პოემის სახეთა და იდეათა გასაღებად აღიარებს, ის აღიეალებს კიდევ პოემის გმირებს, აცლის მათ ადამიანურ თვისებებს და გაყინულ სქემებად და სიმბოლოებად გარდაქმნის... პროლოგი პოემის ნაწილი კი არ არის, არამედ პროლოგი და პოემა ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა პოეტური თუ ფილოსოფიური და, რაც მთავარია, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოებია“ [14,133].

მწერლის ეს თვალსაზრისი გარკვეულ მიზეზთა გამო ყურადსაღებად და ანგარიშგასაწევი. საერთოდ, პროლოგის კომპოზიციური აგების მოდელის და მისი, როგორც ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი კომპონენტის საკითხი, მოითხოვს სერიოზულ კვლევას, რადგანაც ის შუა საუკუნეების ეპიკური ლიტერატურის არსებით პრობლემათაგანია. სწორედ ამიტომაც, ვფიქრობთ, ტიპოლოგიური შეჯერების დონეზე განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ და შუა საუკუნეების ერთ-ერთი ცნობილი პოეტის შეიხის „ხოსროვ-შირინის“ პროლოგების ურთიერთმიმართება.

აქვე ზედმეტად არ იქნება, თუ ქართველ მკითხველს მოკლე ცნობებს მივაწვდით შეიხის შესახებ [ 18; 19; 20; 21; 22]. შეიხის ნამდვილი სახელი იუსუფ სინანედლინი იყო. იგი ქუთაისში დაიბადა. ცხოვრობდა და მოღვაწიობდა მე-14 საუკუნესა და მე-15 საუკუნის დასაწყისში. წარმოშობით დიდგვაროვანთა წრეს ეკუთვნოდა. იგი სულთნის კარს დაახლოებული პირი იყო. როგორც ექიმი და მწერალი. სად გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები, უცნობია. საფიქრებელია, რომ გარდაიცვალა 1431 წელს. მისი საფლავი ქუთაისში უნდა იყოს.

ვიდრე უშუალოდ პრობლემების გაშუქებას შევუდგებოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ვინც შუა საუკუნეების ესთეტიკურ და ლიტერატურულ სამყაროში ჩახედულია, მისთვის ცნობილია, რომ ამ პერიოდის ლიტერატურა „იგივეობის ესთეტიკის“ ტიპის შემოქმედებას განეკუთვნება; შუა საუკუნეების ხელოვნებაში განუსაზღვრელად ბატონობს ზოგადის ცნება, რომელიც ფარავს ცალკეულსა და კონკრეტულს. ამიტომაც აქ ტიპური სტრუქტურების შესწავლას, დადგენას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება, უფრო მეტიც, შეიძლება ვთქვათ, რომ ვიდრე არ შევისწავლით ზოგად ტიპურ სტრუქტურებს, სისტემათა საერთო მოდელს, შეუძლებელია შუა საუკუნეების მხატვრული ძეგლის ანალიზზე საუბარი“ [15, 101]. ისიც გასაგებია, რომ ყოველი ნაწარმოები უნდა განვიხილოთ თავის ისტორიულ ასპექტში და „წარსულ საუკუნეთა ტექსტის თანამედროვე წაკითხვას მაშინ აქვს გამართლება, თუ კი ის

ეყრდნობა ნაწარმოების ისტორიული კონტექსტის მართებულ გაგებას“ (იქვე), ყოველივე ზემოთ თქმულის შემდგომ მოულოდნელი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამ პერიოდის დიდტანიან ნაწარმოებთა პროლოგი იგებოდა გარკვეული პრინციპების მიხედვით და დროთა ვითარებაში ხდებოდა ამ პრინციპთა კანონიზაცია. როგორც კ. კეკელიძე წერს: „საშუალო საუკუნეთა პოემების შესავალში ჩვეულებრივ შემდეგი ელემენტები იყო დაკანონებული: 1. ღმრთისადმი მიმართვა; 2. პოეტის თანამედროვე მეფისა თუ მეცენატის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოხსენიება; 3. მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებითი ერთად, დასახელება ავტორის, პოემის გვირის და სხვა; 4. მსჯელობა ზოგიერთ განყენებულ თემაზე [6, 16]. პროლოგი ორგანულად არის დაკავშირებული მთელ ნაწარმოებთან, მასში „დასმულია და, ასე ვთქვათ, თეორიულ ასპექტშია გადაწყვეტილი ყველა ის ძირითადი პრობლემა, რაც საკუთრივ პოემაში (ე. ი. პოემის თხრობითს ნაწილში) მხატვრულად არის ხორცშესხმული“ [2, 21]. რადგანაც, ჩვენ ოდენ სტრუქტურის საკითხები გვინტერესებს, შესაძლებლად მიგვაჩნია პარალელების გაგება შეიხის მესწვევისა და რუსთაველის პოემას შორის.

შესავალს შეიხი თავებად და ქვეთავებად ყოფს, რაც არა გვაქვს რუსთაველთან. აქვე შეიძლება იმისი აღნიშვნაც, რომ ის, რაც რამდენიმე თავს თუ ქვეთავს მოიცავს და, ასე ვთქვათ, გავრცობილია შეიხისთან, რუსთაველთან ძალზედ ლაკონურადაა გადმოცემული. „სინათლე და ლაკონიზმი, აზრის პლასტიური გამოხატვა, რუსთაველის პოეტური სტილის ორგანული თვისებებია“ [13, 68].

როგორც ერთ, ისე მეორე ავტორთანაც ნაწარმოები ღმერთისადმი მიმართვით იწყება. შეიხი:

„ჰუნღაჲ ბიჲე თეჲჩქი რეჩქ ით  
მაქამ-ი ჰაქქა თაქქი თარქ ით,  
აჩუქ თუთ ჰიქმეთ უ თეჲჰნდ-ბანი  
ბოჲჰმდე გრთურ თაქლდ ბზინ“ [22, 1].

ღმერთო გვეყ შენდა თანზიარად,  
შეშარიტების მაქამის დამტკიცების გზა გვიჩვენე,  
გავეღე სიბრძნისა და ერთობის კარი  
თვალთაგან წარგეტაცე წარმოსახვის ძილი.

ღმერთი მაჰმადიანი პოეტისათვის გონების მიმცემია, შემოქმედის ნიჭი და უნარი ღმრთის დიდი წყალობაა, რომლითაც უნდა შეძლოს ავტორმა ღირსეული ნაწარმოების შექმნა.

„ჰე ღმერთო... შენ დამითაგე ძლევა მეც“, „ძალი მომეც და შეწვენა შენგნით მაქვს მივსცე გონება“ [10, 9]. ასეთი სტროფები მიმოხეულია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში, რაც დაახლოებით იმავე აზრს გვაუწყებს, რასაც შეიხი თავისი მესწვევის პროლოგში.

ამის შემდგომ შეიხიცა და რუსთაველიც ეხებიან სამყაროს განსხეულების, ანუ კოსმოლოგიის, საკითხს. საერთოდ, შუა საუკუნეების რელიგიურ და ფილოსოფიურ აზროვნებაში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად იყო გაშუქებული, რომელთაგანაც განსაკუთრებით საყურადღებოა ორი მათგანი: ბიბლიურ-კრეაციონისტული და ნეოპლატონური. „პირველი თვალსაზრისით, სამყაროს შემოქმედი არის პიროვნული ღმერთი, თავისუფალი ნებით — არარაობიდან ქმნის ხილვად ქვეყანას. ხოლო მეორე თვალსაზრისით, სამყარო არის აბსოლუტური ქეშმარიტების საფეხურებრივი ემანაცია“ [17, 43]. ამასთან ერთად, ხშირად ამა თუ იმ პოეტთან თუ მოაზროვნესთან ეს ორი თვალსაზრისი ერთადაა მოცემული და ხდება მათი შერწყმა. ეს ჩვეულებრივ მისტიკური აზროვნებისათვისაა დამახასიათებელი. შეიხისთან ვხვდებით სამყაროს გან-  
6. მაკანე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 1

სხეულების კრეაციონისტულ თვალსაზრისს, თუმცაღა აქაც მრავლადაა ნეტო პლატონური კოსმოლოგიისათვის დამახასიათებელი შეხედულებები, წარმავალი დგენები სამყაროს განსხეულებაზე. შეიხისათვის ღმერთი არის მხატვარი, რომელიც იდეალურ სფეროში ქმნის რეალურ ცნებებს, ხილვადი ქვეყანა მისთვის მშვენიერია, საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ღმერთის სილამაზე წარმოჩინდება, ის არის განფენილი და ყოვლის მომცველი, ყოვლის საწყისი, მისი ნიშანი უნიშნობაა და მისი ადგილი საიდუმლოებათა საიდუმლოებაა. მისი სიბრძნის ზღვას ვერ უპოვი ბოლოს, ყოველივე წარმავალიცა და მარადიულიც მისი სრულყოფილი ფორმაა, ისაა მხატვარი ზღვისა და ხმელეთისა, მან იცის სამყარო უმცირეს ატომებამდე კი. ღმერთთა ყველაზე მაღალიცა და იცხადიც, ისაა სიცოცხლე, საიდანაც მოდის სიცოცხლე თავად-როგორც შეიხი ამბობს:

რნ უ სონ იმ უ თაშ უ საღ უ სოღ  
ქამუ ანდან ქამუ ანუნ ქამუ ოღ. [22,3]

წინ და უჯან, შიგნით და გარეთ და მარჯვნივ და მარცხნივ  
ყველაფერი მისგანაა, ყველაფერი მისია, ყველაფერი ისაა.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მისი „ავტორის აღმსარებლობა სიდაოდ აღარ ითვლება... ოღონდ რუსთაველის „სამყაროს სურათი“ ქრისტიანული რელიგიის წარმოდგენებით არ ამოიწურება, მისი აზროვნება უფრო დამოუკიდებელიც არის და ფართოც. იგი სხვა, არაქრისტიანულ ელემენტებსაც მოიცავს“ [8,79]. „ვეფხისტყაოსანშიც“ ძირითადად მოცემულია სამყაროს შექმნის კრეაციონისტული თვალსაზრისი. პროლოგის პირველსავე სტროფში, რომელიც შინაარსობრივად მაქსიმალურად არის დატვირთული, წარმოდგენილია ქრისტიანული სამება:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა შით ძლიერითა  
ზეგარდმო არსნი სულითა, ჰყვნა ზეით მონაბერითა  
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა  
მისგან არს ყოვლი ხელწმიფე სახითა მის მიერითა. [10,9].

„ბიბლიურ-ქრისტიანულ თვალსაზრისს შესაქმნის პროცესი წარმოუდგენია მთლიანი სამების ნამოქმედრად, რომელიც ერთი არსით, ერთი ნებით, ერთი განსაზღვრით ჰქმნის სამყაროს“ [4,33]. სამი ჰიპოსთაზით ერთი არსების მოქმედებაა გადმოცემული, უფრო ნათელი და აშკარა რომ გახადოს მისი ერთბუნებოვნება, რუსთაველი ასე იწყებს შემდეგ სტროფს: „ჰე, ღმერთო, ერთო“. „იგი უსაზღვრობისათვის საზღვრის დამდეგი (792) და არსთა მხადი, (5050), ანუ არსებულის არსებობად მომწოდებელია“ [8,75].

შემდგომი ქვეთავი შეიხის მესნევის პროლოგისა ერთარსობის ყასიდაა. შენი სრულყოფილების ძალოვნების წინაშე სამყარო ერთი სუნთქვაა, — ამბობს იგი, შენი ღირსების, სრულყოფილების ზღვაში ქვეყანა ქვაა და ჭუჭყი. ქვეთავში თევზიდის შესახებ მოცემულია სუფიზმის ძირითადი დოქტრინა, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: ქეშმარიტად არსებული მხოლოდ ის არის, სიმრავლე მოჩვენება და ილუზირებული ყოფაა, რაც სუფიურ მოძღვრებაში ასეთი ფორმულით წარმოგვიდგება: — ის არის ის, მაგრამ ამის შემეცნება გნოსეოლოგიურ სფეროში საფეხურებრივი ამადლებით ხდება. არსებობს სამი ხარისხი ერთობისა: ერთია მეცნიერება, მეორე აინი, ანუ ჭერეტა, და მესამე ჰაკი, ანუ ქეშმარიტება. ამ სამი ხარისხიდან თავის მხრივ ერთია ქმედება, მეორე—ატრიბუტი და მესამე არის არსის ერთობა. ალაჰი ქმედებაშია, ყოველ მონაში ღვთის მოქმედება გამომჟღავნდება, მაგრამ რა არის „ალაჰი მხოლოდ ალაჰმა იცის“ და აქვე — „არ არის ღმერთი ალაჰის გარდა“. შემ-

ქმნელის ქება შეიხისთან რამდენიმე თავს მოიცავს. ღმერთი ნათელია, რომელთანაც შედარებით ყოველგვარი სინათლე ბნელეთად მოგვეჩვენება. მის ხილვას ვერანაირი ცოცხალი არსება ვერ გაუძლებს. თვალი უძღურია მისი მშვენიერების დასანახად!, „(ეგერჩი) ჰაქქი ჰაქ შოღლორ ჰაქქიქათ“ [22,9]— (თუმცალა) მისი ჰეშმარიტება, „ჰეშმარიტებას ლაღადებს მუღამ.

შეიხი ნაწარმოების შესავალში დიდ ადგილს უთმობს წინასწარმეტყველთა ქებას, რასაც ვერ ვხვდებით რუსთაველთან, საერთოდ, მოხსენიება და ქება წინასწარმეტყველთა არ არის დამახასიათებელი ქრისტიანული აზროვნებისათვის. რაც შეეხება შეიხს, იგი ყველაზე დიდ უპირატესობას მუჰამედს ანიჭებს. იგია „წმინდანთა ჩარხის მზე და მთვარე“ და „იმამთა ზღვის ობოლი მარგალიტი“.

შემდგომ ავტორი თავს აცნობს მკითხველს და იხსენიებს საკუთარ ზერქმევას: „ღუზუნ ეაღე ღუზ შეაჰი ნიზამინ“ [22, 2] — შენი ლოცვით შეიხის ლექსი სრულქმნილყო.

ეს „წესი“ გვხვდება რუსთაველთანაც: „დავჯე რუსთველმან გავლექსე“, ან „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“.

ამის შემდგომ საუბრობს შეიხი წიგნის გალექსვის მიზეზზე: სვედით შეპყრობილ პოეტს იღუმალი ხმა ჩაესმის, რომელიც მოუწოდებს, რომ გაყინული ბუნება გამოაცოცხლოს, ამ ქვეყნად მხოლოდ ადამიანის სახელი რჩება, კეთილ საქმეთა მქმნელი დიდხანს იქნება ნაცნობთათვის და უცნობთათვის სასიამოვნოდ მოსაგონარი.

შოლ ად ქიმ ანიჯაქ ნეჩრან იდილე  
ანიღმაქდან იიდ ოლ ქიმ უნუდილა [22,21].  
ის სახელი კი, რომელიც წყევლით მოიხსენება  
მოგონებას სჯობს, რომ იყოს მივიწყებული.

სიმდიდრე და ქონება არარაობაა, სჯობს კარგი სახელის მოპოვება, რათა გაინათო საიქიოს გზა; თუმცალა ამ სტრიქონების შემცველი სტროფი რუსთაველის პოემის პროლოგში არ გვხვდება, მაგრამ იგი საერთო ლექტიმოტივად

---

1 უნდა ითქვას, რომ რუსთაველის პოემაში სხვადასხვა ვარიაციით გვხვდება სინათლის სახება, რომელიც უმეტესად ღმერთის ბრწყინვალეების გამოსახატავად არის გამოყენებული. შეიხისეული დახასიათება ღვთიური ნათებისა უთუოდ მოგვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ „მზიან ღამეს“, „მზიანი ღამის“ და „უეამო ეამის“ სახეების ირგვლივ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული: „რუსთაველის ამ სახეში („მზიანი ღამე“) ღვთაებასთან მიახლოება შედარებულია მზესთან (რომელიც ღვთის ხატია) მიახლოებასთან“ [8,128]; „უნივთო და ნივთიერი ნათლის გამოჩვენა დამახასიათებელი არ არის მხოლოდ ქრისტიანობისთვის. წინარექრისტიანულ რელიგიურ სისტემებში ლოგოსის იდეის განვითარება უკავშირდება სწორედ ამ „უხსებულო ნათლის“, ნათლის სულიერ ასპექტს, სულიერ მზეს, რომლის ხატია ხილული მზე და რომელიც მისგანაა დაბადებული“ [5,102—112]. რ. სირაძის აზრით, „რუსთაველთან მზე ღვთაების ხატია და არა თვით ღვთაება... სწორედ მას უახლოვდებიან სულები“ [11, 163—233]. აქ ჩამოთვალას აღარ განვარძობთ, უბრალოდ დავძენთ, რომ მსგავსი სახე ფიგურირებს ჯვალადღინ რუმისთან: „და ამგვარად შუაღამეს მზეს იხილავ შენ... მისი დაბადების ეამს ღამესა და დღეს შორის განსხვავება არ არის, დღე მაშინ დგება... ღვთიერი თვალი ეძებ და ჰპოვე, რათა მისი მზერის წინაშე სხივოსანი ნაპერწყლების მფრქვეველი მშის სხივი უძღურე იქნეს“ [7,258]. გარდა ამისა, დანტეს პოემაში ავტორი მოვეთხრობს მანათობელზე, რომლის სიკაჟავე ადამიანს აბრძობებს. ასე რომ, „მზიანი ღამის“ და „უეამო ეამის“ სიმბოლური ხატები პირადიგმატური ხასიათისაა შუა საუკუნეების აზროვნებისათვის.

გასდევს მთელს პოემას: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭველსა“.

ერყენული  
განმარტოება

ამის შემდგომ პოეტი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს პოეზიის რაობაზე მსჯელობას. შეიხისთვის სიტყვის საბადო სულია, ჰკუა მყვინთავია, „ყოველი პოეტის ძალა მის სიტყვაშია, შემოქმედის აზრი და მიზანი მხატვრული ნაწარმოების შექმნაა, ხუთი და ათი ბეითით ტაძრის „კარი და კედლები“ არ აშენდება, იგი „ნაღ სიტყვად“ მესწევს მიიჩნევს. ისეთი დამლა უნდა ჰქონდეს ნაწარმოებს, რომ მასში მომავალმა თაობებმა „ღღრის ღირსეული ქება ამოიკითხონ“. თხზულება უეჭველად უნდა პასუხობდეს ეპოქის მოთხოვნებს. ავტორისათვის აუცილებელია სიბრძნე, მჭევრმეტყველება, გამბედაობა. ამის გარეშე ვერ მიაღწევს მისი შემოქმედება „ცის უმაღლეს მწვერვალს“.

რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში აცხადებს:

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,  
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი [10,11].

ამ სტრიქონების გამო ზ. გამსახურდია აღნიშნავს, რომ „გასაგონი“ — „ეს არის თეოსოფიურ-ფილოსოფიური ტერმინი და ნიშნავს გონებით წვდომას სულის სფეროში... ეს „მსმენელი“ არიან საღმრთო იერარქიების სულიერნი არსნი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ითქმებოდა საღმრთოდ «გასაგონი»“ [4,94].

მიუხედავად იმისა, რომ იგი საღმრთო სიბრძნეა, აქაც ეაება მომზადებულ და შესფერის მკითხველს მისი მოსმენა.

რუსთაველი აღიარებს, რომ პოემის სრულყოფისათვის მას სჭირდება „ენა“, „გული“, „ხელოვანება“. იგი გვაძლევს, გვაცნობს მელექსეთა სამ კატეგორიას. რუსთაველი პოეტად არ მიიჩნევს მას, ვინც „ერთ-ორს“ იტყვის (გავიხსენოთ შეიხის „ხუთი-ათი“ ბეითი) და თავი „მელექსეთა კარგთა სწორი ჰგონია“. მეორე ჯგუფში აერთიანებს პოეტებს, რომელთაც „არ ძალუძთ სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა. „მესამე კატეგორიის მელექსეთა ლექსები თუმცა ხშირად ყურისთვის სასიამოვნოდ მოსასმენია, მაგრამ მაინც „მოშაირე არა ჰქვიან ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. (გავიხსენოთ: შეიხი დიდ უპირატესობას ანიჭებს მესწევის, დიდტიანი ნაწარმოებს). აქვე დავძენთ, რომ შეიხისა და რუსთაველის პოეზიის რაობაზე მსჯელობისას ხდება სახეთა დამთხვევაც, მაგალითად: პოეტს, მოშაირეს ისევე მოეთხოვება ლექსის წერილის დახელოვნება და გაწაფულობა, როგორც მობურთალს თავის საქმეში, სპორტში. ცხენს გრძელი შარა სცდის, „მობურთალს მოედანი“, „პოეტი სიტყვის ფალავანია“ [2,23]. თუ ლექსი დაუძვირდა მელექსეს,

არ შეამოკლოს ქართული, არა ჰქმნას სიტყვა მცირობა  
ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა [10,11].

შეიხისათვის ეს ცხოვრება საასპარეზო მოედანია, სადაც პოეტი საკუთარ პოეტურ ძალასა და უნარს სცდის:

დილ უ ჯანდან გერქ ჩეგვან უ მეედან  
ქი ურა ანდა სრზ თოფინ სუჰან-დან [22,22].

სულსა და გულისათვის საქიროა ჩოგანი და მოედანი,  
რათა აქ სიტყვის ბურთი დაჰკრას პოეტმა.

გარდა ამისა, არ იქნება ზედმეტი, თუ გავიხსენებთ ნიჟამი განჯელს:

ცენი გარეთ გატყორცენ, მოედანი ვრცელია... [9,69].  
ქვეყანა (შენში) ხელავს სიტყვის მხედარს [9,70].

როგორც ვხედავთ, ეს თითქმის იდენტური სახეები პარადიგმატური ხა-

სიათისა. ისინი ოდნავ შეცვლილი ვარიაციებით გვხვდება სხვადასხვა ავტორთან.

შეიხი და რუსთაველი კარის პოეტები იყვნენ, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ამ დროისთვის მეფის სასახლეში ბევრი კარის მაგოსანი მოღვაწეობდა, ისინი ეწეოდნენ მთარგმნელობითს მუშაობას, ქმნიდნენ სახოტბო თუ სამიწურთო ხასიათის თხზულებებს.

თამარს ვაჟებდნენ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხუელი,  
ვთქვენნი ჭებანი ვისნი მე არ ავად გამოჩრჩეული  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალბად მენა რჩეული [10,10].

რუსთაველს შემოაქვს პოემაში მეფის სახელი, მეფისა, რომელიც ამ დროისთვის „მამა ღმერთის, ძისა და სული წმინდის გვერდით დასახლებულია ახალ, მეოთხე წევრად, ერთ-ერთ ამ ოთხთავანად. ის, როგორც „ოთხების“ წევრი, თვით სამების სწორად და მასზე აღმატებულადაც კი ცხადდება... რელიგიური ფორმის მატარებელი ეს იდეა ფაქტიურად გასაზრებულია ესთეტიკურ პლანში“ [11,123—207]. ამასთან ერთად უნდა დავძინოთ, ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პატრონყმობის ინსტიტუტის ნათლად ამსახველი ნაწარმოებია. პატრონყმული ურთიერთობის წესისა და რიგის მიხედვით, პატრონს ყმა არა მარტო ემორჩილება, არამედ აქვს სამსახურებრივი მოვალეობაც მის წინაშე. იგი (ყმა) უზომოდ პატივისმცემელია და დამფასებელი პატრონისა, მისი მოყვარეა და ერთგული. გარდა ამისა, რუსთაველი, როგორც ყმა, მოვალეა, აგრეთვე, პატრონის, როგორც ქალის, როგორც დედოფლის წინაშე, რომლის სილამაზით აღფრთოვანებული პოეტი ვალდებულია ქმნიდეს მისთვის სახოტბო ხასიათის თხზულებებს.

ასევე ჭება-დიდებით მოიხსენიებს შეიხი ქვეყნის განმგებლის სახელს, რომლის წყალობა იგივე ღმერთის წყალობაა. ყოველი სულთანის თითქმის უკვდავებასა ნაზიარები, თუ პოეტი ისე შეძლებს მისი ხოტბის შესხმას, რომ, თუ „ქვეყანა განქარდეს ის დარჩეს მარად“. შეიხი სამ კარს უთმობს მეფის ჭება-დიდებას. სულთანის ღვთის რჩეულია, ღვთის მიერაა ხელდებული, მისდამი პატივისცემა და სიყვარული ღმერთის თაყვანისცემად ითვლება.

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში [21, XIV—XXXI], შეიხს მურად II-ის პირადი სურვილით დაუწერია ეს მესხევი, სწორედ მურად II-ს მიუცია მისთვის ეს დავალება და, როცა შემდგომ უნახავს პოემა, მოსწონებია და შეუქცია კიდევ მისი ავტორი. ეს მესხევი მურად II-ის მეფობის დროს არის დაწერილი და თვით შეიხი დიდი პატივისცემით მოიხსენიებს მას ნაწარმოების პროლოგში:

სორარსან ქიმღურ ოლ ჰაქდან მუჟეჟედ  
ღირემ სულთან მურად იბნი მუჰამედ. [22, 23]

თუ იკითხავთ, ვინ არის ღვთის რჩეული და დამტკიცებული,  
გეტყვი, სულთან მურად მუჰამედის ძე.

ამას მოსდევს რამდენიმე ქვეთავი, სადაც აღფრთოვანებული პოეტი გატაცებით მოგვითხრობს მეფის სამართლიანობასა და ხელგაშლილობაზე, სიქველესა და ვაჟკაცობაზე.

რუსთაველი არაფერს ამბობს იმაზე, თუ ვისი დაკვეთით უნდა შექმნილიყო „ვეფხისტყაოსანი“, უბრალოდ ავტორი მიგვანიშნებს, რომ პოემის დაწერა მას ნაბრძანები ჰქონდა:

მობრძანეს მათ და საქებრად თქმა ლექსებისა ტბილისა,  
ჭება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,  
ბროლ-ბადახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა,  
გასტეხს ქეასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა [10, 10].

საფუძვლებია, რომ სწორედ თამარ მეფე უნდა ყოფილიყო ნაწარმოების დამკვეთი<sup>2</sup>. იმდენად, რამდენადაც შუა საუკუნეებში მოქმედი გაბატონებული პრინციპების მიხედვით, ქება-დიდებათი მოიხსენიება პოემის პროლოგში ყველა ის პიროვნება, რომლის ნება-სურვილითაც იქმნება ესა თუ ის თხზულება.

ასევე აუცილებელია შესავალში ნაწარმოების მთავარ გმირთა დასახელება. ამ წესს, როგორც შეიხი, ასევე რუსთაველიც ემორჩილება, შეიხი არ იშურებს ეპითეტებს ხოსროვის შესამკობად, ხოლო რუსთაველი გვაცნობს „სამთა გმირთა“, რომელთაც „სჭირთ ერთმანეთის მონება“.

რაც შეეხება სიყვარულის თემას, რომელსაც საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს რუსთაველი პოემის პროლოგში, მასზე არაფერია ნათქვამი შეიხისთან. „ვეფხისტყაოსანში“ ავტორი მიჯნურობასა და, საერთოდ, ამალეებულ სიყვარულზე საუბრისას გვიხატავს საუკეთესო რაინდის სახეს, სადაც „არსებითი როლი ეკუთვნის ქალის მიერ მისი მოტრფიალე რაინდისთვის საგმირო ღვაწლის დავალების მოტივს“ [8, 66]. რაინდობის ინსტიტუტის წეს-კანონები შეიმუშავა და ჩამოაყალიბა დასავლეთ ევროპის ლიტერატურამ, რომლის გენეალოგიური ფესვებაც აღმოსავლეთის სინამდვილეში უნდა ვეძიოთ. იმ მკაცრად ზღვარდადებულ და დაკანონებულ თემათა შორის, რომელსაც უნდა შეხებოდა ავტორი პროლოგის წერისას, ერთ-ერთი სწორედ ეს უკანასკნელია. გარდა ამისა, ნიჟამი განჯელის „ხოსროვ-შირინის“ პოემაში, რომლის მიხედვითაც იქმნებოდა შეიხის ზემოთ მოხსენიებული ნაწარმოები, მთელი თავი აქვს დათმობილი სიყვარულის რაობის საკითხს. „იგივეობის ესთეტის“ ერთ-ერთი სპეციფიკურობა ის არის, რომ არსებობს კონვენციური თემები და პარადიგმატური სახეები, მაგრამ თემათა განლაგების დროს გარკვეული თავისუფლება ენიჭება ავტორს. მარტალია, მკაცრად არის შემოსაზღვრული გასაშუქებელ პრობლემათა არე, მაგრამ მწერლები საკუთარი სურვილის, საკუთარი გემოვნების მიხედვით ქმნიან თემათა განლაგების მხრივ ერთმანეთისგან განსხვავებულ და ამავე დროს საინტერესო სქემებს.

პროლოგში აუცილებლად უნდა გაშუქებულიყო ფაბულის წარმომავლობის საკითხი. ფაბულა არა პოეტის გამოგონილი, არამედ უცხო წარმოშობის, საყოველთაოდ ცნობილი და მოწონებული უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთის პოეტთათვის მიღებული იყო პოპულარული სიუჟეტების გადამუშავება. სახელის მოსახვეჭად და საკუთარი პოეტური ნიჭის ნათელსაყოფად ისინი ხშირად ამუშავებდნენ ყველასათვის კარგად ცნობილ ამბავს. ამას ნაზირე ჰქვია. სხვა ნაწარმოების სიუჟეტის საკუთარი თხზულებებისათვის გამოყენება საამაყო საქმედ ითვლებოდა. სწორედ ამ ტიპის ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება შეიხის „ხოსროვ-შირინის“ მესწვეიც, რომლის ფაბულაზეც ავტორი მიუთითებს, რომ ეს ამბავი — „ქილუფ მუზი ჰადისინდენ რივჰაეთ“ [22, 30] — არის უძველესი ჰადისებიდან მოყოლილი, მონათხრობი.

რაც შეეხება რუსთაველს, იგი აღნიშნავს: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, უნდა ითქვას, რომ ამ ბჭკარის გამო მრავალი მოსაზრე-

2 არსებობს მოსაზრებაც, რომ ნაწარმოების დამკვეთი გიორგი III-ია. „ვეფხისტყაოსანი თუ დაწერილი არა, დაწვებული მაინცა თამარის გამეფებამდე, როგორც ამ აქტის მომამზადებელი ნაწარმოები!“ [14, 133]. ამის საპასუხოდ ალ. ბარამიძე სვამს კითხვას: „თ. კილაძის მოსაზრებით“, „ვეფხისტყაოსნის“ შეთხზვა რუსთაველს დაუწყია თამარის გამეფებამდე, ე. ი. 1178 წლამდე, მაშინ იგი კარაგი ყოფილა... მაშ როდის უნდა დაეწყო რუსთაველს ლიტერატურული მოღვაწეობა, როდის უნდა დაბადებულიყო ავტორი?“ [3, 136].

ბა გამოთქმულია. ყველა მათგანის ჩამოთვლას და განხილვას აღარ განვაგრძობთ, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ საფიქრებელია, რუსთაველი იყენებს ფაბულის გაუცხოების, გაუცნაურების ხერხს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „აღმოსავლეთი და, კერძოდ, სპარსეთი ითვლებოდა ქვეყნად, სადაც პოეზიისა და პროზის განვითარება უმაღლეს საფეხურზე იყო აყვანილი... სწორედ ამის გამო, რუსთაველი ხაზს უსვამს ამის სპარსულ (აღმოსავლურ) წარმომავლობასა და მის პოპულარობას“ [15, 199].

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდგომ, შეიძლება, ჩამოვყალიბოთ პროზის კომპოზიციური სტრუქტურის მოდელი, როგორც ერთ- ისე მეორე ავტორთან: შეიხის „ხოსროვ-შირინი“: ა) მიმართვა ღვთისადმი, ბ) სამყაროს შემქმნელის ქება, გ) კოსმოლოგია, დ) წინასწარმეტყველთა ქება, ე) შეიხის ახსენებს საკუთარ ზერქმევას, ვ) შეიხი ევედრება ღმერთს, მისცეს ძალა მიზნის მისაღწევად, ზ) ნაწარმოები იწერება დაკვეთით, თ) ქება-დიდება მურად II-ისა, ი) პოეტი მსჯელობს პოეტისა და პოეზიის რაობის შესახებ, კ) საუბარი ფაბულის წარმომავლობის საკითხზე, ლ) ახსენებს ნაწარმოების მთავარ გმირს.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“: ა) სამყაროს შემქმნელი ღმერთის მოხსენიება, ბ) კოსმოლოგია, გ) თამარის ქება, დ) ნაწარმოები იწერება დაკვეთით, ე) მოიხსენიებს ნაწარმოების მთავარ გმირთ, ვ) პოეტი აცნობს თავს მკითხველს, ზ) საუბარი ფაბულის წარმომავლობაზე, თ) პოეტი მსჯელობს პოეტისა და პოეზიის რაობის შესახებ, ი) მიჯნურობა.

როგორც ჩანს, შესავალი შუა საუკუნეების პერიოდის ნაწარმოებთა სტრუქტურის ერთ-ერთი კომპონენტი იყო, რომლის გარეშეც არ იქმნებოდა დიდტანიანი თხზულება. მიუხედავად ზოგიერთი მსოფლმხედველობრივი თავისებურებებისა, მათი კომპოზიციური აგების მოდელი იდენტურია და „რაც მთავარია, არსებობდა პროზოგის დაწერის მკაცრად რეგულირებული წესები. ამ წესების მიხედვით იგებოდა მყარი სტრუქტურა, რომელიც დასაზღვრულ პრობლემათა, კონვენციურ თემათა გაშუქებას მოიცავდა“ [15, 187].

### ლიტერატურა

1. აბუ ლაძე იუსტ., შპ-ნაწეს ქართული ვერსიები, თბ., 1916.
2. ბარამიძე ალ., შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსნის პროლოგი, თბ., 1958.
3. ბარამიძე ალ., ვეფხისტყაოსნის ერთი ახლებური წაკითხვის გამო, „მნათობი“, 1984, № 2.

მ ნ. მარი ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის ამბავი პირდაპირი თარგმანია ერთ-ერთი სპარსული თხზულებისა“ [16, 28—41]. იუსტ. აბუ ლაძე აღნიშნავს, „რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთელის ამბის მონახვა შეიძლება სხვადასხვა სპარსული ნიმუშებითგან ამოღებული ისეთი ეპიზოდების შეერთებით, რომლებსაც გასაოცარი მსგავსება აქვთ ტარიელის ამბავთან“ [1, XXXII]. მ. ჩიქოვანი წერს: „აქამად უფრო მეტი რწმენით შემოიღია ვალიარო, რომ კეშმარიტეხასთან ახლოა ის, რომ ვეფხისტყაოსანი უნდა შექმნილიყო ერთ-ერთი მთავარი აღმოსავლური სიუჟეტის ქართული პოეტის მიერ ათვისების ნიადაგზე“ [13, 171]. მეორე შეხედულებით, შოთა რუსთაველის პოემა ორიგინალური ნაწარმოებია: „ამბავი შეუქმნია თვითონ შოთა რუსთაველს. „სპარსული ამბის“ მომიზნებით რუსთაველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხერხი — სიუჟეტური შენიღბვის ხერხი. სიუჟეტის ხელოვნურად გაუცხოებისა და გაუცნაურების ხერხი“ [2, 48]. ნ. ნათაძის აზრით, „სუველოწყაროს სპარსულობა იმითაა გამოწვეული, რომ საგმირო სამიჯნურო პოემის ქანრი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნის, მისი მკითხველის თვალში სწორედ სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციასთან იყო დაკავშირებული“ [8, 68].



4. გამსახურდია ზ., ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 1, 2.
5. გიგინეიშვილი მ., შზე — „ხატი ღვთისა“ ვეფხისტყაოსანში, ძველი ქართული ლოზისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, თბ., 1973.
6. კეკელიძე კ., შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1979.
7. ნათაძე ნ., ვეფხისტყაოსნის ფილოსოფიური მოტივები, თბ., 1985.
8. ნათაძე ნ., ცაიშვილი ს., რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
9. ნიზამი განჯელი, ხოსრო-შირინი, ბაკო, 1960 (სპარსულ ენაზე).
10. შ. რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენი საუნჯე, თბ., 1960.
11. სირაძე რ., მხატვრული აზროვნების საკითხები რენესანსის ხანის ქართულ მწერლობაში, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978.
12. ჩიქოვანი მ., რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, კრებული — შოთა რუსთაველი სკოლაში, თბ., 1937.
13. ცაიშვილი ს., მარადიული სახეები, თბ., 1981.
14. ქილაძე თ., ვარდის ფურცლობის ნიშანი, „მნათობი“, 1983, № 10.
15. ჯაველიძე ე., საქმე ვემენ საუკომანები, შტუდიები, თბ., 1985.
16. Марр Н., Язык и История, I, Тб., 1928.
17. Джавелидзе Е., Космология в кн.: Джелаль-ед-дин Руми, Тб., 1979.
18. Gibb E., A History of the Ottoman Poetry, vol. 1, London, 1900.
19. Levend A. S., Edebiyat tarihi dersleri (Tanzimata kadar), İstanbul, 1938.
20. Nüzhet S., Tanzimata kadar muhtasar Türk edebiyati tarihi ve nûmuneleri, İstanbul, 1931.
21. Timurtaş F. K., Harnâme, TDED, III, İstanbul, 1949.
22. Timurtaş F. K., Şeyhi'nin Hüsrev ü Şirin, İstanbul, 1963.

Л. С. ТЕЛАШВИЛИ

## К ПОНИМАНИЮ СТРУКТУРЫ ПРОЛОГА «ХОСРОВ И ШИРИН» ШЕЙХИ

Резюме

На типологической основе рассмотрены основные проблемы структуры пролога поэмы «Хосров и Ширин» известного турецкого поэта средних веков Шейхи. В частности, на основе сравнения указанного произведения с поэмой Руставели «Витязь в тигровой шкуре», выявлены парадигматические образы, которые фигурировали в эстетике средних веков, а конкретно — в структуре пролога.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა



ნაშრომის სახელი

რამდენიმე ახალი ცნობა ქსნის ოთხთავის შესახებ

1879 წლის 14 სექტემბერს გაზ. „დროება“ (№ 190) საზოგადოებას ამცნო: „გვიხარს, რომ ახალგაზრდის ხეობაში ძველს ეკლესიებში ბევრი ძველი ხელნაწერი წიგნები და აგრეთვე ძველი ნივთები არისო, რომლებიც თითქმის უპატრონოდ ჰყრიანო და თუ მალე ყურადღება არ მიაქცეის, ეს წიგნები... შეიძლება სულ მთლად გაქარწყლდეს...“ რა თქმა უნდა, იმხანად არავინ იცოდა, რომ სწორედ ხსენებულ ხელნაწერთა შორის ინახებოდა X ს-ის ნუსხა, უკვე დაშლილ-დაფანტული და დაჩრჩილული, რომელიც შეიცავდა სახარების ქართული თარგმანის ერთ-ერთ უძველეს, ე. წ. ქსნურ რედაქციას<sup>1</sup> და რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში შემდგომ ქსნის ოთხთავი უწოდეს<sup>2</sup>.

მკვლევრები (მ. ჯანაშვილი, ი. ვართაგავა, ი. იმნაიშვილი, ც. ჭანკიევი) ამ ხელნაწერის თავგადასავლის მოთხრობისას<sup>3</sup> ეყრდნობიან დ. ბაქრაძის სტატიას — „Древние варианты грузинского четвероевангелия“<sup>4</sup>. ჩვენ კი, ზოგიერთი მომენტის დაზუსტების მიზნით, აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თუმცა აღნიშნული გამოკვლევა დაბეჭდილია რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის შრომაებში, ყრილობისა, რომელიც 1881 წლის სექტემბერს შედგა თბილისში, დ. ბაქრაძე — ხსენებული ღონისძიების ორგანიზატორთაგანი, აქტიური წევრი და ერთ-ერთი განყოფილების თავმჯდომარე — მას იმ სახით, როგორცაც გამოქვეყნდა 1887 წელს, იქ ვერ წარადგენდა; სხვა არა იყოს რა, 1881 წელს ვერ იტყოდა: 1880 წელს ნაპოვნი ხელნაწერის რამდენიმე ფრაგმენტი ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1882 წელს, ვიპოვეო.

როგორც იმდროინდელი პრესა გვაუწყებს, ხსენებულ ყრილობაზე, 12 სექტემბრის სხდომაზე, დ. ბაქრაძეს თუმცა კი წაუკითხავს მოხსენება ბიბლიოლოგიის დარგში, მაგრამ, თვით ამ სავაზეთო ცნობის თანახმად, ეს უნდა ყოფილიყო მეცნიერული ინფორმაცია მხოლოდ ქსნის ოთხთავის შესახებ. ვეჭვობთ, სახარების ქართული თარგმანის ამ (ე. წ. ქსნური) ვარიანტის სხვა

1 ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია, ლიტერატურული ძიებანი, V, თბ., 1949, გვ. 302—309.

2 ნაწილი დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A (ყოფილ საეკლესიო მუზეუმის) ფონდში, № 509, ნაწილი — ლენინგრადის სალტკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების „ახალ სერიაში“, № 8—9.

3 მ. ჯანაშვილი, ურბნისის სახარების პირი და სახარებათა აღწერილობანი საზოგადოდ, 1908, გვ. XC—XCII (ხელნაწ. ინსტ. A—1732, ავტოგრაფი. იგი მ. ჯანაშვილს შეუწირავს თბილისის უნივერსიტეტის სიძველეთა საცავისათვის 1928 წლის 6 მარტს); ი. ვართაგავა, მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან, კერძ. „საქართველოს მოამბე“, 1909, № 9, გვ. 14; ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 291—294; ც. ჭანკიევი, ქსნის ოთხთავის ლენინგრადული ფრაგმენტები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 163—165.

4 Труды V-го археологического съезда в Тифлисе 1881, под редакцией графини Уваровой, М., 1887. დ. ბაქრაძის სტატიის ავტოგრაფი დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: დ. ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 48 (6 ფურცელი). რეცენზია ამ სტატიას იხ.: ესომ [მ. ჯანაშვილი], საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები (წერილი მეთორმეტე), გაზ. „ივერია“, 1988, 25. II, № 43.

5 გაზ. „დროება“ (1881. 13. IX. № 191): „V არქეოლოგიურ კრებაზე დ. ბაქრაძემ წაიკითხა მოხსენება იმ სახარებაზე, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც იმას უპოვნია ქსნის ხეობაში“.

ვარიანტებთან — ურბნისის (A—28), ჯრუჟისა (H—1660) და — გიორგი მთაწმიდლისეულთან — მიმართების საკითხი, რაც განხილულია ზემოხსენებულ სტატიებში („Древние варианты...“), დავალოთ მკვლევარს 1881 წელს საგანგებო მოხსენებდა ჯერაც არ უნდა ჰქონოდა დამუშავებული.

ორკვევა, რომ ეს შრომა ავტორს თავდაპირველად ქართულ ენაზე შეუდგენია „კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების“ სხდომაზე წარსადგენად 1883 წელს. წაუკითხავს იქ და, როგორც ზ. ჭიჭინაძე გვაძნობს (იხ. ქვემოთ სქ. № 11), მსმენელთა დიდი ყურადღება დაუმსახურებია. წინასწარ კი გამოუქვეყნებია ჟურნალში „ივერია“<sup>7</sup>. ეს სტატია ჯერ სიტყვასიტყვით უთარგმნია რუსულად და, როგორც ამ თარგმანის ავტორგრაფი (იხ. ზემოთ, სქ. 4) მიგვაწინშნებს, მხოლოდ შემდეგ დაუზუსტებია ტექსტში ზოგიერთი ადგილი (იხ. ქვემოთ, სქ. 8, 9).

ასე რომ, ქსნის ოთხთავის ისტორიის ერთი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი, მომენტის გასათვალისწინებლად მკვლევართათვის არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დ. ბაქრაძის ხსენებული სტატიის ქართულ, ანუ პირველად, ვარიანტს, რომელიც ოდნავ განსხვავდება რუსულისაგან. იგი გვაძნობს: „ქსნის ოთხთავი აღმოჩენილ იქმნა ერთი ახალგორის დანგრეულს ეკლესიათაგანში 1880 წ. შარშან ზოგიერთა ფურცლები ვიპოვე კიდევ მისი იმავ ადგილას ეკლესიის გალავანში. რომ მას დიდი ხანი გაუტარებია ცის ქვეშ, ქარსა და წვიმის ქვეშ გდებულა, ამას თვით მისი გარეგნობა ამტკიცებს; მაგრამ მისი უბედობა კიდევ ამით არ თავდება: თბილისში რომ იქმნა ჩამოტანილი, ერთმა ქართველმა სიძველეთა მოყვარულმა<sup>8</sup>, რომლის სახელიც ჯერ არ მინდა მოვიხსენიო. ამოგლოჯა იქილამ ერთი ნაწილი<sup>9</sup>, როგორც მე შემდეგ გავიგე, და წაიღო პეტერბურგს. ხელნაწელი მდგომარეობა ხელნაწერისა ასეთია: მათეს სახარებელამ უკანასკნელი თავია დარჩენილი, მდლიანად სახარება მარკოზისა, სახარება ლუკასი, გარდა IX—XVII თავისა, და სახარება იოანესი, თუ არ ჩავთვლით ძალზე დარჩილულს და სინესტისაგან ნახებრად დამძალს უკანასკნელს თავს“<sup>10</sup>.

ქვემოთ, დღემდე გაუჩინარებულ ფრაგმენტებზე საუბრისას, დავრწმუნდებით, რომ ქსნის ოთხთავის აქ წარმოდგენილი აღწერილობა მთლად ზუსტი (ანუ გამოწვლილული) არ უნდა იყოს: მაგ., მარკოზის თავს აკლია (და მაშინაც უნდა ჰქვლებოდა) 4,3—6,32; 12,7—19 და სხვ. არც ისაა საფიქრებელი, თითქოს „ერთი ქართველი სიძველეთა მოყვარულისა“ თუ მსგავსი ვინ-

<sup>6</sup> გარდა ზემოხსენებულ სტატიისა, V არქეოლოგიური ყრილობის შრომებში გამოქვეყნებულია დ. ბაქრაძის კიდევ ორი შრომა: „Грузинская палеография“ (გვ. 207—214) და „Грузинский монастырь св. Креста в Иерусалиме“ (გვ. 328—331). შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ იმათგან პირველი დ. ბაქრაძემ დაამუშავა ასევე 1881 წლის სექტემბრის შემდეგ, ვინაიდან: 1. ამ გამოკვლევის ავტორგრაფი, დაცული კ. კველიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დ. ბაქრაძის პირად საარქივო ფონდში (№ 34), დათარიღებულია 1882 წლით; 2. ამ თემაზე დ. ბაქრაძის მოხსენება არ დასტურდება ხსენებული ყრილობის მუშაობის გეგმაში (იხ. გავ. „დროება“, 1881, № 189).

<sup>7</sup> დ. ბაქრაძე, სამი ძველი ვარიანტი ქართულის ოთხთავისა ანუ სახარებისა, ყურნ. „ივერია“, 1883, № 5—6, გვ. 112—125, ხსენებული ჟურნალის რედაქცია იქვე შენიშნავს: „ეს რეფერატი... მომზადებულია წასაკითხავად კავკასიის არქეოლოგიური საზოგადოების“ სხდომაზედ მომავალს სექტემბერში“.

<sup>8</sup> რუსულ ავტორგრაფში დ. ბაქრაძეს სიტყვა „любителей“ გადაუხაზავს და მიუწერია: „искателей“ (დ. ბაქრაძის არქივი, № 48, გვ. 1).

<sup>9</sup> ეს ცნობა რუსულ ვარიანტში დაზუსტებულია: „вышли из него часть с рисунками евангелистов...“ (Труды V-го..., გვ. 216).

<sup>10</sup> ყურნ. „ივერია“, 1883, № 5—6, გვ. 113—114.

მეს ხელი კვლავ შეეხო მას ასე უხეშად, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის უფრო საყურადღებოა შემდეგი: თუმცა დ. ბაქრაძე სხენებულ სტატიაში (ქართულსა თუ რუსულ ვარიანტში) არ აზუსტებს, სახელდობრ, ვის მიერ იქნა აღმოჩენილი ქსნის ოთხთავი, ამბობს მხოლოდ: 1880 წელს იგი „აღმოჩენილ იქმნა“, სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც ვავრცელებულია აზრი, რომ ეს ძეგლი თითქოს მოიპოვა დ. ბაქრაძემ. სინამდვილეში დეწაღმოსილმა მკვლევარმა, როგორც თავად აღნიშნავს, ამ ხელნაწერის მხოლოდ რამდენიმე ფურცელს მიაგნო 1882 წელს.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც დღემდე მკვლევართაგან აგრეთვე შეუძენველი იყო: დ. ბაქრაძის ამ პუბლიკაციის ვაზ. „დროებაში“ გამოეხმაურა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ზ. ჭიჭინაძე, რითაც სინათლე მოჰქვინა ზოგ საკითხს. მან აღნიშნა: „1879 წ. ახალგორის მღვდელმა მოიპოვა ზემოხსენებული სახარება და რამდენიმეც სხვა ძველი წიგნები, რომელთა მოპოვებაზე „დროების“ საშუალებით ვაცნობეთ ჩვენს საზოგადოებას. ყველა ეს წიგნები ინახებოდა ჩემთან. ბ. დ. ბაქრაძე იმ დროს იქ არ იყო და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა. მის ჩამოსვლამდის, მე შემიხვედა ერთი ქართველი ყმაწვილი კაცი, რომლის სახელის დასახელებას აქ არ ვსაჭიროობ; მან მთხოვა, რომ ხსენებული სახარება მისთვის დამეთმო; თუმცა ყველა ეს წიგნები თითქმის ჩემს გამგეობის ქვეშ იყო, მაგრამ მე ვერ გავებდე სრულად დათმობა და ამიტომ წიგნი გავყავი შუაზე; ნახევარი იმან წაიღო პეტერბურგში, რადგანაც ის იქ სცხოვრობს, და ნახევარიც მე დავიტოვე, რომელიც შემდეგ გასინჯულ იქმნა და განხილულ ბ. დ. ბაქრაძისაგან. ბ. ბაქრაძემ მთხოვა, რომ წერილით მოსთხოვე, დააბრუნოსო. მე ეს ვერ გავებდე, რადგანაც ჩემის ნებით დაეუთოე და ესთხოვე ბაქრაძეს, რომ ისევ იმას მიეწერა წერილი ამის შესახებ და არ ვიცი, მისწერა თუ არა. ამ წერილის დაწერა გამოიწვია იმან, რომ ბ. დიმიტრი ბაქრაძე წერს, პეტერბურღში მცხოვრებმა ქართველმა წაიღოვო, რომელიც ძველ ნივთთა მოყვარულიაო. ამ შენიშვნით შეიძლება, რომ არამთელი მარტო წამლები, არამედ ყველა ის პირნი იქონიონ სახეში, რომელნიც თუ პეტერბურღში სცხოვრობენ და საქართველოს ისტორიის და არხეოლოგიის შესწავლას მისდევენ. ამიტომ მიმიქცევის ეს წერილი იმისაკენ, ვისიც როგია და მოვალეობა და თვით იმან ახსნას ამ ძვირფასი საგვარტომო წიგნის განახევრების მიზეზი...“<sup>11</sup>.

ამრიგად, ქართულ სიძველეთა განთქმული კოლექციონერის, სხვადასხვა ენარის თხზულებათა გამომცემლის, ბუკინისტური მაღაზიის პატრონის — ერთ დროს კი, როგორც ვხედავთ, ქსნის ოთხთავისა და მასთან ერთად ნაპოვნი სხვა ხელნაწერების მფლობელის — ზაქარია ჭიჭინაძის (1854—1931) ცნობით, რაც, რა თქმა უნდა, სანდოა, ეს და „რამდენიმე ქართული წიგნი“ მოუძიებია ვინმე ახალგორელ მღვდელს 1879 წელს და დაუთმოა სხენებულთა არქეოფილისათვის, რასაკვირველია, მათი სათანადო შესწავლისა და შეფასების მიზნით. დ. ბაქრაძის ბიოგრაფიიდან კი მართლაც ცნობილია, რომ 1879 წელს იგი ბათუმში ცხოვრობდა: იყო თავმჯდომარე იმ მხარის „ადგილ-მამულის კომისიისა“<sup>12</sup>. ასე რომ, ზ. ჭიჭინაძეს მხოლოდ „რამდენიმე ხნის შემდეგ“ შეეძლო, „გასასინჯად და განსახილველად“ გადაეცა მისთვის ეს ხელნაწერები. სამწუხაროდ, დ. ბაქრაძისათვის დაუსწრია „ერთ ქართველ ყმაწვილ კაცს“ და, როგორც ზ. ჭიჭინაძე ვვამცნობს, ამ ხელნაწერის „ნახევარი წაუღია პეტერბურგში“, დანარჩენი კი მის დროებით მფლობელს 1880 წელს დაუთმოა

<sup>11</sup> ზ. ჭიჭინაძე, წერილი რედაქტორთან, ვაზ. „დროება“, 1883, 14. VIII, № 160.  
<sup>12</sup> ვაზ. „ივერია“, 1890, 13. II, № 32; 1890, 14. II, № 33.

დ. ბაქრაძისათვის<sup>13</sup>. უკანასკნელსაც, როგორც ჩანს, სწორედ ხსენებული მიუჩნევია ამ ძეგლის აღმოჩენის თარიღად.

დ. ბაქრაძეს 1882 წელს მოძიებული ფურცლები, ანუ, პროფ. ი. იმნაიშვილის დაკვირვებით<sup>14</sup>, ის ნაფლეთები, რომლებიც შეიცავენ ფრაგმენტებს მათეს თავიდან: 6,19—9,3; 12,32—40; 13,17—22. მათ ძირითად ნუსხასთან, ე. ი. ქსნის ოთხთავთან, გაუერთიანებია (დაურთავს ბოლოში, A—509, 183r—192v.) და ამ სახით გადაუცია იგი შესანახად მისივე ინიციატივით 1888 წელს დაარსებული საეკლესიო მუზეუმისათვის. ეს ხელნაწერი, — იუწყებოდა იგი 1889 წელს, — „მსურველს შეუძლიან განიხილოს ახლად ტფილისის სიონის ეზოში დაარსებულს საეკლესიო-არხეოლოგიურს მუზეუმში“<sup>15</sup>. მაგრამ 1897 წელს მ. ჯანაშვილს — უკვე ხსენებული სიძველეთსაცავის გამგეს — ქსნის ოთხთავი იქ ვერ უპოვია<sup>16</sup>. მართლაც, A—509-ის ბოლო გვერდზე (192 v) მინაწერი, „სიონის საკრებულო ტაძრის ოთხთავი, 1899 14 მაისს, ანტონ“, — ცხადყოფს, რომ იგი ერთ დროს სიონის ეკლესიის კუთვნილება ყოფილა და მხოლოდ 1899 წელს დაუბრუნებიათ საეკლესიო მუზეუმისათვის 15 ხელნაწერთან ერთად<sup>17</sup>. თანაც, დაუბრუნებით ისე, რომ ამ ხელნაწერის აღმოჩენისა და სავალალო თავგადასავლის შესახებ, ვფიქრობთ, არა იცოდნენ რა. მისი იმეამინდელი დაცულობა ცნობილი არ უნდა ყოფილიყო პროფ. ალ. ცაგარელისათვის, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ დ. ბაქრაძის ზემო-ხსენებულ სტატიაზე დაყრდნობით ეს ხელნაწერი IX—XI სს-ით დაათარიღა<sup>18</sup>. ჩანს, თვით თ. ჟორდანიასთვისაც კი უცნობი იყო, რომ მის მიერ 509-ით დანომრილი ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმისა, მიჩნეული X ს-ის ძეგლად და სახარების ქართული თარგმანის ერთ-ერთ უძველეს რედაქციად<sup>19</sup>, სწორედ ქსნის ხეობაში ნაპოვნი და დ. ბაქრაძის მიერ აღწერილი ნუსხაა (წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი ნომრის აღწერისას კიდევ აღნიშნავდა). ასე რომ, ხსენებული ხელნაწერის წარმომავლობა პირველად მ. ჯანაშვილმა გაარკვია 1907 წელს, რა თქმა უნდა, ისევე დ. ბაქრაძის გამოკვლევაზე დაყრდნობით<sup>20</sup>. ამ იდენტიფიკაციით უნდა ესარგებლა კ. კეკელიძეს ქართულენოვანი ლიტურგიკული ძეგლების (ყერძოდ, ქსნის ოთხთავის გარკვეული თვალსაზრისით) შესწავლა-აღწერისას<sup>21</sup>.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია და ჯერჯერობით გაურკვეველი, თუ რა გზით მოიძია ე. თაყაიშვილმა, ანდა — ვინ გადასცა ამ ცნობილ ფილოლოგსა და არქეოლოგს ის 2 ეტრატის ფურცელი — ფრაგმენტები მათეს თავიდან: 16,13—25; 18,12—22, რომლებიც მას 1916 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წიგნთსაცავისათვის (ამჟამად

13 ზ. ჭიჭინაძე, დიმიტრი ბაქრაძე, თბ., 1891, გვ. 32.  
14 ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 293—294.  
15 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან მე-X საუკ. დასასრულამდე), თბ., 1889, გვ. 174.  
16 A—1732, გვ. XC.  
17 მ. ჯანაშვილი იქვე მიუთითებს საეკლესიო მუზეუმის შესაბამის კატალოგს (№ 2, გვ. 11).  
18 А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, Спб., 1889, гв. XI—XIII.  
19 Ф. Д. Жордания, Описание рукописей Тифлиского церковного музея, II, Тф., 1902, гв. 62.  
20 A—1732, гв. XC—XCI.  
21 К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в стечественных книгохранилищах, Тф., 1908, гв. XIII.

ხელნაწერთა ინსტიტუტის II ფონდი) შეუწირავს 1326-ე ნომრად<sup>22</sup>. ვფიქრობთ, არც ე. თაყაიშვილს და არც ხსენებული ფონდისა და ნომრის აღმოჩენულ-რედაქტორს ქ. შარაშიძეს არ უნდა სცოდნოდათ, რომ მათ ხელთ იყო ცნობილი ხელნაწერის — უნიკალური ძეგლის — ნაწილი (თორემ მიუთითებდნენ კიდევ). მხოლოდ 1948 წლის — II ფონდის III ტომის გამოცემის — შემდგომ გაარკვიეს ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რომ H—1326 არის A—509-ის ფრაგმენტი და კიდევ გააერთიანეს მასთან (13r—14v). ცხადა ისიც, რომ ე. თაყაიშვილმა სრულიად დამოუკიდებლად, A—509-ის გათვალისწინების გარეშე, მიავნო (ანდა სხვამ მიავგნებინა) ხსენებულ ეტრატის ფურცლებს, ალბათ, ახალგორის იმავე ეკლესიაში, — ქსნის ხეობაში 1916 წლამდე.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგიც: თუმცა საეკლესიო მუზეუმიდან ქსნის ოთხთავის გამოშტანის ვინაობა და ამ ფაქტის მიზეზი თუ მიზანი ჯერჯერობით უცნობია, „ქართული სიძველეების მაძიებლის“ მიერ, „დანაშაულის კვლის დაფარვა“, როგორც ფიქრობს პროფ. ი. იმნაიშვილი<sup>23</sup>, ჩვენი აზრით, არაფერ შუაშია: დაერწმუნდებით, რომ „მაძიებელს“ „დანაშაულის კვლის დაფარვა“ არც უცდია, როდგან, როგორც ჩანს, სინდისის წინაშე თავი მართალი ეგონა. მაინც ვინ არის ეს „დამნაშავე“, ანუ „ქართული სიძველეების მოყვარული“ თუ „მაძიებელი“, „ერთი ყმაწვილი ქართველი კაცი“, „პეტერბურგში მცხოვრები“, რომლის დასახელებას ერიდებიან ხსენებული მკვლევრები? ანდა: რა ბედი ეწია მის მიერ წაღებულ ეტრატებს? ეს კითხვა დიდხანს რჩებოდა უპასუხოდ, ვინაიდან, როგორც ჩანს, „ამ ძვირფასი საგვარტომო წიგნის გამანახევრებელმა“ არ (თუ ვერ) შეასრულა ზაქარია ჭიჭინაძის თხოვნა: პრესის საშუალებით წარმდგარიყო ქართველი საზოგადოების წინაშე და განემარტა თავისი საქციელის მიზანი<sup>24</sup>.

სამაგიეროდ ამ 20-ოდე წლის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ც. ჭანკიევმა, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის (ყოფილი საიმპერატორო წიგნთსაცავის) ქართულ ხელნაწერებზე მუშაობისას, დაადასტურა, რომ ხსენებულ ფონდში დაცული ეტრატის ხელნაწერი — *Грузинская новая серия № 8—9* — მოიცავს ქართული სახარების ერთ-ერთი უძველესი რედაქციის ფრაგმენტებს: მათე 11,22—12,3; 13,24—16,1; 16,25—17,6; 18,3—18,12; 19,20—21,4; ლუკა 8,52—17,20 (სულ. 48 ფურც.) — და, ამდენად, ავსებს A—509-ის ზოგიერთ ნაკლულ ადგილს. მანვე შენიშნა: 1. შესაბამისი კატალოგის თანახმად, ეს დოკუმენტი საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკისათვის გადაუცია მიხეილ საბინინს 1879 წლის 7 სექტემბერს; 2. რომ ეურნალში „Отчет Императорской Публичной библиотеки за 1879 г.“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, — პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატმა საიმპერატორო წიგნთსაცავში ქართული სახარების სამი ფრაგმენტი (I—12 ფურცელი მახარებელთა მინიატურებით; II—16 ფურც.; III—32 ფურც.). ე. ი. სულ 60 ფურცელი შემოიტანაო, — სწორედ ქსნის ოთხთავის გაუზიარებულ ნაწილს გულისხმობს და 3. რომ ხსენებულ ფრაგმენტთან პირველი ჯერჯერობით არ ჩანს<sup>25</sup>.

<sup>22</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), III, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ქ. შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 268.

<sup>23</sup> ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 291.

<sup>24</sup> ვახ. „ღრობა“, 1883, № 60.

<sup>25</sup> ც. ჭანკიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 163—165.



ამ მიგნების შედეგად შესაძლებელი გახდა სახარების ქართული თარგმანის ხსენებული რედაქციის რამდენიმე შევსება, კერძოდ, — ლუკას თითქმის მთლიანად აღდგენა<sup>26</sup>, მაგრამ, სავალალოდ, კვლავაც გაუჩინარებულია მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულის თანახმად, ქსნის ოთხთავის შედგენილობა დღესდღეობით ამგვარია:

	მოგვებოვება	აქლია
მათე	6,19—9,13 (A—509)	1,1—6,18
	11,22—12,3 (ლუნ.)	9,14—11,21
	12,32—12,40 (A—509)	12,4—12,31
	13,17—13,22 (A—509)	12,41—13,16
	13,24—16,1 (ლუნ.)	13,23
	16,13—17,6 (A—509 და ლუნ.)	16,2—16,12
	18,3—18,22 (ლუნ. და A—509)	17,7—18,2
	19,20—21,4 (ლუნ.)	18,23—19,19
	21,29—28,20 (ე. ი. მათეს თავის ბოლომდე) (A 509)	21,5—21,28
	21,29—28,20 (ე. ი. მათეს თავის ბოლომდე) (A 509)	
მარკოზი	1,1—4,2 (A—509)	4,3—6,32
	6,33—12,6 (A—509)	12,7—12,19
	12,20—16,20 (ე. ი. მარკოზის თავის ბოლომდე) (A 509)	
ლუკა	1,1—24,43 (ლუნ. A—509)	24,44—24,53
	1,1—17,23 (A—509)	17,24—21,25

როგორც ვხედავთ, ეს უნიკალური ძეგლი დღეს ნაკლებულია. მას აკლია თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც. ცხადია ისიც, რომ მ. საბინინის შეწირულობის პირველი ფრაგმენტი, შემოსხენებული ცნობის თანახმად, 12 ფურცელი, რომლის ამჟამინდელ დაცულობაზე ჯერჯერობით არავითარი სარწმუნო ცნობა არ გავაჩნია, ვერ ამოწურავს მთლიანად ქსნის ოთხთავის გაუჩინარებულ ნაწილს, ოთხთავისა, რომლის ტექსტი თითოეულ გვერდზე ორ სვეტადაა წარმოდგენილი, სვეტში კი 18 სტრიქონია. ვფიქრობთ, ეს ჯერაც მისჯერებული ფრაგმენტი „ქართული სიძველეების მაძიებლის“ მიერ წაღებული ხელნაწერის მხოლოდ ის მონაკვეთი უნდა იყოს, რომელიც, დ. ბაქრაძის ხსენებული სტატიის რუსული ვარიანტის თანახმად, მოიცავდა მახარებელთა სურათებსა და, საგულევებელია, მათეს თავის პირველ ნაწილს, 6,19-მდე მაინც. ამასთანავე, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი, როგორც წიგნის დასაწყისი ნაწილი, ძალზე დაზიანებული და დაჩრჩილული იყო. მასზე რაიმეს ამოკითხვა, ალბათ, ჭირდა.

ამჯერად სადავო აღარ უნდა იყოს ისიც, რომ ვინმე ახალგორელი მღვდლის მიერ 1879 წ. აღმოჩენილი ქსნის ოთხთავის ნაწილი, — ყოველ შემთხვევაში 60 ფურცელი მაინც, — ცნობილ საეკლესიო ისტორიკოსის მიხეილ-გობრონ საბინინს (1845—1900)<sup>27</sup> თბილისში ზაქარია ჭიჭინაძისათვის, როგორც მეგობრისათვის<sup>28</sup>, გამოუერთმევია, საქართველოდან გაუტანია იმავე წლის სექტემბრამდე, ხოლო 7 სექტემბერს პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიო-

<sup>26</sup> გამოაქვეყნა ც. ჭანციევმა; იხ. მისი ცეცხ, დასახ. ნაშრ., გვ. 171—222.

<sup>27</sup> მ. საბინინის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე აღიარებულია. იხ. ქ. ცხადაძე, „შუშანიის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიიდან: „შუშანიის წამება“, საიუბილეო კრებული, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1978, გვ. 169—182; საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1982 წლისა, თბ., 1982, გვ. 125—128; ვ. გურგენიძე, „საქართველოს სამოთხე“, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1982, 12. V, № 9; რ. მეტრეველი, დამმარბეთ საქართველოში..., ჟურნ. „მნათობი“, 1985, № 9, გვ. 116—125.

<sup>28</sup> ზ. ჭიჭინაძისა და მ. საბინინის მეგობრობის შესახებ იხ.: რ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 117, 120.

თეკისათვის შეუწირავს. იმხანად რუსეთის იმპერიაში პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა ხელნაწერთა მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით ყველაზე საიმედო ფონდი იყო. ამიტომაც, საბინინის ესოდენი ერთგულება მისდამი გასაგებია<sup>29</sup>. გაურკვეველია მხოლოდ ამ შეწირულების ერთი ნაწილის, — მინიატურებიანი ფრაგმენტის, — ბედი: მისი ამჟამინდელი ადგილ-სამყოფელი და საკითხი, ვინ რა მიზნით მოაშორა იგი დანარჩენ ნაწილს?

თუმცა ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს, იმის დამადასტურებლად, თუ რაოდენ ზრუნავდა მ. საბინინი პეტერბურგის საიმპერატორო წიგნთსაცავის ქართული კოლექციისათვის და ზოგჯერ რაოდენ ექვს ბაღებდა ამგვარი ზრუნავა თანამამულებთა შორის, საყურადღებო ფაქტად გვესახება გაზ. „ივერია“ და ჟურნ. „მწყემსში“ გამოქვეყნებული შემოღვი ინფორმაცია: „საიმპერატორო წიგნთსაცავისათვის ამ წლის მაისის დასასრულში... დეისტვიტელნი სტატკია სოვეტნიკს ა. ვ. ზვენიგოროდსკის... შეუწირავს ორი ეტრატის ფურცელი, რომელიც, როგორც ეტყობა, XII ან XIII საუკუნის ქართულ სახარებას უნდა ეკუთვნოდეს. ერთს ფურცელზე დახატულია წამლებითა და ვარაყით მახარობელი ლუკა, რომელიც ამბიონთანა ჰზის და თავის სახარებასა სწერს. მეორე ფურცელზე გამოხატულია მაცხოვრის ჯოჯოხეთში ჩასვლა... ეს ორი სურათი ღირსეულს ალაგს დაიჭერს წიგნთსაცავის სხვა ძველთა აღმოსავლეთის ნაშთთა შორის, XI—XII საუკუნის „ბიკვინთის სახარების“ ნახატთა და აგრეთვე სხვა ქართულის სახარების სურათებთან ერთად, რომელიც თითქმის იმავე დროს ეკუთვნის და შემოწირულია ბ-ნ საბინინისაგან“<sup>30</sup>.

ამ ინფორმაციის ბოლო (სტილისტურად არც თუ მთლად გამართული და ნათელი) წინადადების თანახმად, მ. საბინინს ხსენებული ბიბლიოთეკისათვის შეუწირავს ბიკვინთის სახარების (H—2120) დროინდელი, ე. ი. XI—XII სს-ის, რამდენიმე მინიატურა ოთხთავისა. სამწუხაროდ, ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციის აღწერილობებზე დაყრდნობით ამ მწირი ინფორმაციების დაზუსტება არ ხერხდება: არ ჩანს, სად არის ამჟამად ა. ვ. ზვენიგოროდსკისა და მ. საბინინის მიერ შეწირული ფურცლები<sup>31</sup>. არც ის ვიცით, საიდან და რა გზით მოიძიეს მათ ეს დოკუმენტები. კარგი იქნებოდა, რომ ჟურნ. „მწყემსის“ სარედაქციო დანართი, გულისწყრომა („საინტერესოა შეიტყოს კაცმა, თუ საიდან მოიბოვა მ. საბინინმა ეს ძველი და ჩვენი ისტორიისათვის შესანიშნავი ნაშთი?... ამისთანა ნაშთები ინახებოდნენ ელექსიბში და მონასტრებში, და საიდან ჩავარდა გარეშე პირის ხელში ეს ძველი

29 აი, რას გვამცნობს გაზ. „ივერია“ (1888, № 198): პ. იოსელიანის მიერ შეგროვებული ბევრი საისტორიო მასალა, რომელიც ერთ მეწერილმანეს ჩავარდნადა ხელში, შეუძენია მ. საბინინს და წაუღია პეტერბურგს. მასვე გადაუცია პეტერბურგის საიმპერატორო ბიბლიოთეკისათვის აგრეთვე, — ამჟამინდელი დაცულობის მიხედვით, — H — 2121, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ახალი სერიის № 3, 4 და სხვ. (იხ. ქ. ცხადაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 174), ხოლო 1896 წელს — 26 ქართული ხელნაწერისაგან შემდგარი კოლექცია (H. Я. Марр, Краткий каталог собрания грузинских рукописей приобретенного императорскою публичною библиотекою в 1896 году, Спб., 1900). იმათგან 9 დღესდღეობით დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2102 — 2110). ამავე ბიბლიოთეკას 1899 წელს ამავე მკვლევრისაგან შეუძენია საისტორიო საბუთების კოლექცია. იხ. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ, ჟურნ. „მოამბე“, 1900, № 4, განკ. II, გვ. 1.

30 გაზ. „ივერია“, 1886, 22. IV, № 133.

31 იმავე 1886 წელს ა. ზვენიგოროდსკის საიმპერატორო ბიბლიოთეკისათვის უჩუქებია მინიატურები: მახარებელ მათესი და ფერცივალებისა („ახალი სერია“, № 17), რომლებიც ვასილი პუცკომ დასურათებული ლარგვისისი ოთხთავის (A—26, XII) კუთვნილებად მიიჩნია. იხ. მისივე გამოუქვეყნებელი სტატია: „Художественное оформление Ларгвисского четвероевангелия“, რომლის ერთ-ერთი პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.



ნაშთი?«<sup>32</sup>) ყურადღო ა. ვ. ზენიგოროდსკისა და საბინინთან ერთად და  
ეკმაყოფილებინა ქართველი საზოგადოების საფუძვლიანი ინტერესი<sup>33</sup>. ვარჯიშული  
ამჯერად კი შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდი: ზემოწარმოდგენილ  
ფორმაციაში საბინინის შეწირულებად ხომ არ იგულისხმება ქსნის ოთხთა-  
ვის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკისეული ფრაგმენტი (60 ფურცელი),  
რომლის ერთი მონაკვეთი, სწორედ სურათებიანი ნაწილი, დღემდის გაუჩი-  
ნარებულა? ამ ფრაგმენტისა, ე. ი. 12 ფურცლისა, და ა. ვ. ზენიგოროდ-  
სკის მიერ შეწირული 2 ეტრატის ამჟამინდელი დაცულობა კი, რა თქმა  
უნდა, პირველ რიგში საკუთლებელია ან ლენინგრადის სიძველეთსაცავებში,  
ანდა, იქ, სადაც 1923 წელს დააბრუნეს მეფის ხელისუფლების დროს სა-  
ქართველოდან გატანილი განძი, მათ შორის, ხელნაწერთა დიდი ნაწილი —  
ე. ი. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდსა და საქართვე-  
ლოს სახელმწიფო საისტორიო არქივში. თუმცა ამ თვალსაზრისით წარმარ-  
თულმა მუშაობამ დღემდე სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ყველა სავა-  
რადუდებელი ხელნაწერის საგანგებო გასინჯვის შედეგად ზემოხსენებული ინ-  
ფორმაცია, ანუ ზენიგოროდსკისა და საბინინის შეწირულებათა, იდენტი-  
ფიკაცია მთლად გამოირიცხული, ვფიქრობთ, მაინც არ უნდა იყოს.

Н. И. ПАПАШВИЛИ

## НЕСКОЛЬКО НОВЫХ СВЕДЕНИИ О КСАНСКОМ ЧЕТВЕРОГЛАВЕ

Резюме

В дореволюционных журналах и газетах, в частности, в журна-  
лах «Иверия» (1883, № 5—6), «Мцкემси» (1886, № 19, ст. 11), в га-  
зете «Дроеба» (1883, № 160) были выявлены сведения о древней ру-  
кописи грузинского перевода Евангелия, так называемого Ксанского  
четвероглава, выполненного на пергаменте и датированного X в.

Выясняется, что данная рукопись была обнаружена в 1879 г. в  
одной из разрушенных церковей каким-то священником из Ахалгори  
(в Ксанском уезде, в окрестностях Гори). В том же году он пода-  
рил ее археофилу Захарии Чичинадзе. Тот в свою очередь передал  
часть этой рукописи Михаилу Сабинину, часть — историку Димитрию  
Бакрадзе. Спустя некоторое время, М. Сабинин передал свою часть  
рукописи в дар Петербургской императорской библиотеке, а Д. Бак-  
радзе — Тифлисскому церковному музею. В статье показан дальней-  
ший путь рукописи, дана сводная таблица ее состава в настоящее  
время (по рукописям А-509 Института рукописей АН ГССР и по  
№№ 8—9 новой серии грузинских рукописей Ленинградской публич-  
ной библиотеки).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელ-  
ნაწერთა ინსტიტუტის ძეგლთა დაცვა-აღრიცხვისა და ექსპოზიციის განყოფილება  
წარმოადგინა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

<sup>32</sup> ფურ. „მწყემსი“, 1886, № 19, გვ. 11.

<sup>33</sup> ჩვენთვის ცნობილია მ. საბინინის წერილები: რედაქციისადმი (?) (გ. ლენინის სახ.  
ლიტერატურის მუზეუმი, 8017-ბ), ითანე გრიგოლის ძე ბერძენოვისადმი (გაზ. „დროება“,  
1881, № 133), ზ. ჭიჭინაძისადმი (ლიტ. მუზეუმი, 5142—5148-ბ) და სხვ. რომლებშიც ავტო-  
რი არა მხოლოდ თავს იცავს ამგვარ ბრალდებათაგან, არამედ ქართული ეკლესიისა და ინ-  
ტელიგენციის იმპროვირებულ მესვეურებს საყვედურობს კიდევ, — თქვენს ეროვნულ სიძველე-  
ებს ჭეროვნად ვერ პატირონობთ, თქვენი უყურადღებობის წყალობით დაიკარგაო დავით  
გარეჯის საგანში და დღეული უნიკალური პავოგრაფიული კრებული „ჯვარშემოსილი“ (იხ. წე-  
რილი ბერძენოვისადმი) და სხვ., მაგრამ ზემოხსენებულ ბრალდებებზე — ქსნის ოთხთავის  
ნაწილის საქართველოდან გატანაზე — რაიმე პასუხი ჭერჯერობათ ვერ დავადასტურეთ.  
ამგვარი რამ, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა არც საბინინის პირად ბიბლიოთეკაში, რომელიც  
მ. ჯანაშვილს დაუთვლიერებია 1904 წ. (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2378 და 2382).

## შპა კვანახტირაშძი

 ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიის“ წყაროების  
საკითხისათვის

შუა საუკუნეთა საისტორიო მწერლობის ძეგლთა წყარომცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ძველ ავტორთა მიერ გამოყენებული წყაროების გამოვლენა და ამ წყაროებიდან ამოკრებილი მასალით სარგებლობის ხერხების დადგენა. ეს აუცილებელია როგორც საკუთრივ იმ ავტორთა შემოქმედებითი მეთოდის დახასიათებისათვის, ისე მათ მიერ მოწოდებული მასალის სანდოობისა და უტყუარობის დასადგენად. ამ პრობლემას ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია მიეკცა ყურადღება, გამოვლენილი და შესწავლილია არაერთი ქართველი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ქართული თუ უცხოური წყაროები. ამან კი დიდად შეუწყო ხელი ამ ისტორიკოსთა შემოქმედების უფრო ფართოდ და ყოველმხრივ დახასიათებას.

უთუოდ საყურადღებო და პერსპექტიულია ამ თვალსაზრისით მიღიადრი შუა საუკუნეთა სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლთა შესწავლა. წინამდებარე წერილში XIII საუკუნის გამოჩენილი სომეხი მწერლისა და მემატინანის ვარდან არეველცის სომხური წყაროების საკითხს შევხებით.

ვარდან არეველცი სომხური ისტორიოგრაფიისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების სომხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, განათლების, ისტორიოგრაფიის, გეოგრაფიის, სამართლის, მწერლობის, სომხური ენის გრამატიკის განვითარებაში, ამ სფეროების გონებრივი და სულიერი გამდიდრების საქმეში<sup>1</sup>.

ვარდან არეველცის მრავალფეროვან სამეცნიერო-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში სხვადასხვა ჟანრის ნაშრომები გვხვდება: საუბრები, ჰიმნები, კომენტარები, ხოტბები, შარაკანები, საკანონმდებლო ხასიათის შრომები, გრამატიკული ნაშრომები, „უღლანქი“, „გეოგრაფია“, „მსოფლიო ისტორია“<sup>2</sup>. ამ უკანასკნელს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ვარდანის შემოქმედებაში. „მსოფლიო ისტორია“ მოიცავს პერიოდს დასაბამიდან 1267 წლამდე და ძვირფასი წყაროა არა მარტო სომხეთის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების, სულიერი კულტურის შესასწავლად. ბუნებრივია, რომ ასე ფართოდ ჩაფიქრებული ნაშრომის დასაწერად ვარდანს უნდა გამოეყენებინა და გამოუყენებია კიდევ წერილობითი (ძირითადად სომხური) და ზეპირი წყაროები. ზოგიერთი ასეთი წყაროს ავტორს ის ასახელებს კიდევ თავის თხზულებაში. ესენია: ასოლიკი (XI ს.), მითარ ანეცი (XII ს.), ვარდაპეტი ვანაკანი (XIII ს.), ვაპრამი (XIII ს.) და კირაკოს ვანაკეცი (XIII ს.)<sup>3</sup>. მათი თხზულებების გარდა ვარდანს, ცხადია, სხვა მრავალი წყაროს მონაცემებიც გამოუყენებია,

<sup>1</sup> П. П. Антабян, Вардан Аравелци, Общественно-культурные и творческие проблемы, Автореферат докторской диссертации, Ереван, 1987, გვ. 9.

<sup>2</sup> პ. ვოსკიანი, ვარდან არეველცი. „მანდეს ამსორია“, 1921, № 9, გვ. 459 (სომხურ ენაზე).

<sup>3</sup> ვარდან ბარძრბერდცი, მსოფლიო ისტორია, ნ. ემინის გამოცემა, მოსკოვი, 1861 (სომხურ ენაზე), გვ. 76, 127, 192 (ქვემოთ: ვარდან), ამის შესახებ დაწერილ. იხ. ე. კვაჭავაძის რამდენიმე წყაროების დამოწმების წესი ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიაში“, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1988, № 3.

მაგრამ, სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში გავრცელებული წესის შესაბამისად, მხოლოდ იშვიათად ასახელებს ამ წყაროებს. ამდენად უთუოდ საინტერესოა ვარდანის მიერ ამ წყაროების გამოყენების მეთოდები: რა დამოკიდებულებაშია ავტორი წინარე ხანის ისტორიკოსებთან, როგორ ამუშავებს მათი ნაშრომებიდან აღებულ მასალას, უმატებს რაიმეს ან ასწორებს, თუ უტყვევლი სახით გადმოაქვს თავის თხზულებაში.

ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორია“ კომპილაციაა. თვით თავისი თანამედროვე ეპოქის შესახებ ვარდანს ცნობები ვარდაპეტ ვანაკანისა და კირაკოს განძაკეცის თხზულებებიდან ამოუკრებიია, მხოლოდ დაწვრილებით აღუწერია ჰულაგუ-ხანის კარზე თავისი ყოფნა<sup>4</sup>.

ვარდან არეველცის მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ საყურადღებოა მ. ბროსესა და ე. მილდერმანსის ნაშრომები<sup>5</sup>. საინტერესოა აგრეთვე ტ. გუიშვიანის მოსაზრებანი მხითარ ანეცის (XII ს.) თხზულებიდან ვარდანის „მსოფლიო ისტორიაში“ შემონახულ ერთ ნაწყვეტთან დაკავშირებით<sup>6</sup>. პ. მარგარიანიც იხილავს ვარდან არეველცის „მსოფლიო ისტორიას“ და მხითარ ანეცის თხზულებათა ტექსტების გენეტიკურ კავშირებს<sup>7</sup>. აღსანიშნავია ვარდანის შემოქმედების შესახებ პ. ანთაპიანის მონოგრაფია, რომელშიც განხილულია ვარდანის მიერ გამოყენებული წყაროები<sup>8</sup>.

ვარდანს თავისი თხზულების შესავალისა და დასაწყისი ნაწილისათვის იყენებს ბიბლიას. ავტორი შესავალში გადმოსცემს კოსმოგრაფიულ შეხედულებებს ქვეყნის გაჩენის შესახებ, რომლებიც სომხურ სამღვდლოებაში გავრცელებულ მცნებებს ემყარება.

ამ მცნებებს თავისი საწყისი აქვს ჯერ კიდევ ქრისტიანობის პირველი საუკუნეების სასულიერო მოღვაწეთა შემოქმედებაში, რომელთათვისაც ამ შემთხვევაში ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ბიბლიის ადგილების პირდაპირი გაგება. ვარდანის, როგორც XIII ს-ის ავტორის და სასულიერო პირის (ვარდაპეტ) მიერ ბიბლიის გამოყენება სავსებით ბუნებრივია. მაგრამ დასაწყის ნაწილში ვარდანის თხრობა ზოგჯერ ბიბლიას არ ემთხვევა. ვარაუდობენ, რომ ეს განსხვავებები ვარდანს აღებული აქვს სირიელ ავტორთა ნაშრომებიდან, კერძოდ მიხეილ ასურის „უამთაღმწერლობიდან“<sup>9</sup>.

მოგესს ხორენაცის (V ს.) „სომხეთის ისტორია“ ძველი სომხური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ხორენაცის თხზულება პირველია, სადაც სომხეთის წარსულის შესახებ ვრცლად არის მოთხრობილი დასაბამიდან ახ. წ. V საუკუნემდე. ძველი სომეხი ისტორიკოსები ყოველთვის მორჩილად მიჰყვებოდნენ მოგესსის მიერ გაკვალულ გზას, სიტყვასიტყვით იწერდნენ მისგან სათანადო ადგილებს, არავის დაუსახავს მიზნად შეემოწმებინა ამა თუ იმ ცნობის სანდოობა<sup>10</sup>. ვარდან არეველცი უთუოდ იცნობდა ამ

<sup>4</sup> ა. აბდლაძე, სომხური წყაროები, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 36.

<sup>5</sup> M. Brosset, Additions et éclaircissements à l'histoire de la géographie, depuis l'Antiquité jusqu'en 1469 de J. C., St. Peterburg, 1851. M. Brosset, Analyse critique de la „Всеобщая история“ de Vardan, St. Peterburg, 1862.

<sup>6</sup> D. Kouymjian, Mxitar of Ani on the Rise of the Seljugs, „Revue des études arméniens“, Nouvelle série, VI, Paris, 1969.

<sup>7</sup> მხითარ ანეცი, ისტორია, პ. მარგარიანის გამოცემა, ერევანი, 1983 (სომხურ ენაზე).

<sup>8</sup> პ. ანთაპიანი, ვარდან არეველცი, ერევანი, 1987 (სომხურ ენაზე).

<sup>9</sup> Хронографическая история составленная отцом Мхитаром, вардапетом Айриванским, перевод К. Патканова, СПб., 1869, гв. 315.

<sup>10</sup> ალ. აბდლაძე, შესავალი წიგნში: მოგესს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 33.

თხზულებას. მაგალითად, ერთნაირი შეხედულება აქვთ მოვსეს ხორენაციისა და ვარდანს კავკასიის ხალხთა წარმომავლობის შესახებ. ეს შეხედულებანი ბიბლიურ წარმოდგენებზეა დამყარებული. მოვსეს ხორენაცი და ვარდანი ერთმანეთს ეთანხმებიან აგრეთვე ბაგრატიონთა გვარის წარმოშობის საკითხშიც. კერძოდ, ვარდანი, მოვსეს ხორენაციის მიბაძვით, თვლის, რომ იბერიელები ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა მოიყვანა ივერიიდან („ხოლო იბერიელი ტომები მოყვანილი არიან ნაბუქოდონოსორის მიერ იბერიიდან, რომელიც ლბობის დასავლეთით მდებარეობს“<sup>11</sup>).

ცნობები ბაგრატიონთა წარმომავლობისა და არშაკიანთა მეფის ვალარშაკის ტახტზე ასვლის შესახებ ვარდანს სწორედ მოვსეს ხორენაციის თხზულებიდან ამოუყრებია. ამასთან, მისი წყაროს თხრობა უფრო სრულია, ვარდანი კი შემოკლებით გადმოგვცემს ამბებს. მაგალითად:

მოვსეს ხორენაცი: „... (ვალარშაკმა) შემოიღო (ახალი) წესები ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მოსაწყობად, (შექმნა) სანახარაროები და განაწესა მათ მამათაურებად გამოსადეგი აღამიანები, ჩვენი წინაპრის ჰაიკისა თუ სხვათა შთამომავალნი.“

მაკედონელთა ალაგმვისა და ომების დასრულების შემდგომ მამაცი პართელი შეუდგა კეთილი საქმეების კეთებას. უწინარეს ყოვლისა ღვაწლი დაუფსა ძლევა მოსილსა და გამჭირაბ კაცს, წარმომავლობით ებრაელ შამმატ ბაგრატს. უფლება მიანიჭა მას და მის ნაშიერს ყოფილიყვენ არშაკუნთა გვირგვინდამდგელნი. ბაგრატის სახელის მიხედვით მისი შთამომავალნი ბაგრატუნებად უნდა წოდებულიყვენ<sup>12</sup>.

ვარდანი: „ვალარშაკმა მოაწყო თავისი ქვეყანა, შექმნა სანახარაროები, განაწესა მამამათაურები, პატივი სცა და მოიწვია ამ თანამდებობაზე გვირგვინოსანი ბაგრატის გვარიდან, რომლებიც წარმომავლობენ სუმმატ ებრაელისაგან, იუდეელთა ტომიდან, მათ ეწოდათ ბაგრატუნები“<sup>13</sup>.

მოვიყვანათ კიდევ ერთი ტექსტობრივი შედარება:  
მოვსეს ხორენაცი: „(ვალარშაკმა) თავისთან დაიტოვა მხოლოდ უფროისი ვაჟი, სახელად არშაკი, ტახტის მემკვიდრედ, აგრეთვე მისი ძე, რომელსაც არტაშესს ეძახდნენ... აქედან მოყოლებული დაწესდა არშაკუნებში, რომ მეფისთან უნდა ეცხოვრა მის ერთ ძეს, ტახტის მემკვიდრეს, სხვა ვაჟები და ასულნი კი წვიდოდნენ ჰაშტიანქის მხარეებში, საგვარეულო სამკვიდრებელში.“

ამგვარი სიმამაცის გამოჩენის და (ქვეყნის) კეთილგანგებულების შემდეგ ვალარშაკი გარდაიცვალა ნიზიბინში, მან ოცდაორ წელიწადს იმეფა.

არშაკი ძე ვალარშაკისა ცამეტი წლის მანძილზე მეფობდა სომხეთში... (არშაკი) შეებრძოლა პონტოელებს და დიდი ზღვის ნაპირზე ნიშანიც დასტოვა. ამბობენ, რომ ქვეითად მყოფმა გასტყორცნა თავისი მრავალპირიანი შუბი, რომელიც ქვეწარმავალთა სისხლში იყო ამოვლებული, და ღრმად შეარჭო ქვის სვეტს, ზღვის ნაპირზე რომ აღმართა. პონტოელები დიდხანს სცემდნენ თაყვანს მას, ვითარცა ღმერთების ნახელავს“<sup>14</sup>.

ვარდანი: „როცა ვალარშაკმა მოაწყო თავისი სამეფო, თავისი ვაჟი არტა-

11 ვარდანი, გვ. 45.

12 მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1881. გვ. 102—103 (სომხურ ენაზე). შდრ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 101—102. იმისათვის, რომ უფრო თვალნათლად გამოჩნდეს ტექსტობრივი ნასესხობა, ყველგან ჩვენი საკუთარი თარგმანი გვაქვს მოყვანილი, შედარებისთვის კი ვიმოწმებთ არსებულ თარგმანებსაც.

13 ვარდანი, გვ. 44—45.

14 მოვსეს ხორენაცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119. შდრ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 109.

შესი და სხვა უფლისწულები გაგზავნა ჰაშტიანი მხარეში, დაიტოვა თვის თან თავისი ვაჟი არშაკი. დაწესდა ყველა სომეხი მეფისთვის: ჰყოლოდათ თავისი ვისთან მხოლოდ (ტახტის) მემკვიდრე, დანარჩენი (უფლისწულები) გაეგზავნათ ჰაშტიანში დამოუკიდებლად საცხოვრებლად. ვალარშაკი ოცდაორი წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა ნიზიბინში. არშაკმა პონტოს ზღვის ნაპირზე გრანიტის ქვაში შეარქო შუბი, რომელიც ქვეწარმავალთა სისხლში იყო ამოვლებული. ამ შუბს თაყვანს სცემდნენ პონტოელები, ვითარცა ღმერთების ნახელავს<sup>15</sup>.

ვარდანი თავისი თხზულების წყაროდ იყენებს ფავსტოს ბუზანდის (V ს.) „სომხეთის ისტორიას“, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო ხშირად მოვსეს ხორენაცის თხზულების მეშვეობით<sup>16</sup>. ხშირ შემთხვევაში ვარდანის მიერ პირველწყაროდან გადმოღებული ადგილების დადგენა გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ძნელი დასადგენია, კონკრეტულად რომელი ავტორის თხზულებიდან არის ამოღებული ესა თუ ის ნაწყვეტი. საქმე ის არის, რომ ზოგჯერ ცნობები სიტყვასიტყვით გადადიოდა პირველწყაროდან შემდგომი პერიოდის ერთ ან რამდენსამე თხზულებაში. ამიტომ საგანგებო დაკვირვებაა საჭირო იმის დასადგენად, ვარდანის „მსოფლიო ისტორიის“ ესა თუ ის ნაწილი ან მოკლე ცნობა უშუალოდ პირველწყაროდან არის აღებული, თუ სხვა რომელიმე გვიანდელი თხზულებიდანაა მოყვანილი. მაგალითად, სპასბეტ ვანე მაპიკონიანის სიკვდილის და მისი ლოცვებში მოხსენიების შესახებ ვრთანეოს კათალიკოსის განკარგულება ვარდანს აღებული აქვს პირდაპირ ფავსტოს ბუზანდის თხზულებიდან<sup>17</sup>. ტიგრან მეფის წინააღმდეგ სპარსელთა მიერ მოწყობილი შეთქმულების, იუსიკ კათალიკოსისა და მისი შვილების პაპისა და ათანაგინესის, ნერსეს დიდის შესახებ თხრობასაც ვარდანი ფავსტოს ბუზანდის ნაშრომის მიხედვით განაგრძობს<sup>18</sup>. არშაკისა და პაპის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საუბრისას კი ის უპირატესობას ანიჭებს მოვსეს ხორენაცის<sup>19</sup>, თუმცა ადგილ-ადგილ ფავსტოს ბუზანდის თხზულებასაც მიმართავს. მაგალითად, პაპის მიერ ნერსეს დიდის მოწამლა ვარდანს სიტყვასიტყვით მოვსეს ხორენაცის მიხედვით აქვს მოთხრობილი<sup>20</sup>.

ვარდანს არევეთის „მსოფლიო ისტორიის“ ერთ-ერთი წყაროა ლაზარ ფარბეცის (V ს.) „სომხეთის ისტორია“. განსაკუთრებით უხვად იღებს მისგან ირანელებთან ბრძოლის ეპიზოდებს. ლაზარ ფარბეცი ამ მოვლენათა თანამედროვეა, ამიტომ ვრცლად გადმოგვცემს ამბებს, ვარდანი კი მართალია მიჰყვება ლაზარის თხზულებას, მაგრამ ტენდენციურად ამოკლებს მას. მრავალი მაგალითიდან სანიმუშოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს. ეს არის ვანტანგ გორგასლის ბრძოლა ირანელთა მხედართმთავრის მიპრანის წინააღმდეგ.

ლაზარ ფარბეცი: „... მოვიდა მიპრანი, მოაწია და დაიბანაკა სომეხთა ბანაკის პირდაპირ, მის ახლოს, ოღონდ მდინარის ვალმა, რომელსაც კურას ეძახიან. იმ ღამეს სომეხთა ჯარიდან მრავალმა დაივიწყა ღეთის აღთქმის შიში და ფეხქვეშ გათელა ნახარალების საშინელი ფიცი. მათ შიკრიკებით საიდუმლოდ შეუთვალეს თავთავიანთ მახლობლებს სპარსელთა ჯარში: „ჩვენ ხვალ, როდესაც ბრძოლის ველზე გამოვალთ, გავიქცევით და სხვა მრავალსაც თან

15 ვარდანი, გვ. 46—47.

16 პ. ანთაპიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

17 ვარდანი, გვ. 64. ფავსტოს ბუზანდი, სომხეთის ისტორია, ვენეცია, 1914, გვ. 37—38. (სომხურ ენაზე).

18 ვარდანი, გვ. 57—59. ფავსტოს ბუზანდი, გვ. 61—63, 23, 58—59.

19 პ. ანთაპიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

20 ვარდანი, გვ. 68. მოვსეს ხორენაცი, გვ. 305—306.

გავიყოლებთ ჩვენი ჯარიდან“... ხოლო სომეხთა მთელი ჯარი და მასთან ერთად ქართველთა გამოუსადეგარი ჯარი თავის მეფე ვახტანგთან ერთად დაიშალა და გაიფანტა“<sup>21</sup>.

ვარდანი: „სპარსელთა მხედართმთავარი მიპრანი დიდი ლაშქრით წამოვიდა იბერთა მეფე ვახტანგის წინააღმდეგ და (ვახტანგმა) შემწეობის თხოვნა გაუგზავნა ვაჰანს, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა. ბრძოლის დაწყებამდე გაიქცნენ ქართველთა მხდელი ჯარი მეფითურთ და ზოგიერთი მშვიშარა სომეხი“<sup>22</sup>.

ვარდანი „მსოფლიო ისტორიის“ წყაროა სებეოსის (VII ს.) „ისტორიაც“. სებეოსის და ვარდანის თხრობა ბევრი მოვლენის შესახებ სავსებით იდენტურია. ჩვენი დასკვნის გასამყარებლად მოვიყვანოთ რამდენიმე პარალელური ნაწყვეტი ამ თხზულებებიდან:

სებეოსი: „(ხოსრომ) აღსრულების ყამს... ირწმუნა ქრისტე... და იხმო მთავარეპისკოპოსი, რომელიც ნეტარ კათალიკოსად იწოდებოდა, ნათელი იღო მისგან... და გარდაიცვალა... და შემდგომად მცირე დღეთა განისვენა თავისი ძლით და აიღეს მისი ნეშტი ქრისტიანებმა, წაიღეს და ჩასვენეს სამეფო განსასვენებელში და მის შემდგომ მეფობდა მისი ვაჟი ორმიზდი“<sup>23</sup>.

ვარდანი: „ხოლო სპარსთა მეფე ხოსრომ სიკვდილის მოახლოების ყამს ირწმუნა ქრისტე და იხმო თავისთან ნეტარი კათალიკოსი, რომელიც გიუტის მიერ იყო კურთხეული სხვა ეპისკოპოსებთან ერთად, მეფე პეროზთან წასვლისას... რაკი სიკვდილი სურდა, მოინათლა ნეტარისაგან და მიიცვალა. ამ ქრისტიანებმა ჩასვენეს ის სამეფო სასაფლაოში. გვირგვინი დაიდგა მისმა ვაჟმა ორმიზდმა“<sup>24</sup>.

ამის უშუალო გავრძელება, სადაც მოთხრობილია თუ როგორ მოკლეს ორმიზდი თავის დარბაზში, ხოლო მისი შვილი ხოსრო განდევნეს, ასევე სიტყვა-სიტყვით აღებულია სებეოსის თხზულებიდან.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი:

სებეოსი: „რომელსა დღესა სუმბატ ბაგრატიუნმა დაამხო ხოსროს მტრები, უბოძა ქვეყნის მარზპანობა ვრკანს... ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ სომხები, ტყვედ წაყვანილნი სომხეთიდან... თავიანთი ენა დავიწყებული ჰქონდათ და დამწერლობა არ იცოდნენ... დაუწყეს მღვდელმსახურების წესი ამ ქვეყანაში და (დანაშნეს) ეპისკოპოსი მათგან, სახელად აბელი... და უბრძანა (მეფემ) წასულიყო თავისი ქვეყნის სანახავად... და დააყენეს აბრაჰამ რმტუნის ეპისკოპოსი სავამეფოდ. შემდეგ დაიწყეს ეკლესიის საფუძვლის ჩაყრა და შეკრიბეს ქვის ხუროები. ხოლო ციხისთავმა და მარზპანმა საჩივარი მისწერეს მეფეს, რომ (ეკლესია) ახლოა ციხესთან და საშიშროებას წარმოადგენს მტრების მხრიდან. მეფემ ბრძანა გადაეტანათ ციხე, ეკლესია კი თავის ადგილზე დარჩენილიყო“<sup>25</sup>.

ვარდანი: „ამ დროს სუმბატ ბაგრატიუნმა გმირულად დაამხო ხოსროს მტრები, რომელმაც მადლიერების გამოსახატად დანიშნა იგი ვრკანის ქვეყნის

21 ლაზარ ფარპეცი, სომხეთის ისტორია, გ. ტერ-მგრტიანის და მ. მალხასიანის გამოცემა, თბ., 1904, გვ. 132—134 (სომხურ ენაზე). შდრ. ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 255—257.

22 ვარდანი, გვ. 79.

23 სებეოსი, ისტორია, გ. აბგარიანის გამოცემა, ერევანი, 1979, გვ. 29 (სომხურ ენაზე). შდრ. История епископа Себеоса, перевел с четвертого исправленного армянского издания С. Малхасянц, Ереван, 1939, гв. 30—31.

24 ვარდანი, გვ. 82.

25 სებეოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54—55, 58. შდრ. История епископа Себеоса, гв. 96—97, 100.

მმართველად. აქ მოსვლისას სუმბატმა ნახა ტყვედ წამოყვანილი და თურქებს ტანში, დიდ უდაბნოში, რომელსაც საეგსტანს უწოდებენ, დასახლებულს მკვრივ ხეები, რომლებსაც დაიწყებულნი ჰქონდათ თავიანთი ენა და დამწერლობა. სუმბატის ნახვით ისინი გამხიარულდნენ და დაიწყეს ენისა და ანბანის შესწავლა. მისი თხოვნით დიდმა პატრიარქმა მოსემ აკურთხა მათთვის ეპისკოპოსად აბელი და დაუმტკიცა მათ წმ. გრიგოლის წილით. სუმბატი მეფის ნებართვით მოვიდა თავისი ქვეყნის სანახავად. დევნი მოსვლისას დაიწყო წმ. გრიგოლის ხის ეკლესიის განახლება, რომელიც აგებული იყო წმ. ვარდანის მიერ, რამდენადაც ციხისთავი არაერთხელ ჩიოდა სამეფო კარზე იმას, რომ ეკლესიას ციხე-სიმაგრე საფრთხეს უქმნიდა, გამოვიდა ბრძანება, დენგრიათ ციხე-სიმაგრე და მოშორებით აეშენებინათ. ამით გახარებულმა სუმბატმა ქრისტეს სადიდებლად განაახლა ეკლესია თლილი ქვით. მან ბრძანა პატრიარქად ეკურთხებინათ უფალი აბრაჰამი, რშტუნის ეპისკოპოსი<sup>26</sup>.

ლევონდის (VIII ს.) „ისტორია“ ასევე პირდაპირ და უშუალო კავშირშია ვარდანის თხზულებასთან. კვლავ მივმართოთ ტექსტობრივ შედარებას.

ლევონდი: „ოცი წლის მმართველობის შემდეგ მუჰამედი გარდაიცვალა. მის შემდეგ მუჰამედის მფლობელობა მიიღეს აბუბექრმა, ომარმა და ოსმანმა... მიაღწიეს სპარსეთის მეფემდე, რომლის სახელი იყო იაზდიგერდი... მოკლეს. ამის შემდეგ მოისპო სპარსეთის მეფობა, რომელიც გრძელდებოდა 481 წელს“<sup>27</sup>.

ვარდანი: „მუჰამედი ოცწლიანი მმართველობის შემდეგ გარდაიცვალა. მის შემდეგ მმართველობას დაეპატრონენ ომარი, ოსმანი და აბუბექრი... იაზდიგერდი, ხოსროს შვილიშვილი მოკლულ იქნა. ამგვარად შეწყდა სპარსელთა მმართველობა, რომელიც 481 წელს გრძელდებოდა“<sup>28</sup>.

ვარდანი ამის შემდეგაც სარგებლობს ლევონდის „ისტორიით“. განსაკუთრებით აშოტ ბაგრატიუნის არაბების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების, იშხანებთან უკმაყოფილების, გრიგოლ და დავით მამიკონიანების მიერ მისი დაბრმავების, მუშელ მამიკონიანის, სუმბატ ბაგრატიუნის აჯანყების და სხვა მოვლენების შესახებ თხრობისას<sup>29</sup>. ამ ნაწილის წერის დროს ვარდანი მიმართავს აგრეთვე სხვა წყაროებსაც, კერძოდ, ასოლიკის თხზულებას<sup>30</sup>.

იოანე დრასხანაქერტეცის (IX—X სს.) „სომხეთის ისტორია“ ვარდან არეველცის თხზულების მეტად მნიშვნელოვანი პირველწყაროა, რომელსაც ის ასევე ხშირად მიმართავს. ვარდანი ამ წყაროს იყენებს აგრეთვე სხვა წყაროებიდან აღებული მასალების შევსებისა და დასაბუთებისათვის. მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითები:

იოანე დრასხანაქერტეცი: „მის შემდეგ ტახტზე დასვა ლევონდი, რომელიც იყო მცირე ერასტში, ხოლო ლევონდს ეპყრა საეპისკოპოსო ტახტი 3 წელი და გარდაიცვალა. მის შემდეგ იყო ნერსე, ბაგრევანდის მხარიდან, სოფ. აშტარაკიდან... ამ დროს სპარსელთა მეფე ხოსრომ დიდძალი ჯარი შეკრიბა, გამოგზავნა ვარდანის შესაპყრობად და მოხდა დიდი ბრძოლა ხალამანის ველზე. წმ. ნერსეს გამუდმებულ ლოცვათა საშუალებით ვარდანმა დაამარცხა სპარსელები. ამ დღეებში მახოყი., მოინათლა რა, იაზდუზიტიად იწოდა, რაც

<sup>26</sup> ვარდანი, გვ. 84.

<sup>27</sup> ლევონდი, ისტორია, ს. პეტერბურგი, 1887, გვ. 3,6—7,12—13,14. (სომხურ ენაზე). შტრ. История халифов вардапета Гевонда, перевод с армянского, Спб., 1862, гв. 1—3.

<sup>28</sup> ვარდანი, გვ. 90.

<sup>29</sup> ლევონდი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112—114, 121—124, 140—143, 145—157. შტრ. История халифов вардапета Гевонда, гв. 7—10, 85—87, 99—100.

<sup>30</sup> ანთაკიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

ნიშნავს „ღვთისაგან გადარჩენილს“. მრავალი ტანჯვა გადაიტანა ვაჰრამ მარ-  
ზხანისაგან და ღვინში მოწამებრივი სიკვდილით გარდაიცვალა ქრისტესთვის.  
წმ. მარტვილის წმინდასხეული დიდმა ნერსემ დასაფლავა საკათალიკოსო ეკ-  
ლესიის ახლოს აღმოსავლეთის მხრიდან. ააწენეს მასზე მოსახსენებელი  
თლილი ქვისაგან<sup>31</sup>.

ვარდანი: „უფალ ქრისტეფორეს შემდეგ იყო უფალი ღვინდი ორი  
წელი, შემდეგ უფალი ნერსე ცხრა წელი. მის დროს სპარსეთის მეფე ხოსრომ  
გამოგზავნა რაზმი ვარდის შესაპყრობად. ხალამახის ველზე მოხდა დიდი ბრძო-  
ლა, სადაც წმ. ნერსე პატრიარქის ლოცვის შემწეობით ამოხოცეს სპარსეთის  
ლაშქარი. იმ დროს წმ. იზდბუზიტი, რაც „ღვთისაგან გადარჩენილს“ ნიშ-  
ნავს, გარდაიცვალა წამებით მარზპან ვაჰანის ხელთ ღვინში, რამეთუ ვარდის  
შემდეგ მარზპანობას ფლობდნენ სპარსელები. წმ. პატრიარქმა ნერსემ დასა-  
ფლავა წამებულის სხეული საპატრიარქო სახლთან ახლოს, აავი მასზე მოსა-  
ხსენებელი თლილი ქვისაგან“<sup>32</sup>.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი:

იოანე დრასხანაკერტცი: „ხოლო ანასტას მამამთავარმა ხელი მოჰკიდა  
სომხური კალენდრის შექმნას... თავისთან უხმო ანანია ანეცის, რომელიც ამ  
საქმის მცოდნე იყო, და უბრძანა შეესრულებინა მისი სათხოვარი... და ვიდრე  
ფიქრობდა დიდი ანასტასი... უწია სიკვდილმა... საკათალიკოსო ტახტზე ყოფ-  
ნის ექვსი წლის თავზე. მის შემდეგ ისრაელ ვოლმისმა დაიკავა საკათალი-  
კოსო ტახტი. ამ დროს თურქთა მხედართმთავარი ბარაბა, რომელიც სომხეთ-  
ში იყო, ქართველთა თავადმა ნერსემ განდევნა, გაანადგურა და გააქცია.  
ხოლო ისრაელი იჯდა საკათალიკოსო ტახტზე ათი წელი და გარდაიცვალა.  
მის შემდეგ კათალიკოსობა მიიღო საპაკმა, რომელიც წარმოშობით იყო ძო-  
რაფორის სოფ. არქუნაშენიდან... ხოლო მისი ტახტის ფლობის მეშვიდე წელს  
სასტიკი ბრძოლა მოხდა ხაზარებთან. მოკლულ იქნა იშხანი გრიგოლი, მამა-  
მისთან ერთად. მის შემდეგ სომხეთის მმართველობა მიიღო სუმბატ ბაგრა-  
ტუნმა“<sup>33</sup>.

ვარდანი: „ამ დროს ცხოვრობდა ანანია შირაკუნი, რომელმაც ანასტასი-  
საგან მიიღო ბრძანება და შეადგინა მუდმივი კალენდარი. იმ დროს, როცა პა-  
ტრიარქი აპირებდა კრებაზე მის დამტკიცებას, ის გარდაიცვალა. მის შემდეგ  
იყო ისრაელი, ანასტასის ექვსწლიანი მმართველობის შემდეგ. მის დროს ივე-  
რიელმა თავადმა ნერსემ აიძულა ვინმე ბარაბა, თურქთა მხედართმთავარი,  
რომელიც სომხეთში იყო, გაქცეულიყო. ისრაელი ფლობდა პატრიარქის  
გვირგვინს ათი წელი და გარდაიცვალა. გვირგვინი მიიღო წმ. საპაკმა ძო-  
როპორის არქუნაშენიდან. მეშვიდე წელს მოხდა ხაზარების თავდასხმა სომ-  
ხეთზე. მათ მოკლეს იშხანი გრიგოლი და წაიყვანეს ტყვედ... მისი ადგილი  
დაიკავა აშოტ ბაგრატუნმა, სუმბატის ვაჟმა“<sup>34</sup>.

ვარდანის თხზულების უშუალო წყაროა აგრეთვე უხტანესის (X ს.) „ის-  
ტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“. ეს გარკვეულად მტკიცდება  
ტექსტების შედარებითი კვლევით. ვარდანი განსაკუთრებით ფართოდ სარ-

<sup>31</sup> იოანე დრასხანაკერტცი, სომხეთის ისტორია, ტფ., 1912, გვ. 63—65 (სომხურ  
ენაზე). შტრ. Иованнес Драсханакертци. История Армении, перевод с древнеар-  
мянского, вступительная статья и комментарии М. О. Дарбинян-Меликян, Ереван, 1986,  
გვ. 77—78.

<sup>32</sup> ვარდანი, გვ. 80.

<sup>33</sup> იოანე დრასხანაკერტცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—93.

შტრ. Иованнес Драсханакертци, История Армении, გვ. 93.

<sup>34</sup> ვარდანი, გვ. 97—98.



გებლობს ამ თხზულებით სომეხ-ქართველთა საეკლესიო კავშირების შესახებ საუბრისას.



უხტანესი: „ის იყო ქვეყნით და ნათესავით ქართველთაგან, ჯავახეთის გავარიდან; სოფლიდან, რომელსაც სკუტრი ეწოდება, და ქართველთა და სომეხთა მწიგნობრობა იცოდა. რომელთა ქვეყანაში რომ მივიდა, ცხოვრობდა იქ თხუთმეტ წელს გავარში, რომელსაც კოლონია ეწოდება, დიდ დაბა-ქალაქ ნიკოპოლისში, მდინარის პირზე, რომელსაც გაილი ჰქვია... წამოვიდა იქიდან და მოვიდა სომხეთს მოსე სომეხთა კათალიკოსთან და დასახლდა წმინდა კათოლიკეს, რომელიც ქალაქ ღვინშია... მან დააყენა იგი წმინდა კათოლიკე მონასტრის უხუცესად, აგრეთვე ქორეპისკოპოსად და მისცა არარატის გავარი სამწყსოდ... იმ ხანებში გარდაიცვალა ქართველთა კათალიკოსი, გამოგზავნეს იმ ქვეყნის მთავრებმა და ერისთავებმა ეპისკოპოსებთან ერთად (კაცი) მოსე სომეხთა კათალიკოსთან წინამძღვრის სათხოვნელად. ხოლო მან განიზრახა, რომ თავისი სახლიდან მიეცა მათთვის წინამძღვარი (ამიტომ), ხელი დაასხა კირიონს... და დაიმორჩილა მათთან ერთად სრულიად მთელი ქვეყანა თავისი ხელმწიფების ქვეშ. ხოლო მერე, როცა დაინახა, რომ ყოველივე მისი სურვილისამებრ მოეწყო, ამის შემდეგ გულში მზაკერული ზრახვა გაივლო: ხელი დასხა ერთ ხუციკ ნესტორიან ეპისკოპოსს, რომელსაც სახელად კისი ეწოდებოდა, რაც სისასტიკეს ნიშნავს... იგი მასთან მოვიდა რომელთა ქვეყნიდან, კოლონიის გავარიდან, წარმოშობით იმ სოფლიდან, რომელსაც ეწოდება ზუტარიმა, ნიკოპოლისის მახლობლად. ორივე მდინარე გაილის ნაპირებზე მდებარეობს, როგორც ადრე იყო თქმული. ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ერთი გავარიდან და გინდაც ერთი სოფლიდან (იყვნენ), არამედ თანამწვალელებნიც და ბოროტი სწავლის ბოროტ მოძღვართაგან ერთად მოსწავლენიც“<sup>35</sup>.

ვარდან: „მანვე (მოსემ) აკურთხა ეპისკოპოსად კირიონი, რომელიც ტომით ქართველი იყო, ჯავახეთის მხარის სოფელ სკუტრიდან. მან იცოდა სომეხური და ქართული დამწერლობა. ის იკურთხა ქართლის კათალიკოსად და შემდეგ გახდა ქალკედონიტი. რამეთუ ყმაწვილობაში წასული იყო საბერძნეთში და ცხოვრობდა კოლონიის მხარეში, სოფელ ნიკოპოლისში, მდინარე გაილის პირზე, სადაც გაიწაფა ბერძნულ მწიგნობრობაში. თხუთმეტი წლის შემდეგ მოვიდა მოსე ღვინში და დანიშნა კირიონი წმინდა მონასტერთა უხუცესად და არარატის მხარის ქორეპისკოპოსად შვიდი წლის განმავლობაში. როცა გარდაიცვალა ქართველთა კათალიკოსი, ქართველმა თავადებმა, წესის თანახმად უფალ მოსესთან გაგზავნეს წარმომადგენლები, რათა მიეცა მათთვის წინამძღოლი. მოსემ მოისურვა მიეცა მათთვის კირიონი, რადგან ის მათი ტომისა იყო. კირიონი წავიდა და დაიმორჩილა მთელი ქვეყანა. შემდგომ მოვიდა მასთან ხუციკი, ერთი ვინმე ნესტორიანელი, სახელად კისი, ე. ი. სიმტიკე, როგორც იყო ის სინამდვილეში. იგი იყო კოლონიიდან, სოფელ ზუტარიმიდან, რომელიც მდებარეობს ახლოს ნიკოპოლთან. ის იყო კირიონის თანამოწაფე და მისი მიმდინარეობის მიმდევარი“<sup>36</sup>.

ფართოდ გამოუყენებია ვარდანს სტეფანოზ ტარონცის (ასოლიკის) (XI ს.) „მსოფლიო ისტორიის“ მასალებიც. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ეს თხზულებაც, ვარდანის ნაშრომის მსგავსად, მსოფლიო ისტორიის ტიპისაა, მოიცავს ვრცელ პერიოდს და შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას. ვარდანი ზოგ ადგილს სიტყვასიტყვით იწერს ამ ნაშრომიდან. ეს ნაწყვეტები

<sup>35</sup> უხტანესი, სომხეთის ისტორია, ვაღარშაბატი, 1871, გვ. 3—5 (სომეხურ ენაზე). შდრ. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომეხური ტექსტი ქართულ-თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 21—23.

<sup>36</sup> ვარდანის, გვ. 81.

შედარებით ახლოსაა დედანთან, ნაკლებად განიცადეს ცვლილება, ცოტაა დამატებული. ის განსხვავებები, რომლებიც ამ ტექსტებს შორის გვხვდება, ძირითადად ვარდანის მიერ შემოკლებისა და სხვა წყაროებთან შეჯერების შედეგია<sup>37</sup>. მაგალითად:

ასოლიკი: „მან მოკლა გნელი, თავისი ძმისშვილი, მისი ცოლის ფარანძემის ნდომის გამო, ტირითის წაქეზებით... შეაჩვენა წმ. ნერსემ არშაკი... ჩავიდა ბერძენთა ქვეყანაში, თავის მაგიერად დატოვა ხადი, ბაგრევანდის ეპისკოპოსი... რომლის ბელღები მდიდრდებოდა ელიას მსგავსად.

იმ დროს მოვიდა სპარსეთის მეფე შაპუხი ადარბადაგანში, გამოიძახა არშაკი, შეიპყრო, გაკოჭა და გააგზავნინა ხორასანში“<sup>38</sup>.

ვარდანი: „არშაკმა ტირითის წაქეზებით მოკლა თავისი ძმისშვილი გნელი მისი ცოლის ფარანძემის გამო, რისთვისაც წმ. ნერსემ შეაჩვენა. წავიდა საბერძენეთში. დატოვა თავის ნაცვლად ხადი, ბაგრევანდის ეპისკოპოსი, რომლის ბელღები გამდიდრდა, როგორც ელიას დროს. ამ დროს სპარსეთის მეფე შაპუხი მოვიდა ადარბადაგანში, გამოიძახა არშაკი და შეიპყრო, გაგზავნა ციხეში, რომელსაც ანუში ეწოდება“<sup>39</sup>.

ასეთივე მსგავსია შემდეგი ნაწყვეტიც:

ასოლიკი: „სანატრუკის სიკვდილის შემდეგ სომხეთის მეფე გახდა ერუანდი... და დახოცა სანატრუკის ყველა შვილი, მაგრამ გადარჩა ყრმა არტაშესი, რომლის გამზრდელი გახდა სუმბატი. წავიდნენ სპარსეთის მეფე დარეჰთან, ზრდილზე ყრმას. ამით იგჭვიანა ერუანდმა... ვესპანიანესა და ტიტეს მეფობისას დაუტოვა მათ შუამდინარეთი...

ამ დროს შეცვალა სამეფო კარი არმავირი... ქვიანი ერთი ბორცვი, რომელიც იწოდება ერუანდაქარად... მოშორებით ჩრდილოეთით ააშენა პატარა ქალაქი მდინარე ახურიანზე და უწოდა ბაგარანი. დადო იქ სამსხვერპლო. ქურუმების თავად დააყენა თავისი ძმა ერუაზი“<sup>40</sup>.

ვარდანი: „ერუანდმა ტახტზე ასვლისას დახოცა სანატრუკის ყველა მემკვიდრე. გადარჩა მხოლოდ ერთი ყრმა არტაშესი, რომელიც წაიყვანა სუმბატმა, გაიქცა სპარსეთში უკანასკნელ მეფე დარეჰთან. ერუანდმა შუამდინარეთი უბოძა ტიტეს. მან ააშენა და გახადა ის ძლიერი ერუანდაქარი, ვადაიტანა იქ თავისი სამეფო კარი არმავირიდან და მისგან მოშორებით აავო ბაგარანი — დემურების სახლი მდ. ახურიანზე, ქურუმად დააყენა თავისი ძმა ერუაზი“<sup>41</sup>.

ასოლიკის თხზულებაც კომპილაციურია; ამიტომ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტები გარკვეულ მსგავსებას პოულობს სხვა წყაროებთან, კერძოდ, მოცეს ხორენაცისა და ლევონდის თხზულებებთან. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ვარდანი ამ მოვლენების შესახებ თხრობისას სწორედ აღნიშნულ ნაშრომებს იყენებდა, მაგრამ ირკვევა, რომ ეს ასე არ არის. ვარდანისა და ასოლიკის თხზულებების ტექსტოლოგიური შედარება ცხადყოფს ამ ორი თხზულების უფრო მეტ მსგავსებას<sup>42</sup>.

ვარდანი განსაკუთრებით ფართოდ სარგებლობს კირაკოს განძაკეცის

37 ჰ. ანთაპიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

38 სტეფანოზ ტარონეცი, მსოფლიო ისტორია, ს.-პეტერბურგი, 1885, გვ. 70 (სომხურ ენაზე). შლრ. Всеобщая история Степаноса Таронского, пер. Н. Эмина, М., 1864, გვ. 47.

39 ვარდანი, გვ. 67—68.

40 სტეფანოზ ტარონეცი, დასახ. ნაშრ., გვ. 47—48. შლრ. Всеобщая история Степаноса Таронского, გვ. 32—33.

41 ვარდანი, გვ. 50—51.

42 ჰ. ანთაპიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 263.

„სომხეთის ისტორიით“. მართალია, ჩვენ ვეტყობო მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებას წერს, ხოლო კირაკოსი სომხეთისას, მაგრამ ვარდანიის ხანაში რომში განსაკუთრებული ყურადღება მიაწვდის საკუთარი ქვეყნის წარსულს ექცევა. კირაკოსი ვარდანთან ერთად სწავლობდა ვარდაპეტ ვანაკანთან. ისინი ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ, ამიტომ კირაკოსსაც შეეძლო ესარგებლა ვარდანის თხზულებით. მაგრამ ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ ბევრი საკითხის განხილვისას კირაკოსის თხრობა სრულია, ვიდრე ვარდანისა. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარდანი კირაკოს განძაყეცის თხზულებას ასახელებს თავისი ნაშრომის ერთ-ერთ წყაროდ.

აშოტ ბაგრატიუნის დამოუკიდებელი სომხეთის მეფედ გამოცხადება აღწერილი აქვთ ვარდანსა და კირაკოსს:

კირაკოს განძაყეცი: „სუმბატის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება გადავიდა მისი შვილის აშოტის ხელში. ის აღმოჩნდა ყველაზე ძლევამოსილი თავისი წინაპრებიდან. რამეთუ იყო სპასპეტი, შემდეგ გახდა იშხანაც იშხანი და დასმულ იქნა ტახტზე ორი ხელისუფალის ისმიალიტებისა და ბერძნების მიერ. ჯაფარის შემდეგ გვირგვინი მიიღო მაჰმედმა, შემდეგი იყო აჰმადი, შემდეგ აბდულა და მის შემდეგ მაჰმედი. სწორედ მან დასვა იშხანაც იშხანად აშოტი და შემდეგ მისცა გვირგვინი.

იმპერატორ ლეონის შემდეგ გვირგვინი მიიღო მიხეილმა, შემდეგ იყო თოფლი, შემდეგ მიხეილი, მის შემდეგ კი ვასილი, რომელმაც ხალიფას შემდეგ გაუგზავნა აშოტს გვირგვინი. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ფოტიმ გაუგზავნა აშოტს წერილი და ჯვრის ნაწილი“<sup>43</sup>.

ვარდანი: „აშოტს არაფერი აკლდა გარდა გვირგვინისა, რაზეც ფიქრობდნენ სომეხი თავადები. ისინი ჰისეის საშუალებით ატყობინებენ ხალიფას ამის შესახებ და მან გულითადი სიხარულით გაუგზავნა აშოტს გვირგვინი, სამეფო ტანსაცმელი და ბედაურები. იგივე გაუგზავნა იმპერატორმა ვასილმა. უფალმა გიორგიმ 336 წ., თავისი პატრიარქობის მეთორმეტე წელს, და 887 წ. ქრისტეს დაბადებიდან უკუთხა აშოტს გვირგვინი“<sup>44</sup>.

ვარდანის თხრობა განსაკუთრებით მიჰყვება კირაკოს განძაყეცის ტექსტს ზაქარია და ივანე მხარგრძელების შესახებ საუბრისას. კირაკოს განძაყეციმ საგანგებოდ სამი თავი მიუძღვნა მხარგრძელებს. ვარდანი კი ამ თავებიდან შემოკლებით იღებს მისთვის საჭირო ცნობებს, ზოგჯერ ეს ცნობები იმდენად შემოკლებულია, რომ აზრი ბუნდოვანი ხდება.

მოვიყვანოთ შესაბამისი ადგილები ამ ნაშრომებიდან;

კირაკოს განძაყეცი: „სომხეთის მეფე ლეონის დროს აღმოსავლეთში ცხოვრობდა ორი ძმა — ვაჟები სარგის იშხანისა, ვაჰრამის ძისა, ძისა ზაქარიასი, რომელიც გამოეყო ქურთთა ტომს. ერთის სახელი იყო ზაქარე, მეორესი ივანე. ისინი იყვნენ მამაცი, ძლევამოსილი მფლობელები. განსაკუთრებით დიდ პატივში იყვნენ ქართველთა დედოფლის თამარის დროს. ის იყო ასული მამაცი გიორგისა, დემეტრეს ძისა. ზაქარე იყო ქართველთა და სომეხთა ლაშქრის მხედართმთავარი, რომელიც ექვემდებარებოდა საქართველოს მეფეს. ივანე კი ათაბაგი იყო. მათ დაიკავეს ბევრი სომხური ვეაი, რომლებსაც ფლობდნენ სპარსელები და მუსლიმანები“<sup>45</sup>.

<sup>43</sup> კირაკოს განძაყეცი, სომხეთის ისტორია, კ. მელიქ-ოჰანჯანიანის გამოცემა, ერევანი, 1961, გვ. 79—80 (სომხურ ენაზე). შტრ. Киракос Гандзакец и, История Армении, перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, М., 1976, 83-77.

<sup>44</sup> ვარდანი, გვ. 116.

<sup>45</sup> კირაკოს განძაყეცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—163. შტრ. Киракос Гандзакец и, 83-118.

ვარდანი: „ამ დროს ცხოვრობდნენ სახელოვანი თავადები ზაქარე და ივანე, ძენი სარგისისანი, ძისა ვაჰრაშისა, ძისა ზაქარიასი, ძისა სარგისისა, ლტოლვილინი ქუთთა ტომიდან. ისინი ჩავიდნენ ძოროვეტის მეფეებთან ბაგრატიუნთა ტომიდან, მიიღეს ქრისტიანობა და პატივიც. მათ საცხოვრებლად მისცეს ზოშორნი და, რამეთუ უმამაკესი იყვნენ, დღითი-დღე აღწევდნენ სიმალესა და პატივს. თამარის დროს ისინი უფრო განდიდდნენ და თამარმა უბოძა მათ ლორე“ (გვ. 161).

ვარდან არეველცის მიერ კირაკოს განძაკეცის ცნობების შემოკლებით გადმოცემა ვანსაკუთრებით შეიძინევა იმ ეპიზოდის აღწერისას, რომელიც ეხება ზაქარიას მიერ საეკლესიო კრების მოწვევას. კირაკოს მთელი თავი აქვს მიძღვნილი ამ კრებისადმი, ვარდანი კი მხოლოდ რამდენიმე წინადადებით გადმოგვეცემს ამბავს და იმდენად ამოკლებს, რომ ბუნდოვანსაც კი ხდის. შეიძლება გვეფიქრა, რომ ტექსტი გადამწერთა მიერ არის შერყენილი და ამიტომ ვახდა ძნელად გასაგები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვარდანი კირაკოსის ცნობებს მნიშვნელოვნად ამოკლებს. მაგალითად, საეკლესიო კრების ჩატარებასთან დაკავშირებული რიგი მოვლენები, რომლებსაც კირაკოსი ეხება, ვარდანს საერთოდ გამოუტოვებია. ასეთია, კერძოდ, ზაქარიას სურვილი, რომ ღვთისმსახურებაში ზოგი რამ შეეცვლილიყო წარსული დროის მიბაძვით, გრძელვადიანი ლაშქრობების დროს სომეხთა ლაშქარს ჰყოლოდა მოძღვარი, ზაქარიას მიერ წამოყენებული კიდევ 8 მოთხოვნა და ა. შ.

ამრიგად, ვარდან არეველცის ფართოდ გამოუყენებია ადრინდელი ხანისა და მისი თანადროული სომხური წერილობითი წყაროები. როგორც წყაროთმცოდნეობითმა კვლევამ გვიჩვენა, ისტორიკოსი დიდი სიფრთხილით და სერიოზულობით ეკიდება სხვა თხზულებებიდან მოპოვებული მასალის გამოყენებას. პირდაპირ კი არ იწერს, არამედ აჯერებს ერთმანეთთან სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილ მასალას. ეს ზოგჯერ ართულებს ვარდანის მიერ გამოყენებულ წყაროთა მოძიებას.

### Ә. Г. КВАЧАНТИРАДЗЕ

#### К ВОПРОСУ ОБ ИСТОЧНИКАХ «ВСЕОБЩЕЙ ИСТОРИИ» ВАРДАНА АРЕВЕЛЦИ

Настоящая статья посвящена рассмотрению вопроса об армянских источниках «Всеобщей истории» выдающегося армянского писателя и летописца XIII в. Вардана Аревелци. На основе сравнительного текстологического анализа исторического сочинения Вардана и памятников древнеармянской письменности, а также специальной литературы в работе показано, что кроме названных в труде источников автор при написании «Всеобщей истории» широко использовал и другие армянские источники, а именно: труды Мовсеса Хоренаци (V в.), Фавстоса Бузанда (V в.), Лазара Фарпеци (V в.), Себеоса (VII в.), Гевонда (VIII в.), Иоаннеса Драсханакертци (IX—X вв.), Ухтанеса (X в.), Степано́са Таронечи (XI в.), Кирикоса Гандзакеци (XIII в.).

В статье рассмотрены приемы и методы, которые применял Вардан при использовании источников. Он с большой осторожностью и вниманием относился к использованию материалов, почерпнутых из сочинений других историков. Он не заимствовал их дословно, а сверял друг с другом и устанавливал их достоверность. Поэтому установление использованных Варданом источников представляет определенную трудность.

## კონრელი დანელია

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში

## 8. ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში

ნუ უარყოფითი ნაწილაკი უძველესი ხმარების სიტყვაა და არა და ვერ ნაწილაკებთან ერთად ზმნით გამოხატულ მოქმედებას შეუსრულებლად, უკუ-თქმითად წარმოაჩენს. მაგრამ „მათ შორის ის განსხვავებაა, რომ არ მარტივად უარყოფს („არ ჭამს“), ვერ მოქმედების შეძლებას უარყოფს („ვერ ჭამს“), ნუ კი (II კავშირებითთან აგრეთვე „არ“) კრძალავს მოქმედებას („ნუ ჭამს“, „არ ჭამოს“)<sup>1</sup>. განსხვავებულია ამ ნაწილაკთა დისტრიბუცია: 1. არ და ვერ ზმნის ყველა დროსა და კილოს, უკეთ, ყველა მწკრივის ფორმას ეწყობა, ეგუება (არ/ვერ ჭამს, ჭამდა, ჭამდეს, შეჭამს, შეჭამდა, შეჭამდეს, შეჭამა, შეჭამოს, შეუჭამია, შეეჭამა, შეეჭამოს), ნუ კი შეზღუდული გამოყენებისაა, ფუნქციონირებს ზმნის მხოლოდ აწმყოსა და მომავლის (მყოფადი) ფორმებთან (ნუ წერს/დაწერს) და ზმნას კატეგორიულად აკრძალვითი კილოს შინაარსს აძლევს. 2. უკუთქმით კითხვით წინადადებაში არ და ვერ შეუზღუდვად მონაწილეობს, მაგრამ ნუ საერთოდ არ მონაწილეობს (არ წერს? ვერ წერს? მაგრამ შეუძლებელია: ნუ წერს?). 3. არ და ვერ ნაწილაკები შეიძლება გამოიყენებოდეს სახელურ ფორმებთან, ასე ვთქვათ, დერივაციული ფუნქციით, უქონლობის უ პრეფიქსის რელატიურ ფარდად (შდრ. რუსთაველური წარმოებანი: არ-დავიწყება მოყვრისა, არ-ფიცხელი, ვერ-საქები, ვერ-სათქმელი და სხვ.), ნუ-ს ხმარება ამ უბანშიც ძალზე შეზღუდულია, ცხადია, თვითონ რომ სხვა ნაწილაკ-ზმნისართებსა და ნაცვალსახელებს ერთვის, ეს სხვა რიგის ფაქტია, კომპოზიციანა (ნუენ, ნუთუ, ნულარ, ნუსადა...).

სხვათა შორის უქონლობის უ და არ თავისუფლად არ მონაცვლეობენ, მათ თავ-თავისი დისტრიბუცია აქვთ და თითოეული მათგანის ხმარებაში გარკვეული წესის აუცილებლობა მარჯვედაა გამოყენებული პოეტურ ენაში, მაგალითად, რუსთაველს უქონლობის არ შეუნაცვლებლად აქვს მისადაგებელი ტაების სტრუქტურისათვის.

უძველეს წერილობით ძეგლებში ნუ-ს არსებითად იგივე ფუნქცია აქვს, რაც დღეს, მაგრამ დისტრიბუცია რამდენადმე მეტი აქვს, აწმყო-მყოფადის გარდა. სხვა მწკრივების ფორმებთანაცაა გამოყენებული: ნუ სტირ ჩემოვს (18,10)<sup>2</sup>, ხუცეს, მაგას ნუ იტყუ (18,15), ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო (20,25), ნუ აოკრებ სახლსა მას თქუენსა (24,13), მაგრამ: ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისათა (14,6), იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა (ი. 6,27), ნუ ვინმე ვაცთუნნეს თქუენ (მ. 24,4, გრ. 13,5), თქუენ კეთილად იტყუთ, გარნა ნუ დავიჯერებთეს, თუმცა მე მისა ცოლადა ვიყავ (15,20), ნუ შევლენედ მუნ (ლკ. 21,21), იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა (ი. 6,27). ამ უკანასკნელ მაგალითში ნუ-ს პოსტპოზიციური ხმარება ზმნასთან ბერძნული წყაროთი ჩანს განპირობებული: *ἐργάζεσθε μὴ τὴν βρῆσιν τὴν ἀπολλυμένην...*

1 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 616.

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. აბულაძის რედაქცია, თბ., 1963.

მაგრამ ნათარგმნ ძეგლებში **ნუ** არცთუ იშვიათად კითხვით წინადადებაშიც გვხვდება, რაც მკვლევართ აფიქრებინებთ, რომ მას თითქოს **კითხვითი** ნაწილაკის ფუნქცია ჰქონდეს, კერძოდ **განა, ნუთუ-სიზ**. მართლაც, ძნელია კაცმა სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს **ნუ-ს**, ვთქვათ, ასეთ წინადადებებში: **ნუ** შენ უფროას ხარ მამისა ჩუენისა იაკობისა? (ი. 4,12), **ნუ** შენცა ვალილეათ ხარ? (ი. 7,52), **ნუ** მცველი ძმისა ჩემისა ვარი მეა? (დაბ. 4, 9P), მონაჲ **ნუ** არს ისრაჲლი, ანუ სტრუჲი არს იაკობი, რამეთუ სატყუენველ იქმნა? (იერ. 2,14), უდაბნო **ნუ** ვექმენ სახლსა ისრაჲლისასა ანუ ქუეყანა დეჲამირებულ? (იერ. 2,31), ზღუჲა **ნუ** ვარი მე, ანუ ვეშაბი, რამეთუ დააწყენ ჩემ ზედა საციონი? (იობ. 7, 12P), და-**ნუ**-ივიწყისა დედაკაცმან ყრმაჲ უსი? (ეს 49,15P), აჲ მეფობით **ნუ** ჰმეფობდეა ჩუენ ზედა? (დაბ. 37,8P), **ნუ** ძიებავეო ამას ზედა., ანუ არა იძიოსა შური სულმან ჩემმან? (იერ. 9,9P), აჲ კაცი-საჲ **ნუ** არსა მხილებჲა ესე ჩემი? (იობ. 21,4P) და სხვ. მართალია, დასახელებულ კითხვით წინადადებებში **ნუ** მონაწილეობს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ **კითხვითობის** გამოხატვა მაინცდამაინც **ნუ-ს** ჰქონდეს დაკისრებულთ. არა. ასეთ შემთხვევებში **ნუ-ს** კითხვითობის ფუნქციით ხმარებაში ექვს აღძრავს სამი გარემოება:

1. **ნუ** ნაწილაკიან კითხვით წინადადებაში ჩვეულებრივ სპეციალური **კითხვითი ა** (ან **მე**) ნაწილაკიცაა ნახმარი და ასეთ შემთხვევაში **ნუ** არ უნდა ხმარებულყო **კითხვითობის** ფუნქციით. მართალია, ორი კითხვითი ნაწილაკი **მე** და **ა** შეიძლება ერთდროულად გვერდი-გვერდ გამოიყენებოდეს, მაგრამ ეს სხვადასხვა დიალექტურ ან ქრონოლოგიურად განსხვავებულ ოდენობათა თანაარსებობის ფაქტია. **ნუ-ს** ხმარება კითხვით **ა-სთან** კი **მე** და **ა-ს** გვერდი-გვერდ ხმარებასთან ვერ გაიგივდება, შდრ. არა-**მე** აღანთოსა სანთელი? (ლ. 15,8), ღმერთმან არა-**მე** ყოსა შურის-გება? (ლ. 18,7), პოვოს-**მე-ა** სარწმუნოვებაჲ ქუეყანასა ზედა? (ლ. 18.8) და სხვ.

2. თუ **არ** და **ვერ** ნაწილაკიან უკუთქმით წინადადებას სათანადო ინტონაციით (ბოლო ხმოვნის დაგრძელებით) დაუბრკოლებლად შეუძლია **კითხვითობა** გადმოსცეს (შდრ. **არ** დაწერს? **ვერ** დაწერს?), **ნუ** ნაწილაკიანი უკუთქმითი წინადადება კითხვით შინაარსს ვერ იგუებს, ვერ ითავსებს (შეუძლებელია: **ნუ** წერს? **ნუ** ჭამს?). აქედან ჩანს, რომ **ნუ** ნაწილაკი ქართულში თავიდანვე ვერ ჰყოლობდა კითხვითობის შინაარსს თუ ნიუანსს.

**ნუ** შეიძლება ე. წ. ჩაკითხვით წინადადებაში მოგვევლინოს, მაგრამ ესაა, ასე ვთქვათ, უარყოფითი თხრობითი კონსტრუქციის გამეორება კითხვითი ინტონაციით. მაგალითად, მავანს მიმართავენ: „სახლიდან ფეხს **ნუ** გავადგამ!“ იმის მიხედვით, თუ რა ემოციას იწვევს ეს ბრძანება აღრესატში, ეს უკანასკნელი ამას ჩაკითხვითი ინტონაციით გამოხატავს — იმეორებს ბრძანებით წინადადებას ან ავტობს მას: „სახლიდან ფეხს **ნუ** გავადგამ? კი, ბატონო!“ (ე. ი. ბრძანება შესრულდება), ან: „სახლიდან ფეხს **ნუ** გავადგამ? ნურას უკაცრავად!“ (ე. ი. ბრძანება არ შესრულდება). ასეთ უჩვეულო ენობრივ სიტუაციაში **ნუ-ს** ხმარება სრულებით არ ნიშნავს, რომ მას **კითხვითობასთან** შეგუება შეუძლია.

მაგრამ ერთი ფაქტია დამაფიქრებელი: აღიშის ოთხთავში **ნუ** იშვიათად ნახმარია უჩვეულო კონტექსტში, რაც შემდეგში გამოიხატება:

ა) **ნუ** კონტექსტით გამოხატავს არა უარყოფას ან კითხვითობას (წინადადება საერთოდ არაა კითხვითი!), არამედ **თუ,რამეთუ** კავშირის ფუნქციას.

3 ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლეგისკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1948—1949, გვ. 430; Древнегрузинско-русский словарь, составил С. Б. Се-ребряков, Тб., 1962, გვ. 125.

ბ) ასეთ შემთხვევაში ნუ-სთან ზმნა შეწყობილია არა აწმყოს ან მყოფადის, არამედ უწყვეტლისა და I კავშირებითის ფორმით (ეს გარემოება აქვე ვისთავად ავლენს, რომ ნუ არ არის უარყოფითი ნაწილაკი): მათ ეგრე ვგვიჩვენებენა, მძინარებას ძილისასა ნუ იტყოდა (ი. 11, 13). გვიანდელ (ეფეთიმეს, გიორგის) რედაქციებში ნუ-ს ადგილზეა მოსალოდნელი „ვითარმედ“ (ეგონა, ვითარმედ...), როგორც უნდა ყოფილიყო ბერძნული *μη* და სომხური *მէ* კავშირის კვალობაზე. გვყიდვ, ნუ რაა გვკმდეს დღესასწაულსა ამას (ი. 13,19), შდრ. გვიანდელი რედაქციების წაკითხვა: იყიდვ, რაა-იგი გვკმდეს..., რაც შესაბამისობაში ბერძნულ და სომხურ წყაროებთან (რაა-იგი [„რაც“] = ბერძნ. *μη*; სომხ. *ար*). დასახელებულ შემთხვევაში იმდენად მოულოდნელია ნუ-ს ხმარება კავშირის („თუ“, „რამეთუ-ს“) მნიშვნელობით, რომ ი. იმ-ნაიშვილს ეს ფუნქცია არც გამოუყვია<sup>4</sup>. ჩვენთვის მთლად ნათელი არაა ნუ-ს ხმარების მოტივი: ან ნუჟუჟუ-ს მაგიერაა შეცდომით დაწერილი, ან ნუ-ს უძველესი ფუნქციის რომელიღაც კილოში შემონახულ ფაქტთან უნდა გვეკონდეს საქმე (ნუ და თუ გარკვეულად ეხმაურებიან ერთმანეთს უკუე ნაწილაკთან შეხამებისას (ნუ-უკუ/უკუე-თუ/ნუ-თუ) და, ამდენად, ნუ-სთვის (როგორც თუ-სთვის) თითქოს არ უნდა გამოირიცხებოდეს კითხვითობის ნიუანსი.

3. კითხვით წინადადებაში ნუ ნაწილაკი დასტურდება მხოლოდ ძველ ქართულში და ასევე მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებში. ზემორე ორი რომ არა, მესამე გარემოება მაინც ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს უცხოენოვანი ტექსტის თარგმანზე გავლენის ფაქტთან.

მართლაც, ნუ კითხვით წინადადებაში ზედმეტად, უკეთ, შეუფერებლად არის ნახმარი. ის კალკური გადმოცემაა ბერძნული *μη* (იშვიათად *ის-ს*) ნაწილაკისა. ქართულის მსგავსად სომხურ თარგმანშიც სათანადო ადგილას *მჩ* ან *მჩმէ* არის ნახმარი. შდრ. ნუ შენცა ვალილეათ ხარა? (ლ. 7,52) *μη* *αχ* *αχ* *αχ* *αχ*; Γαλιλαίας εἰ; *მჩმէ* *և* *გი* *ხ* *არ* *არ* *არ* *არ* *არ*. ვინ არს... კაცი, რომელსა სთხოვდეს ძმ თუკი პურსა, ნუ ქვაა მისცესა?... გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ გუელა მისცესა მას? (მ. 7,9—10) ...*μη* *λειτουργ* *ἐπιμαρται* *αὐτῷ*..., *μη* *ἀδύ* *ἐπιμαρται*: ასაძ (სომხურში *მჩ-ს* ფარდად აქაც *მჩმէ* არის).

ბერძნულში ის ნაწილაკი პირდაპირ უარყოფას გამოხატავს *μη* კი — დაეჭვებით, ყოყმანით უარყოფას, უკეთ: უარყოფის სურვილს („ეგებ არ“, „იქნებ არ“), იშვიათად — კითხვითობასაც, უდრის ლათ. *num-ს* („ნუ-თუ“, „განა“)<sup>6</sup>, სომხური *მჩ* „ნუ“-საც გამოხატავს და „არ“-საც, ეტიმოლოგიურად პარალელს პოულობს სანსკრიტულ *mā*, ზენდურ *mā*, სპარსულ *mā*, ბერძნულ *μη-სთან*.<sup>7</sup>

ნუ აშკარად ზედმეტია კითხვით წინადადებაში არა ნაწილაკის გვერდით. ასეთ შემთხვევაში არა ნუ კალკურად გადმოცემს ბერძნულ *μη* *ის-ს*: არა ნუ გელ-მეწიფებისა ჭამად და სუმად? (I კორ. 9,4), *μη* *ის* *ἔχουσιν* *ἐξουσίαν*..., ანუ

<sup>4</sup> ი. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 430.

<sup>5</sup> ალბათ, ამ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ თ. ყუხჩიშვილი თავის საფუძვლიან შრომაში — „ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში“ (იკვ, I, 1946, გვ. 259—288) — არც ეხება ნუ ნაწილაკს, განიხილავს მხოლოდ რთული შედგენილობის ნუცა, ნულარა და ნუჟუჟუ-ს ბერძნულ და სომხურ ფარდებთან მიმართებით.

<sup>6</sup> И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., II, 1959, გვ. 1089 — 1090.

<sup>7</sup> ჰრ. აჭარაიანი, სომხურ ძირეულ სიტყვათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ერევანი, ტ. III, 1977, გვ. 316 (სომხ. ენაზე).

არა ესე ნუ არსა ცნობაჲ?—თქუა უფალმან (იერ. 22,16 O) ის თნთი ჰჳთჳთ ხბ  
მუ უნაჲთჳთ სჳ ჰჳთჳთ, ჰჳთჳთ Kჳრჳთჳთ. მაგრამ მთარგმნელი კითხვით წინადადებაში ნუ-ს  
ხმარებას ისეა გაჩვენული, რომ მას მაშინაც ხმარობს, როცა ბერძნულ წყაროში  
მუ არ არის: მოციქულ არა ნუ ვარ? (I კორ. 9,1), ისჳ ჰჳთჳთ ἄπιστοις; მამამან შენ-  
მან არა ნუ ჰჳთჳთ და სჳთჳთ? (იერ. 22,15 O) ის ფჳთჳთჳთ καὶ ის πῖστοις;

თუ ბერძნულში ორი ან მეტი კითხვითი წინადადება მიყოლებით და  
მუ ერთ-ერთ მათგანშია. ქართულ თარგმანში მუ-ს ფარდი ნუ შეიძლე-  
ბა ყველაში იყოს. ასეთ შემთხვევაში ან ანალოგია, ან ისა ნაწილაკის  
მრჩობლი (არა+ნუ) გადმოცემა უნდა გეჳქონდეს: არა ნუ ძიება ყუთა ამას  
ზედა... ანუ შორის ერსა ესემლევენსა არა ნუ იძიოსა შური სულმან ჩემმან?  
(იერ. 9,9 JO) მუ ჰჳთჳთ ἴσθჳთჳთ ისჳ ἔπιστοισμα... ἢ ἔν λαμπρῶ τοισთჳთჳთ ისჳ ἔδουχ-  
თჳთ ἢ ψαχῆ μου; არა ნუ არსა უფალი სიონს, ანუ მეუფჳთ მისი არა ნუ არსა მუნ?  
(იერ. 8,19 J) მუ ἄπιστοις ისჳ ἔσθჳთ ἔν Σειῶν; ἢ πασιλεις ἰσჳ ἔσθჳთ ἔხεις;

აღსანიშნავია, რომ უარყოფითი ნუ ნაწილაკის ზედმეტობას კითხვით წი-  
ნადადებაში ზოგჯერ გრძნობდნენ მთარგმნელები თუ რედაქტორები და ტექ-  
სტის გასამართავად ნუ-ს ცვლიდნენ კითხვითი ნიუანსის შემცველი ნუთჳთჳთ,  
ანუ ან იშვიათად ნუთჳთ ნაწილაკებით, ანდა სულ გამოტოვებდნენ ხოლმე  
ნუ-ს. ისიც შესაძლებელია, რომ ასეთი შეცვლა ტექსტში უფრო გვიანდელ რე-  
დაქტორებს შეეძლო (გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს) ბიბლიურ წიგნთა  
ძველ ქართულ რედაქციებში, ვთქვათ, ოთხთავისა ჳრუჳჳ-პარხლისა და აღიშის  
ხელნაწერებში ნუ არის (ი. 4,12, ლ. 11,12, ი. 7,48...), გვიანდელ რედაქციებში  
(გარდამავალსა და გიორგისეულში) კი —ნუთჳთჳთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ  
ძველ რედაქციებში ბერძნული მუ არ იყოს ნუთჳთჳთ-თი გადმოღებული,  
არა. ნუთჳთჳთ-ც ისევე შეიძლება კითხვით წინადადებაში ზედმეტად იყოს  
გამოყენებული როგორც ნუ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს ზედმეტობა აშ-  
კარად არ იგრძნობა: მიუგო იუდა: ნუთჳთჳთ მე ვარ, უფლო? (მ. 26, 25).  
ნუთჳთჳთ ესე არს ძმ დავითისი? (მ. 12,23). ნუთჳთჳთ შესაძლებელ არსა მუ-  
ცელსა დედისა თვისისასა შესლვად და მეორედ შობად? (ი. 3, 4). ჰრქუა იესუ  
ათორმეტთა მათ: ნუთჳთჳთ თქუნცა გნებაჳს წარსლვის? (ი. 6,67).

უკუ ნაწილაკი, რომლის ფარდად ჩვეულებრივ ბერძნ. ἄν, („მართ-  
ლა“, „ჳქმშმართიდა“) და სომხ. *խի* (უკვე, ხოლო, ც) და *սպս* („ბაბა“)  
გვევლინება, ნუ-სთან შეერთებით ასატანს ხდის რიტორიკულ კითხვით წინა-  
დადებაში ნუ-ს არსებობას. მაგრამ, ვფიქრობთ, რთულ ნუთჳთჳთ-ს კითხვითო-  
ბის შინაარსი ზედმეტად, უცხოენოვანი ტექსტის გავლენით აქვს დაკისრებუ-  
ლი. მისი ორდინარული ფუნქცია ძველ ქართულში მთავართან დამოკიდებუ-  
ლი (უფრო მიზნისა) წინადადების დაკავშირებაა. აღნიშნულია, რომ „ნუთ-  
ჳთჳთ ერთმნიშვნელობიანი მიზნითი კავშირია და გარკვეულ კონტექსტებში  
ნუთჳთჳთ-ს ნეგატიური შინაარსის გადმოცემა ეკისრება, იგი უღრის რაჳთა  
არა-ს“<sup>8</sup>, რაც პარალელურ რედაქციათა იკითხვისებიდან ჩანს: ნუცა დაუგებთ  
მარგალიტსა თქუნცა წინაშე ღორთა, ნუთჳთჳთ (რაჳთა არა C) დათრგუნონ  
იგი ფერკითა მათითა (მ. 7,6 DE). შ. ძიძიგურს შენიშნული აქვს, რომ ნუთჳთჳთ  
(ნუ+უჳთჳთ) „ძველ ქართულში ხშირად გამოყენებულია უარყოფითი კითხვი-  
თობის მნიშვნელობით და იმავე შინაარსს გადმოსცემს, რაც ჩაქსოვილია  
ნუთჳთჳთ-ში. მაგ., „ნუთჳთჳთ მე ვარ, მოძღუარ?“ (მ. 26,25 DE)<sup>9</sup>. დავამატებთ,  
რომ ნუ-სა და ნუთჳთჳთ-ს C-ში (აღიშის ხელნაწერში) არცთუ იშვიათად სწო-  
რედ ნუთჳთჳთ ცვლის, რაც ნეოლოგიზმად მოჩანს IX საუკუნის სამწერლობო ქარ-  
თულში: ნუთჳთჳთ მე ჰჳრია ვარ? (ი. 18,35), ნუთჳთჳთ შენცა ვალილეველ ხარ? (ი.

8 შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973, გვ. 109.

9 იქვე, გვ. 420.



7,52). ნუთუ შენ უდიდეს ხარ მამისა ჩემისა...? (ი. 8,53). ნუთუ შენცა მოწოდებ-  
თა მისთავანი ხარ? (ი. 18,25). ნუთუ ეშმაკი შემძლებელ არს თულათა ბრძანებულსა  
თა ახილვად? (ი. 10,21). აღსანიშნავია, რომ ნუუკუე და ნუთუ-ს ფარდადსწო-  
ძნულ წყაროშია ძუ ოხ, ოხ ძუ, ძუძუჲ, ხოლო სომხურში — ძიქქ, ჟიუქ<sup>10</sup>.

ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ეს კავშირ-ნაწილაკები სტრუქტურულ-  
ლად მსგავსი არიან, მაგრამ მნიშვნელობით რამდენადმე განსხვავებული.  
თვით ნუუკუე და ნუთუ თუმცა ზოგ რედაქციებში ერთმანეთს ენაცვლებიან,  
მაგრამ ისინი სინონიმები არაა: ნუუკუე უფრო კავშირ-ნაწილაკია, ნუთუ კი—  
არსებითად კითხვითი ნაწილაკი. ამიტომ კითხვით წინადადებაში ბუნებრივია  
ნუთუ-ს ხმარება. ამიტომეცა, რომ ნუთუ-ს შემცველ წინადადებებში სხვა კი-  
თხვითი ნაწილაკი (-ა, -მე) არ მოიხმარება. ნუუკუე კი ფუნქციურად უფრო  
დატვირთულია, აღნიშნავს: 1. რომ არ, რათა არ (მიზნის კავშირი): ეკრძაღე-  
ნით, ნუუკუე ვინმე შეურაცხყოთ (მ. 18,10). ნუცა დაუგებთ მარგალიტსა  
თქუნესა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერჯთა მათითა და მოგექ-  
ცენ და განგებთქნენ თქუნ (მ. 7,6). 2. თუ, თუკი, რომ (პირობითი კავშირი):  
ნუუკუე ცნას და მომკლას! (აგ. ძეგ. I, 18,6). ხუცესის თხოვნაზე, შეუშვას  
შუშანიკის სანახავად, დარაჯი ასე პასუხობს: რომ გაიგოს და მომკლას?! თუ  
გაიგებს და მომკლავს?! ეს წინადადება რიტორიკულ-კითხვითია და არაა  
სწორი, მხოლოდ ძახილის შინაარსისად გვიგოთ, როგორც ეს გამოცემასა<sup>11</sup>  
და თარგმანშია („А вдруг он узнает и убьет меня“!)<sup>12</sup> 3. (უკვე) ნუ  
(უარყ. ნაწილაკი): ნუუკუე გეშინინ! (მ. 10,26), ნუუკუე ზრუნავთ მო-  
იტყუთ (მ. 6,13C), 4) ნუთუ, განა (კითხვ. ნაწილაკი): ნუუკუე გალილეათ მო-  
სლვად არს ქრისტე? (ი. 7,41), ნუუკუე მე ჰურიად ვარა (ი. 18, 35).

პოლისემიურობის გამო ნუუკუე-მ თანდათან დაკარგა კითხვითობის  
ფუნქცია, ასევე სხვა ფუნქციებშიც სხვა სიტყვები შეეცოლნენ (რათათა არა,  
უკუეთუ, ნუ) და საბოლოოდ სულ შეეღია მას ქართული.

ასევე ვერ გამოხატა საბოლოოდ კითხვითობა ანუ კავშირ-ნაწილაკმა,  
თუმცა იყო ამისი ცდა. შდრ. ა) ანუ (—CD) არა უწყით, რამეთუ რომელნი  
ბაგინისასა მას იქმედ, ბაგინისაგან ჰამედ? (I კორ. 9,13) (თხ იძუაჲ ხუ...)  
ნიშნავს: განა არ იცით, რომ... ბ) ანუ არა კელ-მეწიფებისა დათა მათ დედათა  
მიმოყვანება...? (I კორ. 9,5 AB) (CD-შია: არა ნუ გუაქუსა კელმწიფება...  
შდრ. ძუ თხ ἔχουσιν ἐξουσίαν).

დიდი ცვლილება მოხდა კითხვითობის გამოხატვაში სამწერლობო ქარ-  
თულში: ხმარებიდან გავიდა კითხვითი ნაწილაკები -ა, -მე (ასევე: ნუუკუე)  
და დამკვიდრდა ნუთუ, განა (— გ ა რ ნ ა), ხომ და სხვ. მართალია, ძველ ქარ-  
თულში გარნა კავშირია (=გარდა, თუ არ, მაგრამ.. შდრ. არავინ იცის ძმ, გარნა  
მამამან, და არც მამამ ვინ იცის, გარნა ძემან (მ. 11,27); არა ისმინის, გარნა  
თუ ღმრთის მსახურ ვინმე იყოს... მისი ისმინის (ი. 9,31 C), მაგრამ „მხო-  
ლოდ“, „მარტო“ ნაწილაკის ფუნქციითაც გამოიყენება: ნუ გეშინინ, გარნა  
გრწმენინ ხოლო (მრ. 5,36, ლ. 8,50). აქ, სხვათა შორის, „გარნა“ და „ხოლო“  
სინონიმებია, მრჩობლი ვადმოცემა ბერძნული *μόνον*-ისა, შდრ. ძუ ფიქს,  
μονον πρᾶσαε. ამ ნაწილაკის გამარტივებულმა ფონეტიკურმა ვარიან-  
ტმა „განა“-მ საშუალ ქართულში დადასტურებითობის ფუნქციაც შეიძინა  
(= „კიდევ“, „აკი“). შდრ. „ვეფხისტყაოსნიდან“: „თულა ოდეს შე-ლა-გცოდო,

<sup>10</sup> თ. ყაუხჩიანი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქარ-  
თულში: იქი, I, 1946, გვ. 267.

<sup>11</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები..., I, 18,6.

<sup>12</sup> К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агнографической литературы,  
Тб., 1956, გვ. 21.

მაშინ მომკალ მეცა განა! (472,3), „გავე, ვიციან, მოვეხვე, გამიკვირდა მეცა განა! (1199,3), „ესდენ დიდი სიხარული გაეხარნეს მასცა განა! (1529,2). ან კიდევ: ჩემთა ლაშქართა არა გაგიკითხეს, ომი დაგიწყეს და თქუენცა განა დახოცენით. აჲ გამიშუიხართ“ (ამირანდარ., 489,3)<sup>13</sup>.

ახალ ქართულში კი კავშირის ფუნქცია დაკარგა და კითხვით ნაწილაკად იქცა: „გინდა, მომატყო, განა?“ (მ. არაგვ.).

დასასრულ, უცხო წყაროს (ბერძნულის) გავლენით ნუ სხვა სიტყვით (სიტყვებით) გათიშულია ზმნისაგან, ტმესურად დაშორებულია მისგან. გავლენა რომ არა, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, რადგან უარყოფითი ნაწილაკები არა, ნუ, ვერ მორფოლოგიურ კატეგორიებს (კილოს, პოტენციალის) გამოხატავენ და, ამდენად, ზმნისთან მჭიდროდ, დაუშორებელ მიმართებაში არიან: ...ნუ ყოველი გუამი შენი შთავარდებინ გეჰენიასა (მ. 5,29) (μη σὺν τῷ σῶματι σου βλήθη...). ნუ შრომასა მახუედრებ მე<sup>14</sup> (ლკ. 11,7) (μη μοι κόποις. κάρχε). ხოლო შენ, კავარანუმ, ნუ ცადმდე აჰმადლები (მ. 11,23) (καὶ σὺ, κάρπαρισσα, μη βῆσ; ἰσπαρισσὴ σὺ μὴ σῶ). ბერძნულის გავლენით ნაწილაკი და ზმნა ქართულისებრ არის გათიშული სომხურ თარგმანშიც.

ნათარგმნ ძეგლებში ნუ-ს ზედმეტად ან უჩვეულოდ გამოყენება თავიდანვე მკვეთრად შეზღუდული იყო და მას საგრძნობი გავლენა არ მოუხდენია ორიგინალური ძეგლების ენაზე. ეს იმიტომ, რომ ნუ-ს არაბუნებრივ კონსტრუქციაში ხმარებას გასაქანი არ მისცა ცოცხალ, ბუნებრივ მეტყველებზე დაფუძნებულმა ქართულმა სამწერლობო ენამ.

К. Д. ДАНЕЛИЯ

## СЛЕДЫ ИНОЯЗЫЧНОГО ВЛИЯНИЯ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ. 8. СИНТАКСИЧЕСКИЕ КОНСТРУКЦИИ С ЧАСТИЦЕЙ ნუ пи «не» В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ

Резюме

ნუ пи «не» — древнейшая грузинская частица, которая выражает категорическое отрицание и по существу функционирует с формами настоящего и будущего времени. Но в древнегрузинских переводных памятниках ნუ пи иногда употребляется в предложениях с риторическим вопросом. Напр., ნუ შენცა გალილეათ ხარა? „И ты не из Галилеи ли?“ В этом случае частица ნუ пи лишняя и является калькой греческой частицы μη (иногда и οὐ), подобно армянскому, в котором используется *mi, mithē* частицы.

В подобной языковой ситуации некоторые переводчики и редакторы под влиянием оригинала избегали употребления частицы ნუ пи и вместо нее прибегали к сложным вопросительным частицам ნუთუკუე (nuukue), «разве», ნუთუ (nuthu) «неужели». В оригинальных древнегрузинских памятниках не наблюдается попытки приспособления частицы ნუ (pi) к вопросительным предложениям.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბ. ჯორბენაძემ

<sup>13</sup> მოსკოვ ხო ნელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967.

<sup>14</sup> გვიანდელ რედაქციებშია: „ნუ შრომასა შემამთხუევ მე“, შდრ. გრიგოლ ხანძთელის მიმართვა დემეტრე მეფისადმი: „მეფეო, ნუ შრომასა შემამთხუევ“ (გ. ძეგ., I, 268,13), შდრ. ნუ შრომასა შემამთხუევთ მას, მრ. 14,6.

М. В. ЭСАКИЯ

## СИНТАКСИС И ПРОБЛЕМЫ РЕАЛИЗАЦИИ КОММУНИКАТИВНОЙ ИНТЕНЦИИ В РЕЧЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

В данной статье делается попытка выработать новый подход к некоторым проблемам синтаксиса с точки зрения осуществления им коммуникативной интенции. Такой подход обусловлен рассмотрением речи как части человеческой деятельности, как «одной из форм жизни» [1]. Мы понимаем диалог как форму речевой деятельности, в структуру которого входят отдельные речевые акты, снабженные определенной коммуникативной направленностью. Интерес к диалогу вызван тем, что в нем «воплощена» речь как действие со всем спектром возможных для нее коммуникативных целей» [2]. Рассмотрение диалога как формы речи со своими собственными конвенциональными, а также неконвенциональными установками позволяет развить теорию синтаксиса, обогатив ее основы с точки зрения социального, интенционального и прагматического уровней. В диалоге часто возникает то, что Г. Грайс называет коммуникативными импликатурами; это — речевые акты, коммуникативная направленность которых определяется адресатом по правилам конвенциональности [3]. Рациональным представляется мнение Д. Франк, считающей актуальным установление соотношения между функционированием лексико-синтаксических средств с организационными задачами диалога [4]. В этой связи оправдан такой подход к изучению речевых актов, при котором их рассматривают как «последовательность в их глобальной смысловой связанности и образуемых ими смысловых макроструктурах» [5], поскольку такой подход предопределяет вынесение на передний план изучения организующей роли синтаксиса.

Т. о., важным для современного лингвистического исследования является изучение текстового целого, будь то диалог с входящими в него отдельными речевыми актами или более крупная текстовая единица, т. к. только таким способом можно установить в полном объеме соответствие между семантико-синтаксическими средствами и коммуникативной направленностью речевых актов.

Анализ обширного фактического материала показывает, что коммуникативную интенцию, преследуемую автором в произведении в целом и в отдельных его частях, нельзя толковать однозначно. С этой точки зрения интересным представляется рассмотрение диалога двух героев романа Дж. Фаулза «Женщина французского лейтенанта». Это произведение привлекло наше внимание особенностями речевых актов в диалоге, их специфических черт и свойств. Действие анализируемого романа происходит в викторианскую эпоху с ее жестокой и лицемерной моралью и ханжеством. Автор стремится сопоставить настоящее с прошлым, чтобы вывести для себя и для читателя уроки на будущее.

Диалог ведется между деспотичной и лицемерной м-с Поултней, претендующей на высокую духовность и старающейся показать перед людьми и перед богом свою набожность и милосердие и для этого, по совету викария Лайма, желающей приютить Сейру Вудрофф. Это — девушка из низов, известная под именем «женщина французского лейтенанта». В анализируемом диалоге будущая хозяйка старается проверить моральный облик своей подопечной, в частности, ее интересует вопрос отношений девушки с иностранцем.

Беседа начинается с обращения м-с Поултеней к Сейре: Mr Forthly informs me that you retain an attachment to this foreign person.

Данное предложение, заключающее в себе приоритетность позиции говорящего, имеющего право на вопросы, представляет собой косвенный речевой акт (репрезентатив-суппозитив и директив-реквестив) [6]. Этот и другие примеры указанного типа дают возможность предположить, что сочетаемость репрезентатива-суппозитива, т. е. речевого акта, в котором коммуникант выражает чужое мнение, с директивом-реквестивом основана на логической связи: выяснить для себя истинность утверждаемого кем-то другим, что и побуждает к вопросу.

И в самом деле, ответная реплика Сейры Вудрофф говорит о том, что она поняла интенцию собеседницы, побуждающей ее к ответу: I do not wish to speak of it, ma'm! Ответ Сейры также представляет собой косвенный речевой акт, т. к. помимо собственного нежелания девушки обсуждать вопрос, он содержит также запрет в адрес слушающей (экспрессив, директив-прескриптив).

Примеры такого типа позволяют предположить возможность сочетаемости речевого акта экспрессива (нежелание делать что-то) с директивом-прескриптивом на основе логической связи: если один из коммуникантов высказывает нежелание говорить на определенную тему, это звучит как помеха-запрет для другого коммуниканта говорить на эту тему.

То, что ответ Сейры действительно содержит отказ-запрет, поясняется авторской репликой, посредством которой параллельно с текстом диалога коммуникантов ведется диалог автора с читателем. В данном случае, автор поясняет ситуацию, точнее, психологическую атмосферу и роль в ее создании участников диалога: Now if any maid had dared to say such a thing to Mrs. Poulteney, the *Dies Irae* would have followed. But this was spoken openly, without fear, yet respectfully; and for once Mrs. Poulteney let a golden opportunity for bullying pass.

Основная интенция этой авторской вставки — подчеркнуть реакцию м-с Поултеней — выделяется автором параллельно тремя способами: лексическим (иностранное слово), стилистическим (гипербола) и графическим (курсив). Это говорит о том, насколько важно для автора донести до читателя суть ситуации: совершенно нормальное нежелание говорить о личных делах может вызвать гнев пуританки.

Следующая реплика м-с Поултеней также представляет собой косвенный речевой акт, т. к. содержит в себе нежелание-запрет говорящей (директив-прескриптив и комиссив): I will not have French books in my house.

Подобные примеры указывают на возможность сочетаемости комиссива (наложение на говорящего обязательства совершить некоторые будущие действия), а именно, комиссива с элементом модальности, и директива-прескриптива. Понимание в данном случае основано на выражении коммуникантом модальной оценки, своего отношения к действительности в такой форме, что такое же отношение становится необходимым и для другого.

Далее идет реплика собеседницы, которая может быть квалифицирована как репрезентатив-констатив и экспрессив (сожаление): I possess none. Nor English, ma'm. То, что данная реплика Сейры является косвенным речевым актом, помогает понять авторская вставка, обращенная к читателю. В ней содержится объяснение, почему Сейра не имела книг: они были проданы, ирония же (повтор) в адрес хозяйки говорит об отношении к ней автора: She possessed none, I may

add, because they were all sold; not because she was an early forerunner of the egregious McLuhan.

Далее м-с Поултеней задает вопрос, который строится по принципу инверсии. Это возможно в устной речи, где нарушение структуры компенсируется интонацией, в данном же случае это способствует созданию эффекта разговорной речи: *You have surely a Bible?*

Этот косвенный речевой акт может квалифицироваться как репрезентатив-дедуктив (предположение), который предполагает вопрос (директив-реквестив), а также содержит элемент модальности, придающий ему директивную направленность (директив-прескриптив), поскольку коммуникант предопределяет для собеседницы линию поведения: иметь библию обязательно. Т. о. налицо косвенный речевой акт с тремя коммуникативными направленностями: репрезентатив-дедуктив, директив-реквестив и директив-прескриптив.

Ответная реплика девушки выражена невербальными средствами: *The girl shook her head*, т. е. данный акт коммуникации, представляющий собой жест, является синонимом отрицательного ответа. Этот невербальный коммуникативный акт является прямым, и это обеспечивает его иллюкутивную силу. Можно заключить, что иллюкутивный акт, который в устной речи выражается жестом (а в письменной жестописанием) может быть только прямым, т. е. недвусмысленным.

Следующая реплика м-с Поултеней может быть воспринята как косвенный речевой акт — репрезентатив-суппозитив, директив-прескриптив и директив-реквестив, поскольку дается ссылка на других, предопределяется линия поведения на будущее и выражается побуждение к ответу: *I am told you are constant in your attendance at divine service*. Директивность этой фразы подкрепляется следующей: *Let it remain so*.

Ответ Сейры: *Yes, ma'm* — тоже представляет собой косвенный речевой акт, т. к. выражает согласие с обеими интенциями вопроса: она так делает (репрезентатив-констатив) и так делать собирается впредь (комиссив). Об этом свидетельствует произносимая ею ниже реплика: *I try to share your belief*.

Данный пример демонстрирует возможность сочетаемости репрезентатива (констатива) с комиссивом, которая основана на логической связи — констатация выполнения действия в настоящем и обязательство выполнять его в будущем.

Далее следует авторская вставка, обращенная к читателю: *Mrs Poulteney put her most difficult question, one the vicar had in fact previously requested her not to ask*. Это — речевой акт с катафорической направленностью, подчеркивающий важность данного вопроса для м-с Поултеней: *What if this... person returns; what then?*

Внимание привлекает пунктуация, выражающая нерешительность, размышление о том, как лучше задать этот деликатный вопрос. Эта реплика является косвенным речевым актом, т. к. подразумевает вопрос: что ты будешь делать в таком случае и даже более конкретно: будешь ли ты встречаться с ним (директив-реквестив), а также косвенно выраженный директив-прескриптив (запрет).

Ответ девушки говорит о том, что она поняла интенцию вопроса, но ее отрицательный ответ выражен невербально и о нем сообщается в авторской вставке: *But again Sarah did the best thing: she said nothing, and simply bowed her head and shook it*.

Реплика автора носит катафорическую ссылку (again), пунктуационный знак — двоеточие — способствует созданию эффекта ожидания.

Далее следует объяснение этого жеста автором от имени м-с Поултеней: In her increasingly favourable mood Mrs Poulteney allowed this to be an indication of speechless repentence.

После этого идет заключение от ее же имени:

So she entered upon her good deed.

Его следует понимать как согласие принять Сейру. Т. о. диалог, который велся по инициативе м-с Поултеней, закончился, с ее точки зрения, удовлетворительно. Однако следующий речевой акт — очередное обращение автора к читателю — заставляет заключить, что она ошиблась: It had not occurred to her, of course, to ask why Sarah, who had refused offers of work from less sternly Christian souls than Mrs Poulteney's, should wish to enter her house. There were two very simple reasons. One was that Marloborough House commanded a magnificent prospect of Lyme Bay. The other was even simpler. She had exactly sevenpence in the world.

Аналогичные прослеженным выше явления наблюдаются и на материале грузинского языка, что позволяет сделать заключения обобщающего характера:

1. Поскольку речевая деятельность рассматривается как часть деятельности человека вообще, коммуникативная направленность человеческой деятельности включает в себя речевую коммуникацию и является по отношению к ней экстралингвистической. Синтаксис организует речь и, следовательно, способствует реализации интенции речевой деятельности, которая не всегда совпадает с интенцией человеческой деятельности; а иногда и призвана завуалировать последнюю. В диалоге — части художественного произведения — это явление вызывает необходимость вклинивания в его структуру авторских поясняющих ремарок, обращенных к читателю; т. е. в рамках диалога героев возникает диалог «автор—читатель». Интенция этого субдиалога — раскрыть истинную интенцию коммуникантов и через нее — их самих. Данное явление имеет место как в английском, так и в грузинском языках. Что же касается форм подобных субдиалогов, то они индивидуальны в каждом отдельном случае. Так, один из вариантов диалога «автор—читатель» на материале грузинского языка осуществляется в форме заключенных в скобки риторических вопросов, которые подсказывают читателю направление мысли автора, наталкивают его на раскрытие авторской коммуникативной интенции, создают необходимый фон для ее реализации:

— „საირმე“ სად მდებარეობს საქართველოში?!

— ფერსათის მთების კალთებზე...

— ფერსათის მთების...

(ზომ არაფერი გახსენებია?!)

— იმერეთს და სამეგრელოს გადასცქერის...

— იმერეთს და სამეგრელოს...

(ზომ არ ახსოვს ბავშვის ცქერა სერიდან?) [8,97]

Косвенный речевой акт, в данном случае — репрезентатив-дедуктив, директив-реквестив и экспрессив является примером разнообразия синтаксических моделей, применяемых в упомянутых выше субдиалогах.

2. Речевой акт может достичь определенной иллокутивной цели, будучи формально отличным от той модели, что предписана ему синтаксисом системы языка.

3. Речевой акт может соединить в себе несколько (1—3) иллокутивных целей при единообразном синтаксическом оформлении, что является характерным для диалога.



### Литература

1. Н. Д. Арутюнова, Е. В. Падучева, Истоки, проблемы и категории прагматики, Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, М., 1985, с. 25.
2. Там же, с. 5.
3. Г. Грайс, Логика и речевое общение, Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, с. 219—228.
4. Д. Франк, Семь грехов прагматики: тезисы о теории речевых актов, анализе речевого общения, лингвистике и риторике, Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, М., 1986, с. 372.
5. Р. И. Павилёнис, Понимание речи и философия, Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, с. 381.
6. Дж. Серль, Классификация иллокутивных актов, Новое в зарубежной лингвистике, вып. XVII, М., 1986. Е. И. Беляева, Модальность в различных типах речевых актов, «Филологические науки», 1987, № 3, с. 66.
7. J. Fowles, The French Lieutenant's woman, Triad Panther, 1985, с. 36—37.
8. ზ. ბობოქაძე, ზველბე პერსონაჟი, თბ., 1988.


Кафедра английского языка Государственного педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе  
Представила член-корреспондент АН Грузинской ССР  
М. Андроникашвили



რუსულან ასატიანი

კაუზაცია და კონტაქტი ქართულურ ენებში

სხვადასხვა წყობის ენათა კაუზატიური სტრუქტურების ფორმალურ-სემანტიკური ანალიზის შედეგად აშკარა ხდება კაუზაციის შესაბამისი სიღრმისეული სტრუქტურების რთული, კომპლექსური ხასიათი (იხ. ა. ჰარისის, დ. კომრის, ჯ. მაკოლის ნაშრომები), სადაც განსხვავებული დონის ორი წინადადება ერთმანეთს უკავშირდება cause ('იძულება, მოთხოვნა') ნიშნით შემდეგნაირად:



აქ  $N_1$  არის მოქმედების გამომწვევი სახელი,  $N_2$  — ვისაც აიძულებენ გარკვეული მოქმედების ჩადენას,  $S$  ჩართული წინადადება კი ასახავს იმ მიკროსტრუქტურას, ანუ იმ მიკროსიტუაციას, რის განხორციელებასაც მოითხოვს  $N_1$  სახელი  $N_2$ -ისგან. მაგ.,

{ $N_1$ =„ნიწო“,  $N_2$ =„ვანო“,  $S$ =„ვანო წერს წერილს“} —  
cause „ნიწო აწერინებს ვანოს წერილს“.

იმისათვის, რომ ეს ორი წინადადება შეიკრას და წარმოიქმნას კაუზატიური კონსტრუქცია, აუცილებელია ორი სახელის სრული იდენტობა:  $N_2=N'_1$  (ანუ „სახელი, ვისაც აიძულებენ“, უნდა იყოს ჩართული წინადადების მოქმედი პირი, სუბიექტი). თუ ჩართული სტრუქტურა გარდაუვალ მოქმედებას ასახავს, ე. ი. ზმნა ორვალენტია (მაქსიმუმ)  $N'_1(N'_2)V$ , მაშინ კაუზალური სიტუაციის გამომწვევი სახელი ( $N_1$ ) მოქმედების უშუალო ჩამდენიცაა. მაგ.,

- ნიწო წუხს — ის ნიწოს აწუხებს (=აიძულებს შეწუხდეს);
- წყალი დღეს — ის წყალს ადღლებს (=აიძულებს ადღდეს);
- სახლი შენდება — ის სახლს აშენებს (=აიძულებს იქნეს აშენებული)...

თუ ჩართული სტრუქტურა გარდამავალ მოქმედებას ასახავს, ე. ი.  $N'_1 N'_2 (N'_3) V$  (ზმნა ორ ან სამვალენტია), მაშინ კაუზალური სიტუაციის გამომწვევი სახელი მოქმედების უშუალო ჩამდენი არაა, ის მხოლოდ იწვევს მოქმედებას, რომლის რეალურად განმახორციელებელი, მოქმედი პირია  $N_2=N'_1$  სახელი: ის, ვისაც აიძულებენ იმოქმედოს; მაგ.:

- ვანო აწუხებს ნიწოს — ის ვანოს აწუხებინებს ნიწოს;
- ვანო წყალს ადღლებს — ის ვანოს წყალს ადღლებინებს და ა. შ.

ეს სემანტიკური განსხვავება ამ ტიპის სტრუქტურებს შორის მთელ რიგ ენებში შესაძლებელია გრამატიკულ დონეზეც აისახოს განსხვავებული ფორმალური მარკერების საშუალებით. ამ შემთხვევებში აღნიშნულ ენებში ორი განსხვავებული გრამატიკული კატეგორიის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ. რადგან ძირითადი განსხვავება I—II ტიპების კაუზატიურ ფორმებს შორის მოქმედების უშუალოდ ჩამდენი პირის სტატუსთანაა დაკავშირებული — პირ-



ველ შემთხვევაში ესაა  $N_1$ , ხოლო მეორე შემთხვევაში  $N_2 = N_1'$  — ამ კატეგორიების განსახვავებლად შეიძლება შემოვიტანოთ „კონტაქტის“ (კონტაქტული) ე. ი. II ტიპის სტრუქტურები ასახვენ შუალობითი „კონტაქტის“ ფორმებს, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით დაუპირისპირდებიან „კაუზატიურ“ ფორმებს (I ტიპის სტრუქტურებს)<sup>1</sup>.

კაუზაცია-კონტაქტი ენებში სხვადასხვაგვარად შეიძლება აისახოს. მაგ.: რუსულში, ინგლისურში, გერმანულში, ძვ. ბერძნულში, ლათინურში... კაუზაცია და კონტაქტი გამოიხატება ახალი ლექსიკური ერთეულის შემოტანით: Он заставил его написать письмо, You cause me to read this book, Er ließ ihnen den Brief schreiben... ე. ი. ამ ენებში არც კაუზაცია და არც კონტაქტი არ წარმოადგენს მორფოლოგიურ კატეგორიას).

კაუზაცია და კონტაქტი ერთი და იმავე ფორმალური მარჯვენალებით აისახება, მაგ., ხუნძურში — ბეგიზაბუნა დოს დობ („დააწვინა“), ბეგიზაბუნა დოს დობ („დააწვინა“); თურქულში — aġlattim („ავატირე“), çoġalt tim („გავაზრდევენ“); განსხვავებულ ფორმალურ ყალიბებს იყენებს ამ კატეგორიებისთვის, მაგ., ლენდი — baglā („ავაშენებინე“), სონგჰა — ha-ndi („გატეხა“) და სხვ.

ქართველურ ენათაგან კაუზაცია-კონტაქტი ამჟამად განსხვავებული მორფოლოგიური კატეგორიებია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში, ხოლო სვანურსა და ძვ. ქართულში მათი გამოიყენება კირს.

განვიხილოთ კაუზაცია-კონტაქტის რა მოდელებია გავრცელებული ქართველურ ენებში:

**ქართული** კაუზაციის ძირითადი მოდელია: ა+ზმნის ან სახელის ძირი + „თემა“, სადაც „თემა“ ძირითადად არის -ებ, იშვიათად -ევ, ან მის ფუნქციას ასრულებს აბლაუტი (ავლენს — ვლინდება, აჩენს — ჩნდება...).

კონტაქტი: ა+ზმნის ან სახელის ძირი + თემა<sub>1</sub> + ინ/ევიან + თემა<sub>2</sub>. ამ მოდელის „თემა<sub>2</sub>“ ყოველთვის ზედაპირულად წარმოდგენილია -ებ თემის ნიშნის სახით და მისი ფუნქციები თემისნიშნისეულია: -ინ- და -ევიან- გამო-

1 გ. მაკვაზარიანი I ტიპის სტრუქტურებს კაუზაციის პირველ, ხოლო II ტიპისას—მეორე საფეხურად მიიჩნევს და ამდენად კაუზაციის გრამემატებს შორის ტერნალურ დაპირისპირებას ვარაუდობს:

O საფ.	I საფ.	II საფ.
წუხს —	აწუხებს	— აწუხებინებს
დღღს —	ადღღებს	— ადღღებინებს
წეეს —	აწეეს	— აწეებინებს...

ამგვარ ანალოზს მხარს უჭერს გარკვეულ ენათა მონაცემები, სადაც კონტაქტი (კაუზაციის II საფეხური) კაუზაციის მარჯვენალების გავრცელებით მიიღება, მაგ., ბიწ-ალ — ბიწ-ალ-ალ; მაგრამ ქართულში, თუ ერთვალენტიათიან ზმნებისათვის ტერნალური დაპირისპირება ბუნებრივია, ორ და მეტვალენტიათიან ზმნებისათვის ის, საზოგადოდ, გამოირიცხება:

ხატავს — ახატვინებს  
 აშენებს — აშენებინებს...

და ამდენად კაუზაციის კატეგორიის შემადგენელ ზოგად დაპირისპირებად ვერ მიიჩნევა.

2 რადგან კაუზაცია-კონტაქტის დროს გვაქვს ზმნასთან დაკავშირებულ სახელთა რაოდენობის ზრდა, პირის მატება, ყველა ამ ფორმებში, ყველა ქართველურ ენაში ჩნდება „პირის მატების“ \*ა- პრეფიქსი (იხ. რ. ასათიანი, პრეფიქსული ხმოვანთა ფუნქციონალური ანალიზი ქართველურ ენებში), რომელიც ქართველურ ენებში შემდეგი შესაბამისობებით ვლინდება: \*ა- —(ქართ.): ო- (მეგრულ-ჭანური): ა- (სვანური).

ხატავს „კონტაქტის“ გრამატიკულ მნიშვნელობას. ალომორფების განაწილება დამოკიდებულია „თემა“-ის სახეობაზე: თუ თემა<sub>1</sub> არის „აჲ“, „აჲ“ (ძირით CC), ან „ი“ (აბლაუტი: V<sub>1</sub>/V<sub>2</sub>), მაშინ კონტაქტის ფორმა ნაწარმოები იქნება -ეინ- ალომორფით, დანარჩენ შემთხვევაში კი ყველგან წარმოდგენილია -ინ- ალომორფი. რაც შეეხება „თემა“-ს, ფორმალურად ის ემთხვევა ე. წ. თემის ნიშნებს, თუმცა მისი ფუნქცია გაურკვეველია: „თემა“ შეზღუდულია ზმნურ ან სახელურ ძირთან, ვადაყვება ზმნას II—III სერიებში და გრამატიკული მნიშვნელობით ფლოკორთული არაა. ამგვარად, მისი გამოყოფა და განცალკევებული მორფოლოგიური კვალიფიკაცია არ უნდა იყოს მართებული. ე. ი. ზემოთ წარმოდგენილ მოდელში { ზმნის ან სახელის ძირი + თემა<sub>1</sub> } უნდა განვიხილოთ ერთ დაუშლელ ფორმალურ ერთეულად. ასეც ხდება ტრადიციულად და მიჩნეულია, რომ კონტაქტის ფორმების წარმოებისათვის ქართულში ამოსავალია აწმყოს ფუძე. მაგრამ ამგვარ ინტერპრეტაციას გარკვეული სუსტი მხარეები აქვს, კერძოდ: (1) გაურკვეველია, რატომ უნდა იყოს კონტაქტისათვის ამოსავალი აწმყოს (ან რომელიმე სხვა) მწკრივის ფორმა. კონტაქტი წარმოქმნის კატეგორიას და თავისი სემანტიკით არ გულისხმობს დროის თვალსაზრისით რაიმე შეზღუდვებს: მოქმედების იძულება შეიძლება დროის ნებისმიერ მონაკვეთში. ამდენად აწმყოს ფუძესთან (და ე. ი. აწმყო დროსთან) მისი დაკავშირება სემანტიკის თვალსაზრისით გაუგებარია, თუმცა ფორმალურად, რასაკვირველია, დასაშვებია. ამგვარ დაშვებას ფორმალური ხარვეზებიც ახლავს; კერძოდ: (და ეს ამ ანალიზის (2) ნაკლოვანებაა): არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც აწმყოს ფუძე და კონტაქტისათვის ამოსავალი ფუძე სხვადასხვაგვარად აქვთ ნაწარმოები. მაგ.:



ყოველივე ეს { ზმნური ან სახელური ძირი+თემა<sub>1</sub> } ფორმალური ჯგუფისთვის, კომპლექსისთვის განსხვავებულ სტატუსს გვაპარაუდებინებს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მასდარის ფუძე, რის მიხედვითაც ზემოთმოცემულ მოდელს შემდეგი სახის ინტერპრეტაცია ეძლევა: ა+მასდარის ფუძე + ინ/ეინ + ებ.

ამგვარი ინტერპრეტაცია მთლიანად ხსნის მეორე ნაკლოვანებას: კითხვა→კითხვინებს (და არა→კითხულობს), დგმა → ადგმევიწებს ( და არა →დგამს), და სემანტიკური თვალსაზრისითაც ნაკლებ გაუგებრობებს წარმოქმნის: ისევე როგორც „კაუზაციის“ შემთხვევებში ამოსავალ ფორმად შეიძლება სახელური ძირი გვეკონდეს, „კონტაქტის“ შემთხვევაშიც დასაშვებია უნდა იყოს სახელურ (ნაზმნარ, მასდარულ) ფუძეზე დაყრდნობა<sup>3</sup>.

ამ მოსაზრებებს კიდევ უფრო ამაგრებს მეგრულ-ჭანურის კაუზაცია-კონტაქტის გრამატიკული შინაარსის გამომხატველი ზმნური ფორმების ანალიზი.

**მეგრულში** კაუზატიური სტრუქტურების ამსახველი ძირითადი მოდელია:

{ $\alpha$  + ზმნური ან სახელური ძირი + უ + ან } კონტაქტის კი: { $\alpha$ +ძირი + თემა<sub>1</sub>+აფ+უ+ან}, სადაც

[ძირი + თემა<sub>1</sub>] მეგრულში უფრო მეტადაა მასდარული, რამდენადაც

3 ე. ი. კაუზაციისაგან კონტაქტის წარმოება ვაშუალებულია სახელური ფუძით: სახელური ფუძე<sub>1</sub>→კაუზაცია →სახელური ფუძე<sub>2</sub>→კონტაქტი. მაგ.: თეთრი→ათეთრებს→გათეთრება→ათეთრებინებს და არა: თეთრი→ათეთრებს→ათეთრებინებს.

4 ეს ო- ქართული ა-ს ზუსტი შესატყვისია (იხ. შენიშვნა 2).





## ნათელა ჟუთელია

CC<sub>3</sub> სტრუქტურის კონსონანტური ჯგუფები ლაზურში

CC<sub>3</sub> სტრუქტურის აქცესიური მიმდევრობის ორწევრიანი ჯგუფები, სადაც მეორე კომპონენტი ვ ფონემით არის წარმოდგენილი, ლაზურისთვის კანონიკურია: გვაქვს გარკვეული შეზღუდვებიც: ლაბიალური რივის ჩქამურ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში ფონემა ვ არ რეალიზდება: ჰომორგანული ჯგუფები — ბე-ფე-პე არ არის მარკირებული ლაზური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით.

კომპლექსები დე-თე-ტე-ცე-წე იშვიათად რეალიზებულ კონსონანტურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან. უნდა აღინიშნოს, რომ პატარა მანძილით დაშორებული აქცესიური მიმდევრობის ჯგუფები ნაკლები სიხშირით რეალიზდებიან ლაზურში. ასეთი აქცესიური მიმდევრობის კომპონენტთა არტიკულაციური სიახლოვე გარკვეულ სიძნელეებს ქმნის წარმოთქმის თვალსაზრისით. ვვარაუდობთ, რომ ეს სიძნელე უნივერსალურ ხასიათს ატარებს.

დე: ოდვალუ, დოდვალუ (ხოფ.) „დადება“, შდრ. მეგრ. დვალ-გედვალა, დოდვალა, ქართ. დადება, დევს<sup>1</sup>.

ოდვინუ (ხოფ. არქ. ვიწ.) „მოკიდება“ (ცეცხლის); სემანტიკურად იგივე ძირია, ცეცხლის მოდებას ნიშნავს: დაჩხის ადუ „ცეცხლს მოეკიდა“.

თე: მოთვალუ, მოთჷალუ (ხოფ. არქ. ათინ. ვიწ.) „დახურვა, დაფარება“: თე > თჷ; მოთვალერი (ხოფ. ათინ.) „დახურული, დაფარებული“; მოთვალუ 1. თავსახურავი; 2. სახლის სახურავი<sup>2</sup>.

ტე: კუტვი (ათინ.) „ლევკი“, შდრ. ხოფ. ლაკოტი. ტე კომპლექსი იშვიათად რეალიზებულ ჯგუფებს განეკუთვნება.

ძე: ეს კომპლექსი მარკირებულია ლაზური ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში არ დასტურდება. ასეთი ვითარება იმითაც აიხსნება, რომ თავისთავად ფონემა ძ ლაზურში იშვიათად რეალიზდება.

ცე: ორწევრიანი ჯგუფი ცე ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ მოიძებნა: გვხვდება სამწევრიანი ჯგუფში: გონცვერი (ხოფ.) „სუფთა, მოწმენდილი ცა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძნელად შესათავსებელი ცე სუპერირებულია სონანტით<sup>3</sup>.

წე: წვინარი (არქ. ვიწ.) „თახვი, წავი“. ათინურში წე > წ და შესაბამისად გვაქვს „წინარი“.

წვრისთი (ათინ.)<sup>4</sup> „მარგილშორისი“, იგივეა რაც ვიწურ-არქაბული, მწკურისთი||მწტისთი (<მწკვირისთი) და ხოფური მწკური//მწტე; ამოსავალი უნდა ყოფილიყო \*წკვ//\*მწკვ, რომელმაც კანონზომიერად მოგვცა ზემოთ

1 არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ ზანური დე ისევე, როგორც ქართული ხმოვნით იყო გაყოფილი და მეგრ მოხდა თანხმოვნური კომპლექსის წარმოქმნა (იხ. ჰანურ-მეგრული ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გვ. 269—270; შდრ. Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 72—73).

2 ა. თ ა დ ი ლ ა ვ ა, მასალები ლაზურ-ქართული ლექსიკონისათვის (ხელნაწერი).

3 ნ. მარი ამოსავლად მიიჩნევს ცე-ს, ნ განვითარებულია (Грамматика чанского (лазского) языка), Спб., 1910, გვ. 214).

4 იქვე, გვ. 221.

მოყვანილი ხოფურ-არქაბულ-ვიწური ფორმები. რაც შეეხება წვრისთი (ათინ.) ფორმას, ის მომდინარეობს წვირისთი-საგან; ვირ > ვრ (შდრ. თოფური < თოფური, წიფრი < წიფური და მისთანა ფორმები). პარმონიული კომპლექსის მეორე კომპონენტი, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიკარგა ათინურში: წკ > წწ. წვ კომპლექსი განიცდის გარდაქმნებს: წვ > წწ; წვ > წწ; წწ.

ჯვ: ოჯვინუ. ოჯვინუ (ვიწ. არქ.), ონჯვინუ // ოჯვინუ (ხოფ.), ონჯინუ (ათინ.) „ძოვება“<sup>5</sup>, აქედან ბოჯვინამ (არქ. ვიწ.) „ვაძოვებ“.

ჯვ კომპლექსს შეიძლება განუვითარდეს ნაზალური ელემენტი მ (resp. ნ): ღბომაჯვინამ // ღბონჯვინამ (ვიწ. არქ.) „მოვაძოვებ“; ათინურში ვ იყარება ხ სწორად (ჯვ//ნჯვ > ჯ//ნჯ) და დადასტურებულია ფორმა ვონჯინარე „მოვაძოვებ“. ზოგჯერ ჯვ > ჯტ: ფუჯიქ ჯტასუნონ „ძროხა მოძოვს“.

ჯვეში // მჯვეში (ხოფ.) „ძველი“. ხოფურში დასტურდება პარალელური ფორმები მჯვე // მჯტე; არქაბულსა და ვიწურში უმეტესად გვხვდება ჯტე // ჯტეში. ნ. მარს მოჰყავს პ. აპარიანის მიერ დამოწმებული ფორმები ტრაბიზონელ ლაზთა მეტყველებიდან: ჯტე ოხორი „ძველი სახლი“, ჯტე ლაზეფი „ძველი ლაზები“<sup>6</sup>. ზემოთ მოყვანილი ფორმები ცხადყოფენ, რომ ჯვ ძირეულია<sup>7</sup>; მისი გარდაქმნები ჯვ > მჯვ // ნჯვ; ჯვ > ჯტ გვიანდელია.

ჯვაბუ // მჯვაბუ (ათინ.) „გომბეშო“, შდრ. ევაბუ // მყვაბუ (ვიწ. არქ. ხოფ.); ათინური ფორმა მეორეული უნდა იყოს. ჯვ კომპლექსი განიცდის გარდაქმნებს: ჯვ > ნჯვ // მჯვ; მჯვ > მჯტ // ნჯვ > ნჯტ; ჯვ > ჯტ.

ჩვ: ოჩიხუ (ხოფ. ვიწ. არქ.), ოჩიხუ, ოფიხუ (ათინ.) „მარხვა“. როგორც მოსალოდნელი იყო, უ-ს წინ ათინურში ჩვ კომპლექსი გამარტივდა: ჩვ > ჩ; ოჩვალუ > ოჩლუ. ოჩტალუ „დაცვა, დადარაჯება“, შდრ. მეგრ. ჩვ//ჩვ: ჩულა<sup>8</sup> და ქართ. და-ცვა<sup>9</sup>. ჩვ- ლაზურისთვის ძირეულია და განიცდის გარდაქმნებს ჩვ > ჩ; ჩვ > ჩტ.

ქვ: ქვაი (ხოფ.) „ჰყინტი სიმინდი“, შდრ. ხოფური ჰყინტი, მყირი (ათინ.). კიტირი // ჰოლო (ვიწ.) — მნიშვნელობა იგივეა.

ქვერი > ქვეი „დამწვარი“, შდრ. ქართ. წვა, მეგრ. ჰულა „დაწვა“<sup>10</sup>. ქვარი // ჰუარი „ჰვაივი“, შდრ. ჩხვარი (ხოფ.), მჩვარი (ათინ)<sup>11</sup>. მქვიმს<sup>12</sup> (ვიწ.), მქიმს<sup>13</sup> (არქ.), მქიფს<sup>14</sup> (ხოფ.), მქიმს, მქიჟ<sup>15</sup> (ათინ.)

5 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 437; Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

6 Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 237.  
7 ქართველურ ძირთა შესატყვისობისათვის იხ. М. Brosset, Rapports sur une voyage archéologique dans la Géorgie et dans L'Arménie, Rapports VIII, St.-Petersbourg, 1849, გვ. 72; Н. Я. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, „Материалы по яфетическому языкознанию“, V, Спб., გვ. 39; არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 436; Г. Климов, დასახ. ნაშრ. გვ. 238.

8 И. Кипшидзе, Грамматика мингрельского языка, Спб., 1914, გვ. 366.  
9 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 229. 372—373; შდრ. Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 229.

10 ქართველურ ძირთა შესატყვისობისათვის იხ. არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 407; Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 25, 151.

11 ნ. მარს მოჰყავს პ. აპარიანის მიერ დადასტურებული ფორმა ე. წ. ბათუმური თქმის მიხედვით, რომელიც ან ქართული ჰვაივი-დან მომდინარეობს, ან არადა შეიძლება ვიყარაუ-დოთ, რომ ჩხვარის გამკვეთრებული ვარიატია.

12 არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალები, გვ. 3—2.  
13 იქვე, გვ. 75-19.  
14 არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, თბ., 1929, გვ. 160-25.  
15 არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, გვ. 415-3.

„წივს“, შდრ. მეგრ. ჰვენს, ქართ. წვიმს<sup>16</sup>, ლაზურში მ განვითარებულია. მეორე კომპონენტი შენარჩუნებული აქვს ვიწურს, დანარჩენ დიალექტებში კარგულია: ჰვ>ჰ.

ქვალ: ონქვალუ (ათინ. ხოფ.) „მოწველა“: ფუჯი ბქვალარე „ძროხას მოეწველა“, შდრ. მეგრ. ჰვალ-, ქართ. წველ-<sup>17</sup>.

ოქვეთელა (ვიწ. არქ.), ოქვეთურა (ხოფ.) „სანაგვე ადგილი ეზოში“<sup>18</sup>.  
ოჭოთურა, ოჭვეთელა „საწვეთური“. ჰვ-მ მსგავსად ჰვ, ჩვ კომპლექსებისა, შეიძლება განივითაროს მ (resp. ნ) თავკიდურ პოზიციაში: ჰვ>მჰვ; ჰვ>მჰვ.

აქცესიური მიმდევრობა ჰვ-ჩვ-ჰვ სუპერიორდება მეორე კომპონენტის ვოკალიზაციით: ჰვ>ჩჰ, ჩვ>ჩჰ, ჰვ>ჰჰ.

ველარული რიგის ხშულ თანხმოვანთა შეერთება ლაბიალური რიგის სპირანტთან ლაზურში რეალიზდება გაცილებით მეტი სიხშირით, ვიდრე ეს ალვეოლარული რიგის ხშულთა და ლაბიალური სპირანტის შეერთების დროს გვაქვს. აქცესიური რიგი გვ-ჰვ-კვ უმეტეს შემთხვევაში სუპერიორდება მეორე კომპონენტის ვოკალიზაციით: გვ-ჰვ-კვ>გჰ-ჰჰ-კჰ.

გვ: გვანერი // გჰანერი (ათინ.), მგვანერი>მგჰანერი>მგჰანეი (ხოფ.) „მსუქანი“; ხოფურში კომპლექსს უვითარდება მ: გვ>მგვ.

გვერდი (ხოფ. არქ. ვიწ.) „ნახევარი“, შდრ. ქართ. გვერდი (ცალი გვერდი), მეგრ. გვერდი.

ჯარგვალი (ხოფ. არქ. ვიწ.) — მრგვალი ხის მორები: ზამანის ოხიფევე ჯარგვალიში ტერენ<sup>19</sup> „წინათ სახლები ხისა იყო“. შდრ. მეგრ. ჯარგვალი „ხის მრგვალი მორებისაგან აგებული სახლი, ქოხი“<sup>20</sup>, მეგრ. რგვ-ს შეესატყვისება ლაზ. გვ კომპლექსი სამწვერიან კონსონანტურ ჯგუფებში რ სონანტით თავკიდურ პოზიციაში ლაზურისთვის დამახასიათებელი არ არის.

გვარდანი // გვერდანი „მარგილშორისი“.

ქვ: ქვა>ქჰა (ხოფ.), ქვა/მქვა//ნქვა>ქჰა // ნქჰა // ნქჰა (არქ.) „ქვა“, შდრ. მეგრ. ქჰა. ლაზურში ძირეულია. ქვ. მ. (resp. ნ) განვითარებულია<sup>21</sup>. ნ. მარს დადასტურებული აქვს „ქჰა“ (ხოფ. ათინ. ვიწ.)<sup>22</sup>. ქვამალარა, „გამოქვამული, ქვაში გამოკვეთილი ოთახი“, ქვაკამარა „ხოფური ტომონიშია“. ქვანჭალა — ზღვის კენჭი. ზღვის ქვიანი, კენჭიანი ნაპირი. ქვთანა>ქათანა (ხოფ.) „ქათანი“: ჰვ>ჰ.

ოქვასუ (ხოფ.) ფშენა: ფქვასუფ, ვქვასუფ „ფვზშენი“<sup>23</sup>. ონჩამურე ლაზურში ოქვასუ რენ „საცხველი სიმინდის დასაფშენელია“.

ძიქვა (ხოფ.) // ძიკვა (ვიწ.), წიკვა (ათინ.) „შარვალი“, შდრ. მეგრ. ძიქვა, ძქვა. ათინურში აღინიშნება ხშულთა გამკვეთრება მთელი სიტყვის მანძილზე.

<sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1913, გვ. 6; Ал. Цагарели, Мегрельские этюды, II, Спб., 1880, გვ. 66, არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 408. Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

<sup>17</sup> Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 224; ა. თანდილავა, დასახ. ნაშრ., გვ. 250.

<sup>18</sup> ქართულ-ზანურ შესატყვისობათათვის იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, გვ. 6; არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 409. Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 250.

<sup>19</sup> ა. თანდილავა, დასახ. ნაშრომი.

<sup>20</sup> И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 411.

<sup>21</sup> Н. Я. Марр, Избранные работы, I, Л., 1936, გვ. 133. ქართულ-ზანურ ძირითა შესატყვისობათათვის იხ. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 187—188; Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

<sup>22</sup> Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 199.

<sup>23</sup> ა. თანდილავა, დასახ. ნაშრ.,

ქვალი<ქოვალი (ათინ.), ქვალი<ქუალი (არქ.), ქუალი (ვიწ.), ქული// ქუალი (ხოფ.) „პური“, შდრ. მეგრ. ქობალი<sup>24</sup>. ათინური და არქაბული ფორმები მიგვიჩვენებენ, რომ ხმოვანი ამოვარდა: ქოვ<(ქობ)>ქე. მ. ანდრონიკაშვილი თვლის, რომ ლაზ. ქოვალი, მეგრ. ქობალი, ქართ. ხორბალი ირანული წარმოშობისაა, შდრ. სპარს. *خواربار* საშ. სპარ. *x'vārbar*, *x'arəobairya*. მეგრულ-ლაზური მასალა ადასტურებს ვ/ზ-ს მონაცვლეობას. ვიწურ-ხოფური ქუა-// ქუა- ფორმები მეორეულია, მომდინარეობენ ქვ- ფორმისაგან: ქობა-// ქოვა>ქვა- ქუა-// ქუა.

ქვერი>ქვეი // მქვერი>მქვეი (არქ.), მქირი>მქიი // ქირი (ხოფ.) ქტიერი, მქტიერი<მქტიერი>მქვერი (ათინ.), ქტიერი, ფქვერი (ვიწ.) „ფქვილი“, შდრ. მეგრ. ქვირი, ქართ. ფქვილი<sup>25</sup>.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ წინამავალ თანხმოდანთან აქცესიურ მიმდევრობაში მყოფი ვ>ტ (resp. ვ>უ/0). ქვ-ს კომპლექსის ევოლუცია ლაზური კილოკავების მიხედვით სხვადასხვა გზით წარიმართა: ქვ>მქვ (resp. ნქვ) >მქტ (resp. ნქტ); ქვ>ტ; ქვ>კვ; ქვ>ქ; ქვ>ჩვ>ჩტ.

კვ: კვ კომპლექსი ლაზურში მაღალი სიხშირით ხასიათდება; ამას ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ისტორიულად ყვ>კვ. ამავე დროს, გამკვეთრების ტენდენციის მოქმედების გამო ზოგჯერ ქვ>კვ: კვანცა (ხოფ. არქ.) „ლოქი“;

კვინჩი (ხოფ. ათინ. ვიწ.), კინჩი (არქ.) „ჩიტი“: კვ>კ; შდრ. ქართ. სკვინჩა. ოკინჩე>ოკვინჩე (არქ.) „გალია (ჩიტი)“. არქაბულში კომპლექსი გამართვდა: კვ>კ. კვინჯახი (ხოფ.) „ბელურა“, შდრ. კინჩ-კახი (არქ.), კახი (ათინ. ვიწ.)<sup>26</sup>.

კვინური (ხოფ.) „კვერნა“, შდრ. მეგრ. კვინორი // კინორი, ქართ. კვერნა<sup>27</sup>;

კვალი // ნკვალი<ყვალი (არქ. ვიწ.) „ყველი“, შდრ. ხოფ. ყვალი // ყუალი, მეგრ. ყვალი, ყუალი.

კვაჯონი<ყვაჯონი (არქ. ვიწ.), ყვაჯონი (ხოფ.) „ულაყი“;

კვაჯი (არქ. ვიწ.), შდრ. ყვაჯი, ყუაჯი (ხოფ.) testiculum.

კვა // ყვა (არქ. ვიწ.), ყვა (ხოფ.) „შუბლი“, შდრ. მეგრ. ყვა, ყუა<sup>28</sup>.

კვათა — კიბე, ხის მორზე ამოჭრილი.

კვარჩხანა (არქ.) „მარცხენა“. ეს ფორმა დღეს არც ერთ ლაზურ კილოში არ არის დადასტურებული, სამეგრელოში მცხოვრებ არქაბულ ლაზთა მეტყველებაში გვხვდება მხოლოდ და უნდა ვიფიქროთ, რომ მეგრულ გავლენას მიეწერება.

ხეკვატა (ხოფ.), ხეკვეტა (არქ.) // კეკვეტა // კაკვატა „უხელო, ხეიბარი“; ოკაკვე „მოკაკვა, მოკუნტვა“: კვაკვეი // კუაკვეი<sup>29</sup> „მოხრილი, მოკაკული, ხეიბარი“: კვაკვეი კოჩი „მოხრილი კაცი“. კვაკვატა (ხოფ.)<sup>30</sup> „კუტი“.

კვანტერი (ვიწ.) „შემკრთალი, დარცხვენილი“.

<sup>24</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 172.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 171—172; Г. Климов, Этимологический словарь, გვ. 193.

<sup>26</sup> Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 153.

<sup>27</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

<sup>28</sup> არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 49;

Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 213.

<sup>29</sup> ა. თანდილავა, დასახ. ნაშრომი.

<sup>30</sup> იქვე; Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 104, 171.



ოკვათუ (არქ. ხოფ. ვიწ. ათინ.) „მოჭრა, მოკვეთა“, შდრ. მეგრ. კვათ-  
კვათუა, ქართ. კვეთ- კვეთა<sup>31</sup>.

ოკვანდუ // ოკვანდინუ > ოკუანდუ, ოკუანდინუ (ხოფ. არქ. ვიწ.) „თხოვ-  
ნა“;

ოკვიუ < ოკვირუ „გაკვირვება“ (ხოფ. არქ. ვიწ.) „გაკვირვება“, შდრ. მეგრ.  
კვირ-, კვენ: კვირაფა, კვირება<sup>32</sup>;

გამაკვათერი // გამაკუათერი > გამაკვათეი // გამაკუათეი, გამანკვათერი  
(არქ.) „გამოკვეთილი, ნათელი“.

ლაზურის კილოკავთა მიხედვით კვ კომპლექსი განიცდის შემდეგი სახის  
გარდაქმნებს: კვ > ნკვ; კვ > ჭ; კვ > კუ.

ყვ: ყვალი > ყუალი (ხოფ.) „ყველი“; ვიწურში ამან კანონზომიერად მოგვცა  
კვალი > კუალი: არქაბულში კვ კომპლექსს ნ განუვითარდა და პარალელური  
ფორმები გვაქვს დადასტურებული: კვალი // ნკვალი; ათინურში ეს ჯგუფი  
წინა კომპონენტს კარგავს: ვალი < კვალი, შდრ. მეგრ. ყვალი<sup>33</sup>. ფაყვა (ხოფ.)  
„თვალის დახამხამება“;

ყვაილი (ხოფ.) „ყვაილი“ (ავადმყოფობა); შესაბამისად გვექნება —  
კვაილი (ვიწ. არქ.) და ვავილი (ათინ.); ყვ > კვ (ვიწ. არქ.). ათინურში კომ-  
პლექსი გამარტივდა პირველი კომპონენტის დაკარგვის ხარჯზე: ყვ > კვ > ვ;

ყვაჯი > ყუაჯი (ხოფ.), კვაჯი > კუაჯი (არქ. ვიწ. ათინ.) testicular, შდრ.  
მეგრ. ყვაჯი და ქართ. ყვერი<sup>34</sup>.

ოყვილუ (ხოფ.) ‘ილი // ილი < ცვილი’ „მოკვლა“, ოყვილუ (ვიწ. არქ.). ათი-  
„ყვაჯი“, შდრ. მეგრ. ყვარია, კვარი<sup>35</sup>.

მეყვაფერი (ხოფ.) „მაწონი“. არქაბულში მოულოდნელი ფორმა გვაქვს—  
„მევაფერი“; ასეთი ფორმით ეს სიტყვა ათინურში იყო მოსალოდნელი. ათი-  
ნურსა და ვიწურში ყვ > ა: მევაფერი // მუვაფერი (ათინ.) მუვაფერი (ვიწ.).  
საინტერესოა ათინურ-ვიწურის ფორმების იდენტურობა. ეს მაგალითი ერ-  
თხელ კიდევ ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ ლაზურ კილოთა მკაცრი გამო-  
წვნა არ ხერხდება. როგორც ჩანს, ეს საერთო ლაზური პროცესებია, რომლე-  
ბიც თავს იჩენენ ლაზური მეტყველების ყველა რეგიონში, და უნდა ვივარაუ-  
დოთ, რომ განაპირობებენ კიდევ ლაზურის დამოუკიდებელ ენობრივ ერთეუ-  
ლად უნიფიცირების პროცესს.

ყვილი (ხოფ.) „ძვალი“. ათინურში ანლაუტის პოზიციაში ყვ კომპლექსი  
დაიკარგა და მის ნაცვლად გვაქვს ფარინგალიზებული ხმოვანი:

‘ილი // ილი < ცვილი,

ოყვილუ (ხოფ.) „მოკვლა“, ოყვილუ (ვიწ. არქ.). ათინურში „ოა ლუ“  
ფორმა დადასტურებული: ყვ > ა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე ყვ კომპლექსის გარდაქ-  
მნები ასეთ სახეს მიიღებს: ყვ > ა; ყვ > ა; ყვ > კვ > კუ; ყვ > ვ; ყვ > ჭ; ყვ > ო.

სიბილანტების შეერთება ბაგისმიერ სპირანტთან კანონიკურია ლაზურ-  
რისთვის. მაგალითები:

ზე: ზეინი (ხოფ.) „ზეინი“, შდრ. ბარდი (ხოფ.) — მნიშვნელობა იგივეა.

31 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 289—290;  
Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. III; Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.,  
1938, გვ. 332.

32 И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

33 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 95; მი-  
სივე, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 16; Г. Климов, დასახ., ნაშრ., გვ. 210.

34 Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 144.

35 ქართველურ ძირთა შედარებისათვის იხ. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართუ-  
ლი შედარებითი ლექსიკონი, გვ. 108—109; Г. Климов, დასახ. ნაშრ., 210.

მოზარი (ხოფ. ვიწ. არქ.), მუზარი (ათინ.) „დეკეული, უშობელი“<sup>36</sup>, შდრ. ქართ. მოზვერი; ძირი ერთია<sup>37</sup>. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაზურში კომპლექსი გამარტივებულია ზე>ხ.

სე: სეა//სუა (ათინ.) „ადგილი“; სეეა-სეეე „მისმა-მოსმა“ (არქ.); სევი (ხოფ.) „წასმული“, შდრ. ქართ. „წასმა“ უნდა მომდინარეობდეს ოსეუ, ოსეუმუხ-სავან. შდრ. ქართ. სე- წამისეა და მეგრ. სე- ქომისუ<sup>38</sup>. არნ. ჩიქობავა \*სეს- მიჩინეეს ძირეულად ქართველური ენებისათვის: „ძირეული -ვ- იკარგება მომდევნო უ-ს წინ; სხვა ხმოვნების წინ შენახულია ქანურ-მეგრულ-შიც“<sup>39</sup>.

ოსვარუ>ოსვაუ // ოსჭუუ „ერთმანეთზე დაწყობა, დალაგება“, შდრ. მეგრ. სვარ: გილე-სვარ-უნ-ა/ნ/ „დალაგებულად, მწყობრად დადიან“<sup>40</sup>.

სე კომპლექსი შეიძლება გამარტივდეს: სე>ს, ან მოხდეს მისი მეორე კომპონენტის ვოკალიზაცია სე>სტ.

ჟე: ჟე. შე კომპლექსები ლაზურში მეტი სიხშირით რეალიზდებიან, ვიდრე ზე, სე ჯგუფები.

ოვეალუ (ვიწ. არქ.) „დასვენება“: ბიჯვალამ „ვისევენება“.

ევარ-: ოვეარუ // ონევეარუ, ოვეარუ (ვიწ. არქ.): 1. გაწყება, 2. გაქელვა, ბუჭარამ „გწყებალავ“. თიფი ბეყარი „ბალახი გაქელე“<sup>41</sup>, ჟე>ნეჟე; ჟე>ჟუ. ლეჟერი (ხოფ. ვიწ. არქ.) „დორბლი“: ლეჟერა „დორბლიანი“ (ბიჭზე იტყვიან).

ევაბუ // ეტაბუ. ჯვაბუ (ხოფ.), მევაბუ (ვიწ. არქ.) „გომმეშო“. ხოფურში პარალელური ფორმები იხმარება ჟე//ჯე. ლაზურში ხშირია ე-ს აფრიკატიზაციის შემთხვევები: ეანგი>ჯანგი „ეანგი“; მეორა>მგორა „მზე“ და სხვა მისთ.

ეჟ კომპლექსი გარდაიქმნება: ეჟ>ჯე; ეჟ>მეჟ; ეჟ>ნეჟ; ეჟ>ჟუ.

შე: შეაი, მშეაი (ხოფ. არქ. ვიწ.) „ხევი, გროვა“;

შეანაფა (ხოფ. არქ. ვიწ. ათინ.) „სუნთქვა“, ამაშვანუ „შესუნთქვა“;

შეაჯი (ხოფ.) „შესვენება“;

შევი<შვერი (ხოფ. არქ. ვიწ. ათინ.) „ნასვამი“;

ოშვალუ (ხოფ. ვიწ. არქ.), ოშუ (ათინ.) „რთვა“: შე>შ. ოშვალერი (ხოფ. არქ. ვიწ.) „საქსოვი დაზგა“<sup>42</sup>;

მეშველუ (ათინ. ვიწრ. არქ.)<sup>43</sup>, ოშველუ (ხოფ.) „შველა“: ბოზოს აარან-ნაულუტუ, ხოჯაქ იუშველუ. „ქალიშვილს იარა რომ ჰქონდა, ხოჯამ უშველა“.

შველ- (ვიწ. არქ.), შოლ (ხოფ. ვიწ. არქ.): დოფშველამ „ვასველებ“<sup>44</sup>, შდრ. მეგრ. შოლ-: შოლუა, ქართ. სეელ-<sup>45</sup>.

ლე: ეს კომპლექსი, ისევე როგორც გე-ქე-ვე ჯგუფები, ძალიან არის გავრცელებული ლაზურში: ლვანჩქი, ლჭანჩქი (ხოფ. არქ. ვიწ.) „ორაგული“, შდრ. ინეხი (ათინ.).

<sup>36</sup> Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 144; ა. თანდილაძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>37</sup> Н. Марр, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

<sup>38</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 311;

Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 163, 225.

<sup>39</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 311.

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> ა. თანდილაძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>42</sup> Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 207.

<sup>43</sup> ი. ყიფშიძე, ქანური ტექსტები, თბ., 1939, გვ. 64<sup>22</sup>.

<sup>44</sup> Н. Марр, დასახ. ნაშრ., გვ. V.

<sup>45</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 362;

Г. Климов, დასახ. ნაშრ., გვ. 174.

ღვანჭკილი, ღვანჭკელი „ლოყა“, შდრ. მეგრ. ღვანჭკი, ქართ. ღაჭკი  
ღვანჭკი (ხოფ.) „ლაცუჩი“<sup>46</sup>.

ღვედი 1. „ღვედი“, 2. ცომს ნიშნავს, რომელიც კარგად იშლება<sup>47</sup>.  
ღვამფო (ხოფ.), ღღება (არქ. ვიწ.) — თხილის გულის კანი.  
ღვარ: ოღვართ (ათინ. ვიწ. არქ.) „დასველება“;  
ღვარი < ღჭარი (ვიწ. არქ.) „ნიაღვარი“<sup>48</sup>, შდრ. მეგრ. ღვარღვალი<sup>49</sup>  
„ნიაღვარი“.

ღვარ-// ღჭარ- დაიყვანება ქართულ-ზანურ დონეზე, როგორც ძირის  
სტრუქტურის, ასევე სემანტიკის თვალსაზრისით<sup>50</sup>.  
ღვინი > ღჭინი (ხოფ.), ღვინი (ვიწ. არქ.) „ღვინო“: ღვ > ღჭ; ღვ > ღ;  
შდრ. მეგრ. ღვინი, ქართ. ღვინო<sup>51</sup>.

ღვი (ხოფ.), ღი (ვიწ. არქ.): ღვიაფს (ხოფ.), ღვიამს (ვიწ. არქ.) „ღნავის,  
ქნავის“, ღვ > ღ. შდრ. ქართ. ღნავილი.

ღველიკ- (ხოფ. ვიწ.), ღლიკ- (არქ.): ოღველიკუ „იკლავება“. სიანტე-  
რესოა ვიწურ-არქაბული მღუმს და ხოფური მღუმს „იწვის, იფერფლება“<sup>52</sup>  
ფორმების დაკავშირება ქართ. ღვივ- და მეგრ. ღვიღვ-თან<sup>53</sup>.

ღვა, ღვა (ვიწ. არქ. ხოფ.) „ლოყა“, შდრ. მეგრ. ღვა, ღვაღეფი (მრ. რ.).  
ღვაბა < ღვაბარა (ხოფ. არქ. ვიწ.) „ყბაყურა“.

ღვაბა (ხოფ.) „მხარა“: ფატიჯანიშ ნერგი მთელი ღვაბაქ ქომიჭკომუ  
„ბადრიჯნის ნერგები სულ მახრამ შეჭამა“<sup>54</sup>.

ღვალო // ღვალი (ხოფ.), ღვალი (ვიწ. არქ.) „ღოლო“ (Rumex alpinus)  
ღვაღო, ღამფო (ხოფ.) „მური“: ღვ > ღ;  
ოღვანჭუ (ხოფ.)<sup>55</sup> „გაკრეჭვა“.

ღვ კომპლექსი ლაზურში შეიძლება გამარტივდეს: ღვ > ღ, ან მოხდეს  
მისი მეორე კომპონენტის ვოკალიზაცია: ღვ > ღჭ.

ხვ: ოხვამუ (ხოფ.), ოხვამბუ (ათინ. ვიწ. არქ.) „ლოცვა“, აქედან ოხვამე  
(ხოფ.), ოხვამბე (ათინ. ვიწ. არქ.) — სალოცავი ადგილი, ეკლესია, შდრ.  
მეგრ. ოხვამე.

ხვანჩი (ხოფ.) „ჩიყვი“;  
ხვეწი (არქ.), ხოწი (ხოფ.) — რკინის იარაღი, ამოსაფხეკი<sup>56</sup>.  
ოხველუ (ხოფ.), ოხვალუ (ათინ. არქ. ვიწ.) „ხველება“<sup>57</sup>.  
ღოლოხვერი > დოლოხჭერი (ხოფ.) „ჩანგრეული, ჩაყრილი“.

46 ა. თან დ ი ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი.  
47 იქვე.  
48 არნ. ჩიქობავა ღვარ-ს გამოყოფს, როგორც ძირეულ ელემენტს ქართულ-ზანური ენო-  
ბრივი ერთიანობის ეპოქისათვის (იხ. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ.  
347).  
49 И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 350.  
50 არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 347.  
51 თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ღვინოს მიიჩნევენ ე. წ. „მიგრაციულ ტერმინად“ და  
მოჰყავთ მისი შესატყვისობანი ინდო-ევროპულ, სემიტურ და ქართველურ ენებში (Т. В.  
Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб.,  
გვ. 649—655). გ. კლიმოვი მითითებს თავიღულ რ-ზე ქართველურ ენებში (დასახ. ნაშრ., გვ.  
203—204).  
52 გ. კლიმოვი ქართ.-მეგრ. ღვ-ს შესატყვისად მიიჩნევს ლაზ. მღ-ს (დასახ. ნაშრ., გვ.  
203); მეორე კომპონენტი დაკარგულია, მ. განვითარებულია.  
53 Н. Марр, Грамматика чанского языка, გვ. 171.  
54 ა. თან დ ი ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი.  
55 არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები, გვ. 104 ვო.  
56 ა. თან დ ი ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი.  
57 იქვე.

მეხვერი (ვიწ. არქ. ხოფ.) „თავსაყრელი“; მეხვერი „გადაყრილი“ ზმნი-  
საგან მეხუ „გადაგდება“.

ხვალა (ხოფ.), ხტალა (ათინ. ვიწ. არქ.) მხოლოდ, მართო.

მახვა, მარხვა (ხოფ.) „ნაკვერჩხალი“;

ოხვადლუ (ხოფ. არქ. ვიწ.) „შეხვედრა, მოხვედრა“;

ოხვენულ (ხოფ.), ოხენულ (ათინ. ვიწ. არქ.) „გაკეთება“: ხვ > ხ.

ტახვა — თვის სახელია (ნოემბერი).

ოხვეწულ, ოხვეწინულ (ხოფ. არქ. ვიწ.) „ხვეწნა“.

ხვ: გამაბხულვ (ხოფ.) „უხვრეტავ“, აქედან გამახვერი (ვიწ. არქ.), გამახვე-  
რი, ხვერი > ხვეი (ხოფ.) „უხვრეტელი“, შდრ. ქართ. ხვრეტა.

ისევე როგორც ვ-ს შემცველი სხვა ორწევრა ჯგუფები, ხვ კომპლექსი ამ-  
ჟღენებს მეორე კომპონენტის ვოკალიზაციის ან მისი სრული დაკარგვის ტენ-  
დენციას: ხვ > ხტ; ხვ > ხ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ყველა ლოკალური რიგის ჩქამიერი თანხმოვა-  
ნი ვ-ს წინა პოზიციაში ქმნის ორწევრიან კონსონანტურ ჯგუფთა სისტემას,  
რომელიც ფონემათა დისტრიბუციის თვალსაზრისით კანონიკურია, მაგრამ მა-  
გალითები ცხადყოფენ, რომ ასეთი აქცესიური მიმდევრობის ჯგუფებს მიდრე-  
კილება აქვს სუპერიორდენ მეორე კომპონენტის ვოკალიზაციით ან მისი დაკარ-  
გვით. ქვემოთ მოვყავს CC<sub>3</sub> სტრუქტურის კომპლექსთან რეალიზაციისა და  
გარდაქმნათა სქემა:

ლვ	ოვ	ტვ
ღვ; ღვ > ღტ	თვ; თვ > თტ	ტვ; ტვ > ტტ
ძვ —	ცვ ცვ; ცვ > ცვ > ცტ	წვ წვ; წვ > წტ
ჭვ ჭვ; ჭვ > ჭტ; ჭვ > ნჭვ > ნჭტ // მჭვ > მჭტ ჭვ > ჭტ	ჩვ ჩვ; ჩვ > ჩტ; ჩვ > ჩ;	ჭვ ჭვ; ჭვ > ჭტ; ჭვ > ჭ; ჭვ > ნჭვ // მჭვ > ნჭტ // მჭტ
გვ; გვ > მგვ > მგტ; გვ > გტ; გვ > ჯვ > ჯტ	ქვ ქვ; ქვ > ჩვ; ქვ > ჭტ; ქვ > ავ; ქვ > ჩვ > ჩტ; ქვ > მქ // ნქ; ქვ > მქვ > მქტ; ქვ > ნქვ > ნქტ; ქვ > მქვ > მჩვ > მჩტ; ქვ > ქვ ქვ > მქ // ნქ	კვ კვ; კვ > კტ; კვ > ნკვ; კვ > გ კვ > კ
		ყვ ყვ; ყვ > ყტ; ყვ > კყ > კტ ყვ > ა; ყვ > გ; ყვ > ' > 0
ზვ ზვ; ზვ > ზ; ზვ > ზტ	სვ სვ; სვ > სტ; სვ > ს	
შვ შვ; შვ > მშვ > მშტ; შვ > მშ; შვ > ჯვ	შვ შვ; შვ > შტ; შვ > მშვ > მშტ	
ღვ ღვ; ღვ > ღტ	ხვ ხვ; ხვ > ხტ	



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური ლაზურისთვის არაკანონიკურია და კუთრივ ლაზურ ლექსიკაში კომპლექსები:

ვბ-ვფ-ვბ	ვზ-ვს
ვღ-ვთ-ვტ	ვყ-ვშ
ვძ-ვც-ვწ	ვლ-ვზ
ვჯ-ვჩ-ვჭ	
ვგ-ვქ-ვკ	

არ რეალიზდებიან.

Н. С. КУТЕЛИЯ

КОНСОНАНТНЫЕ ГРУППЫ СТРУКТУРЫ ССv В ЛАЗСКОМ

Резюме

Фонема v может сочетаться с фонемами всех серий смычных и спирантов в последующей позиции. Образуется система двучленных комплексов структуры ССv акцессивной последовательности согласных.

По мере возрастания артикуляционной дистанции локальных рядов сочетаемых согласных растет частота реализации членов системы. Акцессивная последовательность компонентов суперируется преимущественно путем вокализации второго компонента: v > w или полным исчезновением одного из членов комплекса, чаще второго.

Ограничения накладываются на сочетаемость фонемы v в последующей позиции с фонемами всех серий лабиального ряда и мыслится нами как универсальная закономерность.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა  
წარმოადგინა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

ლია აბულაძე

## მოვლენათა რიგის გამომხატველი სიტყვების ერთი წყვილის შესახებ

ენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად მიიჩნევენ მის ისეთ თვისებას, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვწეროთ მოვლენათა რიგი არა აუცილებლად იმ თანმიმდევრობით, რა მიმდევრობითაც ხორციელდება ეს მოვლენები. ენა გვაძლევს თავისუფლებას მოვლენათა დროული რიგის არჩევაში. მას მოეპოვება ისეთი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია მოვლენათა აღწერა ისე, რომ არ მივდიეთ მათი განხორციელების თანმიმდევრობას. ეს ენობრივი საშუალებები ენის სხვადასხვა დონეებს განეუფლებს, მორფოლოგიურს, სინტაქსურსა თუ ლექსიკურს; ყველანი ისინი ერთიანდებიან ტაქსისის ფუნქციურ-სემანტიკურ ველში.

ტერმინი „ტაქსისი“ შემოტანილია იაკობსონის მიერ და, როგორც თვითონ აღნიშნავს, წარმოადგენს ბლუმფილდის ტერმინის „რიგს“ — ბერძნულ პირველსახეს<sup>1</sup>.

ტაქსისი, იაკობსონის განსაზღვრების მიხედვით, არის ზმნური კატეგორია, რომელიც გამოხატავს რაიმე მოქმედების დროს სხვა მოქმედების დროსთან მიმართებაში — ამ დროსთან დამთხვევას, ანუ ერთდროულობას, ან წინ გასწრებას (უწინარეობასა) თუ შემდგომობას<sup>2</sup>. ამ განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ტაქსისის ფარდ ტერმინად ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში შეიძლება ჩაითვალოს თანამდევრობა<sup>3</sup>.

ფუნქციურ-სემანტიკური ველი არის სისტემა მოცემული ენის სხვადასხვა დონის (მორფოლოგიურ, სინტაქსურ, სიტყვაწარმოებით, ლექსიკურ და აგრეთვე კომბინირებულ, მაგ., ლექსიკურ-სინტაქსურ) საშუალებათა, რომლებიც შეკავშირებულნი არიან სემანტიკური ფუნქციის ერთიანობის საფუძველზე<sup>4</sup>. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ პოსესიურობის, ტემპორალურობის, ტაქსისის და სხვ. ფუნქციურ-სემანტიკური ველები.

ამრიგად, ტაქსისის ფუნქციურ-სემანტიკური ველი წარმოადგენს ენის სხვადასხვა დონის საშუალებათა ერთობლიობას, რომელთა სემანტიკური ფუნქციაა მოვლენათა შორის დროითი მიმართებების გამოხატვა.

ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს ტაქსისის მთელი ფუნქციურ-სემანტიკური ველი, არამედ მხოლოდ მისი გამოხატვის ლექსიკური საშუალებები.

ცნობილია, რომ მოვლენათა დროითი რიგის გამოსახატავად ენათა უმრავლესობა მიმართავს ადგილის ზმნისართებსა და თანდებულ-წინდებულებებს, რომლებიც საგანთა სივრცული რიგის აღსაწერად გამოიყენება. ეს დიდი ხანია

<sup>1</sup> Ursula Bellugi, Some aspects of language acquisition, Current Trends in Linguistics, 1974, გვ. 1135—1157.

<sup>2</sup> А. В. Бондарко, Функциональная грамматика, Л., 1984, გვ. 70.

<sup>3</sup> Р. О. Якобсон, Шифтеры, глагольные категории и русский глагол,— в кн.: „Принципы типологического анализа языков различного строя, М., 1972, გვ. 101.

<sup>4</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 212—215.

<sup>5</sup> А. В. Бондарко, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—22.

შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, მაგ., ბრონდალთან<sup>6</sup>, უორფთან<sup>7</sup>, კლარკთან<sup>8</sup> და სხვ.

ქართული ენაც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი (იხ. აკ. შანიძე)<sup>9</sup>. მაგალითად „წინ-უკან“ სიტყვათა წყვილის მოყვანაც კმარა, რომელიც სივრცითი ორიენტაციის გარდა დროითი ორიენტაციის გამოსახატავდაც იხმარება.

სპეციალურ (ფსიქოლინგვისტურ) ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ბავშვების მიერ სიტყვათა ისეთი წყვილების ათვისებისას, რომლებიც სივრცითი და დროითი რიგის ურთიერთსაპირისპირო მიმართებებს გამოხატავენ, მაგალითად, *above* „ზევით“ — *below* „ქვევით“ ან *before* „წინ“ — *after* „შემდგომ“, საგრძნობ დაბრკოლებებს აქვს ადგილი<sup>10</sup>.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ქართულში (რიგი სხვა ენების, მაგ., რუსულის მსგავსად) **წინ** და **უკან** სიტყვების ხმარება შეიძლება გაუგებრობის წყაროდ იქცეს და რომ ეს გამოწვეულია ამ სიტყვათა მიმართ ორი განსხვავებული თვალსაზრისით მიდგომით: ერთია ე. წ. „დროითი“, ხოლო მეორე — „სივრცითი“ თვალსაზრისი<sup>11</sup>.

თითქოს გაუგებრობისათვის („სივრცითი“ და „დროითი“ თვალსაზრისების აღრევისათვის) აღარ უნდა რჩებოდეს ადგილი, როცა სიტყვათა ისეთი წყვილის მნიშვნელობებთან ვვაქვს საქმე, როგორიცაა **ადრე** — **გვიან**, რომელიც მხოლოდ დროში მიმდევრობას გამოხატავს (უწინარესობას და შემდგომობას), ამდენად აქ „დროითი“ და „სივრცითი“ თვალსაზრისების ურთიერთმიმართების საკითხი არც დგება. მიუხედავად ამისა, **ადრე** — **გვიან** სიტყვათა და მათგან ნაწარმოებ ზედსართავ სახელთა ხმარებისას ზოგჯერ არ ვართ შეცდომებისგან დაზღვეულნი.

მოვიყვანოთ ერთი შეცდომის მაგალითი<sup>12</sup>: „ბოლოს ტერეზამ ამოიჩნია ყველაზე გვიანი რიცხვით დათარიღებული წერილი“. ამ ნაწყვეტში შემდეგი ამბავია მოთხრობილი: ქალმა მეგობრისგან ერთდროულად სამი, სხვადასხვა დროს გამოგზავნილი წერილი მიიღო. თანმიმდევრობით უნდა რომ წაიკითხოს და ამიტომ ეძებს ყველაზე **ადრე** გამოგზავნილ წერილს. ყველაზე **ადრე** გამოგზავნილი წერილი პირველია მეგობრის მიერ გამოგზავნილ წერილთა შორის.

<sup>6</sup> V. Brøndal, Théorie des prépositions, Copenhagen. 1950.

<sup>7</sup> Б. Л. Уорф, Отношение норм поведения и мышления к языку, в сб.: Новое в лингвистике, I, М., 1960, гл. 145.

<sup>8</sup> H. H. Clark, Semantics and comprehension, კრებულში: Current Trends in Linguistics, the Hague, 1974, гл. 1281—1428.

<sup>9</sup> აკ. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 597.

<sup>10</sup> Eve Clark, How children describe time and order; მისივე, On the acquisition of the meaning of „before“ and „after“, JVLVB, 1971, 10, გვ. 266—275.

<sup>11</sup> ლ. აბულაძე, სივრცითი და დროითი ორიენტაციის აღმნიშვნელ სიტყვათა წყვილების შესახებ (იხილეთ).

განმარტებისათვის მოვიყვანოთ ერთ მაგალითს ძველი ქართულიდან: X საუკუნის ცნობილი მოღვაწე და მთარგმნელი იოვანე-ზოსიმე თავის მიერ შედგენილი ლიტურგიკული ძეგლების კრებულის მინაწერში წერს: „დღესასწაულნი ყოველნი სრულიად.. წინაით ჰპოვნენ“. პ. ინგოროვამ ივარაუდა, რომ **წინაით** ნიშნავს „ადრეს“ და ამიტომ საგალობლებს ეძებდა ამ მინაწერის წინ, ადრე: ც. ჭანკიევმა კი აჩვენა, რომ **წინაით** აქ საპირისპირო მნიშვნელობით არის ნახშირი და „მომდევნოს“ ნიშნავს, ე. ი. საგალობლები მინაწერის შემდეგ არის საქმბარი. ცხადია, რომ პ. ინგოროვას ე. წ. „დროითი“ თვალსაზრისით ესმის **წინაით** სიტყვის მნიშვნელობა, ხოლო ც. ჭანკიევმა უჩვენა, რომ იოვანე-ზოსიმე მას „სივრცითი“ თვალსაზრისით ხმარობს (ც. ჭანკიევი, ბალესტინელ გადამწერ „იოვანეთა“ შესახებ, კრ.-ში: მრავალთავი, III, თბ., 1980, გვ. 50).

<sup>12</sup> მაგალითი ამოღებულია ფ. მორიაკის „ტერეზა დეკვირუს“ ქართული თარგმანიდან (მთარგმნელი — ციციო მესტიაშვილი).

ამას შემდეგი წინადადებაც აღასტურებს: „შემდეგ გადახია პირველი წერილი“. ზემოთ მოყვანილ წინადადებაში რომ გვიანი შეცდომით არის ნახმარი, ამას რუსული თარგმანიც გვიჩვენებს: „...и уже хотела было распечатать самое давнее письмо...“<sup>13</sup> *давнее* — ე. ი. დიდი ხნის. ყველაზე დიდი ხნის წინ კი ყველაზე ადრე გამოგზავნილი წერილია. რატომ იხმარა აქ მთარგმნელმა მისი ანტონიმი გვიანი?

თუ განვიხილავთ ობიექტურ რიგს რაიმე ხდომილებებისას A, B, C, D..., რომელთა ათვლის წერტილად O-ოვან წერტილს მივიჩნევთ, მაშინ რაც უფრო ახლოს აღმოჩნდება მასთან რაიმე მოვლენა, მით უფრო ადრე განხორციელებულა ის და ამავე დროს მით უფრო ახალია. განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ: როდესაც ვამბობთ, მაგალითად, რომ ამა და ამ კაცმა ადრე დაიწყო მოწევა, ვთქვათ, 15 წლის ასაკში, მაშინ ათვლის წერტილად ვიღებთ ამ ასაკს. რაც უფრო ახლოა ამ კაცის ასაკი 15 წელთან, მით უფრო ახალი დაწყებული აქვს მას მოწევა, ხოლო თუ ის უკვე დაბერდა, მაშინ ძველი მწეველი ყოფილა.

„ადრე დილით“ რომ ვამბობთ, ახალ გათენებულს გვგულისხმობთ. ადრე-ქრისტიანული ხანა ის ეპოქაა, როცა ქრისტიანობა ახალი შემოღებულია.

ამის საპირისპიროდ ის, რაც გვიანია, ძველიც არის: გვიანი შემოდგომა — მიწურული, გახანგრძლივებული, ძველი შემოდგომა (ქეგლ'ი).

დაეუბრუნდეთ A, B, C, D... მოვლენათა რიგს. რომელი მოვლენაც ყველაზე ადრე განხორციელდა, ის პირველია ამ რიგში, ხოლო ყველაზე გვიან განხორციელებული, რა თქმა უნდა, — უკანასკნელი. გამოდის, რომ ვიღებთ შემდეგ პარადიგმატულ ჯაჭვებს: ადრე — ახალი — პირველი; გვიან — ძველი — უკანასკნელი (ზღრ. ძველი მთვარე — მთვარე უკანასკნელ ფაზაში, ქეგლ'ი)<sup>14</sup>.

მაგრამ როცა ამ მოვლენათა რიგს ავირბედა სუბიექტი, მაშინ მდგომარეობა იცვლება. სუბიექტი თავისი საკუთარი პოზიციიდან იხილავს ამ მიმდევრობას. ის მოვლენა, რომელიც ყველაზე ადრე განხორციელდა, მისგან უფრო შორს არის, უფრო მეტი ხნით არის დაცილებული აწმყოს, ე. ი. სუბიექტის ათვლის წერტილს, საიდანაც ის აწარმოებს დაკვირვებას და ამდენად უფრო ძველიცაა სუბიექტისათვის, რადგან უფრო ღრმა წარსულს განეკუთვნება. ხოლო რაც უფრო გვიან არის განხორციელებული რაიმე ხდომილება, მით უფრო ახლოა ის სუბიექტთან, მით უფრო ახალია, ე. ი. ვიღებთ უკვე სხვაგვარ პარადიგმატულ ჯაჭვებს: ადრე — ძველი — პირველი; გვიან — ახალი — უკანასკნელი.

ამრიგად, გამოდის, რომ ადრე, ერთი მხრივ, ახალს უკავშირდება და, მეორე მხრივ, მის ანტონიმს — ძველს. ასევე გვიან ძველთანაც და ახლთანაც აღმოჩნდა მიმართებაში. ე. ი. მოვლენათა ობიექტური რიგის „თვალსაზრისით“, რაც ადრე განხორციელდა, ის უფრო ხანმოკლეა იმდენად, რამდენადაც უფრო ახლოსაა საწყის წერტილთან (ადრე დილა უფრო ხანმოკლეა, ვიდრე გვიანი დილა. რადგან არსებობის, დილად გახდომის უფრო ნაკლებ დროს მოიცავს). მაგრამ მოლაპარაკის, სუბიექტის (რომელიც არის ახლა, აქ და მე-ს ერთობლიობა) თვალსაზრისით, რაც ადრე განხორციელდა, ის უფრო ხანგრძლივია, უფრო ძველია, უფრო მეტი ხნით არის მისგან დაშორებული, ხოლო რაც გვიანია, ის უფრო ხანმოკლეა, ახალია.

<sup>13</sup> Ф. Морнак, Тереза Дескейру, перевод Н. Немчиновой, М., 1981.

<sup>14</sup> ეს ჯაჭვი არ უღრის სინონიმურ მწკრივს, უბრალოდ ენობრივი მასალა, როგორც ჩანს, იმის საფუძველს იძლევა, რომ ამ სიტყვებს შორის გარკვეული კავშირები, ასოციაციური მანძი, ვივარაუდოთ.



აქამდე ნათქვამი ეხებოდა წარსულში განხორციელებულ ხდომილებასა რიგს. მაგრამ თუ სუბიექტი წარსულში მომხდარ მოვლენათა მწკრივს აკვირდება, არამედ მომავალში განსახორციელებელი მოვლენების რიგი აქვს მხედველობაში, მაშინ მისთვის რაც ადრე განხორციელდება რაიმე მოქმედება, მით უფრო ახლოს აღმოჩნდება ის დროში მასთან, მით უფრო ხანმოკლე შუალედი დროისა დაცილებს მათ ერთმანეთს. ხოლო რაც უფრო გვიან შესრულდება რაიმე მოქმედება, მით უფრო დიდი ხნით იქნება ის სუბიექტისგან დაშორებული. ე. ი. სუბიექტის დაკვირვება მომავალ მოვლენათა მიმდევრობაზე და თვით ამ მოვლენათა ობიექტური რიგი ემთხვევა ერთმანეთს.

ამრიგად, წარსულში გვაქვს (სუბიექტის პოზიციიდან): ადრე — დიდი ხნის წინ, გვიან — ცოტა ხნის წინ, ხოლო მომავალში (სუბიექტის პოზიციიდან): ადრე — ცოტა ხნის შემდეგ, გვიან — დიდი ხნის შემდეგ.

მანასადამე, ადრე და გვიან ზმნისართების მნიშვნელობებში გამოიყო სემანტიკური კომპონენტი „გრძლივობა“, რომელიც ამ ზმნისართებისგან ნაწარმოებ ზედსართავ სახელებშიაც გვაქვს და რომლის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თვალსაზრისით და რომელ დროით პლანში (წარსულსა თუ მომავალში) განიხილება აღსაწერ მოვლენათა რიგი.

დაეუბრუნდეთ ისევ იმ მაგალითს, რომლისგანაც დავიწყეთ. მაშასადამე, მთარგმნელს უნდოდა ეთქვა, რომ ქალი ეძებდა წერილს. რომელიც ყველაზე ადრე გამოუგზავნა მეგობარმა, ანუ წერილს, რომელიც ყველაზე დიდი ხნის წინ იყო გამოგზავნილი. როგორც უკვე ვნახეთ, ეს კომპონენტი — „დიდი ხანი“ მიეწერება ზედსართავ სახელს „გვიანი“ ორ შემთხვევაში: მოვლენათა ობიექტური რიგის „თვალსაზრისისას“ და სუბიექტის პოზიციიდან მომავლის დროით პლანში. ამიტომ აქ მთარგმნელს უხმარია სწორედ ეს სიტყვა მართებული „ადრინდელის“ ნაცვლად, რადგან „დიდი ხანი“ ამ უკანასკნელის მნიშვნელობაში მხოლოდ ერთ შემთხვევაში, კერძოდ, სუბიექტის პოზიციიდან წარსულის დროით პლანში, შედის.

ზოგჯერ გაუგებრობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ამავე პარადიგმატულ ჯაჭვებში შემავალ სხვა სიტყვათა ხმარების დროსაც. ჩვენ მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ ზოგ ცდის პირს უჭირს გარკვევა უკანასკნელი „ახალს“ ნიშნავს, თუ „ძველს“, მაგ., როცა რადიოში გადმოსცემენ „უკანასკნელ ცნობებს“, მათ ეს ძველი ცნობები ჰგონიათ. როგორც ჩანს, ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ შეგნებაში აქტუალიზდება შემდეგი პარადიგმატული ჯაჭვი: გვიანი — ძველი — უკანასკნელი. ამიტომ „უკანასკნელის“ მნიშვნელობა მათ „ძველის“ სინონიმად ესახებათ.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „უკანასკნელის“ მნიშვნელობის სტრუქტურაში შეფასების კომპონენტიც გამოიყოფა (უკანასკნელობა — ჩამორჩენილობა: უკანასკნელი კაცი ვიყო), თანაც უარყოფითი ნიშნით, მაშინ ალბათ მართლა „უკანასკნელი ცნობების“ ნაცვლად „უახლესი ცნობების“ ხმარება აჯობებდა<sup>15</sup>.

ადრე — გვიან ზმნისართთა სემანტიკურ სტრუქტურებში გრძლივობის გარდა გამოიყოფა კიდევ კომპონენტი მიმართებითობა, რომელიც ურთიერთსაპირისპირო ნიშნით არის წარმოდგენილი ამ სიტყვებში. ადრე-ში ეს მიმართებითობა იღებს უწინარესობის მნიშვნელობას, რომლის უკიდურესი ზღვარია „პირველი“, ხოლო გვიან-ში — შემდგომობისას, რომლის უკიდურესი ზღვარია — „უკანასკნელი“. ზოგჯერ ადრე და გვიან ზმნისართთა შეცდომით ხმარება იმითაც არის გამოწვეული, რომ ერთსა და იმავე წინადადე-

<sup>15</sup> ეს რუსულსაც ეხება, თუმცა იქ последние известия-ს ნაცვლად ზოგჯერ последние новости იხმარება, რაც ადვილებს ვითარებას: новости.

ბაში გამოიყენება ტაქსისის გამოხატვის სხვადასხვა საშუალებები, რომლებიც ამ ზმნისართთა სემანტიკურ კომპონენტებთან შეუთავსებლადნი არიან. მაგ., გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „ინტერვიუ ალებუ-ლია ლენინგრადში მატჩის საზეიმო დახურვის დაწყებიდან ორი საათით ადრე, მაშინ, როცა კასპაროვს რაღაც სასწაულით აღმოაჩნდა რამდენიმე თავისუფალი წუთი“. როგორც აღვნიშნეთ, ადრეს კომპონენტია უწინარესობა, რაღაცა მოვლენის, ამ შემთხვევაში მატჩის დახურვის დაწყების, წინ გასწრება, ხოლო -დან თანდებელი, პირიქით, შემდგომობაზე მიუთითებს (მატჩის დაწყებიდან — მატჩის დაწყების შემდეგ). შესიტყვება, რომელიც ერთდროულად შეიცავს რაიმე სემანტიკურ კომპონენტს (ამ შემთხვევაში მიმართებითობას), ორი ურთიერთსაპირისპირო ნიშნით (ამ შემთხვევაში უწინარესობასაც და შემდგომობასაც) დაუშვებელია. ამიტომ „დაწყებიდან.. ადრე“ — შეცდომაა.

ან ავიღოთ ამგვარი მაგალითი: „ეს მოხდა უფრო გვიან, ვინემ პირველი გრამატიკული კლასი ჩამოყალიბდებოდა“. გვიან შეიცავს კომპონენტს „შემდგომობა“, ვინემ კი უწინარესობაზე მიუთითებს (ვინემ რაღაც მოვლენა განხორციელდება). ისევ შეუთავსებლობას აქვს ადგილი.

ამრიგად, მოვლენათა დროითი რიგის გამომხატველი ზმნისართების ანტონიმური წყვილი ადრე-გვიან მიეკუთვნება სივრცითი და დროითი რიგის ურთიერთსაპირისპირო მიმართებების აღმნიშვნელ სიტყვათა მწკრივებს, რომელთა კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფსიქოლინგვისტიკაში. ამგვარი წყვილების სემანტიკის გაგების სიძნელეთა მიზეზები, როგორც ჩანს, აღამიანთა ფსიქიკურ თავისებურებებში უნდა ვეძიოთ. ვფიქრობთ, ამასვე აღასტურებს იმ დაბრკოლებათა და შეცდომათა სიხშირეც, რომელსაც ადგილი აქვს ურთიერთსაპირისპირო მოხაზულობის ასოების (ძ და ხ, შ და წ). წერისა და კითხვის დროს არა მარტო უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში. ჩვენი აზრით, ამგვარი საკითხები უნდა იმსახურებდნენ ფსიქოლოგთა და ლინგვისტთა ყურადღებას.

Л. Б. АБУЛАДЗЕ

## О ПАРЕ АНТОНИМОВ, ОБОЗНАЧАЮЩИХ ВРЕМЕННОЙ ПОРЯДОК

Резюме

В статье рассматривается антонимическая пара наречий *ადრე* «рано» — *გვიან* «поздно», приводятся примеры неправильного их употребления, которые объясняются наличием в семантических структурах рассматриваемых слов компонента «длительности». Этот компонент меняется в зависимости от того, в каком временном плане наблюдает говорящий последовательность событий — в прошедшем или будущем.

Рассматриваемые антонимы относятся к ряду слов, обозначающих противоположные направления в пространственных и временных отношениях, исследование которых занимает значительное место в психолингвистике.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება  
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

## ნიმუ ჩიზა

მომკმედების ნომინაციის ლინგვისტური მქანინში  
და პრავმატულ-სტილისტური ორიენტაცია თხრობით ტექსტში

ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგის, განვითარება უკავშირდება ენის ფუნქციონირების ისეთი მხარეების კვლევას, რომლებიც სრულად ვლინდება მხოლოდ ტექსტის დონეზე. ტექსტის, როგორც ლინგვისტური ობიექტის, სპეციფიკის ვაზრებამ მოითხოვა მისი ერთეულების გამოყოფა: და მათ შორის მიმართებათა სახეების დადგენა [1—5], ტექსტის კატეგორიების განსაზღვრა [1; 6—11], მისი სემანტიკური ორგანიზაციის განსხვავებულ ასპექტთა კვლევა [1; 5; 7; 9], პრავმატულ, სტილისტურ და კომუნიკაციურ ფაქტორთა როლის შესწავლა [12—16; 8; 11], აგრეთვე ტექსტის ლინგვისტიკის მომიჯნავე დარგებთან (სტილისტიკასთან, პოეტიკასთან და სხვ.) მიმართების ხასიათის განსაზღვრა [14—17].

ცნობილია, რომ თხრობის შინაარსობრივ და ფორმალურ მხარეებს სხვადასხვა თვალსაზრისით გამოიჯანავენ. თხრობის კომპოზიციურ და არქიტექტონიკურ ფორმათა შესწავლა პოეტიკის კომპეტენციაა, ხოლო აღნიშნული თვალსაზრისით თხრობითი ტექსტის ლინგვისტური კვლევა გულისხმობს ტექსტში გამონათქვამის (როგორც ტექსტის ერთეულის) და ზოგადად მთელი ტექსტის მნიშვნელობისა და საზრისის ჩამოყალიბების ენობრივ კანონზომიერებათა გამოვლენას.

თხრობითი ტექსტის ისეთი ასპექტების კვლევისას, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან აღსანიშნ მოვლენათა (პროცესთა, მოქმედებათა) განსხვავებულ წარმოდგენას ტექსტში, ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ ონომასიოლოგიური თვალსაზრისით<sup>1</sup>.

ნომინაცია ტექსტის დონეზე, ხასიათდება რა ნიშნებით, რომლებიც საერთოა ნომინაციისათვის სიტყვის, წინადადების თუ გამონათქვამის ფარგლებში, ავლენს არსებითი ხასიათის თავისებურებებსაც. ტექსტის მკვლევარები (გ. კოლშანსკი [22], ვ. გაკი [7; 21], შდრ. ნ. არუთინოვა [23; 24], ა. ვეფბიკვა [25] ჩაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ნომინაცია ტექსტის დონეზე გაშუალებულ ხასიათს ატარებს, რამდენადაც იგი ხორციელდება რთული ნომინაციური ერთეულების ფარგლებში, ე. წ. „პროპოზიციული ნომინაციის“ (ნ. არუთინოვა) [23] მსგავსად და ე. წ. „ელემენტური ნომინაციისაგან“ (გ. მათეიუსი [26]) განსხვავებით. ტექსტის ონომასიოლოგიური თვალსაზრისით კვლევა გულისხმობს ტექსტის დონეზე ნომინაციის ხერხებისა და საშუალებების, გამონათქვამის აღსანიშნთან მიმართების (რეფერენციის) თავისებურებათა, ნომინაციის პრავმატულ-სტილისტური ორიენტაციისა და სხვა კანონზომიერებათა შესწავლას.

<sup>1</sup> აღსანიშნ მოვლენათა წარმოდგენის თავისებურებებს მხატვრულ ტექსტში (ჩვეულებრივ, ენობრივი კანონზომიერებებისაგან აბსტრაქციებით) შესწავლის პოეტიკა. შდრ. მ.ქ.ჯიჯიაძე და მ.ჯიჯიაძე (პლატონი, არისტოტელე) იხ. 39; 18. „პანორამული“ და „სცენური“ თხრობა (panoramic and scenic narratives) — პ. ლაბოკი. [19], „ხატვა, სახვა“, როგორც არქიტექტონიკური ფორმა—მ. ბაბტინი [20, 46—58]. აღნიშნული თვალსაზრისით პოეტიკისა და ლინგვისტიკის მიმართების შესახებ შდრ. მ. ბაბტინი [20, 43—56] და უ. პენდრიკი [16].

მკვლევართა ერთი ნაწილი ტექსტის ძირითად კატეგორიად მის ინფორმაციულობას, ინფორმაციის გადმოცემის უნარს თვლის [შდრ. 9—11]; მეორე კი ტექსტს არსებითად ონომასიოლოგიური თვალსაზრისით განიხილავს და ამდენად, მის კატეგორიულ ნიშნად მიიჩნევს რეფერენტთან (აღსანიშნთან) მიმართებას, გარკვეული რეალობის ნომინაციის უნარს [7; 21], შდრ. [24; 14; 27]. ტიპოლოგიურად განსხვავებულ (კერძოდ, მხატვრულ და არამხატვრულ) ტექსტთა განსხვავებას აღსანიშნთან მიმართების თავისებურებათა საფუძველზე ახდენენ ჯ. სერლი და ს. კუროდა [27; 14].

ონომასიოლოგიური თვალსაზრისით ტექსტის კვლევა გულისხმობს რეფერენტულ სიტუაციათა ტექსტში წარმოდგენის<sup>2</sup> ხასიათის განსაზღვრას (გამონათქვამში წარმოდგენილი სემანტიკური სიტუაციის რეფერენტულ (აღსანიშნ) სიტუაციასთან მიმართების ხასიათის შესწავლას); ტექსტური ნომინაციის პრობლემატიკის სფეროს მიეკუთვნება გამონათქვამში წარმოდგენილი სემანტიკური სიტუაციის „აგების“ (გაფორმების) ენობრივი მექანიზმიც.

ცნობილია, რომ არსებობს ტექსტის ერთეულთა გამოყოფის განსხვავებული კრიტერიუმები; არსებობს ის ფაქტი, რომ ტექსტის ერთეული წარმოდგენს გამონათქვამს (utterance, énoncé), რომელიც შეიძლება ემთხვეოდეს წინადადებას (მარტივი, რთული და ზერთული წინადადებები), ხშირად კი აერთიანებს წინადადებათა წყებას, რომელიც ხასიათდება გარკვეული სემანტიკური მთლიანობით და ავტონომიით ტექსტის ფონზე — ტექსტის ასეთ რთულ ერთეულს უწოდებენ ზეფრაზულ ერთიანობას, ტექსტის სეგმენტს, თხრობით ეპიზოდს, კადრს (séquence narrative) და სხვ; ზოგჯერ გამონათქვამში შეიძლება ერთსიტყვიანიც იყოს და პრედიკაცია იმპლიციტურ ხასიათს ატარებდეს.

გამონათქვამი გარკვეულ ინფორმაციას გადმოსცემს. ზოგჯერ იგი ახდენს რაიმე კონკრეტული სიტუაციის ნომინაციას. გამონათქვამის მნიშვნელობის და საზრისის ჩამოყალიბების გადამწყვეტი ფაქტორია გამონათქვამის ელემენტთა „სემანტიკური შეთანხმება“ და მიმართება აღსანიშნ (რეფერენტულ) სიტუაციასთან (ნ. არუთინოვა [28, 125—147], შდრ. ჯ. კაცი [29], ვ. გაიკი [21], ტ. ბულიგინა [30]).

ამგვარად, ტექსტის დონეზე გამონათქვამის ფარგლებში ნომინაციის სპეციფიკის ერთ-ერთ მხარეს შეადგენს სანომინაციო ერთეულის (გამონათქვამის) შედგენილი, კომბინირებული ხასიათი და ამ უკანასკნელის ელემენტთა ურთიერთქმედება იმ საერთო შინაარსის გადმოცემისას, რომელიც რეფერენტულ სიტუაციასთან მიმართების თვალსაზრისით შეიძლება განისაზღვროს როგორც სემანტიკური სიტუაცია (გამონათქვამის საზრისი). გამონათქვამის ფარგლებში ნომინაციის სპეციფიკის მეორე არსებითი ასპექტია ის, თუ როგორ (როგორი თვალსაზრისით, სისრულით და სხვ.) არის წარმოდგენილი მასში აღსანიშნი (რეფერენტული სიტუაცია), რადგან, როგორც ცნობილია, აღსა-

<sup>2</sup> აღსანიშნი სიტუაცია შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც გარეგან, „ხილულ“ რეალობას, ასევე „შინაგანსაც“ (შდრ. გრძნობათა, განცდათა, შეფასებათა უშუალო გადმოცემა ტექსტში). პირველ შემთხვევაში თითქოს გადამწყვეტი ხდება გარკვეული „გარეგანი, ხილული სიტუაციის“ დახატვა, ჩვენება, მეორე შემთხვევაში კი „შინაგანი რეალობის“ გამოხატვა (შდრ. ექსპრესია). ონომასიოლოგიური თვალსაზრისით, აქ არსებითი ხასიათის სხვაობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული ტექსტის სტრუქტურაში ხშირად სწორედ ის, თუ როგორ არის წარმოდგენილი („დახატული, ნაჩვენები“) გარეგანი „გარეგანი, ხილული რეალობა“, მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამს, განიცდის ან აფასებს მას მთხრობელი და ამგვარად ხდება „შინაგანი რეალობის“ (გრძნობათა, შეფასებათა და სხვ.) გაშუალებული გამოხატვა.



ნიშნის მთელი სისრულით ფიქსირება გამონათქვამში შეუძლებელია. სწორედ აქ იჩენს თავს პრაგმატულ, კომუნიკაციურ და სტილურ ფაქტორთა მნიშვნელობა. ნომინაცია ხორციელდება მოლაპარაკის გარკვეული კომუნიკაციური, პრაგმატული და სტილისტური ორიენტაციის პირობებში, რაც განსაზღვრავს რეფერენტული სიტუაციის იმ ელემენტების არჩევანს, რომლებიც კონკრეტულად უნდა აღინიშნოს გამონათქვამში. კომუნიკაციური და პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაცია განსაზღვრავს აგრეთვე კონკრეტული ენობრივი ერთეულების არჩევანს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ნომინაცია (21), შდრ. [24, 28; 25; 13; 31, 520—521]). ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორცაა ნომინაციის შინაგანი ფორმა, ბმულობა/განცალკევებულობა (დანაწევრებულობა) და პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაცია, ჩვენ გამოვეყნეთ თხრობით ტექსტში მოქმედების ნომინაციის ორი კორელაციაში მყოფი სერსი: მოქმედების დიურატულად დანაწევრებული და დაუნაწევრებელი ნომინაცია<sup>3</sup>.

ქვემოთ განვიხილავთ ნომინაციის აღნიშნული ხერხების ლინგვისტურ მექანიზმსა და პრაგმატულ-სტილისტურ ორიენტაციას.

მოგვეყავს თხრობითი ეპიზოდი, რომელშიც განხორციელებულია მოქმედების დიურატულად დანაწევრებული ნომინაცია:

„...შიშს ვყავდი შებყრობილი. არ მაშინებდა თვალის სწრაფად მოვლენა აქეთ-იქით, უცებ წყალში თავდაღმა ჩაშვება და თავბრულდამხვევი, შემადრწუნებელი შეგარძნობა ბლანტი და ცივი წყლის, თვითონ მდინარე შედიოდა ჩემს ფილტვებში, მივსებდა პირს, ამომატრიალებდა გულაღმა ხელგაშლილს — მესმოდა ჩემს მკერდში ჩახშობილი ქვითინი და ვგარძნობდი როგორ მტოვებდა სისხლი — მაშინებდა ის, რომ დანამდვილებით ვიცოდი: ამის შემდეგ უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო, არ არსებობდა თავის დახსნის არავითარი საშუალება და საერთოდ არაფერი ამას იქით“<sup>4</sup> (D. Du Maurrier, I'll Never Be Young Again. თარგმანი ჩვენია).

მოცემულ ეპიზოდში პერსონაჟის მიერ წარმოსახული თვითმკვლელობის პროცესის დიურატულად დანაწევრებული ნომინაცია (ნომინაცია, რომელიც ახდენს პროცესის დიურაციის ექსპლიცირებას) ეყრდნობა<sup>5</sup>, სიტუაციის დინამიკურ პარამეტრებს (მოცემულ შემთხვევაში პერსონაჟის მიერ განხორციელებული აქტებისა და მათ შედეგთა რიგს) და აღსანიშნ სიტუაციას ფაზებად ანაწევრებს; ფაზები განცალკევებულად (დანაწევრებულად) აღინიშნება<sup>6</sup>.

<sup>3</sup> იხ. ნ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაციის ასპექტები თხრობით ტექსტში (მოქმედების დიურატულად დანაწევრებული ნომინაცია), „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1985, № 4.

<sup>4</sup> „...the fear possessed... me. Not the fear of that hasty look around, the sudden plunge headlong and the giddy shock of hard cold water, the river itself entering my lungs, rising in my throat, tossing me upon my back with my arms out-flung.—I could hear the sob stragled in my chest and the blood leave me—but fear of the certain knowledge that there was no returning, no possible means of escape and no other thing beyond“. D. du Maurrier. I'll Never Be Young Again.—New York: Doubleday and Co. Inc., 1932, გვ. 6.

<sup>5</sup> აღსანიშნ სიტუაციის ის ნიშნები, რომლებსაც ეყრდნობა ნომინაცია, განსაზღვრავს გამონათქვამის შინაგან ფორმას ტექსტის დონეზე (ვ. გაი [32]). შდრ. ნ. ჩიჩუა, დასახ. ნაშრომი.

<sup>6</sup> აღნიშნის ბმულობა/განცალკევებულობა (დანაწევრება) და შინაგანი ფორმა წარმოადგენს ნომინაციის არსებით პარამეტრებს, რომელთა მიხედვით ხდება ნომინაციის განსხვავებულ ხერხთა გამოყენა [32; 33].

მოყვანილ თხრობით ეპიზოდში ფაზათა ნომინაციის ბირთვის წარმოდგენის სახელზმნა (მასდარი) — „მოვლება“, „ჩაშვება“, „შეგრძნობა“<sup>7</sup>, აგრეთვე ზმნის პირიანი ფორმები (შედიოდა, მივსებდა, ამომატრიალებდა<sup>8</sup>) და სხვ.

აღსანიშნი მოქმედების (პროცესის) ფაზათა დროში თანამიმდევრობა ძირითადად ფიქსირებულია არა ზმნის გრამატიკული დროის ფორმებით, არამედ იმ რიგით, რომლითაც ფაზებია წარმოდგენილი გამონათქვამში (ზეფრა-ზულ ერთიანობაში). ასეთ ფაზათა სემანტიკურად შეკრული თანამიმდევრობა ახორციელებს მოქმედების დიურატიულად დანაწევრებულ ნომინაციას.

ნომინაციის მეორე ხერხი — დიურატიულად დაუნაწევრებელი ნომინაცია, დანაწევრებულ ნომინაციისაგან განსხვავებით, ძირითადად ხორციელდება მარტივი გაუფრცობელი წინადადების ფარგლებში; შესაძლებელია აგრეთვე დაუნაწევრებელი ნომინაცია ისეთი გამონათქვამის საშუალებით, რომელშიც ბირთვის წარმოდგენის არსებითი სახელი ან სახელზმნა, ხოლო პრედიკაცია კი იმპლიციტურ ხასიათს ატარებს. დიურატიულად დაუნაწევრებელი ნომინაცია შეკუმშული ნომინაციაა, რომელიც არ გამოყოფს აღსანიშნი პროცესის ხანგრძლივობას და ამ უკანასკნელს მხოლოდ იმპლიკაციის სახით წარმოდგენს<sup>9</sup> (შეადარე: დიურატიულად დაუნაწევრებელი ნომინაცია — „მან თავი მოიკლა“ — შემომოყვანილ ეპიზოდს, რომელშიც პერსონაჟის თვითმკვლელობის დიურატიულად დანაწევრებული ნომინაციაა მოცემული).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიურატიულად დანაწევრებული ნომინაცია ეყრდნობა აღსანიშნი სიტუაციის დინამიკურ ასპექტებს და, ამდენად, ახდენს სიტუაციის დროში განვითარების ჩვენებას, რის შედეგადაც ასეთი ნომინაცია ხასიათდება აღსანიშნის კონკრეტულ-ხატობრივი წარმოდგენით<sup>10</sup>; იგივე მოქმედების დაუნაწევრებელი ნომინაცია მოქმედების დროში განვითარება-გაშლის წარმოდგენის თვალსაზრისით შეკუმშული და სქემატიკურია.

დიურატიულად დანაწევრებული ნომინაციის კონკრეტულ-ხატობრივი ხასიათი სტილისტურად ღირებული პარამეტრია რეფერენტული სიტუაციის სემანტიკურ სიტუაციაში (გამონათქვამში) წარმოდგენის სპეციფიკის კვლევისას.

შემომოყვანილ თხრობით ეპიზოდში პერსონაჟი, რომელიც თავის მოკვლას აპირებს, ფიქრობს იმის შესახებ, რომ სიკვდილი, როგორც სიცოცხლის დასასრული, მას უფრო აშინებს, ვიდრე სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლის პროცესი. პერსონაჟი წარმოიდგენს თვითმკვლელობის სურათს: იგი თითქოს ვაივლის მთელ ამ პროცესს (თავდაპირველად საკუთარი „აქტივობის“, ხოლო კი შემდეგ ამ აქტივობის შედეგის — „კვდომის“ პროცესს).

პერსონაჟის მიერ წარმოსახული თვითმკვლელობის სიტუაციის ნომინაცია დიურატიულადაა დანაწევრებული და განხორციელებულია კონკრეტული

7 მათ ინგლისურ (ორიგინალურ) ტექსტში შეესაბამება არსებითი სახელები:

(that) look, (the) plunge, (the) shock.

8 შესაბამის წინადადებებში ორიგინალში გვაქვს ზმნის უპირო ფორმები (ე. წ. Participle I): entering, rising, tossing, რომლებიც ქართულად ზმნის უპირო ფორმებითვე ვერ ითარგმნება, ამიტომ ქართულ ტექსტში გვაქვს პირიანი ზმნა.

9 მოქმედების სემანტიკური კატეგორია, როგორც უზოგადესი ენობრივი შინაარსობრივი კატეგორია, გამსჭვალავს ენის ლექსიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეებს. იგი მიემართება ისეთ სემანტიკურ კატეგორიებს, როგორიცაა მიზნი, მიზანი, შედეგი, ვითარება, დრო, ადგილი, დიურაცია. აღნიშნულ კატეგორიებს შორის დასტურდება იმპლიკაციური მიმართებები. იხ. ნ. ჩიჩუა, დასახ. ნაშრომი.

10 შდრ. მსმუჯაძე და ბეჟუვაძე — პლატონი იხ. [18, 39]. la représentation et la narration—ც. ტოლოროვი [34, 144].

ხატების სახით (თავდაპირველად ფიქსირებულია პერსონაჟის „აქტივობის“ ფაზები:

..., the hasty look around“—თვალის სწრაფად მოვლება აქეთ-იქეთ“, the sudden plunge headlong—„უცებ თავდაღმა წყალში ჩაშვება“, შემდეგ კი მოცემულია პერსონაჟის მოქმედების შედეგები: the giddy shock of hard cold water, the river itself entering my lungs, rising in my throat, tossing me upon my back with my arms out—flung „თავბრუდამხვევი, შემამარწუნებელი შეგრძნობა ბლანტი და ცივი წყლის, თვითონ მდინარე შედიოდა ჩემს ფილტვებში, მივსებდა პირს, ამომატრიალებდა გულაღმა ხელგაშლილს“; „I could hear the sob strangled in my chest and blood leave me“ — „მესმოდა ჩემს მკერდში ჩახშობილი ჭკითინი და ვგრძნობდი როგორ მტოვებდა სისხლი“).

დიურანტულად დანაწევრებული ნომინაციის ნაცვლად თვითმკვლელობის სიტუაცია დაუნაწევრებლად რომ ყოფილიყო აღნიშნული, აღსანიშნი ხდომილება სქემატურად იქნებოდა წარმოდგენილი (შდრ. „he committed suicide“ — „მან თავი მოიკლა“, „he drowned himself“ — „მან თავი დაიხრჩო“) და თვითმკვლელობის პროცესი არ დაუპირისპირდებოდა მის არსებით შედეგს — სიკვდილს (როგორც სიცოცხლის და, ამდენად, პერსონაჟისთვის ყველაფრის დასასრულს), რადგან დაუნაწევრებელი ნომინაცია აღნიშნულ შემთხვევაში (კონკრეტულ ზმნებში და ფრაზეოლოგიურ პრედიკატებში „to commit suicide“ — „თვითმკვლელობის ჩადენა“, „to drown oneself“ — „თავის დახრჩობა“) ეყრდნობა მოქმედების მიზანს და შედეგს, ხოლო დიურანტია (პროცესუალობა) კი მხოლოდ იმპლიკაციის სახითაა წარმოდგენილი.

თხრობით ტექსტში მოქმედების ნომინაციის პრაგმატულ ასპექტთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თხრობის თვალსაზრისი. ცნობილია, რომ თხრობის პერსპექტივას შეისწავლის პოეტიკა<sup>11</sup>. თხრობის პერსპექტივის ფორმირების ენობრივი კანონზომიერებები კი ლინგვისტიკის კომპეტენციაა (შდრ. ტ. ვან დეიკი [13], ჩ. ფილმორი [31], ს. კუროდა [14]).

განვიხილოთ შემდეგი თხრობითი ეპიზოდი ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“.

„...გაიგო, რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთს კაცს ჩამოარჩობენო. პეტრეს თავის ღდეში არ ენახა ეს ამბავი. გულმა ძალიან გაუწვივა იქით. (...) ბოლოს ამაზედ დადგა, რომ სწორედ ტყუილი რამ თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო. (...) ახლა იმ სომეხმა რომ მომატყუა, კაცს არჩობენო, რა გაიტანა? აქო და სოფლელია, მალე მოტყუვდებო. ვთქვათ, რომ მოგტყუვდი, მითამ რაო? თამამას ხომ ენახავ. (...)

... ჰა, პეტრე გაფრთხილდი, არ გავაბრეყვონ, სასაცილოდ არ გაიხადო თავი (...).

ამბობდა ამას თავის გულში პეტრე და ეგონა, რომ მართლა და ეს ხალხი ამისთვის არის მოცლილი, სოფლელია და გავაბრეყვოთ (...). ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწვევ ცხენსავით დალოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწევს.

ამასობაში ის ფარაჯაში გახვეული ბიჭი მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს. ცალმხრივ მღვდელი ამოუდგა, მეორე მხრივ ვილაცა ჩინოვნიკი. წითელპერანავა ჯალათი უკან ედგა.

— ე მღვდელი რაღას გაუგოებია, — ეუბნებოდა თავის თავს პეტრე, —

<sup>11</sup> შდრ. პ. ლაბოკი [19], ც. ტოდოროვი [34], რ. ბარტი [1], ბ. უსპენსკი [35].

ტერტერა იქნება, თორემ მართალი მღვდელი ამას რად იკადრებდა. ის წითელპერანგა ვინ უნდა იყოს? იქნება თავი-და-თავი გაშვებული ეს იყოს (...).

ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გაასწორა სარჩობელაზედ ყულფი, მერე კიბე მიადგა სარჩობელის ბოძს. მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწვია ყულფი, რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა, თითქო სული შეეხუთო, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძვერა შედგაო.

ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, გამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე, როგორც ამოიქშინს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული.

უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა, ქანაობა დაიწყო და ფართხალი. დიდხანს იქნევა საწყალმა ფეხები.

— დილამდი რომ სულ ეგრე იქნევო ფეხები, მაინც არ დაგიჯერებ, — ამბობდა თავისთავად პეტრე. (...) იქნება თვალთმაქცობა იმაში იყო, რომ შეცვალეს, კაცის მაგიერ ტომარა ჩამოჰკიდეს. ფეხებს რომ იქნევდა? (...) გულში დიდი ეჭვი ჩაუვარდა, ეხლა მართო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო — რაში ტყუვდება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა<sup>12</sup>.

სიკვდილით დასჯის (ჩამორჩობის), როგორც მოქმედების დიურატულად დანაწევრებული ნომინაცია, განხორციელებულია ზემომოყვანილი თხრობითი ეპიზოდის ბოლო მონაკვეთში<sup>13</sup>.

მოყვანილი ეპიზოდი მოიცავს აგრეთვე პეტრეს შინაგან მონოლოგს — პეტრე მოედანზე შეგროვილ ბრბოსთან ერთად ელის კაცის საჯაროდ ჩამოხრჩობას, მაგრამ ჰგონია, რომ ეს სიკვდილით დასჯა თვალთმაქცობაა, „ტყუილი ჩამორჩობაა“, ქალაქელები კი მას, პეტრეს, როგორც სოფელს, ატყუებენ და დასცინიან.

თხრობით ეპიზოდში სიკვდილით დასჯა დანახულია ერთდროულად როგორც ავტორის, ასევე პეტრეს თვალთ.

ჩამოხრჩობის პროცესის დიურატულად დანაწევრებული ნომინაციის დროს საგანგებოდ არ არის გამოყოფილი მოქმედების მიზანი (და აგრეთვე მიზეზი), რადგან მოქმედების ნომინაციის დიურატული დანაწევრება ამას არ მოითხოვს — ასეთი ნომინაცია არ ეყრდნობა მოქმედების მიზანს და მიზეზს; ამის შედეგია ის, რომ ტექსტში წარმოდგენილია სიკვდილით დასჯის სურათი (ავტორის და აგრეთვე მკითხველის თვალსაზრისით). რომელსაც პეტრე გაიაზრებს არა როგორც „მართალ ჩამორჩობას“, არამედ როგორც „ტყუილ ჩამორჩობას“, „თამაშას“, „თვალთმაქცობას“.

ამგვარად, მოქმედების დიურატულად დანაწევრებული ნომინაციის დროს ზემომოყვანილ თხრობით ეპიზოდში წარმოდგენილია მოქმედების განვითარება ისე, რომ საგანგებოდ გამოყოფილი არ არის მოქმედების ნამდვილი მიზანი და მიზეზი, ამის შედეგად ტექსტში აღნიშნულ მოქმედებას მიეწერება ორგვარი ინტერპრეტაცია: ავტორისეული და პეტრესეული. ავტორის თვალსაზრისის ემთხვევა მკითხველის თვალსაზრისი, აგრეთვე მოედანზე შეკრებილი ბრბოს თვალსაზრისი: ის რაც მოედანზე ხდება სიკვდილით დასჯაა, „მართალი ჩა-

12 ი. ჭავჭავაძე, სარჩობელაზედ, ქართული პროზა, წიგნი VIII, თბ., 1984, გვ. 215—220.

13 ეს მონაკვეთი იწყება სიტყვებით: „ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი, ასე რომ, პირის-სახე აღარ უჩანდა“.



მორჩობაა“ (რადგან ამ მოქმედების მიზანია დამნაშავეის ნამდვილად მოკვდი-  
ნება, ხოლო მიზეზია ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი რაღაც დანაშაულები).  
„ეტრეს თვალსაზრისი კი განსაკუთრებულია: ამ მოქმედების მიზანი არ არის  
კაცის მოკლა, ამიტომ ეს „თამაშა“, „ტყუილი ჩამორჩობა“, ბრბოს გასარ-  
თობად გამოიხსნა.

ამგვარად, თხრობით ეპიზოდში სიკვდილით დასჯის პროცესის დიურატულ-  
ლად დაწვევრებული ნომინაცია განაპირობებს ორი თვალსაზრისის — ავტო-  
რისეულისა და პეტრესეული თვალსაზრისის თანაარსებობისა და ურთიერთ-  
მოქმედების შესაძლებლობას, რაც განხილული თხრობითი ეპიზოდის სემან-  
ტიკური სტრუქტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს ნა-  
წარმოების მხატვრული კონცეფციიდან გამომდინარე (შდრ. იგივე ეპიზოდის  
შესაძლებელი დიურატულად დაწვევრებული ნომინაცია „მოედანზე კაცი  
საჯაროდ ჩამოახრჩევს“ რომელშიც აღნიშნული მოქმედების ერთნიშნად ინ-  
ტერპრეტაციას გულისხმობს<sup>14</sup>). განვიხილოთ შემდეგი თხრობითი ეპიზოდი:  
„იგი (ლიფტიდან) მეზუთე სართულზე გამოვიდა, პოლი გაიარა და 507-ე ოთახ-  
ში შევიდა (...). საწოლზე მძინარე გოგოს შეხედა. მერე მივიდა ერთ-ერთ  
ჩემოდანთან, გახსნა და (...) ორტგის 7,65 კალიბრიანი ავტომატური პისტო-  
ლეტი ამოიღო. პისტოლეტიდან სავაზნე კოლოფი გამოიღო, დახედა, მერე  
თავის ადგილას ჩადო. პისტოლეტი შემართა. შემდეგ საწოლთან მივიდა და  
ჩამოჯდა, გოგოს ვადახედა, პისტოლეტი მარჯვენა საფეთქელთან მიიღო და  
გაისროლა<sup>15</sup> (თარგმანი ჩვენი).

მოყვანილ ეპიზოდში განხორციელებულია მოქმედების დიურატულად და-  
წვევრებული ნომინაცია. პერსონაჟის მოქმედების ძირითადი მიზანი (და ავ-  
რთვე მიზეზი) ეპიზოდის დასაწყისშივე არ არის ფიქსირებული და მხოლოდ  
ეპიზოდის ბოლოს ხდება ნათელი, თუ რა მიზნით მოქმედებდა იგი. ამიტომ  
მთხრობელი (და, ამდენად, მკითხველიც) თითქოს მხოლოდ „მოწმის“, „დამ-  
კვირვებლის“ როლშია, თვალს ადევნებს მოქმედების განვითარებას, რომლის  
აზრი ეპიზოდის დასრულებამდე მისთვის გაუგებარია. „ყოველმსცოდნე“  
მთხრობლისაგან განსხვავებით „მთხრობელი-დამკვირვებელი“ არ აფიქსირებს  
პერსონაჟის მოქმედების შინაგან ასპექტებს (მიზანს, მოტივს) და, ამდენად, არ  
იძლევა მოქმედების ინტერპრეტაციას. ასეთი თხრობის თვალსაზრისი შეიძლე-  
ბა განისაზღვროს, როგორც „გარეგანი“; და დაუპირისპირდეს „შინაგან“  
თვალსაზრისს

ნომინაციის გარკვეული ხერხის მიმართება თხრობის თვალსაზრისთან შე-  
იძლება განხილულ იქნეს, როგორც ნომინაციის პრაგმატული ორიენტაცია  
(შდრ. ტ. ვან დეიკი [13], ვ. გაიკი [21; 32]).

ზემომოყვანილ თხრობით ეპიზოდში მოქმედების (პერსონაჟის თვით-  
მკვლელობა) დიურატულად დაწვევრებული ნომინაცია საგანგებოდ არ აფიქ-

14 „ჩამოახრჩობს“ — სიკვდილით დასჯის სახრჩობელაზე. „სქის“ — სასჯელს ადებს  
(დამნაშავეს), დადებული სასჯელი სისრულეში მოჰყავს; „სასჯელი“ — დანაშაულის ჩამდენ-  
ის მიმართ ჩატარებული ღონისძიება (ქართული განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ.  
ჩიქობავას საერთო რედაქციით, I—VIII, თბ., 1950—1964).

15 „He got off at the fifth floor, walked down the hall and let himself into 507  
(...). He glanced at the girl lying asleep on one of the twin beds. Then he went over  
to one of the pieces of luggage, opened it and (...) took out an Ortgies calibre 7.65  
automatic. He released the magazine, looked at it, then reinserted it. He cocked the  
piece. Then he went over and sat on the (...) bed, looked at the girl, aimed the pistol  
and fired a bullet through his right temple“. J. D. Salinger. A Perfect Day for Banan-  
fish. In: Nine stories, Frany and Zooey, Raise High the Roof Beam, Carpenters—M.,  
Progress Publishers, 1982 გვ. 38—39.

სიძრებს პერსონაჟის „აქტივობის“ მიზეზსა და მიზანს, მხოლოდ ეპიზოდის ბოლოს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე თვითმკვლელობას ეხება.

თხრობით ტექსტში მოქმედების მიზეზისა და მიზნის კონკრეტული დასახელება უკავშირდება და გარკვეული ასპექტით განსაზღვრავს თხრობის (მთხრობელის) თვალსაზრისს (შდრ. ყოვლისმცოდნე ავტორი და ავტორი-დამკვირვებელი). მოქმედების მიზნისა და მიზეზის ფიქსირება მთელი აღსანიშნი სიტუაციის გააზრების, ინტერპრეტაციის ტოლფასია. დიურატულად დანაწევრებული ნომინაცია კი პრინციპშივე არ ეყრდნობა მოქმედების მიზეზსა და მიზანს (როგორც ზემოთ იყო აღნიშნული; იგი ეყრდნობა აღსანიშნი სიტუაციის ნებისმიერ დინამიკურ ასპექტებს); ამიტომ მოქმედების დიურატულად დანაწევრებულმა ნომინაციამ შეიძლება უზრუნველყოს აღსანიშნი პროცესის სემანტიკური ინტერპრეტაციის როგორც მინიმალური, ისე მაქსიმალური „სიღრმე“, იმის მიხედვით, აფიქსირებს თუ არა იგი კონკრეტულად მოქმედების მიზანსა და მიზეზს. აღსანიშნი სიტუაციის „სემანტიკური ინტერპრეტაციის სიღრმე“ პირობითად განვსაზღვრავთ ნომინაციის დროს მოქმედების მიზნისა და მიზეზის ექსპლიციტობით.

დიურატულად დაუნაწევრებელი ნომინაციის (როგორც ნომინაციის გარკვეული ხერხის) შემთხვევაში აღსანიშნი პროცესის შეკუმშული აღნიშვნა კონკრეტულ ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში უკავშირდება რეფერენტული სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის გარკვეულ, ფიქსირებულ სიღრმეს. მაგალითად, პრედიკატები: „თავის მოკლა“, „მკვლელობის ჩადენა“ აქ ექსპლიციტრებულია მოქმედების მიზეზი და შედეგი<sup>16</sup>. შდრ. „დასჯა“, „შურისძიება“, „შეწყალება“, „დანაღობა“, „გამედება“<sup>17</sup>; ამ შემთხვევაში კი ექსპლიციტრებულია მოქმედების მიზეზი, მოტივი, მიზანი და შედეგი. შდრ. ქართული და ინგლისური: კლავს (მოკლა) — (he) kills (killed), ტეხს (გატეხს) — (he) breaks (broke)— ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურში აღნიშნული ზნეები კონკრეტულად აფიქსირებენ მხოლოდ გარკვეული ქმედების შედეგს და ვერ განსაზღვრავენ იმ ქმედების ხასიათს, რომელმაც ეს შედეგი გამოიწვია, „არაფერს ამბობენ“ ქმედების ხასიათის შესახებ. გარკვეული სპეციფიკური კონტექსტის გარეშე ისინი ვერ განასხვავებენ მიზანდასახულ მოქმედებას, უნებლიე ქმედებას და ინაგენტურ ზემოქმედებას<sup>18</sup>.

ამგვარად, დიურატულად დაუნაწევრებელი ნომინაციის დროს კონკრეტული ლექსიკური ერთეულები თავს გვახვევენ, „გვიკარნახებენ“ აღსანიშნი სიტუაციის სემანტიკური ინტერპრეტაციის გარკვეულ ფიქსირებულ „სიღრმეს“, რაც გარკვეული ასპექტით განსაზღვრავს თხრობის (მთხრობელის) თვალსაზრისს ტექსტში<sup>19</sup>.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიურატულად დანაწევრებული ნომინაციის შემთხვევაში მოქმედება წარმოდგენილია მის განვითარებაში, ხაზგასმულია მოქმედების დიურაცია, რაც გარკვეულ პირობებში (შესაბამის კონ-

16 ანალოგიური ინგლ. პრედიკატები: to commit suicide, to murder.  
17 ანალოგიური ინგლ.: to punish, to revenge, to spare, to pardon, to repay და სხვ.  
18 ეს იმით აიხსნება, რომ უზოგადეს დონეზე (და ეს ასახულია აბსტრაქტული სემანტიკის ზნებათა to kill, to break და სხვათა მნიშვნელობებში) არსებობს შემდეგი მიმართება ენის ზოგადსემანტიკურ კატეგორიებს შორის: შედეგის კატეგორია იმპლიკაციურ მიმართებაშია როგორც მოქმედების, ისე უნებლიე ქმედების და ინაგენტური ზემოქმედების კატეგორიებთან. იხ. ნ. ჩიჩუა, დასახ. ნაშრომი.  
19 მოცემულ შემთხვევაში, კერძოდ, გადამწყვეტია თხრობის „შინავანი“ და „გარეგანი“ თვალსაზრისი. თხრობის „შინავანი“ და „გარეგანი“ თვალსაზრისის შესახებ იხ. უ. პუიონი [36], ბ. უსპენსკო [35], შდრ. ყოვლისმცოდნე ავტორი და ავტორი-დამკვირვებელი.  
10. მ ა ც ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 1



ტექსტში) ქმნის თბრობის დაძაბულობის ეფექტს. ეს გამოიციხულია მოქმედების დაუნაწევრებელი ნომინაციის შემთხვევაში. თბრობის დაძაბულობა (suspense) თბრობით ტექსტში მოქმედების ნომინაციისას სტილისტურად ღირებულება.

თბრობის შეკუმშული თუ დაუნაწევრებული (გაშლილი) ხასიათი ტექსტის ისეთი პარამეტრია, რომელიც მნიშვნელოვანია პრაგმატული და კომუნიკაციური თვალსაზრისითაც, რამდენადაც უკავშირდება ინფორმაციის განსხვავებულ განაწილებას ტექსტში (შღრ. ტექსტის ეპიზოდის რეზიუმე, რომელიც შეკუმშულად აფიქსირებს ტექსტის მონაკვეთის შინაარსს).

მოქმედების ნომინაციის პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაციის შემოგანხილული ასპექტები უკავშირდებოდა დიურატულად დაუნაწევრებული ნომინაციის ერთ სახეს: ნომინაციის ფაზურად დაუნაწევრებას.

შესაძლებელია მოქმედების სხვაგვარი დიურატული დაუნაწევრებაც, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ტემისებრი ან ჩარჩოებრი დაუნაწევრება. მოქმედების დიურატული დაუნაწევრების აღნიშნული სახე ხასიათდება შემდეგი თავისებურებით: ტექსტის გარკვეულ მონაკვეთში ფიქსირებულია აღსანიშნი მოქმედების დასაწყისი და ბოლო (ან რომელიმე სხვა, ორი ან რამდენიმე დროში ერთმანეთს დაშორებული მომენტი), მათ შორის კი „ჩასმულია“ აღსანიშნ მოქმედებასთან დროში პარალელური სხვა მოქმედებების რიგი. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ თბრობით ეპიზოდში პერსონაჟის მოქმედების განვითარებაში ჩართულია მისივე აზრები; ამავე დროს იგულისხმება, რომ პერსონაჟის „გარეგანი, ხილული“, მოქმედება გრძელდება, თუმცა მისი განვითარება კონკრეტულად აღარაა ნაჩვენები, რამდენადაც მოქმედების ექსპლიციტობა მომენტებს შორის, რომლებიც გარკვეული აზრით სემანტიკურ „ჩარჩოებს“ ქმნიან, ჩართულია სხვა მოქმედებათა (იმავე პერსონაჟის „შინაგან“ მოქმედებათა) რიგი.

„ბლუმის ხელმა საკვიდან ჩამოიღო ქუდი (...) კართან გასაღები მოისინჯა უკანა ჯიბეში, არ არის. რომ ვეცხნად იმ შარვალშია. უნდა ავიღო. კარტოფილი აქაა, ჭრაჭუნა კარადა. არ ღირს მოლის შეწუხება. წელან ძილში წრიალებდა. ფრთხილად მოსწია თავისკენ კარი, კიდევ, სანამ ღირეს უხმოდ არ მოარგო (...), სამოცდათხუთმეტი ნომრის თავახდელ სარდაფს გვერდი აუარა და ქუჩის მზიან მხარეს გადავიდა. მზე წმ. გიორგის საყდრის სამრეკლოს უახლოვდებოდა. ვგონებ, თბილი დღე დადგეს. ამ შავ ტანსაცმელში განსაკუთრებით ევიგრძნობ. შავი ატარებს, ირეკლავს (თუ გარდატეხავს?) სითბოს, რმ ღია ფერის კოსტუმით ხომ ვერ წავიდოდი. პიკიკია თუ რა. საამო სითბოში მიაბიჯებდა და თვალები ნებიერად ეჭუტებოდა. ბოლანდის ფურგონს ყოველდღე მოაქვს ხოლმე ჩვენი არსობისა. მაგრამ მოლის ცხელი, შებრაწული წუხანდელი პურის ნაჭრები ურჩევნია. თავს ჰაბუკად გრძნობ. საღლიც აღმოსავლეთში სისხამ დილას, აისზე აიყრები, დედამიწის გარშემო მიემგზავრები, მხეს წინ უსწრებ, ღღის სავალს ჰპარავ. ასე იარე მარად, ერთი დღითაც არ მოხუცდვ თეორიულად. მიაბიჯებ სანაპიროს გასწვრივ, უცხო მხარეს, მიადგები ქალაქის კარბიშეს, იქ დარაჯია, ისიც ყოფილი რიგითი, ბებერი ტუიდის დიდი უღვაშები გრძელ შუბს დაყრდნობია. მოჩარდახულ ქუჩებში დადიხარ, ჩალმიანი სახეები ჩავივლიან. ხალიჩის დუქნების ბნელი გამოქვაბულები, ზორბა კაცი, მრისხანე თურქა ფეხებმორთხმული ეწევა ნარგილეს. ვაჭრების ყვირილი ქუჩებში, დალიეთ სურნელოვანი კამის წყალი, შარბათი, მთელი დღე ხეტიალობ. იქნებ სადმე ერთი-ორ ყაჩაღსაც გადაეყარო. მერე და რა, გადაეყარე. მწუხრი ჩამოწვება. მეჩეთების ჩრდილები სევტების გასწვრივ: ხელ-

გრაფილიანი ღვთისმსახური, ხეთა შერხევა. ნიშანი. მწუხრის ქარი, ჩაველი, ფერმიხდილი ოქროს ცა, დედა კარის ღირედან იყურება, შვილებს შინსკენ უხმობს თავიანთ ბნელ ენაზე. მაღალი ვალავანი; ვადაღმა სიმების ქღერა. ღანისუელი ცის მთვარე, სოსანი, მოლის ახალი წვევსაკრავების ფერი. სიმები. კური მიუგდე. ვოგონა უკრავს აი, იმ საკრავზე, რა ჰქვია: წინწილი. ჩაველი. ნამდვილად კი ალბათ არაფერი ამისდაგვარი. წიგნებში ამოკითხული მზის კვალდაკვალ აღეზარებულნი მზე თავფურცელზე (...) ღერი ორტურის სავაჭროს მიუახლოვდა (...) (ქ. ჯოისი, ულისე, თარგმანი ნ. ყიასაშვილისა)<sup>20</sup>.

მოყვანილი ნარატული ეპიზოდის ტემისებრი დიურატული დანაწევრება იძლევა ბლუმის ორი ერთდროული „მოგზაურობის“ წარმოდგენის საშუალებას. ფიზიკურად ბლუმი დაბლინის ქუჩებში მიბიჯებს, წარმოსახვით კი — ოომელიდაც აღმოსავლურ ქალაქში. თუმცა ბლუმი თვლის, რომ აღმოსავლური ქალაქის წარმოსახულ სურათს რეალობასთან არაფერი აქვს საერთო. ამ რეალობამ დროებით მისი ცნობიერებიდან „გამოაძევა“ დუბლინის რეალობა. ამის შედეგად ტექსტში ფიგურირებს ბლუმის რეალური გზის მხოლოდ რამდენიმე ორიენტირი (საკიდი, კარი, სამოცდათხუთმეტი ნომრის სარდაფი, წმ. გიორგის საყდარი და ბოლოს ორტურკის სავაჭრო). ისინი, ძირითადად მინიშნებენ ბლუმის მიერ დაფარული მანძილის საზღვრებზე (გზის მონაკვეთზე). თვით ვადადგილების პროცესი ძირითადად იმპლიციტურია, რადგან ბლუმის სივრცეში ვადადგილების, როგორც მოქმედების, დიურატული ჩარჩო შევსებულია პერსონაჟის ცნობიერების „შინაარსით“. აღნიშნული ეპიზოდის სემანტიკური „გამოლიანება“ ხდება დიურატულობის ზოგადსემანტიკური კატეგორიის საფუძველზე.

მოქმედების ნომინაციის დიურატული დანაწევრებისას ტემისებურად (ჩარჩოსებურად) დანაწევრებას გააჩნია რიგი მახასიათებელი, რომლებიც დირებულია პრაგმატული ორიენტაციის თვალსაზრისით: მოქმედების ნომინაციის ჩარჩოსებრი დანაწევრების შემთხვევაში ფაქტობრივად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება სწორედ ჩარჩოში ჩართული „სხვა“ მოქმედებათა რიგი, რომელიც დროში პარალელურია ჩარჩოსებურად დანაწევრებულ მოქმედებასთან; მეორე მხრივ, ნომინაციის აღნიშნული ხერხი იძლევა მოქმედებათა და პროცესთა ორი, დროში პარალელური რიგის აღნიშვნის დროს მათი მონაკვეთების ჩარჩოსებრი დაკავშირების საშუალებას, თხრობის თვალსაზრისის ცვლის საშუალებას, რასაც მრავალი განსხვავებული სტილისტური ფუნქცია შეიძლება დაეკისროს.

მოქმედების ნომინაციის (და ამდენად აღსანიშნი სიტუაციის ტექსტში წარმოდგენის) აღნიშნული ხერხების პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაციის რეალური განხორციელება დამოკიდებულია კონკრეტული ტექსტის (მხატვრულის თუ არამხატვრულის) ხასიათზე, უშუალო და ფართო კონტექსტზე, მხატვრულ ტექსტში კი მწერლის მხატვრულ მეთოდზე, სტილზე და იმ კონკრეტულ მხატვრულ ფუნქციაზე, რომელიც ნომინაციის გარკვეულ ხერხს ეკისრება მოცემული ტექსტის სტრუქტურაში. მოქმედების ნომინაციის ზემოთ განხილული ხერხების ზოგადი პრაგმატულ-სტილისტური ორიენტაციის კონკრეტული განხორციელება (მხატვრული ფუნქციის თვალსაზრისით) განსხვავებული სტილის მხატვრულ პროზაში სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს.

<sup>20</sup> ვიზუ ჯოისი, ულისე, თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაერთო ნ. ყიასაშვილმა, თბ., 1983, გვ. 75—76.



1. Barthes R., Introduction à l'analyse structurale des récits, „Communications“, 1966, № 8.
2. Гальперин И. Р., О понятии «текст», Лингвистика текста, Материалы научной конференции, часть I, 1974.
3. Пфютце М., Грамматика и лингвистика текста, კრებულში: Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, М., 1978.
4. Postal P., Anaphoric Islands. In: Papers from the 5 th Regional Meeting Chicago Linguistic Society, Chicago, 1969.
5. Смит Дж. Б., Тематическая структура и тематическая сложность. კრებულში: Новое в зарубежной лингвистике, вып. IX, М., 1980.
6. Hausenblas A., In the Characterisation and Classification of Discourses — „Travaux linguistiques de Prague“, Prague, 1966.
7. Гак В. Г., О семантической организации текста, Лингвистика текста, Материалы научной конференции, часть I, 1974.
8. Шмидт З. И., Текст и история как базовые категории, კრებულში: Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, М., 1978.
9. Гальперин И. Р., Текст как объект лингвистического исследования, М., 1981.
10. Хэллидей М. А. К., Место функциональной перспективы предложения в системе лингвистического описания, კრებულში: Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, М., 1978.
11. Колшанский Г. В., Текст как единица коммуникации, კრებულში: Проблемы общего и германского языкознания, М., 1978.
12. Dijk T. A., Van. Text and Context, Explorations in the Semantics and Pragmatics of Discourse, London—New York, 1977.
13. Ван Дейк Т., Вопросы прагматики текста, კრებულში: Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, М., 1978.
14. Kuroda S.-Y., In the Foundations of Narrative Theory. In: Pragmatics of Language and Literature, Ed. by Teun A. van Dijk. Amsterdam, Oxford, New York, 1976.
15. Riffaterre M., Criteria for Style Analysis. In: „Essays on the Language of Literature“, ed. by Seymour Chatman and Samuel Levin, Boston, New York, Atlante, 1967.
16. Hendricks W. O., Relation Between Linguistics and Literary Studies, „Poetics“, 1974, № 11.
17. Майенова М. Р., Теория текста и традиционные проблемы поэтики, კრებულში: Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, М., 1978.
18. Genette G. Frontieres du récit. „Communications“, 1966, № 8.
19. Lubbock P., The Craft of Fiction, Jonathan Cape, London, 1965.
20. Бахтин М., Вопросы литературы и эстетики, М., 1975.
21. Гак В. Г., Высказывание и ситуация, в сб.: Проблемы структурной лингвистики, 1972, М., 1973.
22. Колшанский Г., Лингво-гносеологические основы языковой номинации, в кн.: Языковая номинация, Общие вопросы, М., 1977.
23. Арутюнова Н. Д., Синтаксис, в кн.: Общее языкознание, М., 1972.
24. Арутюнова Н. Д., Номинация и текст, в кн.: Языковая номинация, Виды наименований, М., 1977.
25. Wierzbicka A., Descriptions or quotations? Sign, Language, Culture, Mouton, the Hague—Paris, 1970.
26. Матезиус В., О системном анализе, «Пражский лингвистический кружок», М., 1967.
27. Searle J. R., The Logical Status of Fictional Discourse, In: Expression and Meaning, Cambridge University Press, 1979.



28. Арутюнова Н. Д., Предложение и его смысл, М., 1976.  
 29. Катц Дж., Семантическая теория, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. X, М., 1981.  
 30. Булыгина Т. В., Грамматические и семантические категории и их связи, в кн.: Аспекты семантических исследований, М., 1980.  
 31. Филлмор И., Дело о падеже открывается вновь, в сб.: Новое в зарубежной лингвистике, вып. X, М., 1981.  
 32. Гак В. Г., К типологии лингвистических номинаций, в кн.: Языковая номинация, Общие вопросы, М., 1977.  
 33. ბ. ჩიჩუა, მოქმედების ნომინაციის ასპექტები თბილისში ტექსტში, „მკვლევარ“ ლიტერატურის სერია, 1985, № 4.  
 34. Todorov Tz., Les catégories du récit littéraire „Communications“, 1966, №8.  
 35. Успенский Б. А., Поэтика композиции, М., 1970.  
 36. Pouillon J., Temps et roman, Gallimard, Paris, 1946.  
 37. Maria del Carmen Bobes Naves, La valeur semiotique du temps dans le récit. Kodikas/Code, Ars Semeiotika, volume 7, no 1/2, 1984.  
 38. Greimas A. I., Du sens, Paris, 1970.  
 39. Платон, Сочинения, т. 3, ч. I, М., 1971.

Н. Ш. ЧИЧУА

## ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ МЕХАНИЗМ И ПРАГМАТИКО-СТИЛИСТИЧЕСКАЯ ОРИЕНТАЦИЯ НОМИНАЦИИ ДЕЙСТВИЯ В НАРРАТИВНОМ ТЕКСТЕ

### Резюме

Лингвистический механизм выделенных коррелирующих способов номинации действия в нарративном тексте (дуративно расчлененной и дуративно нерасчлененной) описывается по таким параметрам способа номинации, как характер номинативной единицы, расчлененность обозначения, внутренняя форма именованная. При дуративно расчлененной номинации в пределах текстового сегмента (нарративного эпизода) в семантической ситуации референтная ситуация действия представлена расчлененной на фазы, чем и обусловлена экспликация ее дуративности (процессуальности). Специфика внутренней формы дуративно расчлененной номинации определяется тем, что при вычленении фаз развертывающегося действия номинация может опираться на любые динамические аспекты ситуации и не эксплицитировать причину и основную цель действия, т. е., обозначая процесс, обеспечить лишь его «поверхностную» семантическую интерпретацию. Причина и цель действия могут быть раскрыты в пределах того же нарративного эпизода — в таком случае семантическая интерпретация действия «глубинная».

Дуративно нерасчлененная номинация не расчленяет обозначаемый процесс на фазы и осуществляется в пределах предложения. Ядром номинации является предикат. Внутренняя форма именованная во многом определяется семантикой предиката. В конкретных лексических единицах внутренняя форма именованная фиксирована — номинация может опираться: а) на причину, цель и результат действия (ср. глаголы: «наказать», «отомстить», «помиловать», ср. англ. to punish, to revenge, to pardon — семантическая интерпретация действия «глубинная»; б) на цель и результат действия (ср. предикаты: «совершить убийство», «покончить с собой», «выяснить», ср. англ.: to murder, to commit suicide, to find out), в) на результат (ср.: «напугать», «убить», «разбить»; англ.: to scare, to kill, to break), не диф-

ფერენციურა ცელნაპრავლენოე ი «ნეოვოლნოე», «ნეუმუშლენოე» დეი-  
სტვია — ვ თაკო მსუაჲ სემანტიკური ინტერპრეტაცია ობოზნაჩენი  
სიტუაცი «პოვერხოსტნაია». 

Характеристики рассмотренных способов номинации с точки зрения их лингвистического механизма во многом определяют прагматико-стилистическую ориентацию коррелирующих способов номинации действия — дуративно расчлененной (фазовой и диетаксивной) и нерасчлененной. Прагматико-стилистическая ориентация указанных способов репрезентации ситуации действия в нарративном тексте раскрывается в таких терминах, как точка зрения повествования (ср. „всезнающий автор“ vs. „автор-наблюдатель“, *попoгaмiс vs. scеnиc narratіves*—П. Лаббок) повествование и изображение (ბ:ჩეყეაჲ ი კაჲჩეაჲ—Платон, *la narration et la representation* — Тодоров), напряжение повествования (*suspense*), „рамочный монтаж“ и др.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა  
შ. ძიძიგურმა

## ეთერ გამშლია

 ფრაზეოლოგიის სინტაგმატურ ურთიერთობათა შესახებ  
 თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში

ფრაზეოლოგიში, ისევე როგორც სიტყვა, არ არსებობს იზოლირებულად, სხვა ლექსიკურ ერთეულებთან კავშირის გარეშე. ფრაზეოლოგიისა და სიტყვის ურთიერთკავშირის ყველა შესაძლებელ ვარიანტთა ერთობლიობა ნათელ სურათს ქმნის ფრაზეოლოგიის სინტაგმატურ ურთიერთობათა შესახებ. აქვე ნათლად ვლინდება, აგრეთვე, ენის ფრაზეოლოგიურ და ლექსიკურ სისტემათა გარკვეული ურთიერთკავშირი.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ფრაზეოლოგიურ-ლექსიკური კონტექსტი იმდენად მრავალფეროვანი არ არის, რამდენადაც ეს სიტყვათა ურთიერთკავშირის დროსაა შესამჩნევი [1,134]. ამის მთავარი მიზეზია ფრაზეოლოგიის რთული სტრუქტურულ-სემანტიკური აგებულება.

ფრაზეოლოგიის ყოველი სტრუქტურული ტიპი (ზმნური, სახელადი, ზედსართავული, ზმნიზედური) შეიცავს სიტყვებთან შეკავშირების ამა თუ იმ გარკვეულ საკუთარ ვალენტურ შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ფრაზეოლოგიის სინტაგმატურ ურთიერთობათა ხასიათს ძირითადად გამოთქმის სემანტიკა, მისი დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს. აღნიშნული ვითარება უმთავრესად აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფრაზეოლოგიურ-ლექსიკურ კონტექსტში სემანტიკურად რეალიზდება ფრაზეოლოგიის არა რომელიმე კომპონენტი, არამედ მისი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა, რომელიც ახასიათებს მას, როგორც დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს. კონტექსტი კი შეიძლება იყოს იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც და სადაც არის პოტენციალურ დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულთა ურთიერთობა [2,20].

თანამედროვე თურქულ სალიტერატურო ენაში, ისევე როგორც სხვა ენებში, შეიძლება გამოვყოთ ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობათა შემდეგი ძირითადი ტიპები: 1. შედარებით თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა, 2. კონსტრუქციულად შეზღუდული და 3. ვალენტურად შეზღუდული ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა.

1. შედარებით თავისთავადი, დამოუკიდებელი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა ძირითადად ზმნიზედურ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებთ. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმები ხასიათდებიან სემანტიკური დამოუკიდებლობით. ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის გამოსავლენად არ არის აუცილებელი გარკვეულ სიტყვებთან მათი დაკავშირება. ფრაზეოლოგიზმებთან სინტაგმატურ ურთიერთობაში მყოფი სიტყვები ასეთ შემთხვევაში არ ექვემდებარებიან სპეციალურად განსაზღვრულ სემანტიკურ დაჯგუფებას, მათი სფერო საკმაოდ ფართო და შეუზღუდავია.

მაგ.: ქაშლა გოზ არასინდა, სიტყვა: თვალსა და წარბს შუა, სწრაფად. ბიზიმ ქაფიჯი ბილე ბეჩერიქლი ქი, ქაშლა გოზ არასინდა მუსლულ იაფივერდი—ჩეენი დარაჯი ისეთი მოხერხებულა, რომ ონკანი თვალის ერთ დახამხამებაზე გააქეთა [3,110]. ქარგა ბოქა ქონმადან, სიტყვა: ყვავი ნაკელზე არ დამჯღარა, უთენია. ჰერიფ, ქარგა ბოქა ქონმადან ქაფიმი ჩალმაზ მი—უთენია ჩემ კარზე დაკაქუნება არ შეიძლება? ჯანლა, ბაშლა, სიტყვა: სულით, თავით, მთელი



სული და გულით. ბუ უშაქ ოილესინე ჩანლაბაშლა ჩალიშიორ ქი, ქენდისხე  
ქერ ჰაფთა ბირ დეილ იქი დეფა იზინ ვერიორუმ — ეს მოსწავლე ისეთი  
დომებით მუშაობს, რომ კვირაში ერთხელ კი არა, ორჯერ ვაძლევ დასვენების  
დღეს [3,43].

შედარებით დამოუკიდებელი მნიშვნელობით ხასიათდება ზოგიერთი  
ზმნური და სახელადი ფრაზეოლოგიზმიც. ზმნური: დილინე ქილით ვერმაქ,  
სიტყვა: ენაზე კლიტის დადება, გაჩუმება [4,214]; დილინი იუთმაქ, სიტყვა:  
ენის გადაყლაპვა, გაჩუმება [5,139]; ელ ელე ვერმაქ, სიტყვა: ხელის ხელს მი-  
ცემა, დახმარება, ხელის გაწოდება [5,140]; ბულანიქ სუდა ბალიქ ავლამაქ,  
სიტყვა: ამღვრულ წყალში თევზის დაჭერა [95, 89]. სახელადი ფრაზეოლო-  
გიზმები: დამოქლესინ ქილიჯი, სიტყვა: დამოკლეს მახვილი, საფრთხე [6,460]  
დევენინ ფაფუჭუ, სიტყვა: აქლემის ფლოსტი, შეუსაბამობა [7,386].

აღნიშნული ტიპის ფრაზეოლოგიზმები სინტაქსურად აქტიურები არიან,  
მათი მნიშვნელობა არ არის შემოფარგლული რომელიმე სინტაქსური ფუნქ-  
ციით. ისინი შედარებით თავისუფლად გამოიყენებიან როგორც ქვემდებარის,  
ასევე შემასმენლის, დამატებისა თუ ნაწილობრივ მსახლერელის როლშიც: სა-  
ხელადი ფრაზეოლოგიზმი დამატების როლში: აიაქ ქავაფინა ბენზიორ [7,166],  
სიტყვა: ფეხის ვაჭარს ჰვავს. ერთ მაწანწალას ჰვავს. ზმნური ფრაზეოლოგიზმი  
შემასმენლის როლში: ოლ ვაქით აიაქლარიმ suya erdi [8,151], სიტყვა: იმ  
დროს ჩემი ფეხი წყალში მოხვდა, იმ დროს უცბად მივხვდი: ზმნური ფრა-  
ზეოლოგიზმი ქვემდებარის როლში: ქორ გიბი ელ ანაქ იი მი? [7,13]. ბრმა-  
სავით ხელის გაშვება კარგია? ზმნური ფრაზეოლოგიზმი დამატების როლში:  
ეიერ ბიზი ქეშე ბოლმაქ ისთიორსან [7,12], სიტყვა: თუ ჩვენი ხაჭოში დახრ-  
ჩობა გინდა, თუ ჩვენი მოტყუება გინდა.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ფრაზეოლოგიზმსა და  
სიტყვას შორის არსებული კავშირი არ არის გამოწვეული რომელიმე გარკვე-  
ული აუცილებლობით, ფრაზეოლოგიზმები სემანტიკური თვალსაზრისით  
სრულფასოვანი არიან და საკუთარი მნიშვნელობის გამოსავლენად ისინი არ  
საჭიროებენ დამატებით კონკრეტიზირებას.

ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ მნიშვნელობის გარკვეული დამოუკიდე-  
ბლობით ხასიათდებიან, აგრეთვე, წინადადების ტიპის ფრაზეოლოგიზმებიც:  
მათი სინტაგმატური ურთიერთობა ხომ ნულამდგა დაყვანილი: გეჩთი ბორუნ  
ფაზარი, სურ ეშეინი ნიგდეე, სიტყვა: ბორის ბაზრობა დამთავრდა, გარეე  
ვირი ნიგდესკენ, დაგვიანებულა, გარეე ვირი ნიგდესკენ.

2. ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის რეალიზება ზოგჯერ მკაცრად განსა-  
ზღვრულ სტრუქტურულ ფორმებს მოითხოვს. ასეთი ტიპის ფრაზეოლოგიურ  
მნიშვნელობა წარმოადგენს კონსტრუქციულად შეზღუდულს. რაც განსა-  
კუთრებით ნათლად ზმნური მართვის სფეროში ვლინდება. ფრაზეოლოგიზმებ-  
თან სინტაგმატურ ურთიერთობაში შემავალ სიტყვათა სფერო ამ შემთხვევაში  
შეუზღუდავია.

შევადაროთ ერთმანეთს ფრაზეოლოგიური გამოთქმა — თაშ ათმაქ, სიტ-  
ყვა: ქვის გადაგდება, სიტყვის გადაკვრა და თავისუფალი შესიტყვება თაშ ათ-  
მაქ ქვის გადაგდება.

ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში შემავალი თითოეული კომპონენტი  
კარგავს ლექსიკურ მნიშვნელობას, ის ფრაზეოლოგიზმის მთლიან მნიშვნე-  
ლობაში ითქვივება. ამის შედეგად გამოთქმის კომპონენტებს შორის ცოცხა-  
ლი სინტაქსური კავშირი ქრება, ის სუფთა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ფრა-  
ზეოლოგიზმი მართულ სიტყვას უკავშირდება, როგორც ერთიანი სემანტიკუ-  
რი მთლიანობა. მოცემულ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმი უკავშირდება მიცე-  
მითში დასმულ სიტყვას: ო დურმადან ერქექლერინ ფერპიზ თუთმაია ჯაქდა-

რინი სოილიერქე ბანა თაშ ათთი—მამაკაცები დიეტას ვერ დაიცავენო იტყოდა, ხოლმე და გამუდმებით მე გადმომკრავდა ხოლმე სიტყვას.

როგორც ვხედავთ, ფრაზეოლოგიზმსა და მიცემითში დასმულ სიტყვას შორის ბანა თაშ ათიორ, სიტყვ.: მე ქვა მესროლა, მე სიტყვა გადმომიკრა, მყარდება აუცილებელი კონსტრუქციული წყობა, რომლის გარეშეც ფრაზეოლოგიზმის სემანტიკური რეალიზება შეუძლებელი ხდება.

მსგავსი კომპონენტური შემადგენლობის თავისუფალი შესიტყვების მნიშვნელობის გამოსავლენად კი არ არის აუცილებელი მიცემითში დასმულ სიტყვასთან მისი შეკავშირება, მეკმედ თაშ ათთი — მემედმა ქვა ისროლა.

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის რეალიზება შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ფრაზეოლოგიზმის სინტაგმატური ურთიერთობის გარკვეული სტრუქტურული წყობა.

ფრაზეოლოგიზმის სინტაგმატურ ურთიერთობათა ხასიათი დამოკიდებულია ფრაზეოლოგიზმის სტრუქტურაზეც. მაგალითად, თუ ზმნური ფრაზეოლოგიზმი ნაწარმოებია შემდეგი მოდელით: არსებითი სახელი მიცემითში + ზმნა (yüzüne bakmak სიტყვ.: სახეში ცქერა, თვალბში ცქერა) ასეთი ზმნური ფრაზეოლოგიზმი კონტექსტში სახელს ვეღარ მართავს მიცემითში, ვინაიდან მსგავსი დაქვემდებარებული სინტაგმატური ურთიერთობა გენეტიკურად უკვე განხორციელებულია თვით ფრაზეოლოგიზმის შიგნით.

ზმნური ფრაზეოლოგიზმის სინტაგმატურ ურთიერთობათა ხასიათს განსაზღვრავს არა ზმნური კომპონენტის ვალენტობა, არამედ ფრაზეოლოგიზმის ეკვივალენტური სიტყვის ვალენტობა. მაგ.: ზმნური ფრაზეოლოგიზმი ელ უხათმაქ, სიტყვ.: ხელის გაწოდება, დახმარება, სახელს მართავს არა ბრალდებითში, არამედ მიცემითში: ქოთუ გუნღერინდე ქიმე ბანა ელ უხათმადი [3,66] — გაჭირვების დღეებში ხელი არავინ არ გამომიწოდა. ასევე ზმნური ფრაზეოლოგიზმი ელე აღმაქ, სიტყვ.: ხელში აყვანა, გაკეთება, შესრულება — სახელს მართავს არა მიცემითში, არამედ ბრალდებითში: ბუ იში ლუთფენ სენ ელე აღ! [3,67] — გეთაყვა, ეგ საქმე შენ გააკეთე.

ზოგჯერ ზმნური ფრაზეოლოგიზმისა და ზმნური კომპონენტის მართვის ფორმა შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება დავუშვათ, რომ მათი მართვის უნარი აბსოლუტურად ერთნაირია. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ თუ ზმნური კომპონენტი სახელს მართავს რამდენიმე ბრუნვაში, ზმნური ფრაზეოლოგიზმი სახელს მხოლოდ ერთ რომელიმე ბრუნვაში მართავს.

ასე, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი ავუჯუნუნ იჩინე აღმაქ [6,66], სიტყვ.: მუჭში აყვანა, დამორჩილება, ხელში აყვანა — სახელს მართავს ბრალდებით ბრუნვაში: ნედიმე ქინ ანასინი ვე ქინათასინი ავუჯუნუნ იჩინე აღდი — ნედიმმა დედამთილი და მამამთილი ხელში აიყვანა [3,20]

თავისუფალი შესიტყვების შემადგენლობაში კი ავუჯუნუნ იჩინე აღმაქ (მუჭში აყვანა) ზმნა აღმაქ (აყვანა, აღება) სახელს მართავს ბრალდებით ბრუნვაშიც: ემინე ონუ ავუჯუნა აღდი — ემინე ის ხელში აიყვანა.

თუ ჩვენ მაინც დავუშვებთ, რომ აღმაქ ზმნის მართვა ამ შემთხვევაში მთლიანად ემთხვევა ავუჯუნუნ იჩინე აღმაქ, სიტყვ.: მუჭში აყვანა, დამორჩილება — ზმნური ფრაზეოლოგიზმის მართვას, მაშინაც მათ შორის შეიმჩნევა არსებითი განსხვავება. საქმე იმაშია, რომ სხვა სიტყვებთან სინტაგმატურ ურთიერთობას ამყარებს არა ფრაზეოლოგიზმის ზმნური კომპონენტი, არამედ ფრაზეოლოგიზმი მთლიანად: მართვის უფლება, როგორც ცნობილია, აქვთ იმ სიტყვებს, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა. ფრაზეოლოგიზმის კომპონენტებს კი, როგორც ვი-

ციო, დაკარგული აქეთ ლექსიკური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, ბრუნდებით ბრუნვაში არსებით სახელს რეალურად მართავს არა ზმნური კომპონენტი (იალმაქ), არამედ ფრაზეოლოგიზმი: თუ ჩავევლით, რომ მართვის ფუნქცია ხორციელდება მხოლოდ ზმნური კომპონენტის მეშვეობით, მაშინ ზმნური კომპონენტი ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით უნდა ვავუტოლოთ თავისუფალი შესიტყვების ეკვივალენტურ ზმნას, რაც სინამდვილეს არსებითად არ შეესაბამება: ზმნური კომპონენტი ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში კარგავს სემანტიკურ და გრამატიკულ დამოუკიდებლობას და არაფერი საერთო არ გააჩნია თავისუფალი შესიტყვების იდენტურ ზმნასთან.

აქედან გამომდინარე, ზმნა ალმაქ და ფრაზეოლოგიზმის ზმნური კომპონენტი ალმაქ სემანტიკურად ერთმანეთს არ შეესაბამებიან: ზმნა ალმაქს აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა და ამიტომ წარმოადგენს წინადადების წევრს. ზმნური კომპონენტი კი ასეთ სემანტიკურ დამოუკიდებლობას მოკლებულია.

ამგვარად, ზმნური ფრაზეოლოგიზმის სინტაგმატური ურთიერთობა ხასიათდება გარკვეული შეზღუდულობით, რითაც ის არსებითად განსხვავდება თავისუფალი შესიტყვების ზმნის სინტაგმატური ურთიერთობისაგან.

ზმნური ფრაზეოლოგიზმის მიერ სხვა სიტყვებთან სინტაგმატური ურთიერთობის დამყარების დროს არავითარი მნიშვნელობა არ ექცევა მართვის იმ ფორმებს, რომლებიც მის კომპონენტებს ექნებოდათ თავისუფალ შესიტყვებაში, ფრაზეოლოგიზმი მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი, დაუშლადი სემანტიკური მთლიანობა.

აღნიშნული ვითარება თავის მხრივ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ფრაზეოლოგიზმის კომპონენტები და თავისუფალი შესიტყვების სიტყვები თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ლექსიკურ-სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-გრამატიკული ურთიერთობითაც. ამასთანავე, მართვის მეშვეობით ვლინდება რთული, ურთიერთსაწინააღმდეგო თვისება ფრაზეოლოგიზმისა: ერთი მხრივ, მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობის მთლიანობა და ამიტომ ის შედის სინტაგმატურ ურთიერთობაში სხვა ლექსიკურ ერთეულებთან წინადადებაში, როგორც ერთიანი დაუშლადი მთლიანობა; მეორე მხრივ, კი ფრაზეოლოგიზმებს გააჩნიათ დანაწევრებული აგებულება და ამიტომ მის კომპონენტებს ე. წ. „გრამატიკული ინერციის“ წყალობით აქვთ ტენდენცია შეინარჩუნონ სიტყვათა შეკავშირების უნარი, ანუ ყოფილი „ვალენტობა“. აქედან გამომდინარე, ფრაზეოლოგიზმში ერთმანეთზე მოქმედებს და ამავე დროს წინააღმდეგობასაც უწევს ანალიტიკური და სინთეტიკური ძალები [1,154].

3. ზოგჯერ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის რეალიზება ფრაზეოლოგიზმის გარკვეული სემანტიკური ჯგუფის სიტყვებთან შეკავშირებას მოითხოვს. მსგავსი ფრაზეოლოგიზმები, რომელთა მნიშვნელობაც ვიწრო ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ კონტექსტს გულისხმობს, ხასიათდება ვალენტურად შეზღუდული მნიშვნელობით.

ასეთი მნიშვნელობა უმეტესად ზმნიზედურ ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებთ: თეფედენ თირნაა ქადარ, სიტყვ.: თავიდან ფრჩხილებამდე, მთლიანად, თავიდან ფეხებამდე. ამ ფრაზეოლოგიზმის შემდეგ მოსალოდნელია ზმნა „დათვალიერება“, „შეხედვა“ და მსგავსი: დოქთორ ბენი თეფედენ თირნაა ქადარ მუაენე ათთი [3,160] — ექიმმა მე თავიდან ფეხებამდე ამათვალიერა-მათვალიერა. ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმი — სუ გიბი — წყალივით — უკავშირდება გარკვეული სემანტიკური ჯგუფის ზმნებს: იცის, კითხულობს, ლაპარაკობს: ადილ სუ გიბი ითაღანჯა ქონუშუორ [3,151] — ადილმა იტალიური წყალივით იცის.

ვალენტურად შეზღუდული მნიშვნელობა აქვს ზოგ ზმნურ, სახელად და ადტიურ ფრაზეოლოგიზმებსაც: საქალი ბითმეჟ, სიტყვ.: წვერის გაზრდა, გაჭიანურება, შეიძლება საქმის. სურია დუშმეჟ, სიტყვ.: წყალში ჩაცვენა, დაღუპვა, დაკარგვა — საქმის, იმედის: დუიდუმ ქი სენინ ევლენმე იშინ სურია დუშმეჟ [3,152], მივხვდი, რომ შენი დაქორწინების საქმე ჩაიშალა; დევე ბალირთონ, სიტყვ.: აქლემის ამყვირებელი, ძნელად სავალი-გზა.

ამგვარად, ფრაზეოლოგიზმთა სინტაგმატური ურთიერთობა ლექსიკურთან შედარებით რამდენადმე შეზღუდულია. ამის მიზეზია, უპირველეს ყოვლისა, ფრაზეოლოგიზმის რთული სტრუქტურულ-სემანტიკური აგებულება.

ფრაზეოლოგიზმის სინტაგმატურ ურთიერთობათა ხასიათს ძირითადად განსაზღვრავს გამოთქმის სემანტიკა, მისი დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა, ვინაიდან ფრაზეოლოგიურ-ლექსიკურ კონტექსტში, როგორც ცნობილია, სემანტიკურად რეალიზდება ფრაზეოლოგიზმის არა რომელიმე კომპონენტი, არამედ მისი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა.

### ლიტერატურა

1. В. П. Жуков, Семантика фразеологических оборотов, М., 1978.
2. Кодоухов В. И., Контекст как лингвистическое понятие, Языковые единицы и контекст, Л., 1973.
3. Bedriye atsiz und Hans—Joachim Kissling, sammlung Türkisher Redensarten, Wiesbaden, 1974.
4. Mehmet Ali Ağakay, İürkçede Mecazlar Sözlüğü, Anka:a, 1949.
5. E. Kemal Eyüboğlu, Şiirde. ve Halk Dilinde Atasözleri ve Deyimler, İstanbul, 1975.
6. Mehmet Ali Ağakay, İürkçede Sözlük, Ankara, 1966.
7. Mustafa Nihat özön, İürkçede Mecazlar Sözlüğü, İstanbul.
8. Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945.

Э. В. МАМУЛИЯ

## О СИНТАГМАТИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЯХ ФРАЗЕОЛОГИЧЕСКИХ ЕДИНИЦ В СОВРЕМЕННОМ ТУРЕЦКОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

Ограничения в синтаксической сочетаемости фразеологизмов определяются в основном его сложным структурно-семантическим строением.

Фразеологизм выступает по отношению к другим словам внешне-го контекста как семантически цельная, неделимая единица языка.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ

## მანა ანდრონიკაშვილი

არაბული ზმნის გარდამავლობისა და გვარის საკითხები აზ-  
ზაჯჯაჯის გრამატიკულ ტრაქტატში

X საუკუნის არაბი ავტორის, აზ-ზაჯჯაჯის, გრამატიკული ტრაქტატი — „ალ — ჯუმალ“ — ბაღდადის გრამატიკულ სკოლაში შეიქმნა. მასში მთელი სისრულით აისახა ბაღდადის ეკლექტიური სკოლის მიერ შემუშავებული სისტემა, რომელიც იმითაც ხასიათდებოდა, რომ ქრონოლოგიურად უფრო ადრე ჩამოყალიბებული ბასრისა და ქუფის სკოლებიდან გამოსულ ავტორთა ნაზრევსაც ითვალისწინებდა. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს ჩვენი ავტორიც, რომელიც თავის ვრცელ ნაშრომში კრიტიკულად მიმოიხილავს წინამორბედთა არაერთ გრამატიკულ კონცეფციას. ამის გამო აზ-ზაჯჯაჯის მოსაზრებათა გათვალისწინებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს შუასაუკუნოვანი არაბული გრამატიკული აზროვნების განვითარების შესწავლისათვის. გარდა ზემოაღნიშნულისა, არაბული მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხის აზ-ზაჯჯაჯისეული განმარტების ანალიზი თანამედროვე ლინგვისტურ იდეათა ჩანასახის აღმოჩენის საშუალებასაც იძლევა. ერთ-ერთ ამგვარ საკითხს წარმოადგენს ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიათა აზ-ზაჯჯაჯისეული ინტერპრეტაცია.

1. **გარდამავლობა: გარდაუვალობა.** ცნობილია, რომ გარდამავლობა: გარდაუვალობის დაპირისპირება მრავალ ენაში მორფოლოგიური ინვენტარის უქონლობის გამო სემანტიკური საშუალებებით ვადმოიცემა. არაბულში ამგვარი ინვენტარი ზმნის ფორმათა ნაწილში მინც დასტურდება. სახელდობრ, გარდამავლობა: გარდაუვალობის კატეგორია ოპოზიციას ქმნის ზმნის პირველ თემაში, ერთი მხრივ, გარდამავალი **ჭა'** ალა და, მეორე მხრივ, გარდაუვალი **ჭა'ილა** და **ჭა'ულა** ტიპების შეპირისპირების მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში, გარდამავლობა ზმნის პირველი თემის ფორმებში რამდენადმე ავტონომიური კატეგორიის სახით განიხილება არაბული ენის საბჭოთა და ევროპულ გრამატიკებში [1,30; 2,123].

ი. კურილოვიჩის მიხედვით კათილა (**ჭა'ილა**) გარდაუვალი ტიპია, სახელდობრ მედიოპასივი, კათულა (**ჭა'ულა**) კი — მხოლოდ და მხოლოდ მისი ფონეტიკური ვარიანტი. ორივე ხსენებული ტიპი უპირისპირდება გარდამავალ კათალას (**ჭა'ალა**) [3].

საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის თანახმად მეორე და მეოთხე თემები უპირისპირდებიან ამოსავალ (პირველ) თემას გარდამავლობა: გარდაუვალობის თვალსაზრისით. ამ თემათა ახალი შინაარსი — კალსატივი პირის მატებას იწვევს, რაც ზმნის ფორმას ავტომატურად აქცევს გარდამავალად.

პერფექტივის (**ჭა'ალა**) და იმპერფექტივის (**მაჭა'ალუ**) ფორმებს საერთოდ სემიტურში, კერძოდ არაბულში, წარმოშობით სხვადასხვა ქრონოლოგიური დონისად მიიჩნევენ, ამიტომ გარდამავლობა: გარდაუვალობის ოპოზიციაც პერფექტივსა და იმპერფექტივში ცალ-ცალკე განიხილება [4, 587—590].

ალ. ლეკიაშვილის აზრით კი, საერთოდ სემიტურისათვის, კერძოდ არაბულისათვის, ტიპური მოვლენა — მორფემათა პოლისემია განსაზღვრავს არაბული ზმნის პირველ თემაში მეორე მარცვლის ხმოვნის (ე. წ. მახასიათე-

ბელი ხმოვნის) ფუნქციას. ეს ხმოვანი „განსაზღვრავს გვარს, გარდამავლობა: გარდაუვალობას, და ხშირად აპირისპირებს პერფექტივის იმპერფექტივთან, პირველ თემას — მეორეულთან“ [5, 110]. როგორც ჩანს, არაბულში გარდამავლობა: გარდაუვალობის გამომხატველი ინვენტარის არსებობის მიუხედავად ამ კატეგორიის საზღვრები მერყევია და კონკრეტულ ფორმებში კატეგორიის მაწარმოებლის გამოვლენა ძნელდება სათანადო მორფემათა წყვილის ოთხი და, შესაძლოა, მეტი ფუნქციის არსებობის გამოც.

პირველი არაბული სლოიდური გრამატიკის ავტორი — სიბავემაჰი (VII ს.) — პერფექტივისა და იმპერფექტივის ფორმებს გარდამავლობის თვალსაზრისით ერთად განიხილავს. **ჭა'ალა** (ააჭ'ილუ), **ჭა'ალა** (ააჭ'ულუ) და **ჭა'ილა** (ააჭ'ალუ) მოდელები მის მიერ მიჩნეულია გარდამავლად (მუთა'ადდინ). ყოველთვის გარდაუვალია (ღააჩუ მუთა'ადდინ) **ჭა'ულა** (ააჭ'ულუ), გარდაუვალი ზმნის თვისებებს ჩიენენ ზოგ შემთხვევაში მოდელები **ჭა'ალა** (ააჭ'ულუ) და **ჭა'ალა** (ააჭ'ილუ) [6, 226—227].

აზ-ზაჯჯაჯის თანამედროვე გრამატიკოსი — ზამახშარი — აღნუსხავს ერთ-, ორ- და სამობიექტიან ზმნებს და ასახელებს გარდამავლობის სამ მიზეზს; მეორე და მეოთხე თემებს და ზმნასთან ირიბი ობიექტის არსებობას [7, 357—358].

აზ-ზაჯჯაჯი თავის „აღ-ჯუმალში“ ცდილობს გარდამავლობის თვალსაზრისით შეისწავლოს ზმნათა კლასი მთლიანად. როგორც პირველი, ისე ნაწარმოებ თემათა ფორმები მის მიერ კლასიფიცირებულია ობიექტთა რაოდენობის (resp.) სინტაქსური ვალენტობის მიხედვით. ამ პრინციპის თანახმად გარდაუვალ (ღააჩუ მუთა'ადდინ) ზმნებს მიეკუთვნება: ა) უობიექტო ზმნები (სტატიკური ზმნები პირველ თემაში, მაგ.: კა'ადა „იჯდა“), თვისების აღმნიშვნელი გარდაუვალი ზმნები უ ხმოვნით მეორე ძირეული თანხმოვნის შემდეგ, მაგ.: შარუჭა „იყო კეთილშობილი“; ბ) მეცხრე და მეთერთმეტე თემათა ფორმები; გ) საურთიერთო მოქმედების გამომხატველი VI თემის ფორმები. მაგ.: თავათალუ „ერთმანეთს ებრძოდნენ“; დ) ოთხთანხმოვნიანი ზმნების IV თემის ფორმები.

გარდამავალი (მუთა'ადდინ) ზმნებია: ა) ზმნები ერთი ობიექტით, მაგ.: დაარაბა „სცემია“; ბ) გარდაუვალ ზმნათა მეოთხე თემის ფორმები, მაგ.: აქრაბა „პატივი სცა“; გ) ზმნები ორი ობიექტით, რომელთაგან ერთ-ერთის გამოტოვება შეიძლება შინაარსის პლანის მოთხოვნით, მაგ.: ქასა „ჩააცვა“, ატა „მისცა“; დ) ორი ობიექტის მქონე ზმნები, რომელთა ობიექტების გამოტოვება არ ხერხდება ამ ზმნათა თავისებური სემანტიკის გამო, მაგ.: ზანნა „ფიქრობდა, ვარაუდობდა, ეგონა“ და სხვ. აზ-ზაჯჯაჯი ამბობს: „თუ ამგვარი ზმნების ობიექტის პოზიციაში მოხვდა მთელი წინადადება ან სიტყვა, რომელსაც ახლავს ხაჭდის (ნათესაობითი ბრუნვის) ნაწილაკი, ხსენებული ფორმები უცვლელნი რჩებიან“ [9, 42]. ავტორს ესმის, რომ ამგვარი ზმნები წინადადების ბირთვს წარმოადგენენ თავისი სემანტიკური თავისებურებების გამო: შემდგომ ჩვენი ავტორი განიხილავს ზმნას „რა'ას“ მნიშვნელობით „ნახა, დინახა...“ და ამავე ზმნას განსხვავებული ვალენტობით, რომელსაც განაპირობებს ახალი სემანტიკა — „ფიქრობდა, ვარაუდობდა, მიაჩნდა...“; დ) გარდამავალი ზმნების კალხატივი ავტორს გარდამავალ სამობიექტიან ზმნებში შეაქვს. ასეთია, მაგ.: არა „აჩვენა...“; ე) ზმნები, რომლებიც გარდამავალნი ხდებიან ხაჭდის ნაწილაკის დართვის შედეგად (ზმნები ირიბი ობიექტით ნათესაობითში), მაგ.: მაღდა (დამატება ბი- ნაწილაკით) „ჩაუარა“; ვ) გარდამავალი ზმნები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პირდაპირი ან ირიბი ობიექტი, მაგ.: შაქარა (ლი- ნაწილაკით ან პირდაპირი ობიექტით) „მადლობა უთხრა“ [9, 41—44]. ცხადია, რომ ავტორს ესმის სინტაქსური სტრუქტურა

ტურის თავისებურებისა და მის წევრთა რაოდენობის კავშირი ზმნის სიკურ მნიშვნელობასთან.

2. ვნებითი გვარი. ბ. უორფი წერს: „ენაში გვარის, როგორც გვაროვანი კატეგორიის, გამოსაყოფად ფორმათა რაოდენობა ორს უნდა აღმოეტბოდეს, ხოლო თუ ფორმა მხოლოდ ორია, ისინი უნდა უპირისპირდებოდნენ, როგორც ცალკე ერთეული, ფორმათა სხვა რომელიმე სისტემას“ [9,59].

კ. პეტრაჩევის აზრით, თუ სისტემას ვერ ერწყმიან არაბულში გავრცელებული ე. წ. შინაგანი პასივის ფორმები, მაშინ მათ ადგილს იკავებენ ნ-პრეფიქსით და -თ- ინფიქსით ნაწარმოები პასივები (VII და VIII თემები.) ამასთან ე. წ. ნამდვილი პასივის ფორმები შედიან დერივატიულ სისტემაში და წარმოშობით უკავშირდებიან გარდაუვალი ზმნების მნიშვნელობას, მათ შინაარსს. ისინი ამჟღავნებენ კავშირს აქტიური ფორმის მქონე ზმნებთან, რომელთაც, დინამიკური ზმნებისაგან განსხვავებით, სტატიკური მნიშვნელობა აქვთ [4,615]. ამდენად გარდაუვალი ზმნებისაგან პასივის წარმოება გამოირიცხვლია. ი. კურილოვიჩი კათილა და კათულა ტიპის ზმნებს მედიოპასივებად აღიარებს [3, 69]. იმავე კ. პეტრაჩევის აზრით, უ ზმოვნის გრამატიკალიზაცია მოხდა მოგვიანებით, როდესაც ამ უკანასკნელმა პასივის მორფოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა, რითაც შეიძლება იხსნას ახალ არაბულ დიალექტებში პრეფიქსიანი (ბ) და ინფიქსიანი (თ) ფორმების გავრცელება და პასივის ფორმათა ასიმეტრიული განვითარება [4,615]; აგრეთვე გარდაუვალი ზმნების, VII და VIII თემების ფორმათა პასივების არსებობა.

სიბავეჯაძე, მრავალ შემთხვევაში აზ-ზაჯაჯისათვის უდიდესი ავტორიტეტი, გარდაუვალი ზმნების ვნებითის დასაშვებად თვლის და ხელოვნურად აღადგენს მათთან „ფარულ“ მასდარს სახელობით ბრუნვაში სუბიექტის ფუნქციით, მაგ.: ჯალასა ჯულუსუნ „იჯდა ჯღომა“.

„ალ-ჯუმალში“, სიბავეჯაძის ქითაბისაგან განსხვავებით, ვნებითი გვარის ფორმები განიხილება მხოლოდ მოქმედებითთან დაპირისპირებაში. ახდენს რა კონვერსიას, აზ-ზაჯაჯი აღნიშნავს, რომ მოქმედებითი გვარის ფორმისაგან ვნებითის წარმოებისას „იკარგება“ მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტი, მისი ობიექტი იკავებს ვნებითში სუბიექტის პოზიციას და ახალი ფუნქციის შესაბამისად იღებს სახელობითი ბრუნვის (რაფის) ფორმას. ავტორის მიერ ჩამოთვლილი მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან (აქრამა „პატივი სცა“, დარაბა „სცემა“, შათამა „ლანძღვდა“, შარიბა „დალია“ და სხვ.) ჩანს, რომ ეს წესი მხოლოდ გარდამავალ ზმნებზე ვრცელდება. გარდაუვალი ზმნები, როგორც ჩვენი ავტორის, ასევე ბევრი სხვა გრამატიკოსის აზრით, ვნებითის ფორმებს არ აწარმოებენ, რადგან ერთადერთი სუბიექტური პირის „დაკარგვის“ შემდეგ არაფერი რჩება, რასაც ვნებითში სუბიექტის პოზიციის დაკავება შეეძლოს. ე. ბელკინის აზრით, თანამედროვე სალიტერატურო არაბულში პასივს აწარმოებენ მხოლოდ ობიექტის მქონე ზმნები [10,65].

კ. პეტრაჩევის აზრით, არაბულში პასივი ემსახურება არა ლოგიკური ობიექტის გრამატიკულ სუბიექტად გადაქცევას, არამედ ერთი ზმნური ფორმის მიერ აქტივის პასივისაგან განსხვავებას, რათა პირველ შემთხვევაში დასახელოს მოქმედი (ლოგიკური სუბიექტი), ხოლო მეორე შემთხვევაში დატოვოს იგი დაუსახელებელი [4, 614]. მართლაც, „при переходе от активной конструкции к производству пассивной одна из синтаксических связей либо элиминируется, либо заменяется другой“ [11, 55].

ვნებითში შეიძლება სუბიექტის პოზიცია დაუკავებელი დარჩეს ან სუბიექტი არ იყოს აღნიშნული ლექსიკურად. იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი

არსებობს, მას აქტიური კონსტრუქციის სუბიექტივით ცენტრალური ადგილი არ უჭირავს [12, 27—29].

აზ-ზაჯჯაჯის მიხედვით აქტიური კონსტრუქცია „ა'ტა ზაადან ღირჰამან“ „(მან) მისცა ზეიდს ღირჰემი“ — პასივში იძლევა „უ'ტიჰა ზაადუნ ღირჰამან“ „ზეიდს მიეცა ღირჰემი“. „ზაად“ არის „მაჭ'ულუნ ლამ მუსამმა ჭა'ილუჰუ“ „დაუსახელებელი სუბიექტის ობიექტი“; პასივში უცვლელად შენარჩუნებული პირდაპირი ობიექტი აზ-ზაჯჯაჯისათვის არის „მაჭ'ულუნ სანინ“ — „მეორე ობიექტი“. ავტორის აზრით, მოქმედებითიდან ვენებითის მიღებისას ობიექტის ბრუნვის (ნასბის, ანუ აჟუზაციის) ფორმა შეიძლება შერჩენ ნებისმიერს ორი ობიექტიდან, თუ ეს არ გამოიწვევს შინაარსის შეცვლას. ამასთან, პირდაპირ ობიექტს უპირატესობა ენიჭება მასდარით გამოხატულ შინაგან ობიექტთან შედარებით. ჩვენი ავტორის აზრით, ვენებითი გვარის ფორმას შეიძლება ახლდეს ნაწილაკიანი დამატებაც, ანუ „ხაჭიდუნ მა'ა-ლმახჭ'ული“ „ნათესაობით ბრუნვაში მმართველი ნათესაობითში დასმული წვერითურთ“.

როგორც ვხედავთ, აზ-ზაჯჯაჯი განიხილავს მხოლოდ „ნამდილ“ პასიურ კონსტრუქციებს, რომლებშიც მონაწილეობს სახელობითი ბრუნვის ფორმის მქონე სუბიექტი და რომლებიც კონვერსიის გზით მიიღებიან აქტიურისაგან. ერთობრიანი გარდაუვალი ზმნები, ტრაქტატის ავტორის აზრით, ვენებითს არ აწარმოებენ. ამჟამად მიღებული თვალსაზრისითაც ვენებითი და მოქმედებითი გვარის ზმნათა დაპირისპირება არაბულში ხდება გარდამავალ ზმნათა ქვეკლასის შიგნით, რაც ტიპურია ნომინატიური წყობის ვენებისათვის, რომელთა რიცხვში არაბულიც შედის [13, 9]. უნდა აღინიშნოს, რომ აზ-ზაჯჯაჯი არ განიხილავს ვენებითთან უშუალო კავშირში მყოფ ე. წ. უპირო და განუსაზღვრელპირიან კონსტრუქციებს, რომლებიც პასიური კონსტრუქციების მსგავსად აქტიურისაგან მიიღებიან (მაგ.: „ღურიბა ზაადან“ „სცემეს ზეიდს“, „უთოა ბიჰი ილაჟა“ „მოიყვანეს იგი შენთან“ და სხვ.). იგი მათ კარგად მიჯნავს ზემოთ განხილული ფორმებისაგან.

ლიტერატურა

1. Wright W., A Grammar of the arabic language, Cambridge, 1967, vol. 1.
2. Грандэ Б. М., Курс арабской грамматики в сравнительно-историческом освещении, М., 1963.
3. Kurylowicz J., L'apophonie en sémitique, Wrocław-Warzawa-Krakow, 1961.
4. Petráček K., Die innere Flexion in den semitischen Sprachen, 4, Aror, 31, 1963.
5. ლეკიაშვილი ა., არაბული ენა, თბ., 1977.
6. Sibawayhi, Abu Bishr, Kitab, Bulaq, 1316, vol. 2.
7. Zamaḥṣari, Mahmud b., 'Omar, Al-Mufaṣṣal, Kairo, 1905.
8. A z-Z a ḡ ḡ a ḡ i, Al-Ḡumal, Paris, 1959.
9. Уорф В., Грамматические категории, сб.: «Принципы типологического анализа языков различного строя», М., 1972.
10. Белкин В. М., Типы расширенных глагольных основ в современном литературном арабском языке, М., 1956.
11. Сильницкий Г. Г., Залог и валентность, сб.: «Категория залога», Л., 1970.
12. Храковский С., Пассивные конструкции, сб.: «Типология пассивных конструкций (Диатезы и залого)», Л., 1974.
13. Климов Г. А., О некоторых задачах историко-типологических исследований, ВЯ, М., 1976.



ВОПРОСЫ ПЕРЕХОДНОСТИ И ЗАЛОГА  
В ГРАММАТИЧЕСКОМ ТРАКТАТЕ АЗ-ЗАДЖАДЖИ

Резюме

Взгляды арабского автора X в. Аз-Заджаджи на вопросы переходности глагола и произведенный им анализ различных залоговых конструкций представляются нам не лишенными некоторой оригинальности на фоне средневековой грамматической системы арабов.

Категория переходности/непереходности изучена нашим автором во всех глагольных породах, с учетом изменений в синтаксических структурах, зависящих от изменения семантики некоторых глаголов. Все настоящие пассивные конструкции Аз-Заджаджи считает производными от активных с утерей одной из синтаксических связей. По его мнению, категория залога присуща лишь переходным глаголам. Данная особенность, замеченная средневековым автором, признана характерной чертой языков номинативного строя лишь современными учеными.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა



## პ რ ი ბ ი კ ა ლ ა ბ ი ბ ლ ი ტ ვ რ ა ვ ი ბ ა

А. ТОВАР

### О РАБОТАХ И. М. ВЕШАПИДЗЕ И Ю. В. ЗЫЦАРЯ ПО БАСКСКОМУ ГЛАГОЛУ «БЫТЬ» (ИЗВЕСТИЯ АН ГССР, 1984, № 1)<sup>1</sup>

И. М. Вешапидзе является автором книги 1968 года «О глагольных приставках грузинского языка» и в настоящей — первой — своей работе по баскскому языку, отправляясь от эускара батуа, устанавливает четыре основы глагола «быть» (са, ра, ди, те), опорных, по его мнению, для всего спряжения того же глагола...

Подход И. М. Вешапидзе является чисто функциональным и при таком подходе функциональное значение, приписываемое автором каждой основе (со всей предлагаемой дистрибуцией значений) кажется вполне вероятным. В то же время не забудем, что речь идет о таком глаголе, который в баскском, как и во многих других языках, крайне своеобразен и нерегулярен, поэтому возможно, что дальнейший анализ тех же четырех основ приведет к существенно иным выводам, а мы сейчас, прибегая только к спонтанному языковому чутью, сказали бы, что са является просто основой данного бытийного глагола, ди — чем-то модальным (signo modal), те — плюрализатором, слившимся с предыдущим (модализатором), а ра вообще не поддается квалификации, тем более, что, как известно, действие грамматической аналогии всегда все затрудняет, особенно когда речь идет об элементах, состоящих из двух фонем<sup>2</sup>.

Зыцарь, отправляясь от статьи Вешапидзе, пытается не столько проанализировать историю изучения соответствующих вопросов — по каждому из указанных четырех элементов, сколько осветить их во всей полноте и сложности их связей, причем он рассматривает их в диахроническом аспекте и придавая должное значение диалектам, что уже само по себе говорит о ценности исследования.

В частности, думаю, он прав, когда в баск. исан «быть» он усматривает элемент са с причастным префиксом и — впереди и суффиксом -и- причастий.

Правда, по-прежнему кажется несколько странным, что в финитных формах на-ис, ха-ис «я есть, ты есть» вновь появляется элемент и-, чего никогда не бывает в других глаголах, ср. в аллокутивных формах вновь без всякого префикса основу ца: на-ца-й-о «я-есть- для него»<sup>3</sup>.

Не допуская плюральной супплетивности основы ра к основе са/ца (хотя последняя тоже бывает в плюрале: гинцаке, синцаке «мы были бы», «вы были бы», ср. в плюрале же: ге-ра, се-ра, ди-ра «мы есть, вы есть, они есть»), Зыцарь не принимает и ту идею Н. Хольмера, что баск. гиньян, синьян «мы были, вы были» <+гинран, +синран, а между тем при таком объяснении элемент ра как раз утверждает себя как параллельный супплетив к са/ца<sup>4</sup>.

Что же касается обращения за тем же элементом к сингулару: на-й-а-ко «я-для-

<sup>1</sup> Сокращенный перевод с испанского М. М. Глonti и Р. О. Чантурия.

<sup>2</sup> К каким бы выводам в плане диахронии не привел дальнейший анализ, с функциональной точки зрения выводы Вешапидзе кажутся нам почти во всем убедительными, — прим. Ю. В. Зыцаря.

<sup>3</sup> Элемент (и) вместе с (с) в составе на-ис, ха-ис мы рассматриваем как остаток от гис, хис, ис «человек, мужчина», следовательно, здесь нет никакого префикса. В начале же причастия исан (также к гис, хис, ис), полагаем, слились и причастия и (и) данной основы — гис, хис, ис. При таком подходе все странности здесь получают свое простое объяснение (прим. Ю. В. Зыцаря).

<sup>4</sup> Здесь все основано на недоразумении: идея Хольмера — Вешапидзе о гиньян, синьян нами, наоборот, принимается, и в актуальном срезе ра (основу) мы вслед за Вешапидзе считаем прежде всего плюральным коррелятом к са; иное дело — ее происхождение (прим. Ю. В. Зыцаря).

него-есть» <+на-и-ра-ко, то замечу, что самая близкая бискайская форма, в которой я лично могу удостовериться, это начало у Бонапарта.

Будучи более осторожным в отношении фактора системности, тот же автор сомневается в том, что форма да «он есть» <+да-ис, +да-и-са, тем более, что последнее не имеет никакой опоры в диалектных или архаических вариантах. Поэтому автор предпочитает считать указанную форму да «он есть» просто бывшим местоимением «он» наряду с +бе «он», выводимом из бе-биль «пусть он-идет», бе-ди «пусть он-будет», а также из бе-ра «он сам» (прономинальный идентификатор).

Для подкрепления этой гипотезы автор привлекает местоименные префиксы на-и ха- из состава тех же на-ис, ха-ис, на-биль, ха-биль и т. д., а то, что при этом местоимение замещало иногда саму финитную форму связочного глагола (да местоимение «он» вместо какой-то неизвестной нам связи), это получает у автора объяснение за счет типологии с тюркскими языками, где вместо соответствующих форм имеем действительно повтор местоимения в таких составах, как «я — солдат — я», «ты — солдат — ты». В целом разделяя такой подход, мы могли бы привести и аналогичные примеры из больших америндейских языков, где связкой бывает личное местоимение в роли субъекта. Так, в кечуа имеем ка-ни «я есть», ка-нки «ты есть», ка-н «он есть», в гуарани соответственно ай-цо, эй-цо, ой-цо «я поживаю, букв. бытую (плохо или хорошо)» ... (первичный транзитив).

Сравнение баск. дира «суть» с да «он есть» приводит того же автора к предположению о функциональном чередовании гласных, стоящем за этими формами +ди/да как бывшими местоимениями.

Развивая вполне логичные идеи Вешапидзе о значении элементов баскского спряжения, автор связывает то же ди с элементом /и/ в побудительных формах га-и-те-с-ен «чтобы мы были» и да-и-те-с-ен «чтобы они были», ср. несомненно тот же элемент ди в составе сингулярных форм на-ди-н, ха-ди-н, да-ди-н «чтобы я был, ты был, он был» и т. д. При этом советский ученый продолжает настойчиво искать для ди и да исходные функции местоимений при глаголе или классных показателях, что в качестве гипотезы мы также готовы принять, хотя, как полагаем, вряд ли стоило рядом с наиболее распространенными гара, гера, сара, сера привлечь в этой связи нижненаваррские формы гира, сира «мы есть, вы есть» на правах, сохраняющих ту же огласовку, что и +ди «он» или ни «я». Точно так же, когда в составе баск. гу «мы» и су «вы» автор усматривает древний (У), связанный с постулируемой им исходной системой функционально-лабиальных гласных, то это не кажется нам достаточно мотивированным в силу того, что, повторяем, нельзя забывать о факторе грамматической аналогии<sup>5</sup>.

Здесь мы оказываемся уже перед главным пунктом в данном подходе, перед вопросом об основаниях самих баскско-кавказских сравнений. Дело в том, что в сравнительной баскологии за первой эпохой надежд и оптимизма (Шухардт, Тромбетти, Уленбек), как известно, последовала другая, в ходе которой Марр пошел по своим, к сожалению, слишком субъективным путям, Боуда ограничился в основном словарными сопоставлениями во всех языках мира, а Р. Лафон со свойственной ему скромностью и осторожностью при всей его эрудиции довольствовался удерживанием позиций в баскско-кавказской области, которая привлекла и меня. Между тем здесь, в Западной Европе, наступил тем временем еще один — третий — период сравнительной баскологии, который продолжается и сейчас и который представлен именами Фогта, Мичелены: это период глубокого критцизма и разочарования.

Как же, спрашивается, обстоит дело с той — с кавказской стороны? Громадное влияние Марра, лучшее знание его трудов, малоизвестных на Западе (трудов, где к тому же более раннее и полезное не отделено от всего последующего — сомнительного и спорного), а главное — продолжающееся и все растущее научное исследование всего массива кавказских языков продолжают поддерживать в Тбилиси и вообще в СССР то убеждение, что сравнение баскского языка с кавказскими

<sup>5</sup> В силу нового освещения фактов (см. нашу кн.: «Реконструкции») здесь комментарии уже излишни. Заметим только; что /у/ в баск. гу, су и не могло, собственно, возникнуть по аналогии с чем-либо, так как нет ничего в баскском спряжении или рядом с ним, что имело бы соответствующий гласный (Зыцарь).

может быть по-прежнему полезным, и от него не следует отказываться, его не следует ограничивать.

Вот тот круг представлений, убеждений или идей, внутри которого работает Ю. В. Зыцарь, и вот почему он ищет подтверждения для своего баскологического анализа, особенно в сванском, сравнивая баск. нн «я», хи «ты», +ги «мы» (реконструкт для мн. числа) со сван. ми хви «я есть», си хи «ты есть», лыж «он есть». И надо сказать, что здесь есть сходство, которое к тому же поразительным образом возрастает с привлечением синонимических форм соотношенного сванского же спряжения: хвари, хари, ари «я есть, ты есть, он есть», ср.: с баскскими мн. числа гара, сара, дира «мы есть, вы есть, они есть».

Но в сванском здесь мы имеем повсюду общий элемент при наличии префиксов хв-, х- ф-, а в указанных трех баскских формах тот же автор сам выделяет суффикс -ра, который он пытается отождествить с геминатором -ра баскского же и кавказских языков<sup>6</sup>. И если допущение о таком геминаторе в виде данного -ра не является в принципе неприемлемым, то сравнение его с баскским каузатором -ра, а особенно с плюрализатором ар (см. ниже), к которому также прибегает автор, не кажется уже ни мотивированным, ни необходимым для самой соответствующей гипотезы, и равным образом мы не видим суффикса -ар в составе баск. булар «грудь»<sup>7</sup>.

Собственно, идея о плюрализаторе -ар баскского и других западно-европейских языков является моей, так как еще у Бертольди и Менендеса Пидалья я нашел такие пусть разрозненные, но показательные факты, как ганда «каменистый откос» и производный топоним Гандара, или этр. клан «сын» при мн. числе клан-ар «сыновья»; астур. куэто с топонимами Куэтара и Кóтаро, исп. уэвос «икра» и астур. гуэвара «икра», а зате на конгрессе кельтологов в Ренне в 1971 г. (Etudes Celtiques, XIII, 411—427) развил все это на многих примерах из кельтского ср.: нумеральные собирательные в ирландском от триар до дейхенбор «триада... декада», илар «многие», мн. число от ил «много», а также примеры из Педерсена, Г. Льюиса, Турнейзена, Э. Хогана, Ch. J. Guyonvarc'h, Флерю и т. д., не только по ирландскому, но и гаэльскому и бретонскому. Вместе со всем этим я даже, помнится, привел взятый из одной старой работы Педерсена набор армянских собирательных на -ар<sup>8</sup>.

Когда Ю. В. Зыцарь сравнивает груз. ме «я» с мегр. ма «я» и баск. +на «я» (выведено с учетом нн «я») со сван. +на «я» (выведено из сван. ня-й «мы»), а также префикс 1-го лица в груз. в-ар «я есть», мегр. в-оре-к, сван. хви «я есть» с соответствующим баскским реконструктором, то это показывает нам все те исключительные возможности, которые заключает в себе соответствующее сравнение, опирающееся на прочные знания. И такие знания позволяют автору найти в картвельском ту же функциональную лабильность гласных, которую он вскрывает и в баскском: +ни, +хви, +на, +хва, +си, +хи (<+тхви), +са, +ха (<+тхва) и т. д.<sup>9</sup>

С полной определенностью автор высказывается далее в защиту полезности и плодотворности внешних сравнений баскского языка с картвельскими<sup>10</sup>. Поскольку родство этих языков согласно его реконструктивной концепции восходит к периоду

<sup>6</sup> Эта критика совершенно справедлива. Благодаря ей мы и пришли к новому пониманию элемента ари в картвельских бытийных формах, которое излагается в указанной выше «Реконструкция» (прим. Ю. В. Зыцаря).

<sup>7</sup> Действительно, необходимости в сравнении -ра и -ар для нас не было. Что до баск. булар, то, к сожалению, само это возражение не мотивировано. (прим. Ю. В. Зыцаря). Что касается «того круга убеждений, представлений или идей, внутри которого работает Зыцарь, то см. иное в заключении к указанной кн. «Реконструкция» (прим. Зыцаря).

<sup>8</sup> Является не менее несомненным наличие форманта -ар мн. числа в сванском и других картвельских языках, а также во многих кавказских, начиная с аварского (прим. Ю. В. Зыцаря).

<sup>9</sup> Как видим, здесь отражено (уже) и не менее важное чередование консонантных основ (прим. Ю. В. Зыцаря).

<sup>10</sup> Да, но лишь на основе достаточно успешного внутреннего сравнения в сфере баскского языка (прим. Ю. В. Зыцаря).

начал образования плюралных личных местоимений (на основе общих сингуларных) и префиксов глагола (на той же основе), то речь должна идти о неизменной, казалось бы, глубине (во времени) этого родства. Но, с другой стороны, — рассуждает автор, — если сванский, как обычно считают, отделился от грузино-ванского в начале II тыс. до н. э. (когда и началось образование в последнем суффиксальной части глагола), то с прикидкой в два тысячелетия на образование глагольных префиксов (во всех четырех языках: баскском и трех картвельских) можно прийти к приблизительной датировке конца этого родства началом IV тыс. до н. э. Но это, как справедливо подчеркивает автор, уже не могут быть какие-то бездонные и недостижимые для обычного лингвистического сравнения глубины.

И если, полагает советский лингвист, ему удалось провести достаточно плодотворные сравнения (с чем, думаем, трудно не согласиться), то и вообще область баскско-картвельских сравнений уже в настоящее время может быть превращена в нечто плодотворное — в область конкретной разработки баскско-картвельского языкового родства.

## კ უ პ ლ ი კ ა ც ი ა

ჩვენი კულტივაცია

1938 წლის 17 ივლისს პარიზის გაზეთში „Le Temps“ დაიბეჭდა ცნობილი ფრანგი მწერლისა და კრიტიკოსის, საფრანგეთის აკადემიის წევრის ედმონ ჟალუს (1878—1949) წერილი შოთა რუსთველზე («ქართველი პოეტო»). ზოგიერთი ბუნდოვანების მიუხედავად, ავტორს ფრიად საგულისხმო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რუსთველის უკვდავ პოემაზე. განსაკუთრებით საინტერესოა ვეფხისტყაოსნისა და შუა საუკუნეთა დასავლეთევროპული რაინდული რომანების შეპირისპირება. გამოჩენილი ფრანგი კრიტიკოსის სიტყვით, რაინდულ-ლეგენდური რომანების სარწმუნოებრივი რელიგიის — „გრაალის“ — ძიებას ქართულ პოემაში ენაცვლება „წმინდა მშვენიერების ძიება“. ეს წმინდა მშვენიერება კი ედმონ ჟალუს «ქართველ ქალთა სიმბოლოდ» ეხატება.

ტექსტი ფრანგულიდან გადმოთარგმნა მ ა ნ ა ნ ა გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა .

ა.ლ. ბარამიძე

ედმონ ჟალუ

### ქართველი პოეტი

ადამიანის მეხსიერებას სულ უფრო და უფრო მეტი მსხვერპლის გადაუხდება, ვინაიდან მისი უსასრულოდ გაფართოება შეუძლებელია. მე-19 საუკუნის მანძილზე ყოველ დარგში იმდენი შენაძენი იქნა მოპოვებული, იმდენი აზრი გაჩნდა, იმდენი რამ აღმოჩნდა, რომ დღეს თერამეტი წლის ყმა-წვილი იძულებულია შეითვისოს გაცილებით მეტი ცოდნა, ვიდრე მე-18 საუკუნის დასასრულის ყველაზე განათლებულ ადამიანებს ჰქონდათ. სამწუხაროდ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ამბავს მეტი ან თუნდაც იმდენივე სარგებლობა მოჰქონდეს, არამედ მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ დღეს შეუძლებელი შეიქნა ენციკლოპედიური განათლების შექმნა და კაცს ისღა დარჩენია, სპეციალისტი გახდეს.

განსაკუთრებით გამდიდრდა ჩვენი ცოდნა ისტორიისა, არქეოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობაში. რა თქმა უნდა, აღარაფერს ვამბობ სპეციალურ ტექნიკურ დარგთა შესახებ. ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის წიაღიდან გამოვლინდა უდიდესი ცივილიზაციები, უცნობი ლეონებები, გიგანტური სასახლეები, ფრესკები და ჭედური ხატები. საარაკო წარსულით ვატყებულ თანამედროვე ადამიანს სამყაროს დაუფლება სურს წარმოსახვით. წარსულის აჩრდილებს ყოველი მხრიდან მოაქვთ მასთან თავიანთი საგანძური. მაგრამ ასეთი სიმდიდრით დატვირთული ადამიანი კიდევ და კიდევ ახლის შექმნას ითხოვს.

მართალია, ლიტერატურის უძველესი ძეგლი არც ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ სწორედ ამ ადრინდელ ნიმუშებში ვეძებთ პირველ პოეტურ შთაგონებას, ძველთაძველი მითების განვითარებას. უფრო და უფრო ხშირად დგება ჩვენ წინაშე საკითხი ადამიანის წარმოშობისა. რაც არ უნდა იფიქრონ დოქტორ ფროიდზე და ფსიქოანალიზზე, წინარეკლომიურ ხელოვნებასათუ უახლეს პოეზიაზე, ყოველთვის საჭიროა ყველაზე დაფარულის, ყველაზე ბუნდოვანის, საუკუნეთა და დღეთა მსვლელობისაგან მიჩქმალულის გა-

შიშვლება. ამას გარდა, რაღაც თავბრუდამხვევი გამოსჭევიის საიდუმლოებით მოცული ძეგლებიდან; ისინი ნელ-ნელა იჭრებიან ჩვენს ყოფაში ჩვენს აზრთა დინებას ცვლიან.

ბოლოხანს ამგვარად იქნა აღმოჩენილი მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

ამასწინათ რუსთაველის ხსოვნას საღამო მიუძღვნა „საერთაშორისო მეგობრობის“ გაერთიანებამ, რომელსაც დიდის გულმოდგინებით ხელმძღვანელობს ბ-ნი შარლ ბრებანი. არაფერია ამ ასოციაციებზე, ამ გაცვლა-გამოცვლაზე უფრო სასარგებლო. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სულიერ კულტურათა თანამშრომლობას კულტურის აღმავლობისა და გავრცელებისკენ მივყავართ. შოთა რუსთაველის დიდი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ითარგმნა პირველად ბ-ნ ყორჟ გვაზავსა და ქ-ნ მარსელ პაონის მიერ. ეს არის მომაჯადოებელი პოემა, რომელიც ამასთანავე აპოლოგიაცაა ადამიანისა, იმ ადამიანისა, რომლის ძლიერებას, კეთილშობილებისა და სამართლიანობის მოთხოვნილებას, განახლების გულწრფელ რწმენას იცნობს შუა საუკუნეების დასასრული.

შოთა რუსთაველი ქართველი იყო. მაგრამ გვაქვს კი ნათელი წარმოდგენა საქართველოს შესახებ? ომის შემდეგ ფრანგებმა დიდად წაიწიეს წინ გეოგრაფიის ცოდნაში. ყოველი მხრიდან მოღწეულმა დარდმა და ურვამ ფრანგებს გონების თვალთ შემოატარა სამყაროს ყოველი კუთხე. გეოგრაფიის შესასწავლად ესაა საუკეთესო გზა. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენებურების უმრავლესობას არა აქვს ზუსტი წარმოდგენა საქართველოზე. დღეს ესაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ამიერკავკასიაში. ცნობილია, რომ იგი დასახლებულია კაცობრიობის ერთ-ერთი უღამაზესი რასით, და რომ მისი დედაქალაქია თბილისი (ტიფლისი). საქართველოს მრავალი განსაცდელი აქვს გადატანილი. იგი დაკავშირებულია კაცთა მოდგმის უძველეს და უდიადეს ლეგენდებთან. ამქვეყნიური სამოთხე სწორედ საქართველოშია, ფაზისის ნაპირებზე, კოლხიდაში, რომელიც დღევანდელი სამეგრელოა. აქვე ახლოსაა არარატიც, სადაც შეჩერდა ნიეს კიდობანი თავისი უამრავი ცხოველით. აქვეა მწვერვალი ყაზბეგი და მიჯნეჭულია პრომეთე, რომელმაც ხალხისთვის ცეცხლის მიცემა ინდომა. გვახსოვდეს, რომ იაზონი კოლხიდაში მივიდა, რომ სემირამიდამ, კირკემ და ალექსანდრემ მოგონებები დატოვეს ამ მხარეში. ფანტაზიამ როგორ არ გაშალოს ფრთები ამგვარ ქვეყანაში? საოცარი ხატებანი თავისით ჩნდებიან ადამიანის თვალწინ. საქართველოში ისევე მრავალაა აქატი, იასპი, ონიქსი, ზურმუხტი, ბადახში, ვარდისფერი ბროლი, ლილაქვა და მალაქიტი, როგორც კენჭები ჩვენს გზებზე. როგორც ხედავთ, რუსთაველის გაცნობასთან ერთად მეც დამეუფლა ქართული ფანტაზია. ამ ქვეყნის ხედებიც კი უკიდურესი სხვაობებითაა სავსე. ერთსა და იმავე დროს აქ ნახავთ თოვლიან მწვერვალებს და მათ ძირას სამხრეთის შესანიშნავ ყუავილებს: დეკას, იელს, კამელიას და შროშანს წყლის პირას. ღვარები მოაგორებენ მთის ბროლის ნატეხებს, რომელთაგან ზოგი ოქრომჭედლის გათლილს ჰგავს. განა შეიძლება ამგვარ სკოლაში ჩამოყალიბებულ მწერალს მოეთხოვოს მერიმეს ზომიერება? ყაზბეგსა და იალბუზს თავზე ევლება არწივი და მის დანახვაზე გაგვახსენდება ის ყორანი, რომელიც პრომეთეს მარად განახლებად სულს ჯიჯგნის.

... უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთ პირობებში დაბადებული კაცი არ შეიძლება სხვებივით წერდეს. შოთა რუსთაველის პოემა იშლება რაინდულ თავგადასავალთა ფონზე, ვარდების ნამდვილ წვიმაში. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი წაკითხვისას კაცი გაბრუებულია აღმოსავლური დახუნძლულობით. ჩვენ, საცოდავი დასავლელები, გადავეჩვიეთ სიტყვით გახელებას

ადამიანს სუნთქვა შეეკვრება მზესა თუ მთვარესთან ამდენი შედარებით, ამდენი გუნდრუკით, ამდენი სანელებლით.

როცა პოემის ერთ-ერთი პერსონაჟი, ფატმანი, ნახავს დასვედიანებულ გმირს, ნესტანს, გვეუბნება, რომ „მას წინა ედგის ცრემლისა გუბები“. იგი წერს:

„შიგან მელნისა მორგესა ეყარის გიშრის შუბები,  
მელნისა ტბათთ იღვრების სავსე სათისა რუბები,  
შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“.

პოემის გმირები უკიდურეს ნერვულ დაძაბულობას განიცდიან და ეს აქცევს მათ ბობოქარი ვნებების მქონე ზეკაცებად.

... აი, რას ამბობს რუსთაველი, როცა ტარიელი და ავთანდილი იხსენებენ შორეულ სატრფოს:

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,  
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,  
ეტლის ცვალება მზისაგან, შეგდომა სარატანისა.  
სულთქნა, რა ნახა ყვაილი მან, უნახავმან ხანისა.

აგრგენდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა;  
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დართა;  
უბრძანა: გიჰკრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემეხედვართა,  
მისად სანაცვლოდ მოვილენ თქვენთანა საუბართა“.

ეს პოემა ერთსა და იმავე დროს არის საგმიროც, რაინდულიც, სატრფიალოც. არ ვიცი რა, მაგრამ მასში არის რაღაც, რაც ხალხურ რომანს, უფრო სწორად, მითურ რომანს მოაგონებს კაცს. ესაა გმირობის სიმღერა და ამავე დროს რომანი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „თბილისის მისტიკები“ (თუმცა თბილისი მასში ნახსენები არაა), „პარიზის მისტიკებისა“ და „ლონდონის მისტიკების“ მსგავსად.

გმირი, ტარიელი, ისეთივე მოხეტიალე რაინდია, როგორც გვხვდება მე-12 საუკუნის ჩვენს პოემებში. მაგრამ ამასთანავე ესაა ბედისწერით დაკმუნებული რომანტიკული გმირი. იგი ლანცეტოს და მანფრედს წააგავს. რომანში აურაცხელი თავგადასავალია: დევნა, ძიება, მემკვიდრის კურთხევა, მოტაცება. გრაალის ძიებას აქ შეენაცვლა წმიდა მშვენიერების ძიება. და ეს წმიდა მშვენიერება შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ქალთა სიმბოლოდ.

მორის ბარეს ეს შესანიშნავი პოემა რომ წაეკითხა, ვფიქრობ, ისევე აენთებოდა, როგორც იმარ ხაიამის რომაიების კითხვისას. მის შესახებ ოდესღაც მითხრეს (ვინ იცის, ეგებ, ეს ლეგენდაცაა, მაგრამ ლეგენდები ხომ წმიდაა!), თურმე კითხვის სურვილი როცა წამოუვლიდა, შორს წასვლა რომ არ დასჭირებოდა და იმავე წამს წაეკითხა რამდენიმე სტროფი, თურმე ხაიამის წიგნის თითო ეგზემპლარი ჰქონდა თავისი სახლის ყოველ კუნჭულში.

პოემის დასაწყისში რუსთაველი უყოყმანოდ აცხადებს, რომ ამბავმა მასთან სპარსეთიდან მოაღწია:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგომანები,  
გპოვე და ლექსად გარდავთქვი...“

როცა ამ ფრაზას ვკითხულობ, ჩემ თავს ვეკითხები — ნუთუ სულთა მიგრაცია ვისაც სწამს, ცდება და ნუთუ შოთა რუსთაველის სულის მცირე ნაწილი მაინც არ გადავიდა მორის ბარეში. მეორე მხრივ, არ უნდა დაგვაიწყყდეს, რომ ამავე ეპოქამ მოიტანა ევროპაში „ტრისტან და იზოლდას“ და „პარსიფალის“ აღორძინება, არაბეთში „ათას ერთი ღამისა“ და იაპონიაში ენეიდის რომანის აყვავება. ყველა ამ ქმნილებას საერთო იდუმალება აქვს, და-





სავლეთი და აღმოსავლეთი თითქოს სივრცის მიღმა ხელით ეხება ერთმანეთს; რაინდთა გმირობა, დაპყრობათა და ბრძოლათა ამბავი, ჯადოსნური თავგადასავლები, რომლებშიც პატიოსნება ყველაფრის უძვირფასესია, თითქოს ეს ყველაფერი იქცევა უმშვენირეს ყვავილად, რომელიც ადამიანთა ურთიერთგაგებასა და სიმპათიას შთაგვაგონებს.

შოთა რუსთაველის შესახებ ცოტა რამ ვიცით. იგი უნდა დაბადებულიყო დასავლეთ საქართველოში, დაახლოებით 1150 წლისთვის, დაბა რუსთავში, საიდანაც მომდინარეობს მისი ფსევდონიმი. უნდა გარდაცვლილიყო 1225 წელს, უნდა ეცხოვრა თამარის კარზე. თამარი ისევე ლეგენდარულია და სახელგანთქმული, როგორც სემირამიდა და კლეოპატრა. იგი, საოცრად ლამაზი და მშვენიერი ქალი, როგორც ამბობენ, იყო წმიდანი და კეთილად მოღვაწე. პოემა თამარისადმი პოეტის ტრფობის გამხელა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში თვით რუსთაველი ასე აცხადებს პროლოგში. მაგრამ ძნელია იმის შეტყობა, ეს პროლოგი პოეტის სულში ღრმად დამკვიდრებულ გრძნობებს ასახავს, თუ გამოხატავს ფეოდალური ყოფის ერთ მხარეს — რაინდის თაყვანისცემას თავისი რჩეული ქალისადმი, რაღაცას მსგავსს მე-14 საუკუნის ტრუბადურების კულტისა და მე-17 საუკუნის დახვეწილი თავაზიანობისა. ისეთი კულტურა, კაცთმოყვარეობა და კიდევ რაღაც წარმტაცი, რიტუალური და საკარო არის რუსთაველის გალექსილ რომანში, რომ შეიძლება საკითხი ასეც დავსვათ. თუმცა პოემის კომენტატორებს მსგავსი კითხვა არ ებადებათ. ისინი შეეჩვიენ ეპოპეის დამწყებ მომზიბველ სტროფებში რომანტიკული ვნებათაღელვის დანახვას. თუმცა შესაძლოა, რომ ამ სტროფებს მსგავსი აზრი არასოდეს არ ჰქონოდათ.

რუსთაველი თამარ მეფის კარზე მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილა. თამარის მიუკარებლობით სასოწარკვეთილი პოეტი ბერად უნდა შემდგარიყო და იერუსალიმში გარდაცვლილიყო. რუსთაველის რელიგიური განმარტობა იგივეა, რაც ტასოს სიშმაგე ლეონორა დ'ესტის გულის ვერ მოგების გამო.

დროთა მსვლელობაში ერთი და იგივე გარემოებები მეორდება. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ადამიანებს მათ გადასახალისებლად წარმოსახვის საკმარისი უნარი არ აქვთ.

ფასი 1 მან. 20 კპ.

658/68.

ინდექსი 76198



ეროვნული  
ბიბლიოთეკა